893/
1999/2

ალბანეთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

: საძღვნო-ისტორიული : ყოფითი :

8-9

գնՒրն գաՒՒՒ „ՒՒՒՒ ՒՒՒ“, ՒՒՒՒ ՒՒՒՒՒՒ „ՒՒՒ ՒՒՒՒՒ“; ՒՒՒՒ ՒՒՒՒ „ՒՒՒՒՒ“, ՒՒՒՒ ՒՒՒՒՒՒՒ „ՒՒ ՒՒՒՒՒ“; „ՒՒՒՒՒՒՒ?“ — ՒՒՒՒՒՒՒՒՒՒՒՒ ՒՒՒՒ, ՒՒ ՒՒՒՒ ՒՒՒ: „ՒՒՒՒՒ?“ ՒՒՒՒՒՒՒ ՒՒՒՒ ՒՒՒ ՒՒՒՒՒ ՒՒՒՒՒ ՒՒՒՒՒՒՒՒ — ՒՒՒ ՒՒՒՒՒ ՒՒՒՒՒՒՒՒՒՒ ՒՒՒՒՒՒՒՒՒ.

ՒՒՒՒՒՒ ՒՒՒՒՒՒՒՒՒ

Ի~Գ

1999

ՒՒՒՒՒՒՒՒ

դասաՒՒՒՒՒՒ	ԿԹՂ
ՒՒՒՒՒՒՒՒՒՒ	ՒՒՀՂ
ՒՒՒՒՒՒ ՒՒՒՒՒՒ	ՒԿԿԳ

არტანუჯი

ისტორიული ჟურნალი

1999 8-9

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორ-გამომცემელი

ბუბა კუდავა

სარედაქციო ჯგუფი

თორნიკე ასათიანი
ეთერ ბაიდოშვილი (მდივანი)
შალვა გლოველი
მარეხ კავთიაშვილი
ბონდო კუპატაძე (პასუხისმგებელი მდივანი)
გიორგი კალანდია
ნინო მიწიშვილი
გოჩა საითიძე
თეა ქართველიშვილი
მაია შაორშაძე
თემო ჯოჯუა

კორესპონდენტები

ლევან თაქთაქიშვილი (თბილისი)
იგორ კეკელია (ქუთაისი)

დიზაინი

ბუბა კუდავა

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ლაშა გადელია
გია რუაძე
გია ხარებავა

სარეცენზიო საბჭო

ტარიელ გვალია
თედო დუნდუა
ვახტანგ ითონიშვილი
მერაბ კალანდაძე
დავით ნინიძე
გიორგი ოთხმეზური
დავით ხოშტარია

© არტანუჯი

მასალის გადაბეჭდვა რედაქციის თანხმობის გარეშე დაუშვებელია

გამოდის 1994 წლიდან

✉ თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 2, III სართული (ან: ჭავჭავაძის გამზ. № 1, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, I კორპუსი, ქართული დიპლომატიის ისტორიის ცენტრი, ოთახი № 201).

☎ 22-43-62, 29-31-33, 29-49-23. ელ-ფოსტა: artanuji@ip.osgf.ge

SOS 6 გაძარცული ნოქალაქევი
(ინტერვიუ ბ-ნ პარმენ ზაქარაიასთან)

8-9. 1999 **სარკვევი**

ექსპედიცია 10 არქეოლოგიურ ექსპედიციათა ანგარიშები (1995-1997)
45 ეთნოგრაფიულ ექსპედიციათა ანგარიშები (1995-1997)
49 ხელოვნებათმცოდნეობით ექსპედიციათა ანგარიშები (1995-1997)

რესტავრაცია 77 სარესტავრაციო სამუშაოთა ანგარიშები (1995-1997)

დისერტაცია 87 1994-1997 წლებში დაცულ დისერტაციათა ანოტაციები (ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, ხელოვნების ისტორია)

გამოცემა 122 ახალი გამოცემების ნუსხა (1995-1997)

ქრონიკა 131 1995-1997 წლების ქრონიკა
161 „არტანუჯის“ ქრონიკა (1996-1998)
172 1995-1998 წლებში გარდაცვლილი ისტორიკოსები

სახალისო ისტორია 174 სახალისო ჰერალდიკა
183 კროსვორდი
186 იუმორი
190 მეგობრული შარჟები

27.399

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

Lately the funding of science in Georgia has been ceased due to political unrest and this has barred the process of collection and dissemination of the scientific information, whereas the access to the analitical information is a necessary premise to the further promotion of science.

The represented non-standard special issue of "Artanuji" is an attempt of its editorial group to fill somehow the existing informational gap. Naturally, the issue is intended for a reader concerned with the historical science.

"Artanuji" № 8-9 comprises the accounts of the archaeological, ethnographic and art expeditions (1995-1997); abstracts of the thesises defended in Georgia in history, archaeology, ethnology, art history (1995-1997); the list of the scientific historical publications (1995-1997); the chronicle of the most important scientific and socio-cultural events; the chronicle of the events associated with "Artanuji" activities; the name-list of the departed Georgian historians.

Besides, the journal offers the sections that are already familiar to its reader – SOS (materials depicting disastrous condition of historical monuments in Georgia), history for fun.

ნომერი გამოდის
ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“
ტექნიკური მხარდაჭერით

ბოლო წლების ქაოსმა და სახელმწიფოსაგან მეცნიერების ინფორმირების შეზღუდვამ დიდად შეაფერხა სამეცნიერო ინფორმაციის შეკრების და გავრცელების საქმე. არადა მკითხველისათვის ანალიტიკური ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანი ფაქტორია ამა თუ იმ დარგის წინსვლისათვის.

სწორედ საისტორიო მეცნიერებაში არსებული ბოლოდროინდელი საინფორმაციო ვაკუუმის შევსებას ისახავს მიზნად „არტანუჯის" წინამდებარე არატიპური, საინფორმაციო სპეცნომრის გამოცემა. იგი, ცხადია, ძირითადად სამეცნიერო საზოგადოებისთვის არის განკუთვნილი, თუმცა, ვფიქრობთ, მკითხველთა ფართო წრისთვისაც იქნება საინტერესო (ინფორმაციის გარდა ჟურნალში ტრადიციული რუბრიკებიც არის წარმოდგენილი – SOS, სახალისო ისტორია).

„არტანუჯის" საინფორმაციო ნაწილში, როგორც წესი, იბეჭდებოდა საისტორიო დარგში დაცული დისერტაციების ანოტაციები, საისტორიო ქრონიკა, ინფორმაცია ახალი წიგნების შესახებ. მაგრამ ჟურნალის არაპერიოდულობა ჩვენი აქილევსის ქუსლი გახდა – რედაქციაში ინფორმაციის შემოსვლის ტემპებს „არტანუჯის" მორიგი ნომრების გამოცემა ფეხს ვერ უწყობდა. ამრიგად, ჩვენს ხელთ დაგროვდა დიდძალი მასალა, რომელიც დაინტერესებულ მკითხველს ბოლო 3-4 წლის სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სურათის აღდგენის შესაძლებლობას მისცემდა. რაკი მასალა დიდი მოცულობისა აღმოჩნდა (იმდენად, რომ საჭირო გახდა მისთვის ცალკე ნომრის დათმობა), გადაწყვიტეთ, რომ წარმოდგენილი სურათი შეძლებისდაგვარად სრული ეოფილიეო. თითოეული წვრილმანის დაზუსტება-გადამოწმებამ, ნაკლული ინფორმაციის მოძიებამ კი მთელი რედაქციისაგან მაქსიმალური მობილიზება მოითხოვა. ამ ნომერზე მუშაობა თითქმის 4 წელიწადს გაგრძელდა.

ამგვარად, მკითხველის წინაშეა ჩვენი ძალისხმევის შედეგი – საინფორმაციო სპეცნომერი, რომლის მოცულობამ და ქრონოლოგიურმა დატვირთვამ გამოიწვია მისი ორგზის ნუმერირება – № 8-9.

რა თქმა უნდა, გამოცემა ვერ იქნება დაზღვეული შეცდომებისა და ხარვეზებისაგან, მაგრამ ეს პირველი მცდელობაა – ხანგრძლივი და სკრუპულოზური შრომის ნაყოფი. თუ რამდენად გამართლებული იყო ეს ძალისხმევა, მკითხველის განსაჯელია. ყველა საგულისხმო შენიშვნასა და წინადადებას რედაქცია მადლიერებით მიიღებს. ამასთან, ვთხოვთ ყველას, ვისაც ეს ხელეწიფება, მოგვაწოდოს ინფორმაცია, რათა შემდგომი ჩვენი მუშაობა უფრო შედეგიანი იყოს.



მაძარსული ნოქალაქევი

ინტერვიუ ბ-ნ პარმენ ზაქარაიასთან

ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი მთავარი ქალაქი იყო ლაზების ქვეყანაში. მას გარს ერტყა 3 კილომეტრზე მეტი სიგრძის, 2,5 მ სისქისა და 10 მ სიმაღლის გალავანი. ეგრისელთა დედაქალაქის ბრწყინვალებას აგვიწერენ ჯუანშერი, პროკოპი კესარიელი, მრავალი ბიზანტიელი მოგზაური თუ ისტორიკოსი.

ნოქალაქევში არსებულმა ნანგრევებმა უკვე 1930 წელს მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება. აქ გათხრები ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით დაიწყო და რამდენიმე თვე გაგრძელდა. ნოქალაქევის მასშტაბური და გეგმაზომიერი გათხრები ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ დაიწყო 1973 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ პარმენ ზაქარაიას ხელმძღვანელობით. ჩატარებულმა 24-მა კამპანიამ უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესო მატერიალური კულტურის ძეგლები გამოავლინა. ექსპედიციის პირველივე სეზონის შემდეგ ცხადი გახდა აქ მუზეუმის არსებობის საჭიროება. ბ-ნ პარმენ ზაქარაიას მოთავეობით 1976 წელს დაარსდა ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმი.

მუზეუმის ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმი დაირღვა 1990-იანი წლებიდან, როცა ქვეყანაში გართულდა პოლიტიკური სიტუაცია. მომდევნო წლებში მუზეუმში დაცული საგანძური ულმერთოდ გაიძარცვა!

არქეოლოგიურ მუზეუმში დღესდღეობით შექმნილ ვითარებაზე გვესაუბრება ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი პარმენ ზაქარაია.

პარმენ ზაქარაია

– ბატონო პარმენ, რა ექსპონატებია დაცული ამჟამად ნოქალაქევის არქეოლოგიურ მუზეუმში?

– 1988 წლის 8 ნოემბერს ნოქალაქევში მოეწყო სახალხო დღესასწაული „ეგრისობა". მას დაესწრო ათასობით ადამიანი საქართველოს ყველა რეგიონიდან. სწორედ ამ დღეს საზეიმოდ გაიხსნა ნოქალაქევის მუზეუმი. ექსპედიციის წევრთა მონდომებამ შედეგიც შესაშური გამოიღო.

მუზეუმის ორსართულიანი შენობის პირველ სართულზე განლაგდა ფონდების საცავები, დამხმარე სათავსები და დირექცია, ხოლო ზედა სართული გამოფენას დაეთმო. მუზეუმში განთავსდა ნოქალაქევსა და მის „ქვეყანაში" წლების განმავლობაში ექსპედიციის მიერ მოპოვებული მატერიალური კულტურის ნიმუშები. ექსპოზიცია შედგება ორი ნაწილისაგან: პირველში წარმოდგენილია კოლხეთის სამეფოს დროინდელი ნიმუშები (ქ. წ. VII – ქ. შ. IV სს.), მეორე ნაწილში – ეგრისის სამეფოს პერიოდის ექსპონატები (ქ. შ. IV-VIII სს.). ნოქალაქევის ცხოვრების სრულყოფილად ასახვისათვის ექსპოზიციაში ჩართულია ქალაქის დანგრევის შემდგომი პერიოდის ნიმუშებიც (VIII საუკუნეში ციხეგოჯი მურვან-ყრუმ შემუსრა. ამის შემდეგ მან თანდათან დაკარგა მნიშვნელობა და რიგით პუნქტად გადაიქცა. XVI-XVIII საუკუნეებში აქ სახლობდა დადიანთა ერთ-ერთი შტო). გარდა ამისა, მუზეუმში წარმოდგენილია ნოქალაქევის სიახლოვეს აღმოჩენილი ექსპონატებიც. ასე რომ, გამოფენილ ნიმუშთა ქრონოლოგია 2500 წელს მოიცავს.

– როდის და როგორ გაიძარცვა მუზეუმი?

– 1991 წლის 21 ივლისს, ღამით, გატეხეს პირველი სართულის სარკმლის მინა, ავიდნენ მეორე სართულზე და გაიტაცეს ექსპონატები.

აი, დაკარგული ნივთების არასრული ნუსხა:

1.	მონეტა (კოლხური თეთრი)	3 ც.	ვერცხლი	ქ. წ. IV-I სს.
2.	ბეჭედი (სადა; მრავალფეროვანი)	11 ც.	ბრინჯაო	ქ. წ. III-I სს.
3.	საყურე (მრავალფეროვანი)	6 ც.	ბრინჯაო	ქ. წ. III-I სს.
4.	სამაჯური (ცხოველების სტილიზებული გამოსახულებებით)	18 ც.	ბრინჯაო	ქ. წ. III-I სს.
5.	ზარაკი (სხვადასხვა ფორმის)	3 ც.	ბრინჯაო	ქ. წ. III-I სს.
6.	შუბლსაკრავი (რელიეფური გამოსახულებით)	1 ც.	ბრინჯაო	ქ. წ. III-I სს.
7.	ქინძისთავი (დეფორმირებული)	1 ც.	ბრინჯაო	ქ. წ. III-I სს.
8.	მძივი	40 ც.	ძვირფასი ქვა, მინა, პასტა	ანტიკური პერიოდი, აღრე შუა საუკუნეები
9.	სამაჯური (მასიური, ორიგინალური ფორმებით)	1 ც.	ბრინჯაო	ქ. შ. II-VI სს.
10.	ბალთა (სხვადასხვა გამოსახულებით)	2 ც.	ბრინჯაო	IV-V სს.
11.	ფიბულა (გამოსახულებით)	3 ც.	ბრინჯაო	IV-VI სს.
12.	საყურე	1 ც.	ვერცხლი	IV-VI სს.
13.	მონეტა (ბიზანტიური)	1 ც.	ბრინჯაო	VI ს.
14.	მონეტა (თურქული ახჩა)	1 ც.	ვერცხლი	XVI-XVII სს.

საექსპოზიციო გეგმით, ამ ვიტრინებში უნდა განლაგებულიყო აგრეთვე ვერცხლისა და ოქროს მონეტების, ბეჭდების, საყურეების, სამაჯურებისა და სხვა ნივთების მულაჟები, მაგრამ ვერ მოესწრო.

1993 წლის 23-25 ოქტომბერს მუზეუმი შეიარაღებული ფორმირების წევრებმა მეორედ გაძარცვეს. ამ დროს დაიკარგა 4 კანთაროსი, კანდელაბრი, ბრინჯაოს 3 სამაჯური, ვერცხლის მონეტა (კოლხური ტიპი), აგრეთვე მუზეუმის თანამშრომლების მიერ სხვადასხვა დროს მოძიებული ეთნოგრაფიული მასალა – სპილენძის ჩაიდანი, სპილენძისავე ტაშტი და 6 ცალი სურა. გარდა ამისა, განადგურდა მუზეუმის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, სადაც „სამხედროებმა" წიგნებით ცეცხლი გააჩაღეს და ამ გზით შეძლეს სადილის მომზადება.

აქვე გულისტკივილით უნდა აღვნიშნო მუზეუმის შენობის არასახარბიელო მდგომარეობა. ზოგან მინა ჩამსხვრეულია და მის მოვალეობას ცელოფანი ასრულებს (?!). ფანჯრები სასწრაფოდ უნდა შეიმინოს და აღიჭურვოს ცხაურებით. მძიმე მდგომარეობაშია აგრეთვე მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე არსებული ეთნოგრაფიული ყოფის შესანიშნავი ნიმუში – მეგრული ოდა.

– მუზეუმის გაძარცვას რა რეაქცია მოჰყვა სამართალდამცავი ორგანოებისაგან?

– პირველი გაძარცვის შემდეგ მე და ჩემი მოადგილეები მაშინვე ვეახელით სენაკის რაიონის ხელმძღვანელობას. დაგვპირდნენ გამოძიებას, მაგრამ აქტის შედგენის გარდა არაფერი გაკეთებულა. ნოქალაქევის მუზეუმი ეკუთვნის ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს. ამ უკანასკნელმა გაძარცვის შესახებ საკითხი აღძრა შინაგან საქმეთა საბინისტროსა და რესპუბლიკის პროკურატურაში. მიმართვები დააგზავნა სხვადასხვა ინსტანციაში.



ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმი

მუზეუმის გაძარცვის შემდეგ რამდენიმეჯერ გამოიცვალა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი და გენერალური პროკურორი. ყოველ მათგანს არაერთგზის ვესაუბრე. ავუხსენი, რომ ეს არის ეროვნული განძი და დიდი დანაკლისი იქნება მისი საბოლოო დაკარგვა.

რამდენჯერმე შევაწუხე სენაკის პოლიცია, მაგრამ დღემდე არც ერთ ინსტანციას რეალური მოქმედება არ დაუწყია. ვერ მივაღწიე ამისა, რომ გამოძიება ჩაატარონ. პირველი გაძარცვიდან 7 წელზე მეტი გავიდა. ეს ხნის მანძილზე მუზეუმს არცერთი ნივთი არ დაბრუნებია უკან. ცხელ კვალზე უფრო ადვილი იყო ავაზაკების მიგნება. ახლა კი ფაქტია, რომ გამოძიება ისეთი ეფექტური ველარ იქნება.

1997 წელს ორჯერ ხელახლა აღვძარით საკითხი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალურ პროკურატურაში.

დრო არ ითმენს...

მრავალგზის დაურბევიათ ეს სახელოვანი ქალაქი უცხოელ დამპყრობლებს, შეუბრალებლად შეუმუსრავთ ციხესიმაგრე ბიზანტიელებსა და არაბებს, მაგრამ ციხეგოჯის მიწამ მაინც შემოინახა მტრისაგან გადარჩენილი განძი. ვინ იცის, რამდენი შრომა და ენერგია, ფიზიკური თუ მორალური ძალა დასჭირდა თითოეული ექსპონატის გამოვლენას... XX საუკუნის დასასრულს, ამჯერად ქართველის ხელით, კვლავ შეუბრალებლად შეიმუსრა ციხეგოჯი-არქეოლოგია-ნოქალაქევი...

მასალა მოამზადეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის ასპირანტმა **ბეჟორბი კალანდიამ** და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა **იგორ კვეკვლიამ.**



ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი. მეგრული ოდა.

ინფორმაციის რუბრიკის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება, ცხადია, მკითხველისათვის საისტორიო დარგის სამეცნიერო სიახლეთა მიწოდებაა. სწორედ ამ მიზნით იყო „არგანუჯის" წინა ნომრებში წარმოდგენილი დისერტაციათა ანოტაციები და ინფორმაცია ახალი გამოცემების შესახებ. ჩავთვალეთ, რომ არანაკლები სამეცნიერო სიახლის შემცველი იქნებოდა საველე ექსპედიციათა ანოტირებაც.

ამჯერად გთავაზობთ 1995-1997 წლებში წარმოებულ არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და ხელოვნებათმცოდნეობით ექსპედიციათა ანგარიშებს. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული ინფორმაცია თავისთავად სამეცნიერო სიახლეა, ექსპედიციათა ანოტაციებიც ერთიანი სახით დაბეჭდვა მკითხველს შესაძლებლობას მისცემს წარმოდგენა შეიქმნას საქართველოში ბოლო წლებში წარმოებულ საველე სამუშაოთა ინტენსივობასა და მასშტაბებზე.

არქეოლოგიურ ექსპედიციათა უმეტესობა მუდმივმოქმედია. მათი ანოტაცია იწყება წინაისტორიით. აღნიშნულია ექსპედიციის ძირითადი მიღწევები 1995 წლამდე. შემდეგ კი მოცემულია ბოლო წლების შედეგები. მუდმივმოქმედ ექსპედიციათა ანოტაციების დალაგება ქრონოლოგიური პრინციპით ფაქტობრივად შეუძლებელია, ამიტომ ისინი სახელწოდებათა ანბანური რიგის მიხედვით არის მოცემული. ცხადია, მუდმივმოქმედ არქეოლოგიურ ექსპედიციათა რიცხვი გაცილებით მეტია, მაგრამ ანოტირებულია მხოლოდ ისინი, რომლებმაც 1995-1997 წლებში იმუშავეს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ატენის კომპლექსური ექსპედიციისა და უფლისციხის არქეოლოგიურ-არქიტექტურული ექსპედიციის ანოტაციები პირობითად არის მოცემული არქეოლოგიურ ექსპედიციათა შორის, ისევე როგორც პირობითი იქნებოდა მათი მოთავსება ხელოვნებათმცოდნეობით ექსპედიციებში.

არქეოლოგიურისაგან განსხვავებით, ეთნოგრაფიულ და ხელოვნებათმცოდნეობით ექსპედიციის ხშირად ფიქსირებული სახელწოდება არ გააჩნიათ. ანოტაციები მეტწილად პირობითადაა დასათაურებული (ექსპედიცია ტყიბულის რაიონში, ექსპედიცია ბათ-ელარჯეთში, სასნეტარიჩაცეთ ექსპედიცია ფეჭმის ხეობაში...). მათი დალაგება კი ანბანურ რიგზე მოუხერხებელიც არის და გაუმარტივებელიც. ამიტომ ეთნოგრაფიული და ხელოვნებათ-მცოდნეობითი ექსპედიციები ქრონოლოგიური პრინციპით არის მოცემული. კიდევ ერთი მომენტი: არქეოლოგიურ ექსპედიციათა აღნუსხვა შედარებით აღვილია, რადგან არქეოლოგიური გათხრების წარმოების უფლება აქვს ძირითადად სამ ორგანიზაციას – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრს, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმს. ეთნოგრაფიული და ხელოვნებათმცოდნეობითი ექსპედიციებისათვის ადგილის მიდევნება კი საკმაოდ ჭირს, რადგან ისინი ხშირად კერძო ხასიათისაა (ცხადია, ამგვარი ექსპედიციების მოწყობის უფლება სპეციალისტთა ნებისმიერ ჯგუფს აქვს).

მკითხველი შენიშნავს, რომ ზოგიერთ ხელოვნებათმცოდნეობით ექსპედიციასთან არ არის მითითებული ხელმძღვანელი (ეს მაშინ, როცა ექსპედიციის გამოკვეთილი ხელმძღვანელი არ ჰყოლია), ზოგან კი – მოუწყობი ორგანიზაცია (ამ შემთხვევაში ექსპედიცია სპეციალისტთა ჯგუფის მოწყობილია).

ინფორმაციისა და ილუსტრაციების მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებთ ექსპედიციათა ხელმძღვანელებსა და წევრებს. ალბათ შეამჩნევთ, რომ ანოტაციაში წარმოდგენილი მასალა ზოგ შემთხვევაში სოლიდურია, ზოგჯერ კი შედარებით მწირი. მართალია, ვრცელი და მწირი ინფორმაციის შეფარდება ხანდახან ზუსტად მიუთითებს გაწეულ სამუშაოთა თანაფარდობაზე, მაგრამ ზოგჯერ იგი პირდაპირ ასახავს ხელმძღვანელის დამოკიდებულებას ექსპედიციის ანოტირებისადმი. ეს განსაკუთრებით ილუსტრაციებზე ითქმის. ახალი აღმოჩენების ფოტოებით უსვად შემკული ანოტაცია ძირითადად ექსპედიციის ხელმძღვანელის დამსახურებაა, მწირი ილუსტრირება კი ნამდვილად არ მეტყველებს რედაქციის უყურადღებობასა და ექსპედიციათა ტენდენციურ დასურათებაზე. ვინაიდან არქეოლოგიურ ექსპედიციებს ახლავს წინაისტორიაც, ილუსტრაციათა დეფიციტის შემთხვევებში ანოტაციებს დავურთეთ წინა წლების აღმოჩენათა ამსახველი ვიზუალური მასალა. აქვე აღვნიშნავთ, რომ მოწოდებული ინფორმაციის (ანოტაცია, ილუსტრაციათა მინაწერები) სისწორეზე პასუხისმგებელია ექსპედიციის ხელმძღვანელი.

ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს" მიერ 1997 წელს დაფინანსებულ ხელოვნებათმცოდნეობით ექსპედიციათა ანოტაციები მომზადებულია ფონდის ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პროგრამის საანგარიშო კრებულის (შემდგენელი – ნიკოლოზ ვაჩეიშვილი) მიხედვით, ხოლო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის 1997 წლის ექსპედიციათა ანგარიშები – კულტურული მემკვიდრეობის ინიციატივის საინფორმაციო ბიულეტენის (მთავარი რედაქტორი – დავით ნინიძე) მიხედვით.

არქეოლოგიური ექსპედიციები (1995-1997)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატენის კომპლექსური ექსპედიცია

ხელმძღვანელი ტერეზა აბრამიშვილი
საქართველოს ხელოვნების მუზეუმი

1968-1995 წლებში შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ატენის მუდმივმოქმედმა ექსპედიციამ შეასრულა შემდეგი არქეოლოგიური, ხელოვნებათმცოდნეობითი და ეპიგრაფიკული სამუშაოები:

1. არქეოლოგია — გათხარა ატენის სიონის ზედა ეზოს ტერიტორია (სუბსტრუქციის მთელი ფართობი ოთხივე ფასადის წინ), სადაც გამოვლინდა უძველესი ბაზილიკის — სიონის ნაშთები: პროკონესური მარმარილოს მრგვალი სვეტები, ბაზისებისა და კაპიტელების ფრაგმენტები. ხელოვნურ ბაქანს ათარიღებს სუბტრუქციაში აღმოჩენილი თიხის სარკოფაგი, რომლის ქრონოლოგია ქართლში IV-V საუკუნეებით განისაზღვრება. ცალკეული არქიტექტურული ელემენტებისა და VII საუკუნეში სიონის მშენებლობის დროს მეორედ გამოყენებული რელიეფური ქანდაკებების საფუძველზე ატენის თავდაპირველი ბაზილიკა-სიონი V საუკუნის შუახანებით დათარიღდა. ცხადია, ეს თარიღი იმ სუბსტრუქციაზეც ვრცელდება, რომელზეც დღეს VII საუკუნის გუმბათიანი ეკლესია დგას. ეს ბაქანი თავდაპირველი სიონისთვის აუგიათ; გაითხარა გვიანი შუა საუკუნეების საშეურნეო ნაგებობანი; მიქაელ ბალვაშის ქტიტორობით შესრულებული ეკლესიის ზღუდე; აღრე შუა საუკუნეებით დათარიღებული წმ. ნინოს სახელობის კრიპტა-ეკლესია ატენის ზეობაში; „სვეტიცხოვლად" სახელდებული დარბაზული ეკლესია (VIII-IX სს.); ატენის ზეობის დასავლეთით გაითხარა ე. წ. „სათხიკლდისბოლოს" ტერიტორია, სადაც გამოვლინდა გვიანანტიკური ხანის საცხოვრებელი ნაგებობების ნაშთები თავისი სამარხებით. ერთ ნეშტს ზელთ ეპყრა პერგამენტის გრაგნილი. სამწუხაროდ, წარწერა მთლიანად იყო წარხოცილი. ულტრაიისფერი და ინფრაწითელი სხივებითაც კი ვერ მოხერხდა თუნდაც



ატენის სიონი. დასავლეთ აფსიდის სამხრეთ კალთა. ლიპარიტ თორელის ძის — გრიგოლის ქტიტორული წარწერა. XIV ს.

ატენის სიონი. სამხრეთ ფასადთან ნაპოვნილნი თავდაპირველი ბაზილიკის ნაშთები. V ს.



აგენის სიონი. საკურთხეველის აფსიდის ჩრდილოეთ კალთა. სტეფანოზ მამფალის ფრესკული ეპიგრაფია. 739 წ.



აგენის სიონი. სუბსტრუქციაში აღმოჩენილი, თავდაპირველი ტაძრის დამათარიღებელი თიხის სარკოფაგი. IV-V სს.

ერთი ასო-ნიშნის მონახაზის აღდგენა; ხეობის სათავესთან ახლოს, ყველაანთუბანში გაითხარა აკლდამა, რომელიც წინასწარი ვარაუდით X საუკუნის ბაზილიკას უნდა ეკუთვნოდეს.

2. ხელოვნებათმცოდნეობა — მცხეთის ეკვარდთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე ექსპედიციამ შეისწავლა ტაძრის არქიტექტონიკა, რის შედეგადაც აგენის სიონის შიდა სივრცესა და გარე მასებში გამოიკვეთა ე. წ. „გარდამავალი ხანის“ პროპორციები. აღნიშნული პერიოდი მხოლოდ VII საუკუნის II ნახევრიდან დგება ქართულ არქიტექტურაში. ექსპედიციის წევრთა აზრით, აგენის სიონის აგების ზარიდად სწორედ ეს ხანა უნდა მივიჩნიოთ. ამგვარ დათარიღებას შეესატყვისება აგენის უძველესი ეპიგრაფიკული წარწერების ცნობებიც. სტილისტური და შედარებითი ანალიზის საფუძველზე VII საუკუნის II ნახევრის ტაძრის დეკორაციულ სისტემაში გამოიყო V, VII და X საუკუნეების რელიეფური ქანდაკებები. როგორც ჩანს, V საუკუნის ორი ქანდაკება მეორედ გამოიყენეს VII საუკუნის ტაძრის მშენებლობაში, ხოლო X საუკუნის ქანდაკებები ამ პერიოდში ჩატარებული რესტავრაციის დროსაა შექმნილი. გაირკვა აგენის სიონის არქიტექტორად მიჩნეული, ეროვნებით სომეხი თიღლისაკის მოღვაწეობის დრო — X საუკუნე. მის მიერ ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების მოცულობა და ხასიათი. განისაზღვრა ტაძრის მოხატვის დრო და გაირკვა ქტიტორთა ვინაობა (გიორგი მწიგნობართუხუცესი, დავით აღმაშენებელი, ბაგრატ IV, ლიპარიტ გრიგოლის ძე თორელი...).

3. ეპიგრაფიკა — ექსპედიციის მუშაობის შედეგად გამოიცა აგენის სიონის ფრესკული წარწერების კორპუსი (გურამ აბრამიშვილი, ზაზა ალექსიძე), სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა (გ. აბრამიშვილი), აგენის სიონის სამი გრაფიტი (გ. აბრამიშვილი), აგენის სიონის სომხური წარწერები (ზ. ალექსიძე). ამჟამად მიმდინარეობს მასალების შეკრება აგენის სიონის ლაპიდარული წარწერებისა და პილიგრიმული გრაფიტების კორპუსისათვის (გურამ აბრამიშვილი, ელენე კავლელაშვილი).

1996 წელს გაგრძელდა აგენის სიონის ლაპიდარული და პილიგრიმული წარწერების წაკითხვა და ფიქსაცია. გამოვლინდა ადრე შუა საუკუნეების ონომასტიკის ძალზე არქაული და საყურადღებო ფორმები.

1997 წელს ექსპედიციას არ უმუშავია.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (ჟინვალის) არქეოლოგიური ექსპედიცია

ხელმძღვანელი რამინ რამიშვილი
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

ექსპედიცია შეიქმნა 1971 წელს, ჟინვალის ჰიდროკომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით. იგი სწავლობს არაგვის ხეობის შუა და ზემო წელზე მდებარე ენეოლითურ (მკვლევარი – გურამ ჩიქოვანი), ადრებრინჯაოს (მედეა ღლონტი), შუა და გვიანბრინჯაოს (ლეილა წითლანაძე, გიორგი გოგოჭური), კლასიკური ხანის (ლეილა წითლანაძე, ნელი მუხიგულაშვილი, ანა ბუჩუკური), ელინისტური პერიოდის (რამინ რამიშვილი, ცისანა რობაქიძე), რომაული ხანის (რამინ რამიშვილი, ვერა ჩიხლაძე, ცისანა რობაქიძე), ადრე შუა საუკუნეების (რამინ რამიშვილი, გიორგი რჩეულიშვილი, ჯულიეტა წიკლაური), განვითარებული შუა საუკუნეების (ბესარიონ ჯორბენაძე, გიორგი რჩეულიშვილი, კახა წერეთელი, მაყვალა მარგველაშვილი, დავით მინდორაშვილი) არქეოლოგიურ ძეგლებსა და არაგვის ხეობის საისტორიო გეოგრაფიის (ივანე წიკლაური) საკითხებს.

ექსპედიციის აღმოჩენებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჟინვალიდან 10 კილომეტრზე, ნოკორნის ხევში მიკვლეული, საქვეყნოდ ცნობილი დავათის სტელა. იგი ჩაშენებული იყო VI საუკუნის ეკლესიის კედელში. სტელაზე წარმოდგენილია ქართული ასომთავრული ანბანი. 1985 წელს ჟინვალის ჰიდროკომპლექსის მშენებლობის დასრულებასთან, აგრეთვე ტრანსკავკასიური რკინიგზისა და ტრანსგაზის ხაზების მშენებლობასთან დაკავშირებით, ექსპედიციის სამოქმედო არეალმა ახმეტის, თიანეთის, დუშეთის, ახალგორისა და ყაზბეგის რაიონები მოიცვა, რის გამოც ჟინვალის ექსპედიცია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიურ ექსპედიციად გადაკეთდა.

1995-1996 წლებში ექსპედიციამ სოფ. ბაზალეთის ტერიტორიაზე გათხარა ქ. წ. VII-IV საუკუნეების რამდენიმე სამარხი. პარალელურად არქეოლოგიური დაზვერვები ჩატარდა ბაზალეთის ტბის შემოგარენში, ჭოპორტისა და ახატნის მიდამოებში, ხევსურეთის არაგვის ხეობაში... 1997 წელს არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა. ექსპედიცია ჩართულია „საქართველოს ისტო-

სტელა სოფ. დავათის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიიდან. VI ს.

ქართული ასომთავრული ანბანი დავათის სტელაზე

რიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის" II ტომის მომზადებაში, რომელიც სწორედ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს ეთმობა.

მომავალში ექსპედიცია გეგმავს არქეოლოგიური დაზვერვების ჩატარებას ბაზალეთის ტბის შემოგარენში, ნაგრეხევ დუშეთისა და ყაზბეგის რაიონებში. დაგეგმილია მუშაობის დასრულება სოფ. ბაზალეთის სამაროვანზე.

აღმოსავლეთ კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია

ხელმძღვანელი შერაბ ბრაგვაძე
საქართველოს ხელოვნების მუზეუმი

ჩხარი. ბრინჯაოს თოხები.

ჩხარი. ოქონის გორის სამაროვანი. რკინის საბრძოლო იარაღები. ქ. შ. II-III სს.



ჩხარი. ოქონის გორის სამაროვანი. ოქროს საყურეები. ქ. შ. II ს.

ექსპედიცია შეიქმნა 1994 წელს. მისი მიზანია თერჯოლის რაიონის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენა და შესწავლა.

1994-1995 წლებში ძირითადი სამუშაოები სოფელ ჩხარში, ოქონის გორაზე წარიმართა. აქ გაითხარა გვიანანტიკური ხანის (ქ. შ. II-III სს.) 15 სამარხი მდიდრული ინვენტარით და სარიტუალო ქვევრებით. სამარხეული ინვენტარიდან აღსანიშნავია ოქროს საყურეები, ვერცხლის ბეჭდები ინტალიებით (საბეჭდავებით), რკინის საბრძოლო მახვილები, მდიდარი ნუმიზმატიკური მასალა. ე. წ. „ზედა გორაზე" აღმოჩნდა ციხესიმაგრის კედლები, რომლებიც VI საუკუნით თარიღდება. 1995 წელს ოქონის გორის პარალელურად დაიწყო სკანდის ციხის გათხრა, სადაც დაფიქსირდა მარანი და ადრე შუა საუკუნეების კარის სამლოცველო.

1996 წელს ექსპედიციამ საველე სამუშაოები გააგრძელა ოქონის გორაზე. გამოვლინდა რამდენიმე დანგრეული უინვენტარო სამარხი. პარალელურად წარმოებდა დაზვერვები სოფ. სკანდეში, სკანდის ციხესა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც აღმოჩნდა ადრე შუა საუკუნეების მცირე ნაშთები.

1997 წელს გათხრები მიმდინარეობდა სოფ. ძევრში. გამოვლინდა ქ. შ. II-III საუკუნეების ორმოსამარხები და ქვევრსამარხები. გაითხარა აგრეთვე კოლხური ნამოსახ-

ლარი (ქ. წ. I ათასწლეულის I ნახევარი). მიკვლეული ინვენტარიდან აღსანიშნავია: ვერცხლის სამკაული (ბეჭდები, საყურე, ინტალიო), ნუმიზმატიკური მასალა (რომაული მონეტები), ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები (ვერცხლისა და ბრინჯაოს საკიდები, საკერებელი), კერამიკული მასალა.



ჩხარი. ვერცხლის აბზინდა. ქ. წ. II ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეჯის უდაბნო-მონასტრების შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიცია

ხელმძღვანელი ზურაბ სვალგრელიძე
საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ექსპედიციამ 1980 წლიდან დაიწყო გარეჯის ნათლისმცემლის უდაბნო-მონასტრის (VI-VII საუკუნეების მიჯნა – XX საუკუნის დასაწყისი) არქეოლოგიური შესწავლა. 1980-1995 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად დადგენილია ძეგლის სტრატიგრაფია; განხორციელებულია მოპოვებული მატერიალური მასალისა (IX-XIX სს.) და ნუმიზმატიკური ძეგლების მეცნიერული, ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია; გამოვლენილია გალავნის სამი საამშენებლო ეტაპი: XI-XII, XVII-XVIII და XIX საუკუნეები; შესწავლილია ე. წ. „შიდა ეზოში" არსებული სამაროვანი და მის ქვეშ არსებული სამეურნეო ნაგებობების შემცველი IX-XIII საუკუნეების კულტურული ფენა. არქეოლოგიური სამუშაოების პარალელურად მიმდინარეობდა ძეგლის ტოპოგრაფიული დაგეგმარება, ფოტოფიქსაცია და არქიტექტურული აზომვები.



გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერი. სათავდაცვო კოშკი.

1996-1997 წლებში გაგრძელდა საველე სამუშაოები ნათლისმცემლის მონასტრის ტერიტორიაზე. უკიდურეს დასავლეთ ნაწილსა და ჩრდილოეთ კალთაზე ექსპედიციამ შეისწავლა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სისტემა (კლდეში ნაკვეთი წყალშემკრები არხები, სხვადასხვა მოცულობის რეზერვუარები, წყლის დინებისა და დონის მარეგულირებელი ქვითკირის ნაგებობები, გამფილტრავი აუზი) და იგი XVII-XIX საუკუნეებით დაათარიღა; მონასტრის დასავლეთ ნაწილში ექსპედიციამ გამოავლინა სხვადასხვა დანიშნულების 5

გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერი. საერთო ხედი.



ნათლისმცემლის მონასტრის გამოქვაბული. „სააბაზანო კომპლექსი“.

„სააბაზანო კომპლექსი“. საცეცხლე კერა.

გამოქვაბული. ერთ-ერთ მათგანში აღმოჩნდა „სააბაზანო კომპლექსი“, რომელიც შედგება ქვითკირის აბაზანის, ავერის საცეცხლე კერისა და წყლის დონის მარეგულირებელი სისტემისაგან; გაითხარა დამარხული I იარუსის გამოქვაბული, რომელშიც დაფიქსირდა XI-XIII და XVII-XIX საუკუნეთა კულტურული ფენები. გამოქვაბული სამჭედლოს უნდა წარმოადგენდეს. არქეოლოგიური გათხრების პარალელურად ექსპედიციამ განახორციელა ფოტოფიქსაცია და არქიტექტურული აზომვები როგორც ნათლისმცემლის მონასტერში, ისე თეირი უდაბნოს ქედის მცირე კომპლექსებში. ივრისპირა ქვაბებში, ნასახლარებსა და სამაროვნებზე ჩატარდა არქიტექტურული და არქეოლოგიური დაზვერვები. დასრულდა წყალშემკრები სისტემების შესწავლა დავითის ლავრაში, დოდოს რქაში, წამებულსა და ივრისპირა ქვაბებში.

გონიო-აფსაროსის არქეოლოგიური ექსპედიცია

ხელმძღვანელი **დავით ხახუტაიშვილი**
გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი



გონიო-აფსაროსის ცხე. წყალსადენი სამხრეთის კარებთან.

1994 წელს შეიქმნა გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი, ხოლო 1995 წელს – მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელიც უკვე რამდენიმე წელია მუშაობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და ასლან აბაშიძის ფონდის დაფინანსებით.

გონიო-აფსაროსში სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა 1961, 1967-1968 და 1989-1990 წლებში. დაზვერვების შედეგად გამოვლინდა სვეტებიანი ნაგებობა, წყალსადენის 3 სისტემა, მრავალფეროვანი თიხისა და მინის ჭურჭელი. ციხესთან ახლოს აღმოჩნდა ქ. წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებული სამარხი.

1995-1997 წლებში წარმოებული გათხრების შედეგად დადგინდა კულტურული ფენებისა და საფორტიფიკაციო სისტემის სტრატიგრაფია. დადასტურდა ძირითადად

სამი კულტურული ფენა: რომაული (I-III სს.), ბიზანტიური (VI-VII სს.) და ოსმალური (XVI-XVIII სს.). აქედან ყველაზე მძლავრია რომაული ფენა. გაირკვა, რომ ციხე აფსაროსი აღმართულია ახალშავზღვურ ტერასაზე ჯერ კიდევ ქ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში არსებულ დიუნურ დასახლებაზე. გათხრების შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის (რომაული, ბიზანტიური, ოსმალური) წყალგაყვანილობის 9 ტოტი სათავე ნაგებობით, შესანიშნავად დაცული საკანალიზაციო სისტემა; რომაული და ბიზანტიური ხანის არქიტექტურული ნაგებობა (სამხრეთ კარიბჭესთან), რომელსაც ჰქონდა იატაკქვეშა გაითბობა, წყალმომარაგების სისტემა, ჰიდრავლიკური ხსნარითა და აგურით მოგებული იატაკი; აბანოები (რომაული თერმებისათვის დამახასიათებელი ყველა განყოფილებით); მარანი, ჭა, წყლის აუზები. ციხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში გაითხარა სამეურნეო დანიშნულების შენობა, სადაც აღმოჩნდა ხელის წისქვილები, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო კერამიკის სხვადასხვა ნიმუში. ნაგებობის გარეთ გამოვლინდა ბავშვის სამარხი. ინვენტარში იყო ოქროს საყურეები, ვერცხლის გემიანი ბეჭდები, ბრინჯაოს ჭრაქი, ფიბულა, კოვზები და ვერცხლის მონეტები. სხვადასხვა უბანზე აღმოჩნდა ბრინჯაოს ბალთები; ტერაკოტა მამაკაცის თავის გამოსახულებით; მრავალფეროვანი მინის ჭურჭელი და წითელლაკიანი კერამიკა; ბრინჯაოს ლათინურწარწერიანი ჭრაქი; ფრინველების გამოსახულებიანი, მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტით შემკული მოჭიქული კერამიკა და ფაიანსი; ელინისტური, რომაული, ბიზანტიური, ოსმალური, ვენეციური და პოლონური ვერცხლისა და სპილენძის მონეტები (სულ 200 ცალი). განსაკუთრებით აღსანიშნავია ანტიგონე გონატის (ქ. წ. 377-339) სახელით მაკედონიაში და აგრიპა I ჰეროდეს (ქ. შ. 37-44) სახელით იუდეაში მოჭრილი მონეტები, რომლებიც დღემდე არ იყო დადასტურებული საქართველოს ტერიტორიაზე. ასევე მნიშვნელოვან აღმოჩენათა რიგს მიეკუთვნება დამღიანი აგურები. ერთ-ერთ მათგანზე ამოტვიფრულია ლათინური წარწერა: COH II. საყურადღებოა,

გონიო-აფსაროსის ციხე. II უბანი. წყალსადენები და კედელია ნანგრევები.

21.399



გონიო-აფსაროსის ციხე. II უბანი. ქვის სვეტის ბაზისი.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲒᲝᲜᲘᲝ-ᲐᲤᲡᲐᲠᲝᲡᲘᲡ ᲪᲘᲮᲔ. I ᲣᲒᲐᲜᲘ. ᲐᲛᲤᲣᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲤᲠᲐᲒᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ.

რომ ეგვიპტეში, კერძოდ, ფაიუმში, აღმოჩენილია პაპირუსის ტექსტი, რომელიც აფსაროსის რომაული გარნიზონის ვეტერანის მიერ არის დაწერილი. ამ წარწერის მიხედვით აფსაროსში იდგა Cohors II Claudiana – ქ. წ. II საუკუნის შუა ხანებში. კაპადოკიაში განლაგებული რომაული არმიის დამხმარე კოჰორტა. აფსაროსში აღმოჩენილი დამღა სწორედ ამ კოჰორტის სახელწოდების შემოკლებული ვარიანტია, რომელიც ნივთიერად ასაბუთებს ეგვიპტეში მიკვლეულ დოკუმენტურ მასალას.

მოპოვებული არქეოლოგიური მასალა იმედს იძლევა, რომ მომავალი გათხრები გაცილებით შედეგიანი იქნება.

ᲒᲣᲠᲘᲘᲡ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲐ

ხელმძღვანელი ᲗᲐᲭᲐ ᲡᲐᲯᲠᲐᲫᲔ
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი



ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤ. ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ. ᲜᲐᲥᲐᲚᲐᲥᲐᲠᲘ. ᲓᲐᲛᲦᲘᲐᲜᲘ ᲙᲠᲐᲛᲘᲓᲘᲡ ᲜᲐᲬᲔᲮᲘ.

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤ. ᲯᲣᲠᲣᲧᲕᲔᲗᲘ. ᲒᲐᲣᲠᲙᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲮᲘᲨᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲗᲘ (ᲛᲐᲡᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲪᲘᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘ). ᲛᲘᲜᲘᲥᲠᲘᲜᲔᲚᲘ ᲫᲕᲠᲪᲮᲚᲘ. ᲨᲣᲑᲚᲘ ᲓᲐ ᲭᲣᲠᲕᲘ.

ექსპედიცია შეიქმნა 1991 წელს. მისი ამოცანაა გურიის რეგიონის არქეოლოგიური ძეგლების მოძიება, კომპლექსური შესწავლა და შესაძლებლობისდაგვარად გადარჩენა. ექსპედიციამ დღემდე ძირითადად დაზვერვითი ხასიათის სამუშაოები ჩაატარა.

1991-1997 წლებში გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სადაზვერვო სამუშაოები ჩაატარა ლანჩხუთის, ჩოხატაურისა და ოზურგეთის რაიონებში. გამოვლინდა რამდენიმე ათეული ძეგლი, რომელთა ქრონოლოგიური დიაპაზონი საკმაოდ ვრცელია: ქვედა პალეოლითი – გვიანი შუა საუკუნეები (ხვარბეთი, ჯურუყვეთი, ანასეული, გურიანთა, მამათი, ჭოლიპა, შემოქმედი, შუხუთი, ლაითური, ვაშნარი, მოედანი, ღრმაღელე, ომფარეთი, ბუკისციხე, ასკანა...).

1997 წელს არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობდა ძირითადად იმ ტერიტორიაზე, სადაც მიმდინარეობდა ნავთობსადენის მშენებლობა. აღმოჩნდა ქ. წ. VI-IV საუკუნეთა მასალების შემცველი ნამოსახლარი და სამაროვანი.

დმანისის ისტორიულ-არქეოლოგიური განყოფილების ექსპედიციები

ხელმძღვანელი ჯუმბერ კოპალიანი
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

დმანისის ღვთისმშობლის ტაძარი. VIII-IX სს.

1995 წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დმანისისა და მაშავერას ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციების ბაზაზე შეიქმნა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ფილიალი — დმანისის ისტორიულ-არქეოლოგიური განყოფილება. მის ხელმძღვანელად დაინიშნა დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი ჯუმბერ კოპალიანი.

1983 წელს დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიაკვლია ქვედა პალეოლითის ხანის სადგომს, ხოლო 1991 წელს აღმოჩნდა მისი ბინადრის, უძველესი ადამიანის ნაშთი — ახალგაზრდა ადამიანის ქვედა ყბა, თექვსმეტი კბილით. იგი ბოლო მონაცემებით 1,8 მილიონი წლით თარიღდება. ასე რომ, „დმანისპითეკი" ევრაზიაში აღმოჩენილ ადამიანთა შორის უძველესია. პალეოლითური ძეგლის შესწავლაში აქტიურად მონაწილეობენ გერმანიის ქ. მაინცის რომაულ-გერმანული ცენტრალური მუზეუმის არქეოლოგები (დმანისში ექსპედიცია უკვე რამდენიმე წელია ძირითადად აღნიშნული გერმანული მუზეუმის დაფინანსებით მუშაობს).

1996 წელს, მეორე რაზმმა, ათი წლის მუშაობის შემდეგ, დაამთავრა ქალაქის შიდაციხის (ციტადელის) არქეოლოგიური შესწავლა. საველე-არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა განყოფილების კიდევ ორმა ექსპედიციამ — ირგანჩაის (ხელმძღვანელი — ელგუჯა ლლიღეაშვილი) და გომარეთის (ხელმძღვანელი — ზურაბ ცქვიტინიძე). აღნიშნული ექსპედიციები ძირითადად წინაქრისტიანული ხანის ძეგლებს სწავლობენ და უკვე კარგი შედეგებიც აქვთ. განსაკუთრებით საინტერესოა გომარეთის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარისა და სამაროვნის აღმოჩენა. საყურადღებოა აგრეთვე ირგანჩაის ტერიტორიაზე შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ყორღანების გათხრის შედეგად მიპოვებული არქეოლოგიური მასალა.

1997 წელს სამუშაოები გრძელდებოდა დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე. ქალაქის I უბანზე მუშაობდა შუა საუკუნეების ძეგლის შემსწავლელი რაზმი (ხელმძღვანელი — ჯუმბერ კოპალიანი) და პალეოლითური ძეგლის შემსწავლელი რაზმი (ხელმძღვანელი — მედეა ნიორაძე).



დმანისი. უძველესი ადამიანის ნაშთი — ახალგაზრდა ადამიანის ქვედა ყბა თექვსმეტი კბილით. იგი ბოლო მონაცემებით 1,8 მილიონი წლით თარიღდება. ასე რომ, „დმანისპითეკი" ევრაზიაში აღმოჩენილ ადამიანთა შორის უძველესია.

ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია

ხელმძღვანელი ოთარ ლორთქიფანიძე
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

ფაბრიკების ქალღმერთი ნიკე. ბრინჯაო. ქ. წ. II ს.

არწივი. ბრინჯაო. ქ. წ. II ს.



ლომის თავი. ქარქვა. ქ. წ. II-I სს.

1889 წელს მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების დაკვეთით ნაქალაქარზე მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა ქუთაისის გიმნაზიის დირექტორმა ა. სტოიანოვმა. 1896 წელს არქეოლოგიური კომისიის დავალებით გათხრები დაიწყო ექვთიმე თაყაიშვილმა. ეს იყო პირველი სამეცნიერო გათხრები ვანში. XX საუკუნის დასაწყისში ვანის არქეოლოგიური შესწავლა შეწყდა. 1936 წელს ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით ვანში ჩატარდა სადაზვერვო სამუშაოები. ნაქალაქარზე სისტემატური არქეოლოგიური გათხრები 1947 წლიდან დაიწყო. მას ხელმძღვანელობდა პირველი ქართველი არქეოლოგი ქალი ნინო ხოშტარია. 1947-1963 წლებში გათხრები ძირითადად ბორცვის წვერზე მიმდინარეობდა. აქ აღმოჩნდა ქ. წ. V-I საუკუნეების ძეგლები. შეწყვეტილი არქეოლოგიური გათხრები განახლდა 1966 წელს. ექსპედიციას სათავეში ჩაუდგა ოთარ ლორთქიფანიძე. მას შემდეგ ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია სისტემატურად მუშაობს ნაქალაქარის ტერიტორიაზე.

საქართველოში გათხრილი ძეგლებიდან ვანის ნაქალაქარი თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ ერთ-ერთ ყველაზე ბრწყინვალე და კარგად შესწავლილ ძეგლად. კვლევამ უჩვენა, რომ ვანის ტერიტორიაზე ადამიანები უწყვეტად ცხოვრობდნენ ქ. წ. I ათასწლეულის მთელ სიგრძეზე. აქ სიცოცხლე გვიანანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებშიც გრძელდებოდა, თუმცა არა ისე ინტენსიურად, როგორც ქ. წ. I ათასწლეულში. ვანში აღმოჩნდა სხვადასხვა პერიოდის საერო და საკულტო დანიშნულების ბრწყინვალე არქიტექტურული ძეგლები, სამარხები, ოქროს უნიკალური ნიმუშები, შესანიშნავი კერამიკა და ბრინჯაოს ჭურჭელი.

1996 წელს ექსპედიციამ იმუშავა ცენტრალურ ტერასაზე მიკვლეულ საფორტიფიკაციო სისტემაზე. დაიწყო ქ. წ. II-I საუკუნეების მრავალკუთხა კოშკისა და თავდაცვითი კედლების შესწავლა. ექსპედიციამ მიაკვლია დიდი მოცულობის ნივთიერ მასალას. აღსანიშნავია რელიეფური, წითელლაკიანი კერამიკა, კოლხური ამფორების ფრაგმენტები და მონეტები (მათ შორის ქ. ამისოს სპილენძის

მონეტებიც). 1996 წლის 23-27 სექტემბერს ვანში მოეწყო ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ჩატარებული პირველი არქეოლოგიური გათხრების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის VII საერთაშორისო სიმპოზიუმი.

1997 წელს მუშაობა გაგრძელდა ზემოაღნიშნულ სასიმაგრო სისტემაზე. ზედა ტერასაზე აღმოჩნდა ქ. წ. IV-III საუკუნეების ნაგებობა და სამარხი-კენოტაფი.

საფეხურიანი საკურთხეველი. ქ. წ. II-I სს.

კასპის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიცია

ხელმძღვანელი გშრაბ მახარაძე
არქეოლოგიური კელეების ცენტრი

ექსპედიციას საფუძველი 1971 წელს ჩაეყარა. 1993 წლამდე მისი ხელმძღვანელი იყო გიორგი ცქიტიშვილი, 1995 წლიდან კი ექსპედიციას ზურაბ მახარაძე უდგას სათავეში.

1971-1996 წლებში ექსპედიცია მუშაობდა სოფ. კავთისხევის მახლობლად მდებარე ციხიაგორის მრავალფენიან არქეოლოგიურ ძეგლზე, სადაც გამოვლინდა ელინისტური ხანის (ქ. წ. IV-III სს.) ცეცხლთაყვანისმცემელთა საცხოვრო კომპლექსი. აღსანიშნავია, რომ ასეთი მასშტაბის მაზდეანური საცხოვრო კომპლექსი თავად ირანის ტერიტორიაზეც კი არ არის გათხრილი. ელინისტური ხანის კულტურული ფენის ქვეშ ციხიაგორაზე აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი (ქ. წ. II ათასწლეულის



ციხიაგორის ნამოსახლარი. კაპიტელი წარმართული ტაძრიდან.



ციხიაგორა. ტაძრის კომპლექსის გენგეგმა: I. გალავანი, II. კოშკები; 1. ტაძარი, 2. ბელელი, 3. საცხოვრისი, 4. წისქვილი, 5. სათონე, 6. მარანი.

ციხიაგორა. დამღები ტაძრის ბათქაშზე.

II ნახევარი), შუაბრინჯაოს ხანის მცირე ყორღანული სამარხები და ბოლოს, ადრებრინჯაოს ხანის ფენა, რომელიც შეიცავს ხუთ სამშენებლო ჰორიზონტს. ციხიაგორის გარდა ექსპედიციამ სოფ. თელათგორის მახლობლად გათხარა ასევე ელინისტური ხანის (ქ. წ. IV-III სს.) ზარმაცარი ხამოსახლარი, რომელიც დაკავშირებული უნდა იყოს ციხიაგორის სატაძრო კომპლექსთან. ექსპედიციამ მიაკვლია აგრეთვე ადრე და შუაბრინჯაოს ხანის რამდენიმე ათეულ ყორღანულ სამარხს, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთი ნაწილია გათხრილი და შესწავლილი. აქცენტი კეთდება იმ ძეგლებზე, რომლებსაც განადგურების საფრთხე ემუქრებათ. გათხრების შედეგად მოპოვებულია უმდიდრესი ნივთიერი მასალა. დაგეგმილია სერიის – „კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები" – III ტომის გამოცემა, რომელშიც შევა გიორგი ცქიტიშვილის მონოგრაფია „ციხიაგორის სატაძრო კომპლექსი".

1997 წელს ექსპედიციამ ციხიაგორაზე გათხარა 900 მ² ფართობი და გამოავლინა ელინისტური ხანის სატაძრო კომპლექსთან დაკავშირებული მრავალფეროვანი მასალა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სატაძრო კომპლექსის კარიბჭის აღმოჩენა.

მომავალში დაგეგმილია არქეოლოგიური სამუშაოების გაგრძელება ციხიაგორის მრავალფენიან ძეგლზე.

კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია

ხელმძღვანელი კონსტანტინე შიხელაშვილი
კახეთის სამეცნიერო ცენტრი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კახეთის სამეცნიერო ცენტრი ბოლო წლების განმავლობაში საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებს გერმანიის სხვადასხვა სამეცნიერო ინსტიტუტებთან ერთად.

1991-1993 წლებში სიღნაღის რაიონში, სოფ. ხორნაბუჯის მახლობლად, კახეთის სამეცნიერო ცენტრი, ტიუბინგენის ებერჰარტ-კარლის უნივერსიტეტთან ერთად, აწარმოებდა ნამოსახლარ „ტყისბოლოს გორის" სამეცნიერო შესწავლას. ნამოსახლარი შეიცავს კულტურულ ფენებს ადრებრინჯაოს ხანიდან

მოყოლებული რკინის ფართოდ გავრცელების პერიოდის ჩათვლით.

1992-1995 წლებში ცენტრი სამუშაოებს ატარებდა საარბრიუკენის უნივერსიტეტის არქეოლოგიურ ინსტიტუტთან (ხელმძღვანელი – ვინფრიდ ორტმანი) ერთად ალაზნის ველის (ანაგა, ანანაური...) გორასამარხებზე.

1993-1995 წლებში კახეთის სამეცნიერო ცენტრთან ერთად, სიღნაღის რაიონში, ალაზნის ველზე, ადგილ „ქუმბათში" სამუშაოებს აწარმოებდა ჰალეს უნივერსიტეტის კლასიკური არქეოლოგიის ინსტიტუტი (ხელმძღვანელი – ანდრეას ფურტვენგლერი). აქ აღმოჩნდა ქ. წ. V-IV საუკუნეების ალიზით ნაშენი გრანდიოზული სასახლის ნაშთები.

1996-1997 წლებში ცენტრი, ჰალეს უნივერსიტეტსა და გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტთან ერთად, საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა შირაქის ველზეც, სადაც გამოვლინდა ქ. წ. VIII-VII საუკუნეების ნაქალაქარი – „ცისკარაანთ გორა". აქ აღმოჩნდა მწყობრი გეგმით ნაგები შენობები, მოკირწყლული ქუჩები, საკანალიზაციო სისტემა და განვითარებული ქალაქისათვის დამახასიათებელი სხვა კომპონენტები. შირაქში ამგვარი დასახლებების მთელი კომპლექსია დაფიქსირებული, რომელთა ირგვლივ, გორაკებზე, განლაგებულია საფორტიფიკაციო ნაგებობები. როგორც ჩანს, აქ ერთი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულის არსებობა უნდა ვივარაუდოთ.

1997 წელს კახეთის სამეცნიერო ცენტრმა, ტიუბინგენის უნივერსიტეტის ტროას პროექტთან ერთად, ჩამოაყალიბა მეცნიერთა ჯგუფი კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის კულტურათა ქრონოლოგიური შკალის შესადგენად. ჯგუფმა პირველი საველე სეზონი უკვე ჩაატარა ალაზნის ველის მრავალფენიან ნამოსახლარ „დიდ გორაზე". სამომავლოდ ეს სამუშაოები სისტემატურ ხასიათს მიიღებს.

კახეთის სამეცნიერო ცენტრი სოროსის ფონდის ხელშეწყობით გეგმავს ფართო არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებას დავითგარეჯის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და I ათასწლეულის დასაწყისის ქალაქური ცივილიზაციის რამდენიმე ობიექტზე.

წნორის გორასამარხი. ლომის ოქროს ქანდაკება. ქ. წ. III ათასწლეულის დასასრული.

კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია

ხელმძღვანელი თეიმურაზ მიქელაძე
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

ურეკის სამარეოვანი. ქალი-ღვთაება ყრმით. ბრინჯაო. ქ. წ. VIII-VII სს.



ურეკის სამარეოვანი. ოქროს სასაუთქლე რგოლები. ქ. წ. VIII-VII სს.

ექსპედიცია თავდაპირველად სწავლობდა მდ. რიონის ქვემო წელს. მას ფოთის არქეოლოგიური ექსპედიცია ეწოდებოდა. 1972 წელს მან გააფართოვა კვლევის არეალი და შესაბამისად, კოლხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციად გადაკეთდა. ამჟამად იგი იკვლევს შავი ზღვის სანაპიროსა (მდ. სუფსიდან მდ. ენგურამდე) და კოლხეთის მთისწინა ზოლს.

ექსპედიციამ შეისწავლა გვიანბრინჯაოადრერკინისა და ანტიკური ხანის სამაროვნები: ნიგვზიანი (ლანჩხუთის რაიონი), ურეკი (ოზურგეთის რაიონი), დღვაბა (ხობის რაიონი), ერგეტი (ზუგდიდის რაიონი). ამას გარდა, ექსპედიციამ გათხარა გვიანბრინჯაო-ანტიკური ხანის ნამოსახლარები: ნამარნუ (აბაშის რაიონი), სიმაგრე (ხობის რაიონი), დიხაგუძუბა II, მამულიების დიხაგუძუბა (ზუგდიდის რაიონი). 1991 წელს კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შეწყვიტა საველე-არქეოლოგიური სამუშაოები.

1995-1996 წლებში ზუგდიდის რაიონში ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები. 1997 წელს ექსპედიციამ შეისწავლა მამულიების დიხაგუძუბას კოლექტიური სამარხი, ხოლო ონწყოშიაში ტორფის ფენის ქვეშ მიაკვლია ქ. წ. II ათასწლეულის ნამოსახლარს.

მომავალში დაგეგმილია სამუშაოების გაგრძელება მამულიების დიხაგუძუბის სამაროვანზე.

ურეკის სამარეოვანი. ბრინჯაოს ხარი. ქ. წ. VIII-VII სს.

ურეკის სამარეოვანი. ბრინჯაოს შველი. ქ. წ. VIII-VII სს.

კუხეთის (რუსთავის) არქეოლოგიური ექსპედიცია

ხელმძღვანელი ცისანა ჩიკოიძე
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

1949 წელს, ქალაქ რუსთავის მშენებლობასთან დაკავშირებით, შეიქმნა რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც ორი წელი იმუშავა რუსთავის ნაქალაქარზე. ექსპედიციის მუშაობა გაგრძელდა 1959 წელს. ამჯერად სამუშაოები მიმდინარეობდა რუსთავის ციხის ტერიტორიაზე. 1949-1971 წლებში ექსპედიციას ხელმძღვანელობდა გიორგი ლომთათიძე, 1972 წელს – მარინა მიწიშვილი, 1973-1976 წლებში – ნინო უგრეხელიძე, ხოლო 1977 წლიდან დღემდე ექსპედიციის ხელმძღვანელია ცისანა ჩიკოიძე.

80-იან წლებამდე ექსპედიციამ ძირითადად რუსთავის ციხეზე იმუშავა და სამი პერიოდის სასიმაგრო სისტემა გამოავლინა. პირველი, დიდი ქვებითა და დუღაბით ნაგები ოთხკუთხაკოშკებიანი გალავანი, IV-V საუკუნეებშია ამართული. იგი დაინგრა მურვან ყრუს შემოსევის დროს (735-738 წწ.). IX საუკუნეში რუსთავს შემოარტყეს მეორე, აგურითა და ალიზით ნაგები გალავანი, ნახევარწრიული კოშკებით, რომელიც XI საუკუნეში, თურქსელჩუკების შემოსევის დროს უნდა განადგურებულიყო. მესამე, რიყის ქვით ნაგები გალავანი XII საუკუნისაა და დაინგრა XIII საუკუნის II ნახევარში, მონღოლთა შემოსევის შედეგად. XIV-XV საუკუნეებში ციხის ტერიტორიაზე გაჩნდა დასახლება, თუმცა ეს აჩრდილილა იყო ოდესღაც სახელოვანი ციხესიმაგრისა. 80-იანი წლებიდან განახლდა რუსთავის ნაქალაქარის გათხრები. 1986 წელს აღმოჩნდა განადგურებული ეკლესიის ნაშთი, რომელიც ძველი რუსთავის საეპისკოპოსო კათედრა უნდა ყოფილიყო. 1989 წელს, ტერიტორიის შესწავლის შემდეგ, ნაეკლესიარზე აიგო ახალი ტაძარი.

1996-1997 წლებში ნაქალაქარზე გათხარა ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია, სადაც აღმოჩნდა მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი. გაირკვა, რომ აქ V-VI საუკუნეებში ააგეს პილონებიანი საცხოვრებელი სახლები, ქვის სამარხები, რომლებიც IX საუკუნეში განადგურდა. მას შემდეგ ამ ტერიტორიაზე განთავსდა ხელოსანთა უბანი (გამოვლინდა IX-X საუკუნეების კრამიტის გამოსაწვავი სამი ჭურა). XI-XIII საუკუნეებში აქ უკვე სამაროვანი ყოფილა.

რუსთავის ნაციხარი. ჯამი. მოჭიქული კერამიკა.

რუსთავის ნაციხარი. ჯამის ნაგები ფრინველის გამოსახულებით. მოჭიქული კერამიკა.

რუსთავის ნაქალაქარი. „ქალათი“. მოჭიქული კერამიკა.



რუსთაველის ნაქალაქარი. სამარხი. IV-VI სს.

კუხეთის (რუსთავის) არქეოლოგიური ექსპედიცია სამუშაოებს ატარებდა აგრეთვე გარდაბნის ტერიტორიაზე. 1997 წლის 18 აგვისტოს სოფ. ჯანდარიდან დაიწყო ნაყოფიერ-სადენის 39,5 კმ სიგრძის ახალი ტრასის მშენებლობა. საჭიროდ გახდა არქეოლოგიური მეთვალყურეობის დაწესება. მეთვალყურეობას ხელმძღვანელობდა გიორგი მინდიაშვილი.

აზერბაიჯანის საზღვრიდან მე-19 კილომეტრზე აღმოჩნდა განვითარებული შუა საუკუნეების ძლიერ დაზიანებული ნამოსახლარი (XI ს.), მე-20 კილომეტრის დასასრულს – ყორღანების მცირე ჯგუფი, 26-ე კილომეტრზე – გვიანი შუა საუკუნეების მწყემსების ნაბინავები. ტრასას უნდა გაევლო ვაზიანის სამხედრო ბაზის ძირში, მაგრამ აქ გამოვლინდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ქ. წ. IX-VIII საუკუნეების ნასოფლარი. მილსადენის ტრასა გადაიტანეს, მაგრამ მან 26-27-ე კილომეტრზე მაინც გადაუარა ყორღანულ სამარხს, რომელიც ქ. წ. XIV-XIII საუკუნეებით თარიღდება. ლოჭინის ხევში, 37-ე კილომეტრზე, გამოვლინდა გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარი.

დაგეგმილია იმ სამარხების შესწავლა, რომელთა ყრილებიც ნაწილობრივ დაზიანდა მილსადენზე მიწის მიყრის პროცესში.

მესხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია

ხელმძღვანელი მახტანგ ლიჩელი
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი



აწყურის ღვთისმშობლის ტაძრის ნანგრევები

მესხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია შეიქმნა 1997 წელს, მესხეთ-ჯავახეთის, თორისა და სამცხის არქეოლოგიური ექსპედიციების გაერთიანების შედეგად. მანამდე ექსპედიციებს ხელმძღვანელობდნენ ოთარ ლამბაშიძე, გენო ნასიძე და ვახტანგ ლიჩელი.

ექსპედიციის მიზანია ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის რაიონების არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენა და შესწავლა. ბორჯომის რაიონში ექსპედიციამ გათხარა მზეთამზის, კვირაცხოვლის, ჩითახევის, რეკლისა და ბორნიღელეს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნები; ახალციხის რაიონში – წნისისხევის ანტიკური ხანის სამაროვანი; ასპინძის რაიონში –

ზველისა და ახჩია-ოქროყანის შუაბრინჯაოს ხანის ყორღანები, ბერბუკების გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი. აღსანიშნავია ბაკურიანში მიკვლეული მრავალფენიანი ძეგლი საკოჭავი, სადაც დაფიქსირდა კულტურული ფენები ენეოლითიდან ქ. წ. VII-VI საუკუნეებამდე. 1996 წელს მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა ბორჯომის რაიონში. იმავე წელს ექსპედიციამ ბოხუმის არქეომეტალურგიის მუზეუმთან (გერმანია) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალთან ერთად ქიმიური ანალიზი ჩაუტარა ახალციხისა და ბორჯომის მუზეუმებში დაცულ ბრინჯაოს ექსპონატებს.

ექსპედიციამ დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა აწყურის მიდამოებში. აქ, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მდინარესა და გზატკეცილს შორის, მიკვლეულია სამცხის ერთ-ერთი უძველესი დასახლების — სოსანგეთის საცხოვრებელი უბნები. აღმოჩენილია აგრეთვე სამაროვანი, რომელიც ალაგ-ალაგ ნაქალაქარის კულტურულ ფენებს ფარავს. აქ წარმოდგენილია ქ. წ. V-I საუკუნეების სამარხები. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გამოვლენილ ბერძნულ-იონურ ნაწარმს (ქ. წ. VI-V სს.), აგრეთვე აქემენიდური ტიპის საბეჭდავებსა და ცხენის აღკაზმულობის ფრაგმენტებს. ეს მონაპოვარი უდაო დასტურია იმისა, რომ აწყური-სოსანგეთი ჯერ კიდევ ქ. წ. VI-II საუკუნეებში წარმოადგენდა მნიშვნელოვან ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ ცენტრს. 1996 წელს ექსპედიციამ იმუშავა როგორც ნაქალაქარის, ისე აწყურის ღვთისმშობლის ტაძრის ტერიტორიაზე. გაითხარა მცირეფსიდიანი საყდარი, რომელიც XI საუკუნეშია გადაკეთებული. იგი მიდგმულია მასიურ, კარგად გათლილი კვადრებისაგან ამოყვანილ მძლავრ კედელზე, რომელსაც სამრეგვანი მტკიცე საძირკველი აქვს. ფაქტია, რომ ეს არის გრანდიოზული ნაგებობის — კარიბჭის აღმოსავლეთ ფასადი. ძეგლი თითქმის მთლიანად მიწის ქვეშაა მოქცეული.

1997 წელს ნაქალაქარის ტერიტორიაზე დასრულდა ქ. წ. V-IV საუკუნეების საცხოვრებელი სახლის შესწავლა. განახლდა გათხრები ბორჯომის რაიონში, მზეთამზის სამაროვანზე. აქ გაითხარა ქ. წ. VII საუკუნის სამი სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა ჯოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს ინვენტარი (გრავირებული ცულები, ფიბულები, ისრისპირები...).

ბორჯომის რაიონი. ჯერიაცხოელის სამაროვანი. ბრინჯაოს დასკვეთები ფულსაკიდი. ქ. წ. XV-XIV სს.

ბორჯომის რაიონი. ბორნისღელეს სამაროვანი. ბრინჯაოს დასკვეთები ფულსაკიდი. ქ. წ. XV-XIV სს.



აწყურის ღვთისმშობლის ტაძრის ნანგრევები

მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია

ხელმძღვანელი ანდრია აფაქიძე
მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი



არმაზციხე-ბაგინეთი. საგაძრო კომპლექსი. II-IV სს. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.



წარმართული ტაძარი. ხედი დასავლეთიდან.

მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია 1937 წელს ჩამოყალიბდა ნიკოლოზ ბერძენიშვილი და სიმონ ჯანაშია ხელმძღვანელობდნენ. 1974 წელს ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით განახლდა ექსპედიცია, მის ბაზაზე კი 1994 წელს შეიქმნა მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი.

40-იან წლებში ჩატარებული გათხრების დროს არმაზციხეზე გამოვლინდა საქალაქო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი უმნიშვნელოვანესი ძეგლები: სამეფო სასახლე, რომაული ტიპის აბანო, საფორტიფიკაციო სისტემა, აკლდამა, სარკოფაგი...

1993 წელს საველე კვლევა-ძიება გაგრძელდა მცხეთის აღორძინებისა და განვითარების ფონდის (პრეზიდენტი – გია შაიშმელაშვილი) სახსრებითა და ხელშეწყობით. 1993 და 1995-1996 წლებში მუშაობა მიმდინარეობდა პირველ ტერასაზე. გათხრების შედეგად გამოვლინდა ახალი, რიგით მეორე აბანო (II-III საუკუნეებისა, განადგურდა IV საუკუნის I ნახევარში); წარმართული სატაძრო კომპლექსი; სამი ფილაქვა ბერძნული წარწერით, რომლებიც ქართლის სამეფო კარზე მიმდინარე სამშენებლო საქმიანობაზე მოგვითხრობენ; ვერცხლის მონეტები, ძვლის ქანდაკებები, მრგვალპირიანი ხელადები, მოჭიქული თიხის ჭურჭელი... ცალკე აღნიშვნის ღირსია ექვსაფსიდიანი წარმართული ტაძარი. მის შუა



არმაზციხე-ბაგინეთი. ქართლის (იბერიის) მეფეთა რეზიდენცია. ქ. წ. IV-III სს. – ქ. შ. IV-V სს. ხედი მცხეთის ჯვრის ტაძრიდან.

ნაწილში დგას მოჩუქურთმებული ბაზა, რომელზეც ქვიშაქვის კაპიტელით დაგვირგვინებული ხის სვეტი იყო აღმართული. ტაძარში აღმოჩნდა ლამაზად მორთული კვარცხლბეკი. მასზე ქანდაკება მდგარა. ერთ-ერთ აფსიდზე შეინიშნება ცეცხლის კვალი, რაც ტაძარში გარკვეული რიტუალის აღსრულებაზე უნდა მიანიშნებდეს. წარმართული ტაძარი, როგორც ირკვევა, I-III საუკუნეებში მოქმედებდა. იგი IV საუკუნის I ნახევარში განადგურებულა. ტაძარში აღმოჩენილია აგრეთვე წითლად და ჩალისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭელი, სამეფო საგარძლის მარმარილოს ნაწილები... ტაძარი დერეფნით უკავშირდება მარანს, რომელშიც ორ რიგად განლაგებული 16 ქვევრია მიკვლეული.

1997 წელს, აღნიშნული ტაძრის დასავლეთით, ცენტრალურ ტერასაზე, გამოვლინდა კიდევ ერთი აბანოს ნანგრევები (ქ. შ. III-IV სს.). იგი ანფილადური ტიპისაა და თავისი ზომებით აბანოთა იმ რიგში თავსდება, რომლებიც გამაგრებულ ადგილთა, სასახლეთა მიმდებარე ტერიტორიებისათვის შემუშავდა. აბანოს ინტერიერი მდიდრულად ყოფილა მორთული სკულპტურული სახეებით (ადამიანთა ნიღბები, არქიტექტურული პრეფეილები, მცენარეული დეკორი...). ექსედრებში კამარული გადახურვა დასტურდება. ნაგებობის შიდა სივრცე სრულად და ამაყე დრეს, ლაკონურადაა ასახული გარე მასებში.

ტაძარი. სვეტის კაპიტელი.

ტაძარი. სვეტის ბაზისი.



ტაძარი. ქანდაკების კვარცხლბეკი.

მცხეთიჯვრის არქეოლოგიური ექსპედიცია

ხელმძღვანელი ამირან დავითაშვილი
საქართველოს ხელოვნების მუზეუმი

ექსპედიცია შეიქმნა 1973 წელს. იგი მუშაობს ხაშურის რაიონში, სოფელ მცხეთიჯვართან, გომი-საჩხერის გზაზე. 1973-1987 წლებში ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ჯურხა ნადირაძე, 1987 წლიდან კი მას ამირან დავითაშვილი უდგას სათავეში.

70-იან წლებში ექსპედიციამ მცხეთიჯვარში მიაკვლია ანტიკურ-ელინისტური ხანის სამაროვანს მდიდრული ბრინჯაოსა და რკინის ინვენტარით. მალე ექსპედიციამ არსებობა შეწყვიტა, რადგან ხელოვნების



მცხეთიჯვარი. ფრაგმენტული ბალიში. ქ. წ. VII ს.

ბალთა. დეტალები.

მუზეუმის მთელი ძალები მობილიზებული იყო საირხესა და მოდინახეს მიმართულებით. 1987 წლიდან გაგრძელდა მუშაობა მცხეთიჯვრისა და ალის ციხეების ტერიტორიებზე. ადგილ „ნაურიებზე" (ურიების ნამოსახლარი) დაფიქსირდა ანტიკურ-ელინისტური ხანის სამაროვანი, ხოლო მცხეთიჯვრის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩნდა შვიდფენიანი არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც შეიცავდა ინვენტარს გვიანი ბრინჯაოს ხანიდან ადრე შუა საუკუნეებამდე.

1996 წელს ექსპედიციამ მცხეთიჯვარში გათხარა ელინისტური ხანის ნამოსახლარი და გააგრძელა დაზვერვითი სამუშაოები მიმდებარე ტერიტორიებზე.

1997 წელს ექსპედიციამ წინასწარ შეისწავლა ნავთობსადენის მაგისტრალზე მდებარე შუა საუკუნეების არქიტექტურული კომპლექსი „სამყვირალო", სადაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა XII-XIII საუკუნეებისათვის დამახასიათებელი კერამიკული ნაწარმი. საჩხერის რაიონის სოფ. წმანში, მიწის სამუშაოების დროს, შემთხვევით აღმოჩნდა ოქროს საყურე, რის გამოც ექსპედიცია ჩავიდა ადგილზე და მოახდინა ფოტოფიქსაცია. როგორც ჩანს, საყურე განეკუთვნება ქ. შ. II საუკუნეს. აქ ნავარაუდევია მდიდრული სამარხების არსებობა. ექსპედიციას დაგეგმილი აქვს მუშაობის გაგრძელება სოფ. წმანში.

ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია

ხელმძღვანელი ნინო მირიანაშვილი
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

სადაზვერვო თხრილი სოფ. თეზთან. XI-XII საუკუნეების ნაგებობათა ნამთები.

ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია შეიქმნა 1970 წელს. 1995 წლამდე მისი ხელმძღვანელია ალექსი ბოხოჩაძე, 1995 წლიდან – ნინო მირიანაშვილი. ექსპედიციის ამოცანაა შიდა ქართლის, კერძოდ, ქსნის ხეობის ანტიკური ხანის ძეგლების გამოვლენა და შესწავლა. დღემდე ექსპედიციამ იმუშავა ანტიკური ხანის ოთხ ნაქალაქარზე – ძალისი, ალაიანი, სარკინე და ნასტაკისი.

ძალისი მოხსენიებულია ბერძენი გეოგრაფოსის – სტრაბონის თხზულებაში. ქართულ

საისტორიო წყაროებში ამ ტოპონიმს ვერ ვხვდებით. როგორც ჩანს, ქართული ტრადიცია ძალისს „მუხრანით კერძი ქალაქის“ სახელით იცნობს. აქ აღმოჩენილია აკროპოლისი, ქალაქის არისტოკრატიული უბანი, მოზაიკის იატაკიანი საკულტო ნაგებობა, საზოგადოებრივი აბანო, საცურაო აუზი, საკანალიზაციო კოლექტორები, წყალგაყვანილობის სისტემა... ძეგლი განეკუთვნება ქ. წ. II – ქ. შ. VIII საუკუნეებს; ალაიანში მიკვლეულია ქ. წ. I – ქ. შ. V საუკუნეების ნაქალაქარი, ავრეთვე თხოთის მთისა (IV-V სს.) და რიყიანების ველის (ქ. წ. I – ქ. შ. I სს.) სამაროვნები; სარკინეს ქართული საისტორიო ტრადიცია უძველეს ქალაქთა შორის იხსენიებს. იგი ქ. წ. II – ქ. შ. II საუკუნეებით თარიღდება; ნასტაკისის ნაქალაქარი მდებარეობს მდინარეების – მტკვრისა და ქსნის შესართავში. აქ აღმოჩნდა საკულტო და საცხოვრებელი ნაგებობები, სპასპეტის სასახლე, დიდი სამარხოვანი...

ექსპედიციამ 1996 წელს მცირე მასშტაბის საველე სამუშაოები ჩაატარა. გაგრძელდა ალექსი ბოხოჩაძის მიერ მუხრანის ველზე მიკვლეული შუაბრინჯაოს ხანის ყორღანის გათხრა. სამწუხაროდ, კატასტროფულ მდგომარეობაშია უკვე გათხრილი ანტიკური ხანის ბრწყინვალე ძეგლები. ამიტომ 1996 წლის ექსპედიციის ძირითად მიზანს უკვე გათხრილი ძეგლების დაცვა წარმოადგენდა. ძალისის ნაქალაქარის დიდ ტერიტორიას მავთულის ღობე შემოერტყა...

ძალისის ნაქალაქარი. ტაძრის მოზაიკური იატაკი. ტახტზე მჯდომი დიონისე და არიადნე, მარჯვნივ – ღვთაება პანი. ქ. შ. II ს.

1997 წელს ექსპედიცია მუშაობდა საქართველოს მილსადენის კომპანიის დაკვეთით მცხეთისა და კასპის რაიონებში. სოფ. თეზის ტერიტორიაზე დადასტურდა სრულიად უცნობი დასახლება, რომელიც არსებობდა ხან-



ძალისის ნაქალაქარი. ტაძარ-სასახლის კომპლექსის გეგმა: 1. აბანო, 2. დერეფანი, 3. სასახლე, 4. ტაძარი.

გრძელივი პერიოდის მანძილზე — გვიანი ანტიკური ხანიდან განვითარებულ შუა საუკუნეებამდე. სადაზვერვო თხრილებში აღმოჩნდა ნაგებობათა ნაშთები და ციხის ჭურჭლის ნატეხები. გათხარა XI-XII საუკუნეების ორი მარანი. ერთი მათგანი საკმაოდ კარგად არის შემონახული. მიხი საწნახელი ორნაწილიანია. მარანი დიდხანს ყოფილა ხმარებაში, იგი სამჯერ შეუკეთებიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეკრესის არქეოლოგიური ექსპედიცია

ხელმძღვანელი ლევან ჭილაშვილი
საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ნეკრესი. უბანი „ხაკირეები". ცოცხლადაკეთებულია ტაძარი და ციხე-დარბაზი. ქ. შ. I ს.



ნეკრესი. უბანი „ჩაგებები". სამეკლესიანი ბაზილიკა. VI ს. (განადგურდა XIV საუკუნეში).

ნეკრესი. უბანი „ჩაგებები". წარწერიანი ქვა.

ექსპედიციის მიზანია ნეკრესის ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლა და მისი კონსერვაცია. 1963-1983 წლებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ, ლევან ჭილაშვილის ხელმძღვანელობით, გათხარა გრემის, გავაზისა და არეშის ნაქალაქარები. ნეკრესის ნაქალაქარზე არქეოლოგიური საძიებო სამუშაოები 1984 წლიდან დაიწყო. ძირითადი სამუშაოები მიმდინარეობს ე. წ. „საკირეების" მონუმენტურ, ორფენიან ნაგებობაზე, რომლის ქვედა ფენა წარმოადგენს წარმართულ ტაძარს. იგი IV საუკუნეში, საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ დაუნგრევიათ და ზედ ცხენ-დარბაზი დაუშენებიათ. ნაქალაქარის დასავლეთ ნაწილში ექსპედიციამ გათხარა მარანი (V-XIV სს.), სადაც მიაკვლია 6 ქართულ წარწერას (ორი მათგანი ძლიერ დაზიანებულია). ექსპედიციის ხელმძღვანელი წარწერებს I-II საუკუნეებით ათარიღებს. აქვე გათხარა VI საუკუნის სამეკლესიანი ბაზილიკა. იგი XIV საუკუნეში განადგურებულა.

1995-1996 წლებში ექსპედიციამ ნეკრესის ნაქალაქარის ტერიტორიაზე მდებარე წარმართულ ტაძარზე იმუშავა. საყურადღებოა, რომ სავალე სამუშაოებში არქეოლოგებთან ერთად მონაწილეობდნენ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს რესტავრატორები. თავად ფაქტი, რომ ქართველი არქეოლოგები და არქიტექტორები (დასავლეთის სამეცნიერო პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული მეთო-

დის მსგავსად) ერთობლივ საველე სამუშაოებს აწარმოებდნენ, უდავოდ ღირსშესანიშნავი მოვლენაა.

აღნიშნულ ტაძარზე სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები 1997 წელს დამთავრდა.

ᲜᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲕᲘᲡ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲐ

ხელმძღვანელი პარმენ გაქარია
საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ექსპედიცია შეიქმნა 1973 წელს. 1973-1990 წლებში ნოქალაქევში გამოვლინდა IV-VI საუკუნეების 2 აბანო, 2 სასახლე, 6 ეკლესია, IV-VI საუკუნეების უნიკალურად დაცული გვირაბი, ელინისტური ხანის საძაროვანი... დადგინდა ნაქალაქარის სტრატიგრაფია.

ნოქალაქევი შედგება სამი ნაწილისაგან – აკროპოლისის, მთის ფერდობისა და ქვედა ტერასისაგან. 1996 წელს ექსპედიციამ იმუშავა ქვედა ტერასაზე. დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა არქიტექტურული ნაგებობები. ამ უბნის გათხრა ჯერაც არ დამთავრებულა და ამდენად, ჭირს დასკვნების გაკეთება. აღსანიშნავია, რომ გათხრების პარალელურად განახლდა სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები. ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს" ფინანსური დახმარებით ნაქალაქარის დასავლეთ მონაკვეთში გამაგრდა ახლად აღმოჩენილი, IV-VI საუკუნეებით დათარიღებული წყალშემკრები. საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა აგრეთვე აღმოსავლეთით მდებარე საფორტიფიკაციო სისტემის ერთ-ერთ კოშკს. გათხრების შედეგად მოპოვებული უხვი არქეოლოგიური მასალა ძირითადად სამ ეპოქას ასახავს – ადრეანტიკურს, ელინისტურსა და ადრე შუა საუკუნეებს. არქეოლოგიური მონაპოვარი უმთავრესად ადგილობრივი წარმოებისაა, თუმცა გვხვდება იმპორტული ნაწარმიც, კერამიკისა და მინის ნაკეთობების სახით.

1997 წელს გათხრები კვლავ ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე მიმდინარეობდა. საკმაოდ დიდი და შრომატევადი სამუშაოები ჩატარდა ე. წ. „სამეფო აბანოს" ჩრდილოეთით, გალავნის გაყოლებაზე, სადაც პირველად დაფიქსირდა ქ. წ. VIII-VII საუკუნეების კერამიკა.

წმ. ორმოცმოწამეთა ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.



ეკლესიის ნამთი. ხედი აღმოსავლეთიდან.



სამეფო აბანო



III ტ. ტეხურზე ნაპოვალი ვეირაბი. ინტერიერი.

მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა წრიული ნაგებობების ნაშთი. შესაძლოა, აქ იყო კერამიკულ ნაკეთობათა გამოსაწვავი ჭურები (აღსანიშნავია, რომ ხაშეურული ჭურა დღემდე არ ყოფილა აღმოჩენილი ნაქალაქარის ტერიტორიაზე). ნაგებობათა გაწმენდა ჯერ არ დასრულებულა. არქეოლოგიური გათხრები დაიწყო ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილშიც, ე. წ. „შალამბერიძეების ნასახლარზე". ქვედა ტერასაზე გამავალი გზის მარჯვენა მხარეს გამოვლინდა ქ. წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებული სამარხები. ექსპედიცია აწარმოებდა დაზვერვით სამუშაოებსაც. ციტადელის შესასვლელთან აღმოჩნდა ელინისტური ხანის სამაროვანი. გათხრები არ დაწყებულა.

სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ქვის ხანის არქეოლოგიური ექსპედიცია

ხელმძღვანელი მანანა გაბუნია
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი



ამირანის გორა. ბაზალტის იარაღები. ადრ. I ძვლ. წ.

სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის (ჯავახეთი, თრიალეთი, ქვემო ქართლი) ქვის ხანის ძეგლები 60-იან წლებამდე თითქმის არ იყო შესწავლილი. 1962 წლიდან ხრამის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელი – ნინო ბერძენიშვილი) წევრმა მანანა გაბუნიამ თრიალეთში გათხარა და შეისწავლა მეზოლითური ეპოქის ორი სადგომი – ეძანი და ზურტაკეტი. 1964 წლიდან ექსპედიცია თრიალეთის ქვის ხანის არქეოლოგიურ ექსპედიციად გადაკეთდა და მას სათავეში მანანა გაბუნია ჩაუდგა. 1976 წელს, ამ რეგიონში, ქ. წალკიდან 10 კილომეტრის დაშორებით, სოფ. თაქ-ქილისაში ექსპედიციამ აღმოაჩინა პირველი და საქართველოს ტერიტორიაზე ჯერჯერობით ერთადერთი ძველი ადამიანის მიერ კლდეზე შესრულებული ნახატები – პეტროგლიფები. აქ გამოსახულია მშვილდისრიანი მონადირე კაცუნები და სხვადასხვა ცხოველები. 1979 წლიდან ექსპედიციამ არქეოლოგიური ძიებანი ჯავახეთშიც დაიწყო, რის გამოც მას სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ქვის ხანის არქეოლოგიური ექსპედიცია ეწოდა. გამოვლინდა

მთელი რიგი ახალი ძეგლები: ახალქალაქი III, ახალქალაქი IV, მურჯი (ქვედა პალეოლითი); ბავრის მღვიმე, ეხები (ზედა პალეოლითი – მეზოლითი); განდეგილის მღვიმე (მეზოლითი). 1992 წელს, ახალქალაქის ტერიტორიაზე, ადრე პალეონტოლოგიურ ძეგლად ცნობილ ამირანის გორაზე, ექსპედიციამ მიაკვლია ქვის ხანის სადგომს.

ექსპედიციას მძიმე მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა აქვს. უკანასკნელ დრომდე ახალქალაქში მდებარეობდა ექსპედიციის ბაზა. 1994 წელს იგი შეიარაღებული პირების დახმარებით საცხოვრებლად დაიკავა სომეხი ეროვნების მოქალაქემ. ბაზიდან გამოყრილი უნიკალური არქეოლოგიური ექსპონატების ნაწილი ექსპედიციის წევრებმა ახალქალაქის ქუჩებში აკრიფეს, ნაწილი კი სამუდამოდ დაიკარგა. მძიმე მდგომარეობაა ფინანსური თვალსაზრისითაც. რომ არა ქ. მაინცის რომაულ-გერმანული მუზეუმის თანამშრომლის – პროფესორ გერჰარდ ბოზინსკისა და ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის – ოფერ ბარ-იოზეფის პირადი შემოწირულობა, ექსპედიცია 1995-1996 წლებში საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებს ვერ ჩაატარებდა.

1997 წელს გაგრძელდა გათხრები ამირანის გორაზე. ფინანსური სიძნელეების გამო ჩატარდა მხოლოდ მცირემასშტაბიანი სამუშაოები. მიუხედავად ამისა, გამოვლინდა მეტად მეტყველი ქვის იარაღები.

თრიალეთის პეტროგლიფები

საჩხერის (კორბოულის) არქეოლოგიური ექსპედიცია

ხელმძღვანელი ᲘᲕᲜᲘᲫᲔ ᲛᲔᲛᲐᲕᲔᲚᲘᲐᲜᲘ
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

საჩხერის რაიონის სოფ. კორბოულის გორაძირის მთაზე საქართველოს მილსადენის კომპანიის რადიოსადგურის დადგმასთან დაკავშირებით ადგილზე გაიგზავნა არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ერთობლივი ექსპედიცია. არქეოლოგიური სამუშაოები 1997 წლის დეკემბერში დაიწყო. გათხრებს აფინანსებს საქართველოს მილსადენის კომპანია.

საჩხერის რაიონის სოფ. კორბოული. გორაძირის ნასახლარი. ქ. წ. VIII-III სს. საერთო ხედი.

გორაძირის მთაზე გამოვლინდა მრავალფენიანი ნასახლარი თუ საკულტო ნაგებობა

გათხრების პროცესი

(ქ. წ. VIII-VI სს.). აქვე გაითხარა სამსხვერპლოც. აღმოჩნდა საბეჭდავების, ე. წ. ბულების ორი ნატეხი ხუთი ანაბეჭდით. მასზე გამოსახულია ფასკუნჯი (ერთი ამის მსგავსი ბულა ნაპოვნია ციხიაგორაზეც).

გათხრები სოფ. კორბულეულის გორაძირის მთაზე კვლავაც გრძელდება.

სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიცია

ხელმძღვანელი შოთა ჩარქოლანი
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი



ბრინჯაოს ცულები. ქ. წ. XII ს.

სოფ. ჭუბერის სამაროვანი. ბრინჯაოს ვერძის ქანდაკება. ქ. წ. IV ს.



სოფ. ჭუბერი. ბრინჯაოს ვულსაკიდები (ცხენისა და ჯიქის ქანდაკებები). ქ. წ. IV ს.

1984 წლამდე სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა არასისტემატურ ხასიათს ატარებდა. იმ პერიოდში ექსპედიციამ მიაკვლია ბრინჯაოს ხანის სპილენძის მომპოვებელ მაღაროებს მესტიის ხეობაში, ადრეანტიკური ხანის გორანამოსახლარებს ეცერში, ამავე პერიოდის ლარილარის კრემაციულ მოედნებს (სამაროვნებს)... დღეისათვის ცხენისწყლის, ენგურისა და კოდორის ხეობების მაღალმთიან ზოლში გამოვლენილია სხვადასხვა პერიოდის 200-მდე ძეგლი.

1996 წელს ექსპედიციამ ბერლინის უნივერსიტეტის თანამშრომლის — იან კელერის დახმარებით დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა სვანეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, სოფ. ცხუმარის მთაზე, სადაც აღმოჩნდა ანტიკური ხანის ძველი სამთამადნო მასალები.

1997 წელს ენგურისა და ცხენისწყლის ხეობათა მაღალმთიან ზოლში ექსპედიციამ ჩაატარა დაზვერვები, დააფიქსირა სხვადასხვა ეპოქის 15 ძეგლი, გათხარა ხეშკილის ნაეკლესიარი, გამოავლინა ბრინჯაოს მეტალურგიის ობიექტები მესტია-ჭალისა და ლასკადურის ხეობებში.

სამწუხაროდ, ბოლო წლების მანძილზე სვანეთში მომრავლდნენ ე. წ. „განძის მაძიებლები", რომლებიც გულმოდგინედ აწარმოებენ გაუქმებული ოქროს საბადოებისა და ნაეკლესიარების უკანონო გათხრებს. ცალკე პრობლემაა ყოველგვარი სარესტავრაციო პროექტისა და სპეციალისტების გარეშე ჩატარებული რესტავრაციები.

უფლისციხის არქეოლოგიურ-არქიტექტურული ექსპედიცია

ხელმძღვანელი გურამ ყიფშიძე
საქართველოს ხელოვნების მუზეუმი

ექსპედიცია შეიქმნა 50-იან წლებში. მას მუზეუმის დირექტორი — შალვა ამირანაშვილი ხელმძღვანელობდა, ძეგლის საველე-არქეოლოგიურ შესწავლას კი დავით ხახუტაიშვილი ედგა სათავეში. 70-იანი წლებიდან ექსპედიციას უძღვებოდა თამაზ სანიკიძე. 1990-1995 წლებში ექსპედიციას არ უწარმოებია საველე სამუშაოები, იგი განახლდა 1996 წელს, გურამ ყიფშიძის ხელმძღვანელობით.

წლების მანძილზე ექსპედიცია იკვლევდა ნაქალაქარის ტერიტორიასა და მის შემოგარენს, რათა ლოკალიზებულიყო უფლისციხე და მისი „ქვეყანა", რომლის არსებობა ქრონოლოგიურად უზარმაზარ პერიოდს მოიცავს — ბრინჯაოს ხანიდან შუა საუკუნეებამდე. პარალელურად უფლისციხის ექსპედიცია აწარმოებდა ქვაბულთა აზომვასა და შესწავლას. 1976-1977 წლებში გამოვლინდა დიდებული სამარხეული ინვენტარი, რომელიც შეიცავდა ოქროს სამკაულსა და ფრიად საინტერესო კერამიკულ ჭურჭელს. რაც მთავარია, აქ აღმოჩნდა ორი ეტლი. მათ შორის ერთი ასურულ-აქემენიდური საზეიმო ეტლია.

1996 წელს ექსპედიციამ გააგრძელა ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლა. გაითხარა რამდენიმე ქვაბული ნაქალაქარის აღმოსავლეთით, მის საზღვრებს გარეთ. პარალელურად მიმდინარეობდა არქეოლოგიური დაზვერვები უფლისციხის მიდამოებში — „ყავის საყდარსა" და მის მიმდებარე ტერიტორიებზე. მოპოვებული არქეოლოგიური მასალა საკმაოდ საინტერესოა. აღმოჩნდა ზომით პატარა, ქვის ლომის ქანდაკების ფრაგმენტი, რომელიც შესაძლოა არქიტექტურული პლასტიკის ელემენტს წარმოადგენდა.

1997 წლისთვის ექსპედიცია სერიოზულ გათხრებს არ ითვალისწინებდა. ძირითადი ძალები მიმართული იყო ნაქალაქარის გეგმის დაზუსტებისაკენ. ამ მიზნით აიზომა უფლისციხის დასავლეთ კიდეზე ჩამოქცეული და განადგურებული ქვაბები, აგრეთვე რამდენიმე მუკალი გამოქვაბული. ექსპედიციამ მიზნად დაისახა კვერნაქის ქედზე ქვაბულთა გავრცელების საზღვრების დადგენა და ქვაბულთა მიხედვით უფლისციხის „ქვეყნის" არქეოლოგიური რუკის შედგენა. აღნიშნული ქვაბების აღწერა და შესწავლა მომავლის საქმეა.

უფლისციხე. ორსვეტიანი დარბაზი. ინტერიერის რეკონსტრუქცია.



უფლისციხე. წითელი ოთახი. ინტერიერის რეკონსტრუქცია.

უფლისციხე. უფლისწულის ეკლესია.



უფლისციხე. გამოქვაბულები.

ᲥᲕᲔᲛᲝ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲙᲚᲓᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲗᲐ ᲨᲔᲛᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲘ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲐ

ხელმძღვანელი ნოდარ ბახტაძე
საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი



მდ. ხრამის ხეობა. თავგურგალას ქვაბები.

ექსპედიცია შეიქმნა 1983 წელს. 1983-1991 წლებში ქვემო ქართლის მდინარეების (ქცია, მაშავერა, შავწყალა...) კანიონებში ექსპედიციამ გამოავლინა და შეისწავლა კლდეში ნაკვეთი, რამდენიმე იარუსიანი, ათეულობით სათავსისაგან შემდგარი დასახლებები. არქიტექტურულმა ანალიზმა და არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ ეს ძეგლები ადრე და შუა ბრინჯაოს ხანაშია შექმნილი.

1996 წელს ექსპედიციამ საველე სამუშაოები განაახლა თეთრიწყაროს რაიონში, სოფ. დაღეთის მახლობლად, მდ. ხრამის ხეობაში მდებარე ერთ-ერთ კომპლექსში — მუგუთის ქვაბებში. შუა საუკუნეებში ეს კომპლექსი საფუძვლიანად გადაუკეთებიათ და მასში მონასტერი მოუწყვიათ. ექსპედიციის ყურადღება მიიპყრო კომპლექსის მახლობლად მდებარე კლდეში ნაკვეთმა ეკლესიამ, რომელიც არქიტექტურული ფორმების მიხედვით მეტად არქაულ ნიშნებს ატარებს. ეკლესია ფაქტიურად კატაკომბურია, მასში გვირაბის საშუალებით ვხვდებით. ექსპედიციის წევრთა აზრით, შესაძლოა აქ მიმდინარეობდა ფარული ქრისტიანული ღვთისმსახურება. ისინი არ გამორიცხავენ, რომ ეს ეკლესია ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარებამდეა გამოკვეთილი. იმავე წელს გვირაბი გაიწმინდა ჩამოშლილი ქანებისაგან. გაწმენდისას აღმოჩნდა კულტურული ფენები, რომლებიც შეიცავდნენ ადრეული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი კერამიკის ფრაგმენტებს.



კლდის ეკლესია დაღეთთან. გეგმა.

1997 წელს განახლდა მუგუთის ქვაბების არქეოლოგიური კვლევა. ექსპედიციაში მონაწილეობდა ოქსფორდის უნივერსიტეტის არქეოლოგიური კვლევის ლაბორატორიის თანამშრომელი მიურეი აილანდი. ამჟამად გათხრები კომპლექსის ცენტრალურ ნაწილში, განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესიის მიდამოებში ჩატარდა. გამოქვაბულ-სათავსთა იატაკების ზედა კულტურულ ფენებში აღმოჩნდა XI-XIV საუკუნეებისათვის დამახასიათებელი დიდძალი ნივთიერი მასალა: ოიხის, მინის, ლითონის, ხის ნაწარმის, ქსოვილებისა და ხალიჩა-ფარდაგების ფრაგმენტები; XIII საუკუნის სპილენძის მონეტები; იმავე ხანის

ხელნაწერის ფრაგმენტები... როგორც ჩანს, XI-XIV საუკუნეებში აქ დედათა მონასტერი ყოფილა და ცხოვრება უეცრად, ტრაგიკულად შეწყდარა თემურ-ლენგის ერთ-ერთი შემოსევის შედეგად, რაზედაც დარბევის კვალი მეტყველებს.

ყვირილის აუზის პალეოლითური ხანის შემსწავლელი ექსპედიცია

ხელმძღვანელი ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი
საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ექსპედიცია შეიქმნა 1959 წელს დავით თუშაბრამიშვილის ხელმძღვანელობით. იგი ექსპედიციას სათავეში ედგა 1992 წლამდე, 1992 წლიდან კი ყვირილის აუზის ექსპედიციას მისი ვაჟი – ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი ხელმძღვანელობს.

ექსპედიციის კვლევის ობიექტია მდინარეების – რიონისა და ყვირილის აუზი. ჭიათურის რაიონში აღმოჩენილია მნიშვნელოვანი ძეგლები: ჯრუჭულის მღვიმე, ხვირათის ღია სადგომი (შუა პალეოლითი); სამგლე კლდე, ორთვალა კლდე (შუა და ზედა პალეოლითი); სამელე კლდე (ენეოლითი); ღია სადგომები: კაცხი, ორბალი I-IV, სარბები, თებლოვანი... ექსპედიცია მუშაობდა აგრეთვე ცუცხვათის მრავალსართულიან მღვიმოვან კომპლექსზე. აქ დაფიქსირდა 11 მღვიმე, ადამიანის ცხოვრების კვალი აღმოჩნდა 5-ში (პალეოლითი – ბრინჯაოს ხანა). გათხრები წარმოებდა ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორიაზეც, წონას მღვიმეში. ეს ძეგლი ჰიფსომეტრულად ყველაზე მაღალი მღვიმეა ევროპაში (ზღვის დონიდან 2100 მ). აქ გამოვლინდა ქვედა და შუა პალეოლითის, აგრეთვე მეზოლითის ნიმუშები.

1996 წელს არქეოლოგები გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად მუშაობდნენ ცუცხვათის მღვიმოვან კომპლექსში არსებულ ორ ძეგლზე – ბრინჯაოს მღვიმე და ორმაგი ეხი. გათხრებში მონაწილეობდნენ უცხოელი კოლეგებიც – ჰიბროუს უნივერსიტეტის პროფესორი ანა ბელფერ-კოჰენი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი

ორთვალა კლდე. ქვის იარაღები. შუა პალეოლითი.

ტყიბულის რაიონი. ცუცხვათის კომპლექსი. ბრინჯაოს მღვიმე.



ტყიბულის რაიონი. ცუცხვათის კომპლექსი. მღვიმე ორმაგი ეხი.

ოფერ ბარ-იოზეფი, აგრეთვე ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტები. ორმაგ ეხში აღმოჩნდა ასამდე ქვისა და ასეულობით ძვლის მასალა.

1997 წელს ექსპედიციამ კვლავ უცხოელ კოლეგებთან ერთად [illegible] ორთვალა კლდეში. [illegible] ექსკავატორები თარიღის მისაღებად. გაითხარა სამი ფენა — ორი ზედა პალეოლითური და ერთი შუა პალეოლითური. აღმოჩნდა დიდძალი ფაუნა, რამდენიმე ათეული ნივთი. მიმდინარეობს მათი კლასიფიკაცია, მზადდება ერთობლივი სტატიები.

ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია

ხელმძღვანელი შია მახარაძე
საქართველოს ხელოვნების მუზეუმი



საირხის ნაქალაქარი. ოქრის საყურე. ქ. წ. V ს.

საირხის ნაქალაქარი. საბაღურის გორა. საძაროვანი. საერთო ხედი.

ექსპედიცია შეიქმნა 1960 წელს. 1960-1994 წლებში ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ჯურხა ნადირაძე, 1994 წლიდან კი მას გია მახარაძე უდგას სათავეში. ექსპედიციამ დიდი სამუშაოები ჩაატარა ნაქალაქარ საირხესა (ქ. წ. V-I ს.) და მოდინახეს ციხეზე (ქ. წ. III ათასწლეული — ქ. შ. IV ს.).

1995 წელს ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობდა საჩხერის რაიონში. არქეოლოგიური გათხრები წარმოებდა მოდინახეს ციხის ფერდობებზე და სოფელ საირხეში. აღსანიშნავია მოდინახეს ციხეზე აღმოჩენილი კოლექტიური სამარხი, სადაც დაფიქსირდა ბრინჯაოს იარაღი და სამკაული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ოქროსა და ვერცხლის საყურეების აღმოჩენის ფაქტი (ოქრო ქ. წ. III ათასწლეულის კომპლექსებში დიდ იშვიათობას წარმოადგენს).

1996 წელს ყვირილის ხეობის ექსპედიცია ძირითადად სადაზვერვო სამუშაოებით შემოიფარგლა. ექსპედიციამ დაზვერა საჩხერის რაიონის სოფლები; იცქისი, იტავაზა, სარეკი. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფელ სარეკთან მიკვლეული არქეოლოგიური ძეგლი ნოჯიხური (შეგრულ-ზანური ტოპონიმია და ნაციხარს ნიშნავს). როგორც ჩანს, აქ არის ანტიკურ-ელინისტური ხანის სამაროვანი და

ციხის ნაშთები. მცირე სადაზვერვო სამუშაოები ჩატარდა საირხის ნაქალაქარზეც.

1997 წელს გათხრები მიმდინარეობდა მოდინახეს ციხეზე. გამოვლინდა ელინისტური ხანის მცირე ნამოსახლარი და ადრე შუა საუკუნეების სამი სამარხი, რომლებშიც თითქმის არ ყოფილა ინვენტარი.

საირხის ნაქალაქარი. ოქროსფერი დიადემა. ქ. წ. II-I სს.

ᲨᲘᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲐ

ხელმძღვანელი ᲘᲣᲚᲘᲜ ᲒᲐᲒᲝᲨᲘᲫᲔ
საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ექსპედიცია შეიქმნა 1972 წელს. მისი მუშაობის არეალი ძირითადად ქარელის რაიონს მოიცავს. ექსპედიციამ გამოავლინა და შეისწავლა „დეღოფლის მინდვრის“ სატაძრო კომპლექსი (ქ. წ. II ს. – ქ. შ. I ს.), რომელიც წარმოადგენს ერთიანი გეგმით ნაგებ 8 ტაძარს. კომპლექსის ფართობი 4 ჰექტარია. როგორც ჩანს, იგი იყო ქართლის მეფეთა მთავარი საგვარეულო სალოცავი. მის სამხრეთით, მტკვრისა და ფრონეს შესართავთან, აღმოჩნდა მრავალფენიანი ნასახლარი „არაღეთის ორგორა“. აქ ადამიანი დასახლდა 6 ათასი წლის წინ და სახლობდა ქ. შ. VII საუკუნემდე. 1985-1993 წლებში გაითხარა ციხე-დარბაზის – ქართლის მეფეთა რეზიდენციის მესამედი, 14 ოთახი. ქ. შ. I საუკუნის ბოლოს, დაახლოებით 80 წელს, ხანძარს უეცრად დაუნგრეია სასახლე. ზედა სართულების ჩამონგრევით მთლიანად დაფარულა I სართული, რისი წყალობითაც ხელუხლებლად შემოგვრჩა ინვენტარი – აქეჯი, ჭურჭელი, იარაღი, სამკაული, ქსოვილები, ხის ნივთები (მათ შორის არის რომაული და ეგვიპტური ნაწარმიც). აქვე 1979-1982 წლებში გაითხარა ბრინჯაოს ხანის ნასახლარი, 60 სამარხითა და 8 ყორლანით. განსაკუთრებით საინტერესოა ქ. წ. XV საუკუნის ყორლანული სამარხი, სადაც დაკრძალული იყო ბელადი ცხენშებმული ეტლით. ბელადისთვის სამარხში მეულლეც ჩაუყოლებიათ. იგი ეტლის კოფოზე დაუსვამთ. მას შუბლზე დიადემა ედგა და ყელზე ოქროს ყელსაბამი ეკეთა. სამარხში ჩატანებულია აგრეთვე უამრავი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს იარაღი, სამკაული...



„დეღოფლის მინდორი“. მთავარი ტაძარი. ქ. წ. II-I სს.

ბიჭვინთის სამაროვანი. მოხატული დოქები. ქ. წ. IV ს.

ტახტაძირის სამარხეული. ბერძნული მაღალკისანი კანთაროსი წარწერით. ქ. წ. IV ს.

„დედოფლის ყორა". სამეფო სასახლე. ბრინჯაოს ფაფალიკური ამფორის ყური დიონისეს გამოსახულებით. ქ. შ. I ს.

„დედოფლის ყორა". სამეფო სასახლე. ძვლისგან გამოკვეთილი ქადრაკის ფიგურა. ქ. შ. I ს.

1996-1997 წლებში ექსპედიციამ იმუშავა ქარელის რაიონის სოფ. ტახტაძირთან. გაითხარა ადრეული ბრინჯაოს ხანის (ქ. წ. IV ათასწლეულის დასასრული) ერთი შენობა და სამი სამარხი, მათ შორის ერთ-ერთი ქვით ნაგები აკლდამა (ქ. წ. III ათასწლეული), გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის კულტურული ფენები, ანტიკური და ადრე შუა საუკუნეების ნაქალაქარის შენობათა ნაშთები და ქ. წ. IV-I საუკუნეების 38 სამარხი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ. წ. IV-III საუკუნეების მდიდრული სამარხები, რომლებშიც, როგორც ჩანს, ქალაქის მმართველები განისვენებდნენ. აქ, ხის სარკოფაგებში, ჩატანებულია იარაღი და სამკაული. გვხვდება როგორც ადგილობრივი, ისე შემოტანილი ნივთებიც, მაგალითად, მაღალკისანი თიხის ბერძნული ჭურჭელი (რომელიც პირველად დაფიქსირდა შიდა ქართლის ტერიტორიაზე), ბრინჯაოს შესანიშნავი პატერა. არის აღმოსავლური იმპორტიც. ბერძნულ ზეგავლენაზე მიანიშნების სამარხებში დადასტურებული ძველი ბერძნული დაკრძალვის წესის ელემენტები, მაგალითად, მონეტის, ე. წ. „ქარონის ობოლის" ჩატანება. ორ მიცვალებულს პირში ოქროს ფირფიტები ჰქონდათ, ერთ-ერთ ბავშვს კი – ალექსანდრე მაკედონელის სტატერი. იქვე აღმოჩნდა კოლხური მონეტაც (ესეც პირველი შემთხვევაა შიდა ქართლში). ქ. წ. I საუკუნის სამარხებში მონეტების ჩატანების ფაქტი უფრო ხშირია. ამ პერიოდის ხუთ სამარხში ექვსი პართული დრაქმა გამოვლინდა.



„დედოფლის მინდორი". სვეტისთავების ნატეხები.

„დედოფლის ყორა". სამეფო სასახლე. ეკვიპაჟის დედოფლის – არსინოე II-ის პორტრეტი. ტუმა ფერცხლის ბეჭედზე. დაახლ. ქ. წ. 280-270 წწ.

წალკის არქეოლოგიური ექსპედიცია

ხელმძღვანელი გოდერძი ნარიმანიშვილი
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

1936 წელს, წალკის წყალსაცავის მშენებლობასთან დაკავშირებით, ბორის კუფტინის ხელმძღვანელობით შეიქმნა წალკის (თრიალეთის) არქეოლოგიური ექსპედიცია. მან ხანმოკლე შესვენებებით თითქმის 15 წელი იმუშავა. ექსპედიციამ გამოავლინა მრავალი არქეოლოგიური ძეგლი, მოიპოვა უმდიდრესი ნივთიერი მასალა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შუაბრინჯაოს ხანის ყორღანები, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა და სამეცნიერო მიმოქცევაში მტკიცედ დამკვიდრდა ტერმინი „თრიალეთის კულტურა". 1952-1989 წლებში წალკის რაიონში დროდადრო ეწყობოდა არქეოლოგიური და ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ექსპედიციები.

თრიალეთი. ეერცხლის თასი. ქ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი.

1989 წელს გოდერძი ნარიმანიშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის წალკის არქეოლოგიური ექსპედიცია. იგი სწავლობს არქეოლოგიურ ძეგლებს მეზოლითის ხანიდან შუა საუკუნეების ჩათვლით, თუმცა ექსპედიციის მუშაობა ძირითადად ციკლოპური ნამოსახლარების შესწავლისკენ არის მიმართული. ექსპედიცია არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა ბეშთაშენის, სანთის, საბეჭდავის, კნოლესა და ბარეთის ციკლოპურ ნამოსახლარებზე. 1992 წელს ექსპედიციის ხელმძღვანელის ინიციატივით შეიქმნა წალკის ისტორიის, არქეოლოგიისა და არქიტექტურის მუზეუმ-ნაკრძალი (დირექტორი – გურგენ ქურაისბედიანი). მისი ამოცანაა დალუპვას გადაარჩინოს წალკის რაიონის სიძველეები.



სოფ. ბეშთაშენი. ციკლოპური ნამოსახლარი საბეჭდავი. ერთ-ერთი უბანი. გეგმა.

1990-1997 წლებში წალკის არქეოლოგიური ექსპედიცია ძირითად ელიბაბას მთაზე განთავსებული ციკლოპური ნამოსახლარის – საბეჭდავის შესწავლას აწარმოებდა. გაირკვა, რომ ძეგლი განეკუთვნება გვიანბრინჯაოს ხანას – ქ. წ. XIV-XIII საუკუნეებს (ისევე როგორც თრიალეთის ციკლოპური ნამოსახლარების უდიდესი ნაწილი). იგი თავისი გეგმით უნიკალურია, დაგეგმარებულია ძველი ქალაქმშენებლობის მოთხოვნების შესაბამისად (შეინიშნება ქუჩები, მოედნები, საკულტო უბნები...). შეიძლება ითქვას, რომ საბეჭდავი ქ. წ. XIV-XIII საუკუნეების ქალაქური ტიპის დასახლებას წარმოადგენს.

თრიალეთი. ოქრის თასი. ქ. წ. II ათასწლეული.

ამავე წლებში, წალკის წყალსაცავის ნაპირას, ექსპედიციამ გათხარა ადრებრინჯაოს ხანის სამაროვანი და ნამოსახლარი, შეისწავლა რამდენიმე სამარხი, მოიპოვა მნიშვნელოვანი მატერიალური მასალა. სამომავლოდ დაგეგმილია ციკლოპური ნამოსახლარის – საბეჭდავის კვლევის გაგრძელება. ავრეთვე მდ. გერიაკ-ჩაის ნაპირზე მდებარე ელინისტური ხანის ნამოსახლარისა და სამაროვნის შესწავლა. აღნიშნული არქეოლოგიური ძეგლები თანდათან ნადგურდება მდინარის ფლატის ჩამოშლის გამო.

არქეოლოგები იმედოვნებენ, რომ ქართველი მეცენატები გაგებით მოეკიდებიან მდგომარეობას და ნაწილობრივ მაინც შეეწევიან წალკის ექსპედიციას.

ჭიათურის ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიცია

ხელმძღვანელი თენგიზ მეშველიანი
საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ჭიათურის რაიონი. სოფ. მღვიმევი. „ძუძუანას მღვიმე". ზედაპალეოლითური ნასახლარი.

ექსპედიცია შეიქმნა 1959 წელს. მას 1993 წლამდე ხელმძღვანელობდა აწ გარდაცვლილი დავით თუშაბრამიშვილი, 1993 წლიდან კი ექსპედიციას თენგიზ მეშველიანი უდგას სათავეში. ექსპედიცია სწავლობს ძუძუანას მღვიმეში მიკვლეულ ზედა პალეოლითის ხანის ნასახლარს. მუშაობაში მონაწილეობენ ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ბარიოზეფი და ისრაელის ჰებროუს უნივერსიტეტის პროფესორი ანა ბელფერ-კოენი. ექსპედიცია საველე სამუშაოებს მთლიანად ამ უნივერსიტეტების ხარჯით ატარებს.

წინა წლებთან შედარებით, 1996 წლის ექსპედიცია გამოირჩეოდა მდიდარი აღჭურვილობით, რამაც განაპირობა ქვის ხანის უამრავი ნივთის მოპოვება.

1997 წელს მოხდა დაღრმავება. გაითხარა ახალი, IV და V ფენები.

ეთნოგრაფიული ექსპედიციები (1995-1997)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპედიცია გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებში

ხელმძღვანელი გიორგი გოცირიძე
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს სამეურნეო ყოფისა და მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებამ 1996-1997 წლებში მოაწყო ექსპედიცია აღმოსავლეთ საქართველოში, გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებში.

ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესაბამისად ტრადიციული კულტურა და ყოფითი რეალიები მკვეთრ ცვლილებებს განიცდის. მიწის განაწილების ახალმა კანონმა გამოიწვია აჩლეული მიდგომა მიწათმოქმედებისა და მიწათსარგებლობის პრობლემებისადმი, რომელთა გადაჭრისთვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ეთნოგრაფთა მიერ შესრულებულ სამუშაოს. ექსპედიციამ მიზნად დაისახა ძველ ტრადიციულთან ერთად თანამედროვე ეთნოეკოლოგიური, კულტურულ-სამეურნეო, ეკონომიკური და სოციალური საკითხების კვლევა. ეთნოგრაფებმა შეისწავლეს სახატო დღესასწაულები (რომლებსაც დღემდე აღნიშნავს მოსახლეობა), დააფიქსირეს საეკლესიო ძეგლებთან შემორჩენილი ზედაშეების კულტურა, მოინახულეს ადგილობრივი ხუროთმოძღვრული ძეგლები: საბაწმინდის (სოფ. კარდანახთან), ვაჩნაძიანთკარისა და თეთრი გიორგის ეკლესიები, მემორიალური და მხარეთმცოდნეობითი მუზეუმები...

ხელმძღვანელის — გიორგი გოცირიძის გარდა ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: მედეა ქანთარია, ლიანა ბერიაშვილი, მადონა ხაზარაძე, ქეთევან სიხარულიძე, მანანა ლელაშვილი, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დოცენტი ჰენრიკო ხარატიშვილი, მხატვარი ნანა თენეიშვილი.

ვაჩნაძიანთკარის ეკლესია



კარდანახის საბაწმინდის ეკლესია

ექსპედიცია ტყიბულის რაიონში

ხელმძღვანელი მირიან სტეშანია
ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმი



გელათის მონასტერი

მოწამეთის მონასტერი

1996 წლის 1-16 სექტემბერს ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპედიცია მუშაობდა ტყიბულის რაიონში. მისი მიზანი იყო რაიონის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა და ძველი ყოფისთვის დამახასიათებელი ნივთების შეგროვება. გარდა საერთო საკითხებისა, ექსპედიციის წევრები მუშაობდნენ კონკრეტულ თემებზეც: მირიან სტეფანია — „წყალმომარაგების სისტემა ოკრიბაში", მარგო მსხილაძე — „ხალხური მედიცინა ოკრიბაში", ფოთოლა ბიბილეიშვილი — „ქვითხუროობა ოკრიბაში (XIX-XX სს.)".

ექსპედიციამ გამოიკვლია გურნის, საწირის, კურსების, მუხურის, ორპირის, სოჩხეთის, ხრესილის, ცუცხვათის, ჯვარისის საკრებულოებში შემავალი სოფლები. ექსპედიციის წევრებმა ჩაიწერეს გადმოცემები ისტორიული ძეგლების შესახებ; შეისწავლეს ოკრიბის ტერიტორიაზე არსებულ ძეგლთა წყალმომარაგების სისტემები (გელათისა და მოწამეთის მონასტრები, დავითის კონცხზე მდებარე კოშკი, ბერის, ცუცხვათის, მუხურის, ქუთაისის ციხეები); წყალმომარაგებასთან დაკავშირებულ ოსტატ-ხელოსანთა სადაურობა, მათი ხელობა; შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება; ხელსაწყოიარაღები; წყალთან დაკავშირებული წესჩვეულებები (რელიგიური რიტუალი, წყლის კულტი); წყლის ჭურჭელი (ხის, თიხის, ლითონის, ქვის), მათი სახელწოდება, ფორმა-მოყვანილობა და სადაურობა; წყალმომარაგების ადგილი და როლი ოკრიბელთა ყოფა-ცხოვრებაში... ექსპედიციის წევრებმა შეაგროვეს 4 ნივთი.

ექსპედიციის წევრები სწავლობდნენ ავრეთვე შემდეგ საკითხებს: ტყიბულის რაიონის მოსახლეობის დიფერენციაცია; ქვანახშირის საბადოს ექსპლუატაცია და ქ. ტყიბულის წარმოშობის ისტორია; გიშრის მოპოვება; საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი; მოსახლეობის საქმიანობა (ნადირობა, მეფუტკრეობა, მემინდვრეობა, მევენახეობა-მეღვინეობა); ძველი და ახალი ყოფისათვის

დამახასიათებელი წეს-ჩვეულებანი (ქორწილი, დაკრძალვა, გართობა-თამაშობანი, სიმღერები); ტოპონიმები და მათი ხალხური ეტიმოლოგია...

ექსპედიცია ჯავახეთში

ხელმძღვანელი ლია მელიქიშვილი
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების საპრობლემო ჯგუფმა 1995 წლიდან დაიწყო მუშაობა. ამ წელს ექსპედიცია დააფინანსა ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველო", ხოლო 1996 წელს – ჯორჯ და კეტრინ მაკარტურების ფონდმა.

ექსპედიციის მიზანი იყო შეესწავლა პოლიეთნიკურ საზოგადოებაში მიმდინარე ეთნოფსიქოლოგიური პროცესები. სამუშაოდ შეირჩა პოლიეთნიკური რეგიონი – ჯავახეთში, ნინოწმინდის რაიონის გორელოვკის საკრებულოში შემავალი სოფლები. აღნიშნულ მიკრორეგიონში დღეს სახლობენ სამი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები: რუსები (დუხობორები), ქართველები და სომხები.

1841 წელს მეჯის რუსეთმა დუხობორების ქრისტიანული სექტა დასჯის მიზნით გადმოასახლა ჯავახეთში, ნინოწმინდის რაიონში, მაშინდელ ახალქალაქის მაზრაში. ბოლო დრომდე აქ არსებობდა დუხობორებით დასახლებული 8 სოფელი. 1990-იან წლებში ნაწილი გადასახლდა ტულის ოლქში. მათი სოფლები დაიკავეს ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებიდან გადმოსულმა სომხურმა ოჯახებმა. აქვე ჩასახლდნენ ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები.

ექსპედიციის წევრები იკვლევდნენ სხვადასხვა პრობლემას: ეთნიკური ჯგუფების კულტურათა შერწყმისა თუ იზოლაციის საკითხი; მიგრანტთა ადაპტაცია; ნათესაობის როლი განსხვავებული ეთნოკულტურის მქონე ხალხებში; კონფესიათა ურთიერთმიმართება; ქალის როლი საოჯახო და საზოგადოებრივ ყოფაში; დასახლების სტრუქტურა; მმართველობა; ეკონომიკისა და საკუთრების ფორმები.

დუხობორების დღესასწაული



ფოკას წმ. ნინოს სახელობის მამათა მონასტერი. ღია საკურთხეველი

1997 წელს ექსპედიციამ გააგრძელა მიკრორეგიონის ეთნოფსიქოლოგიური შესწავლა.

ხელმძღვანელის – ლია ბელიქიშვილის გარდა ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ეთნოგრაფები: ნანული გავასაძე, გულდამ ჩიქოვანი, ლია ხუციშვილი, სულიკო ბახია, ბაია შუბითიძე, ნათელა ცინცაძე, მარინე ვარაზაშვილი; ფსიქოლოგები: მაკა ხარშილაძე, ინგა კურცხალია.

ეთნოგრაფიის კათედრის ექსპედიციები

ხელმძღვანელი თამილა ცაგარეიშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართველ ებრაელთა ოქრომჭედლობის ნიმუშები: ბეჭდები, სეფერთორა, მაგენდავითი, ხარხალი.



ებრაელთა საკრალური ნივთი „მეზუზა“ – პერგამენტის ფურცელზე დაწერილი ტექსტი თორადან, რომელიც ჩადებულია სახლის კარის ჩარჩოზე დამაგრებულ ბუდეში (ჩანახატი კოტე ლონდარიძისა).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრა შეიქმნა 1940 წელს. მას შემდეგ სტუდენტ-ეთნოგრაფთა სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საველე მუშაობას. 1941 წელს მოეწყო პირველი სტუდენტური ექსპედიცია ხევსურეთში გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით. შემდგომ ექსპედიციები ჩატარდა ფშავში, მთიულეთში, ქართლში, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიაში. 1988 წელს ექსპედიცია ჩატარდა სვანეთში. მომდევნო 8 წლის განმავლობაში, მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო, კათედრის ექსპედიციები აღარ ეწყობოდა.

1996 წელს, უნივერსიტეტის რექტორის – როინ მეტრეველის ხელშეწყობით, მოხერხდა შეწყვეტილი საველე მუშაობის აღდგენა. სტუდენტი ეთნოგრაფები სამცხე-ჯავახეთში გაემგზავრნენ. ისინი დაბინავდნენ ვარძიაში და შეისწავლეს სოფლები: ჭაჭკარი, გოგაშენი, ზემო ვარძია, თმოგვი...

1997 წლის ზაფხულში ექსპედიცია მოეწყო ფშავში. აქ სტუდენტებმა შეისწავლეს სულიერ კულტურასთან დაკავშირებული ნივთიერი ძეგლები, ხევისბერის ინსტიტუტი. შემოდგომაზე, გორის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში, სტუდენტმა ეთნოგრაფებმა შეისწავლეს ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრება და რელიგიური დღესასწაულები.

ხელოვნებათმცოდნეობითი ექსპედიციები (1995-1997)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაო-კლარჯეთის არქიტექტურის შემსწავლელი ექსპედიცია

ხელმძღვანელი დავით სომტარია
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი; გიორგი ჩუბინაშვილის ფონდი

ექსპედიცია მოეწყო 1995 წლის 27 ივნისიდან 20 ივლისამდე ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს" ფინანსური ხელშეწყობით (პროექტის საბელწოდება – „ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთის ქრისტიანული ხელოვნების ძეგლების გრაფიკული ფიქსაცია"). ექსპედიციის მიზანს წარმოადგენდა თურქეთში მდებარე, მანამდე აუზომავი ან არაზუსტად აზომილი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების შეძლებისდაგვარად სრული აზომვა.

ექსპედიციის წევრებმა მოინახულეს ისტორიული კლარჯეთის, შავშეთის, არტაანის, ჰალაკაციოს, დასავლეთ ჯავახეთისა და ტაოს მრავალი ეკლესია-მონასტერი: დოლისყანა, ბერთა, ჰარეხი, ჯმერკი, ხანძთა (ფორთა), წყაროსთავი, მიმნაძორი, ნუკასაყდარი, არტანუჯი, შატბერდი (ეჩი-რაბათი), სინკოთი, სათლე, ტბეთი, თეთრციხე, ჯალა,



ტბეთა. სამხრეთ ფასადი. XIII საუკუნის რეკონსტრუქცია.



ოპიზა. ეკლესიის გეგმა. IX-X სს.



ტბეთი. აღმოსავლეთ ფასადი. X-XI საუკუნეთა მიჯნა.



ხახული. ეკლესიის ჭრილი. ხედი აღმოსავლეთისაკენ. 914-941 წწ.

ფექრაშენი, ურთა, ველი, ბერკი, გოგიუბა, ზეგანი (ზაქი), ჩაისი, საკირეები, კინეპოსი, ესბეკი, ვაჩეძორი (ნიაკომი), ტაოსკარი, ოშკი, იშხანი, ხახული, ოიხთა ეკლესია (ამათგან ორი — სათლესა და ბერკის ეკლესიები მანამდე უცნობი იყო სამეცნიერო ლიტერატურაში). სულ აღწერა 34 ნაგებობა, მეტწილად ეკლესიები. საერთო ჯამში გაკეთდა 80-მდე ანაზომი და არქიტექტურული ჩანახატი. ექსპედიციამ ჩამოიტანა ავრეთვე ვრცელი ფოტომასალა. დიდი ყურადღება დაეთმო ადგილზე მეცნიერულ კვლევასაც.

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები — დავით ხოშტარია, გიორგი ბაგრატიონი, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, ინსტიტუტ „საქრესტავრაციის" უფროსი არქიტექტორი ნინო ბაგრატიონი, თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი თამარ გოგუაძე და თურქოლოგი ზაქარია გაგანაშვილი.

1996 წლის აპრილში თბილისში, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში, მოეწყო ექსპედიციის მასალების გამოფენა, დაიბეჭდა კატალოგიც.



ურთა. ეკლესიის ინტერიერი. X საუკუნის II ნახევარი (ტაძარი ამჟამად ჯამელ არის გადაკეთებული. ფოტოზე აღბეჭდილია მაჰმადიანთა ლოცვის პროცესი).



მაგბერდი (ენი-რაბათი). სამხრეთ ფასადი. X-XI საუკუნეთა მიჯნა.



პარეხი. ეკლესიების განაპირა ჭრილი. IX-X სს.

ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში

ხელმძღვანელი მარიამ დიდებულიძე
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი

ექსპედიცია, რომელიც 1995 წლის 6-დან 16 ივლისამდე გაგრძელდა, ტაო-კლარჯეთში მოწყობილ სხვა ექსპედიციებთან შედარებით, უიღბლოდ წარიმართა. იგი დააფინანსა გიორგი ჩუბინაშვილის ფონდმა.

თურქეთში ჩასვლისთანავე ადგილობრივმა პოლიციამ ექსპედიციის წევრებს მოულოდნელად მოსთხოვა მთავრობის სპეციალური ნებართვა ართვინის ვილაიეთში სამოგზაუროდ (ვილაიეთი მოიცავს ისტორიული ტაო-კლარჯეთის უდიდეს ნაწილს). ამ ნებართვის გარეშე ძველი ეკლესიების ნახვა ჯგუფს მკაცრად აეკრძალა. რამდენიმე დღის შემდეგ, საქართველოს საგარეო საქმეთა



ოშკი. სადიაკონეს აფსიდის მოხატულობა. მაცხოვრის ღიღება. სქემა.



ხახული. გუმბათის მოხატულობა. სქემა.

ოშკი. საძრწეთ გალერეის აფსიდის მოხატულობა. ღვთისმშობლის დიღება. სქემა.

ხახული. გუმბათის მოხატულობის ფრაგმენტი. ელია წინასწარმეტყველის აძაღლება. სქემა.

იშხანი. გუმბათის მოხატულობის ფრაგმენტი. ჯერის ამაღლება. სქემა.

სამინისტროს ჩარევის შედეგად, ექსპედიციას დართეს ნება მისულიყო რამდენიმე პუნქტში, მაგრამ არ მისცეს ფოტოგადაღების, ჩახატვისა და ჩაწერის უფლება. ამ დაბრკოლებების გამო ჯგუფმა მოახერხა მხოლოდ დოლისყანის, ოშკის, ხახულის, იშხნისა და ოთხთა ეკლესიის მონახულება, აგრეთვე ზოგიერთი ძეგლის მოხატულობათა სქემების შესრულება.

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები: მარიამ დიდებულიძე, ნანა კუპრაშვილი, ბესიკ მაცაბერიძე, ქეთევან მიქელაძე, ასმათ ოქროპირიძე, ნინო ღაღანიძე, მარინე ყენია, დავით ცხადაძე, მარინე ხატიაშვილი და მზია ჯანჯალია.

ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში

ხელმძღვანელი ნოდარ ჯანბერიძე
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი



ოშკი. გუმბათის ყელი. X ს.

იშხანი. საკურთხეველი. VII-X სს.

ექსპედიცია მოეწყო 1995 წლის 1-12 აგვისტოს. მისი მიზანი იყო ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრებისა და სახვითი ხელოვნების ძეგლების შესწავლა. ექსპედიციამ მოინახულა წყაროსთავი, ნუკა-საყდარი, ტბეთი, სათლე, ოშკი, ხახული, იშხანი და ოთხთა ეკლესია. ჯგუფის წევრებმა — დავით ჯინჭარაძემ და გია მარსაგიშვილმა აზომეს იშხნის მცირე ეკლესია და მათ მიერ მიკვლეული მანამდე უცნობი ტაძარი ოთხთა ეკლესიის მახლობლად. მასზე აღმოჩნდა 984 წლის საალმშენებლო წარწერა.

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის — ნოდარ ჯანბერიძის გარდა ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ამავე ინსტიტუტის თანამშრომლები: ნუგზარ ანდღულაძე, ფლერ დევდარიანი, გია მარსაგიშვილი, თამაზ დვალი; ძეგლთა დაცვის მთავარი სამეცნიერო საწარმოო სამმართველოს თანამშრომლები: დავით ჯინჭარაძე, შალვა ჯანბერიძე; თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ლოლა ციცხვაია და თურქოლოგი გრიგოლ მგალობლიშვილი.



ხახული. ისტერიერი. ხედი საკურთხეველისაკენ. X ს. (ამჟამად აქ მეჩეთია გახსნილი. ფოტოზე აღბეჭდილია მაამბადიანთა ლოცვის პროცესი)

ანჩხარი. გუმბათის ყელის ფრაგმენტი. 1032 წ.



ოშკი. სამხრეთ ფასადის ფრაგმენტი. X ს.



ითხთა ეკლესია. აღმოსავლეთ ფასადი. X ს.

ექსპედიცია გურია-სამეგრელოში

ხელმძღვანელი ქეთევან მიქელაძე
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი

ექსპედიცია მოეწყო 1996 წლის აგვისტოში. მისი მიზანი იყო კედლის მხატვრობისა და არქიტექტურის შესწავლა. ექსპედიციის წევრებმა მოინახულეს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები: ხობი, წალენჯიხა, ცაიში, სეფიეთი, აჭი, ლიხაური. დაზუსტდა მოხატულობათა სქემები (ხობი, სეფიეთი). ცაიშის ტაძარში დაფიქსირდა ფრესკების კატასტროფული მდგომარეობა, მოხატულობა სასწრაფოდ ითხოვს შველას. ექსპედიციის წევრებს არც ლიხაურში დახვდათ სახარბიელო ვითარება. საკურ-

ხობი. ვამეყ დადიანის ფრესკა. XIV ს.

ხობი. ეამეყ დაღიანის ეკვდერი. საკურთხეველი. XIV ს.

თხეველში მოუხსნიათ XIV საუკუნის ფრესკები და იგი ხელახლა მოუხატავთ. ბათქაშის გადარჩენილი ნაწილები, მასზე დატანილი მოხატულობის ფრაგმენტებით, მოუთავსებიათ ცალკე შენობაში. საჭიროა დროული ყურადღება, რათა ეს ფრაგმენტები მაინც გადაურჩეს საბოლოო განადგურებას.

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, ნანა კუპრაშვილი, ქეთევან მიქელაძე, მზია ჯანჯალია.

ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში

ხელმძღვანელი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი

ვალე. ჰასტოფორიუმის სარკმლის თავსართი. X საუკუნის II ნახევარი.

ექსპედიცია მოეწყო 1996 წლის სექტემბერში ახალციხის, ასპინძისა და ახალქალაქის რაიონებში. ხელოვნებათმცოდნეებმა დაათვალიერეს საფარის მონასტრის ნაგებობანი, ურავლის აგარის სამონასტრო კომპლექსი, ჩიხორისის, ვარძიის, ზედა ვარძიის, ხანდოს, კუმურდოს, აწყურის ტაძრები. ხანდოში მათ დააფიქსირეს X საუკუნის ეკლესიის თავდაპირველი ინტერიერი, თანადროული ქვაფენილი იატაკითა და ინტერიერის ცენტრში აღმართული უზარმაზარი ქვაჯვარით. როგორც ჩანს, ქვაჯვარი პირველადია, ხოლო ტაძარი მერეა დაშენებული (ქვაჯვარი ზომით დიდია, იგი კარში



ზედა ვარძიის ეკლესია. XI ს.

ელ შეეტეოდა). ჩიხორისში ექსპედიციის წევრებმა ყურადღება მიაქციეს ქართული ხუროთმოძღვრებისათვის ნაკლებად დამახასიათებელ ფაქტს: X საუკუნის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადში, კუთხის მხარეს, გაჭრილია კარი, რომელიც შედის გაურკვეველი დანიშნულების კამაროვან სათავსში.

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ქეთევან აბაშიძე, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, ნანა კუპრაშვილი, ქეთევან მიქელაძე.



ურავლის ავარა. საკურთხევლის თაღნარი. X საუკუნის II ნახევარი.

ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲐ ᲢᲐᲝ-ᲙᲚᲐᲠᲯᲔᲗᲨᲘ

ხელმძღვანელი ᲘᲠᲘᲜᲔ ᲛᲘᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ექსპედიცია მოეწყო 1996 წლის 17-29 სექტემბერს სოროსის ფონდის პრალის ოფისის – „სამეცნიერო კვლევის მხარდაჭერის პროგრამის“ (RSS) ხელშეწყობით. მისი მთავარი მიზანი იყო „თურქეთის საქართველოში“ არსებული სამფსიდიანი ტაძრების შესწავლა-დაფიქსირება.

ექსპედიციამ იმოგზაურა ერუშეთში, კოლა-ოლთისში, ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში. ექსპედიციის წევრებმა მოინახულეს და აზომეს ზეგანი (იგივე ზაქის ეკლესია, რომელიც ამჟამად აფეთქებულია, დარჩენილია მხოლოდ სამხრეთის მკლავი), კოლას დორთ-ქილისა, თურქაშენი, უცნობი ეკლესია სოფ. კონქში (არდაგანის მახლობლად), ბახჩალო-ყიშლა, პატარა ვანქი, ისი; ნახეს



ისი. გრაფიკული რეკონსტრუქცია.

ჭალა. X ს.

არტანუჯის ციხე. წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესია. IX ს. ხედი საკურთხეველისაკენ.



დოლისყანა. საკურთხევლის მოხატულობა. ფრაგმენტი. XI ს.

ავრეთვე ბერკი, ჭალა, ფექრაშენი, ურთა, ბანა, ოლოისის ციხე, ოშკი, ხახული, იშხანი, ოთხთა ეკლესია, არტანუჯის ციხე, დოლისყანა, ნუკა-საყდარი, ესქიფარეკ, ჰარეხთა...

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ხელოვნებათმცოდნე ირინე გვიტაშვილი, ინსტიტუტ „საქრესტავრაციოს“ უფროსი არქიტექტორი ნინო ბაგრატიონი, საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი კოპლატაძე და „იბერია TV“-ის პრეზიდენტი კახა გაგლოშვილი.

ურთა. ინტერიერი. X ს.

ურთა. ინტერიერი. სახაგე ნიში. X ს.



ღორი-ქილისა. ტაძრის ნანგრევები. IX ს.

დოლისყანა. საკურთხევლის მოხატულობა. ფრაგმენტი. XI ს.

გვიანი შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური მხატვრობის შემსწავლელი ექსპედიცია

ხელმძღვანელი მაზა ხუსაინოვა
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი

ჭალა. ქტიტორები. XVI ს.

1996-1997 წლებში, ზაფხულის თვეებში, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის გვიანი შუა საუკუნეების, ე. წ. პოსტბიზანტიური პერიოდის მხატვრობის შემსწავლელმა ექსპედიციამ იმუშავა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს" შემწეობით.

ექსპედიციამ სამუშაოდ შეარჩია 16 ძეგლი: ნიკორწმინდა, მარტვილი, ერელაანთ საყდარი, ჭალა, ქორეთი, სეფიეთი, წმ. ელია (ველათი), ილემი, კულაში, მღვიმევი, ლეხთაგი, დერჩი, ცაიში, კორცხელი, ჩხარის ოქონი, ყინწვისის ნართექსი. არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლთა კედლის მხატვრობა ასე თუ ისე შესწავლილია, გამოცემულია სხვადასხვა მონოგრაფიული ნაშრომები, მოგვიანო ხანის ნიმუშების მეტი წილი კი უცნობია სპეციალისტებისათვის.

ზემოალნიშნულ ძეგლებში გამოირჩა გვიანი პერიოდის მონუმენტური მხატვრობის ორი ნაკადი: პირველი – სამეფისკარო, ე. წ. ოფიციალური ხასიათის მხატვრობა (ნიკორწმინდა, ერელაანთ საყდარი, დერჩი, მარტვილი, ცაიში, კორცხელი, ყინწვისის ნართექსი) და მეორე – მხატვრობა, რომელშიც გამოსჭვივის ხალხური ხელოვნების ზოგიერთი ნიშან-თვისება (ჭალა, ქორეთი, სეფიეთი, წმ. ელია, ილემი, კულაში, მღვიმევი, ლეხთაგი, ჩხარის ოქონი).

საექსპედიციო ჯგუფმა შეასრულა ძეგლთა ზუსტი იკონოგრაფიული სქემები, აზომა და გამოსაზა რამდენიმე ეკლესიის განაკვეთები, შეასრულა ყველა ამ ეკლესიაში შემორჩენილი მხატვრობის სრული ფოტოფიქსაცია. მხატვრულ-სტილისტური ანალიზითა და პარალელური მასალის მოშველიებით ექსპედიციის წევრები შეეცადნენ ზუსტად განესაზღვრათ ყოველი ძეგლის თარიღი. სამწუხაროდ, ფრესკების არცთუ მცირე ნაწილი საეჭვოდ მდგომარეობაშია.

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ხელოვნებათმცოდნეები: ბესიკ მაცაბერიძე, ნინო ჩიხლაძე, დავით ცხადაძე, იუზა ხუსკივაძე; მხატვრები: დავით გაგოშიძე, თამარ გაგოშიძე, თამარ მელიქიშვილი.

სეფიეთი. წმინდანი. XV ს.

* წალენჯიხა. მაცხოვარი. XVII ს.*

მარტვილი. ქტიტორი ხევდია მიქელაძე. XVII ს.

ექსპედიცია ქვემო ქართლში

ხელმძღვანელი ზია ჭანიშვილი

წალკის რაიონი. გედაქლარის ეკლესია. XI ს. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

წალკის რაიონი. ბურნაშვთის ეკლესია. წარწერიანი არქიტრავი სამხრეთ ფასადზე. XIII ს.

ექსპედიცია მოეწყო 1997 წელს. მისი მიზანი იყო სიძველეებით მეტად მდიდარი ისტორიული ქვემო ქართლის ნაკლებად ცნობილი ან სრულიად უცნობი ძეგლების წარმოჩენა, აღნუსხვა და შესწავლა. ექსპედიცია დააფინანსა ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველო". პროექტი ითვალისწინებდა მასალების შეკრებას ქვემო ქართლის ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევის შესადგენად.

ექსპედიციამ მოიცვა ქციის, ალგეთის, მაშავრისა და ფინეზაურის ხეობები, ისტორიული თრიალეთი, ზურტაკეტის ველი. ყურადღება ექცეოდა ძირითადად შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრებას, თუმცა ექსპედიციამ მოინახულა რამდენიმე წინაქრისტიანული ხანის ნაგებობაც. სულ ჯგუფის წევრებმა ფოტოფირებზე გადაიღეს 112 ისტორიული ძეგლი (ეკლესია, ციხესიმაგრე, სასახლე, ხიდი, აბანო, ქვაჯვარი, ნამოსახლარი...), რომელთაგან ზოგიერთი დღემდე უცნობი იყო სამეცნიერო ლიტერატურაში. აიზომა შეუსწავლელი ეკლესიები, შესრულდა ჩანახატები.

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: თენგიზ გაბუნია, გრიგოლ კალანდაძე, კახა კახიანი, მანანა სურამელაშვილი, მაკა შავიშვილი, გია ჭანიშვილი. პროექტის კონსულტანტი იყო რუსუდან მეფისაშვილი.

ექსპედიცია ჯავახეთში

ხელმძღვანელი დევი ბერძენიშვილი
სპეციალისტთა ჯგუფი;
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპედიცია მოეწყო 1997 წელს ჯავახეთის ზეგანისა და მტკვრის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიაზე — ისტორიული ბუზმარეთი, ნიალას ველი (დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით — ნინოწმინდის, ახალქალაქისა და ნაწილობრივ, ასპინძის რაიონები). ექსპედიცია დააფინანსა ფონდმა „ღია საზოგადოება — საქართველო". პროექტის მიზანი იყო ჯავახეთის ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევის მომზადება. ექსპედიციის მარშრუტი დაემთხვა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის სამუშაო გეგმას, რის გამოც ჯგუფს შეუერთდნენ ამ პროგრამის სახსრებით მიწვეულნი ექსპერტები.



მურჯახეთი. ჭრილი ჩრდილოეთით.



მურჯახეთი. გეგმა.

დიდია ჯავახეთის მრავალრიცხოვან სიძველეთა ქრონოლოგიური დიაპაზონი — უძველესი დროიდან გვიან შუა საუკუნეებამდე. აქ შემორჩენილია ციკლოპური გორა-ნამოსახლარები და ციხეები, შუასაუკუნოვანი ნასოფლარები და სიმაგრეები, ადრექრისტიანული სტელა-ქვაჯვარები და ლაპიდარული წარწერები. ამ მხარემ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება. მას შემდეგ გამოკვლეული იყო რიგი სიძველეებისა, ჩატარებული იყო ჯავახეთის ძეგლთა პასპორტიზაცია. მიუხედავად ამისა, ჯავახეთი, როგორც მთლიანი კულტურულ-ისტორიული მოვლენა, სადღეისოდ ნაკლებად არის ცნობილი და გაზრებული. სრულიად უცნობი იყო ზოგიერთი მნიშვნელოვანი ძეგლიც. ამიტომაც აუცილებელი ჩანდა ამ კუთხის ერთიანი, სრულყოფილი, მრავალმხრივი, სპეციალური შესწავლა, შემორჩენილ ძეგლთა ამომწურავი აღნუსხვა.

ბურნაშეთი. ეკლესიის სამხრეთ გალერეის ბურჯი. X ს.

ექსპედიციამ დააფიქსირა და შეისწავლა ჯავახეთში არსებული თითქმის ყველა ძეგლი; აზომა 30 ნაგებობა; გადაიღო 1147 ფოტოსურათი; შეაგროვა ცნობები დალუპვის პირას მისულ შენობებზე, რომელთაც სასწრაფოდ ესაჭიროებათ შველა; მასალა დაუყოვნებლივ მიაწოდა ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს.

ექსპედიციის მიერ მოძიებულ დღემდე გამოუკვლეველ ძეგლთა შორის ბევრს გამორჩეული მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობა



ფოკა. სამხრეთ ფასადის სარკმელი. XI საუკუნის I ნახევარი.



კუმურდო. დასავლეთ სტოას სამხრეთის მეხასელელი. XI საუკუნის I ნახევარი.

აქვს. ასეთებია მაგალითად, შაორისა და აბულის ციკლოპური გამაგრებული სამოსახლოები (წინასწარი დათარიღებით — ქ. წ. III-II ათასწლეულები), ოლორგის და თოკის მონასტრები, აბლარის, ბუზავეთის, ბეთანიის, ნიისას ეკლესიები... უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს ეგზეთი ეკლესია ქვა, გიორგი IV ლაშას წარწერით (XIII ს.), რომელიც ზრესკის ტბის პირას 1995 წელს აგებულ პატარა სომხურ სამლოცველოში აღმოჩნდა.

ამჟამად მიმდინარეობს მოპოვებული მასალის მოწესრიგება. მზადდება გამოკვლევის ტექსტი, რომელშიც მთლიანობაში წარმოდგება ჯავახეთის მხატვრული სიმდიდრე, შეძლებისდაგვარად წარმოჩინდება დღეკანდელი ვითარება და მისი თანამდევი პრობლემებიც.

ექ სპედიციაში მონაწილეობდნენ: დევი ბერძენიშვილი, ირინე ელიზბარაშვილი, ელვარდ ზაზაძე, კულტურული მემკვიდრეობის პროგრამის ექსპერტები — ხელოვნებათმცოდნეები ნიკოლოზ ვაჩეიშვილი და ციცინო ჩაჩხუნაშვილი, არქიტექტორ-რესტავრატორები ნინო ბაგრატიონი და შალვა მელიქიძე.



სასხა. ჭრილი ჩრდილოეთით.



ფოკა. ხელი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. XI საუკუნის I ნახევარი.

ვანძანი. ზედა ეკლესია. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან. XIII-XIV სს.

სოფ. ელადიმიროვკის შემოგარენი. ნაეკლესიარის ტრაპეზის ქვა. XIV ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუმურდო. აღმოსავლეთ ფასადი. 964 წ.

ნასოფლარი ხავეთი. სტელები. X-XIII სს.

ორჯოლარი. რელიეფის ფრაგმენტი (ქეთევანთა გამოსახულება), ჩამენებული XIX საუკუნის სომხური ეკლესიის კედელში. X ს.

აგარა. სტელა. IX-X სს.

სამსარი. კლდეში ნაკვეთი ეკლესია. ჩელი დასავლეთისაკენ. X ს.

ექსპედიცია თუშეთში

ხელმძღვანელი ემერ მახათელაშვილი



სოფ. შენაქო. ლავრენტი ხაჩიძის სახლი. დასავლეთ ფასადი.



სოფ. შენაქო. პეტრო ჩიღოულიძის სახლი. დასავლეთ ფასადი.



სოფ. შენაქო. ბადრი ბუქვაიძის სახლი. სამხრეთ ფასადი.



სოფ. შენაქო. ბადრი ბუქვაიძის სახლი. დასავლეთ ფასადი.

ექსპედიცია მოეწყო 1997 წელს ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს" ფინანსური ხელშეწყობით. პროექტის მიზანი იყო თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულად ძღვრული გზამკვლევის მომზადება.

საქართველოს უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი რეგიონი დღეისათვის თითქმის დაცარიელებულია. ძველი სოფლების ულამაზესი კოშკები და საცხოვრებელი ნაგებობები ნელ-ნელა ირღვევა, ზოგიერთ დასახლებას კი თანამედროვე მშენებლობა უცვლის სახეს. ამიტომაც საჭირო იყო გაქრობის პირას მისული სამოსახლოების, სახლებისა თუ ციხე-კოშკების კვალიფიციური აღნუსხვა, გამოძზეურება, მათი საზოგადოებისათვის გაცნობა და პოპულარიზაცია.

ექსპედიციამ მოიარა პირიქითის, გომეწრისა და ჩალმის სოფლები; ჩაატარა 29 დასახლების ფოტოფიქსაცია; გადაიღო 700-მდე ფერადი და 200-მდე შავ-თეთრი ფოტოსურათი, 200-მდე სლაიდი (მათზე აღბეჭდილია საგულისხმო ნაგებობები, საყოფაცხოვრებო ნივთები, თუშური ფარდაგები...); შეასრულა სოფლების – ომალოსა და შენაქოს სქემატური გეგმები; სოფ. შენაქოში აზომა ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით გამორჩეული 4 საცხოვრებელი სახლი.

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: თეიმურაზ არჯევანიძე, ემერ მახათელაშვილი, ლალი მენთეშაშვილი, კონსტანტინე პაპალაშვილი.



სოფ. შენაქო. მარგია ჯიჯურიძის სახლი. სამხრეთ ფასადი.



სოფ. ბელელა

სოფ. ომალო. ლუხეკ ლუხუმაიძის სახლის ალეანი.

სოფ. ომალო. ხელი კესალოს ციხიდან.



სოფ. ჰელო

თელავის ისტორიული საცხოვრებელი სახლების ფიქსაცია

ხელმძღვანელი / თემურ უგულავა



პირველი მაისის № 39.
XIX საუკუნის II ნახევარი. მთავარი ფასადი.



ახოსპირელის № 6. XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნა. მთავარი ფასადი.

პირველი მაისის № 63.
XIX საუკუნის II ნახევარი. მთავარი ფასადი.

ექსპედიცია მოეწყო 1997 წელს. მისი მიზანი იყო ქ. თელავის ისტორიული განაშენიანებისა და ცალკეულად ფასეულობრივი საცხოვრებელი სახლების ფიქსაცია, შემდეგ კი მოპოვებული მასალის საფუძველზე თელავის ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევის მომზადება. პროექტი დააფინანსა ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველო".

ოდესლაც სატახტო და დიდი კულტურული ტრადიციების მქონე ქალაქი თელავი, ამჟამად კახეთის რეგიონული ცენტრი, თანდათან კარგავს თვითმყოფადობას. ჩნდება მისი უსახო, ურბანიზებულ დასახლებად გადაქცევის საშიშროება. ძველი სახლების დიდი ნაწილი უკვე შეეწირა „თანამედროვე" არქიტექტურის შექმნის მცდელობას, დარჩენილი შენობების უმეტესობა კი იმდენადაა გადაკეთებული, რომ მათი როგორც ისტორიული ძეგლების აღქმა სპეციალისტსაც უძნელდება.

მოსახლეობის უსახსრო ნაწილი ყიდის ჯერ კიდევ შემორჩენილ სახლებს, რომელთაც ახალი პატრონები ხშირ შემთხვევაში ანადგურებენ. 1985 წელს ძეგლთა დაცვის მთავარმა სამმართველომ თელავში აღრიცხა 124 ხუროთმოძღვრული ძეგლი. მათი ნაწილი დღეს უკვე დანგრეული ან გადაკეთებულია. ამიტომაც ექსპედიციამ მიზნად დაისახა ისტორიული უბნების დადგენა, ცალკეული ისტორიული ნაგებობების მოკვლევა და მათი ფიქსაცია. ჯგუფმა ძირითადად თელავის ორ უბანში იმუშავა – ღვთაების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე (კაკლიაანთ ხევი, კოსტავას ქუჩა, თელავის ხევი, ჭავჭავაძის ქუჩა) და გორიჯვრის კომპლექსის უბანში (პირველი მაისის ქუჩა და მიმდებარე ტერიტორიები). ექსპედიციამ აზომა 49 ისტორიული საცხოვრებელი სახლი. ჩატარდა მათი ნაწილობრივი ფოტოფიქსაცია.

მოპოვებული მასალის დამუშავების შემდეგ ისტორიული საცხოვრებელი სახლების სიები, ქალაქის რუკა მასზე დატანილი ქალაქგეგმარებითი ზონებითა და ძეგლების აღნიშვნით, სახლების ანაზომების ასლები მოკლე ანოტაციებითურთ გადაეცემა ქ. თელავის ხელისუფლებას, რაც ხელს შეუწყობს მომავალში მათ დაცვა-შენარჩუნებას.

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: მარინე აბაშიძე, გელა ბაკაკური, დავით გივიშვილი, ვლადიმერ გიორგაძე, ლია სიხარულიძე, თემურ უგულავა.

ლიხაძის № 5. XIX საუკუნის II ნახევარი.

პირველი მაისის № 59. XIX საუკუნის II ნახევარი.



ჭავჭავაძის № 109. XIX საუკუნის II ნახევარი.



თეიმურაზ ბაგრატიონის № 13. სახელოსნო. XIX საუკუნის შუა ხანები.



ჭავჭავაძის I შესახვევი № 2. 1896 წ.



ზაირა კეკელიძის № 4. საცხოვრებელი სახლი. XIX საუკუნის შუა ხანები.

ახოსპირელის № 4. XIX საუკუნის II ნახევარი.

ახოსპირელის № 6. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნა.

გარეჯის მრავალმთის მონასტრების შემსწავლელი ექსპედიცია

ხელმძღვანელი დარეჯან კლდიაშვილი
გარეჯის კვლევის ცენტრი



თეთრი უდაბნო. მარჯვენა ეკლესია. საკურთხეველი.



მრავალწყარო. დიდი დარბაზული კლესია. გეგმა.

ექსპედიცია მოეწყო 1997 წელს ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური ხელშეწყობით. პროექტის მიზანი იყო გარეჯის მრავალმთის დასავლეთ მასივში მდებარე კლდეში ნაკვეთი მონასტრების შესწავლა. მათი ერთი ნაწილი დიდი ხანია რაც ცნობილია, უმეტესობა კი სულ ახლახან აღმოჩნდა. არც ერთი მონასტერი დღემდე სათანადოდ აღნუსხული არ ყოფილა. არადა, თითოეული ეს კომპლექსი გარეჯის სამონასტრო ცხოვრების ადრეულ პერიოდს უკავშირდება და ძალზე ორიგინალურია, როგორც თავისი ხუროთმოძღვრებით, ისე კედლის მხატვრობითა და ეპიგრაფიკით. გარდა ამისა, გამოქვაბულთა სრული ფიქსაცია მრავალმთის ამ ნაწილში მონასტრების მძიმე მდგომარეობის გამოც იყო გადაუდებელი.

მრავალმთის დასავლეთ მასივში ექსპედიციამ შეასრულა წამებულის (VI-X სს.), მრავალწყაროს (IX-X სს.) და თეთრი უდაბნოს (ადრეული შუა საუკუნეები) კლდეში ნაკვეთ მონასტერთა ხუროთმოძღვრების, კედლის მხატვრობის, ფრესკული და ნაკაწრი წარწერების, აგრეთვე ნახატი გრაფიტების სრული გრაფიკული და ფოტო ფიქსაცია. ამ კომპლექსებში ექსპედიციის წევრებმა აზომეს და გადაიღეს დარბაზული (წამებული, მრავალწყარო, თეთრი უდაბნო) და გუმბათიანი (მრავალწყარო) ეკლესიები, სატრაპეზოები (წამებული, მრავალწყარო), სამარტვილე (წამებული), საცხოვრებელი, სამეურნეო და სხვა დანიშნულების ქვაბები; შეასრულეს მოხატულობათა სქემები; გადაიღეს წარწერები.

კედლის მხატვრობიდან აღსანიშნავია თეთრი უდაბნოს გუმბათოვანი ეკლესიის საკურთხევლის მოხატულობა საქართველოსთვის უნიკალური, ადრექრისტიანულ ტრადიციასთან დაკავშირებული გამოსახულებით – ვარსკვლავებიანი ცის ფონზე წარმოდგენილი, ოვალურ მანდორლაში მოქცეული, განსხვავებული ჯვარი პალმის ხეებს

შორის. ამ კომპლექსებში აღნუსხულ მრავალრიცხოვან წარწერათაგან (IX-XVI სს.) გამოიყოფა: წამებულში – „ხარიტონის ქვაბის“ ისტორიული წარწერა 1089 წელს მომხდარი დიდი მიწისძვრის შესახებ; ოცდაათი დაკედრებულის გრაფიტი (XIII ს.), რომელიც მონასტრის ძმობის რაოდენობაზე უნდა მეუთითებდეს; მრავალწყაროში – დარბაზული ეკლესიის მხატვრისეული ფრესკული წარწერა (IX ს.); ანბანთა რიგები (X-XI სს.), ეკლესიის მაშენებელთა მოსახსენებელი (IX ს.); საკედრებელი წარწერა კაწარელი ქორეპისკოპოსის პავლეს მოხსენიებით (XII-XIII სს.), რომელიც კაწარეთის საეპისკოპოსოზე მრავალმთის ამ ნაწილის ეპარქიალური დამოკიდებულების გარკვეულ მინიშნებად შეიძლება ჩაითვალოს.

თავმოყრილი მასალა ცხადყოფს, რომ მრავალმთის დასავლეთ მასივის კომპლექსებში სამონასტრო აღმშენებლობამ IX საუკუნიდან მოკიდებული ინტენსიური ხასიათი მიიღო, XI საუკუნის შემდგომ რამდენადმე შენელდა, ხოლო XIII საუკუნის ბოლოდან კი თანდათანობით ჩაკვდა.

ექსპედიციის მუშაობის დროს მოპოვებული მასალის ერთიანად თავმოყრისა და საერთაშორისო პრინციპების მიხედვით მათი დამუშავების შედეგად შეიქმნა მრავალმთის დასავლეთ მასივის თითოეული გამოქვაბული კომპლექსის ხუროთმოძღვრების, მხატვრობისა და ეპიგრაფიკის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მომცველი ბაზა. ამასთანავე, დასაბამი მეცა გეგმაზომიერ კომპლექსურ სამუშაოს მრავალმთის მონასტერთა არქიტექტურის, ფერწერისა და ეპიგრაფიკის კორპუსის შესაქმნელად.

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ნოდარ ბახტაძე, მარინე ბულია, ლევან კალანდარიშვილი, დარეჯან კლდიაშვილი, ასმათ ოქროპირიძე, დავით ჯინჭარაძე.

წამებული. მცირე დარბაზული ეკლესია. წმ. იოანე ნათლისმცემლის გამოსახულება ვედრების კომპოზიციიდან.

მრავალწყარო. ნაკაწრი წარწერები.



წამებული. „ხარიტონის ქვაბი“. ნაკაწრი წარწერა.

ქვემო სვანეთის მხატვრობის შემსწავლელი ექსპედიცია

ხელმძღვანელი ნანა ჟუპრაშვილი
კედლის მხატვრობის ტექნიკური მეთოდებით კვლევის ცენტრი „ბეთანია“

ჩუკული. საკურთხეველის მოხატულობა. სქემა.

მუჩბა ლანშაში. დასავლეთ კედლის მოხატულობა. სქემა.



ჩიხარეში. ოქონ დაბიშის ეკლესია. დასავლეთ კედლის მოხატულობა. სქემა.

ექსპედიცია მოეწყო 1997 წელს ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. პროექტი მიზნად ისახავდა დღემდე არსებითად შეუსწავლელი ქვემო სვანეთის კედლის მხატვრობისა და ხატწერის ნიმუშების აღნუსხვასა და ფიქსაციას (ქვემო სვანეთის ხელოვნების შესახებ ერთადერთ ცნობარად დღემდე ექვთიმე თაყაიშვილის ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წლის მოგზაურობის შედეგები რჩებოდა).

ჩატარებულმა მუშაობამ ცხადყო, რომ ხატების ნაწილი დაკარგულია, ფრესკების მდგომარეობა საგანგაშოდ გაუარესებულია 1990-იანი წლების დასაწყისთან შედარებითაც კი. კედლის მხატვრობა სასწრაფოდ საჭიროებს შველას (მუჩბა ლანშაში, ჩუკულის ღვთისმშობლის ეკლესია, ოქონ დაბიში). მიუხედავად იმისა, რომ მთელი რეგიონი ჯერ არ დამუშავებულა, უკვე უეჭველად შეიძლება ითქვას, რომ ქართული მხატვრობის ისტორიაში ქვემო სვანეთის „შემოსვლით“ უამრავი მნიშვნელოვანი საკითხი გაშუქდა: მთისა და ბარის, ცენტრისა და რეგიონის ურთიერთობა; XVII საუკუნეში ახალი დროის ნიშნების გაჩენა; „ხალხური“ და პროფესიული ნაკადის ზედდება და ამ მხატვრობის მიმართება ე. წ. „პრიმიტივთან“ ანუ „მესამე კულტურასთან“. ქვემო სვანეთის მოხატულობათა გაცნობა უალრესად საგულისხმო იქნება თანამედროვე ქართველი მხატვრებისთვისაც.

ექსპედიციის შედეგად გაკეთდა მუწდის (XII ს.), მამის (XIII ს.), სასაშის (XIII ს.), ჯახუნდერის (XVI-XVII სს.) ეკლესიათა მოხატულობების პასპორტები; განისაზღვრა სამომავლო სამუშაოთა მოცულობა; შეგროვდა მონაცემები ქვემო სვანეთის სხვა ტაძრებში სადღეისოდ არსებული მხატვრობის შესახებ; კომპიუტერულ მონაცემთა ბანკისათვის დამუშავდა 4 მოხატულობა: მუჩბა ლანშაშის ეკლესია (ჩუკული, XII ს.); თარინგზელის ეკლესია (ტკიბი, XIII ს.), ღვთისმშობლის ეკლესია (ჩუკული, XVII ს.); ოქონ დაბიშის ეკლესია (ჩიხარეში, XVII ს.). ყველა მათგანი აღიწერა კითხვარის საფუძველზე; აღინუსხა ხატები, რელიეფები და საეკლესიო ნივთები; შესრულდა სქემები და ჩანახატები; ექსპედიციის

წევრებმა გადაიღეს 500 შავ-თეთრი და 80 ფერადი ფოტოსურათი, 210 ვიწრო და 200 ფართო სლაიდი.

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: კახა დემურაძე, ნანა კუპრაშვილი, მარინე ყენია, ზაქარია შიოშვილი, მზია ჯანჯალია.

ტეიბი. ქტიტორი.

ჩუკული. წმ. ესტატეს ნაღირობა.

ტეიბი. ღვისუხი. ანგელოზი. ჩამოტეხილი ფრაგმენტი.



ჩუკული. ჯვრის კვარცხლბეკი.



ტეიბი. წმ. დედები.

ჩუკული. წმ. დედები.

მოდერნის სტილის შენობათა შემსწავლელი ექსპედიცია

ხელმძღვანელი ნესტან თათარაშვილი



თბილისი. კარგარეთელის № 3. საცხოვრებელი სახლი. წინა ფასადის ფრაგმენტი.

ბათუმი. 9 აპრილის № 12. ბანკის შენობა.

ქუთაისი. ფალიაშვილის № 33. ბანკის შენობა.

ექსპედიცია მოეწყო 1997 წელს ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს" დაფინანსებით. პროექტი ეძღვნებოდა XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის პირველ ათწლეულებში საქართველოს სამ მნიშვნელოვან ქალაქში მოდერნის სტილით აგებულ შენობათა აზომვას, ფოტოფიქსაციასა და მათი პასპორტების შედგენას.

საუკუნეთა მიჯნის „მოდერნს" დღეს მთელს მსოფლიოში უდიდესი ყურადღება ექცევა (მისი სახელწოდება სხვადასხვა ქვეყნებში არის აგრეთვე „არ ნუვო", „იუგენდშტილი", „ლიბერტი"...). საქართველოში ამ სტილის მრავალი სხვადასხვა დანიშნულების მაღალმხატვრული შენობაა (საცხოვრებელი სახლები, სასწავლებლები, საავადმყოფო, ბანკები, მაღაზიები, ატელიეები, თეატრები თუ კინოთეატრები). მიუხედავად მათი რაოდენობისა, ხარისხისა, ფუნქციური და მხატვრული მრავალგვარობისა, ისინი ბოლო დრომდე თითქმის გამოუვლენელი და შეუსწავლელი რჩებოდა. შენობათა აღნუსხვა-ფიქსაცია კი მით უფრო აუცილებელი და საშურია, რომ ბევრი მათგანი მძიმე მდგომარეობაშია. ზოგან ხშირი რემონტების, სხვაგან კი უყურადღებობის გამო ნადგურდება სადარბაზოებისა თუ ოთახების მოხატულობა, ვიტრაჟები, დეკორაციული ელემენტები. ზოგიერთი შენობა არათუ ადრე, ჩვენს თვალწინ მოისპო მთლიანად. მათი ღირებულება ნაკლებად ესმით ბინების მფლობელებს... სწორედ ამ გარემოებებმა განსაზღვრა მიზანდასახულობა პროექტისა, რომელიც საქართველოში მოდერნის ნიმუშთა გეგმაზომიერი გამოკვლევისა და პოპულარიზაციის პირველ ცდას წარმოადგენს.

ექსპედიციის შედეგად შესრულდა პროექტში ნაგულისხმევი ყველა სამუშაო. ქ. ბათუმში აიზომა სამი შენობა: საცხოვრებელი სახლი (ჰ. მელიქიშვილის ქუჩა № 30), გამოთვლითი ცენტრი (ადრე — ბროლის მაღაზია, მ. კოსტავას № 20), ჭადრაკის სასახლე (ადრე — ქალაქის პარკის სათბური); სამი შენობა ქ. ქუთაისში: თოჯინების თეატრი (ყოფილი ბანკი, წმ. ნინოს № 9), საცხოვრებელი სახლი (ალ. პუშკინის № 3), ბანკი (ყოფილი ლომ-

ბარდი, ზ. ფალიაშვილის № 33); ქ. თბილისში კი 7 ნაგებობა: საცხოვრებელი სახლები – გ. ლეონიძის № 7 (ყოფილი ხელთათმანების ატელიე), ი. კარგარეთელის № 3, ალ. ჭავჭავაძის I შესახვევი № 1, დავით აღმაშენებლის გამზირი № 36, ვ. მაზნიაშვილის № 16, ვარდიბის № 4, წმ. აბო თბილელის № 6 (სადარბაზო).

გარდა ამისა, ექსპედიციის წევრებმა სამივე ქალაქში აღრიცხეს და გენერალურ გეგმაზე დაიტანეს მოდერნის არქიტექტურის ყველა მაგალითი. სულ შეასრულეს 75 კროკი, გადაიღეს 28 ფოტოფირი და 20 სლაიდის ფირი.

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ბექა დავითური, ნესტან თათარაშვილი, ბექან კუკულაძე, ალექსანდრე ტიტენკოვი.

თბილისი. ვაშლიჯვრის № 6. საცხოვრებელი სახლი. ეკალა ფასადის ფრაგმენტი.



თბილისი. წმ. აბო თბილელის № 6. საცხოვრებელი სახლი. სადარბაზოს კარი. დეტალი.

თბილისი. ახოსპირელის № 3/7. საცხოვრებელი სახლი. სადარბაზოს კარები.



თბილისი. ლეონიძის № 7. საცხოვრებელი სახლი (ყოფილი ხელთათმანების ატელიე). წინა ფასადი.



თბილისი. მაზნიაშვილის № 16. საცხოვრებელი სახლი. წინა ფასადის ფრაგმენტი.

ᲡᲐᲘᲜᲕᲔᲜᲢᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲝ ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲐ ᲗᲔᲗᲠᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა

ერთაწმინდა. აღმოსავლეთ ფასადი. XIII ს.

რკონის ხიდი. XII-XIII სს.



საირბისი. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. 1152 წ.

ექსპედიცია მოეწყო 1997 წლის ივნისი-ივლისში რამდენიმე ეტაპად. მისი მიზანი იყო საინვენტარიზაციო სამუშაოების ჩატარება თეძმის ხეობაში (შიდა ქართლი, კასპის რაიონი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ ეტაპზე ძირითადი ყურადღება დაეთმო ხეობის ზედაწელში მდებარე ორ უმნიშვნელოვანეს ძეგლს — რკონის სამონასტრო კომპლექსსა და იკვის ეკლესიას. დაზუსტდა (ცალკეულ შემთხვევებში ხელახლა გაკეთდა) ნაგებობათა ანაზომები და კედლის მხატვრობის სქემები; ჩატარდა დეტალური ფოტოფიქსაცია; მომზადდა ვრცელი ტექსტობრივი მასალა (ნაგებობათა არქიტექტურის, კედლის მხატვრობისა და რელიეფების დაწვრილებითი აღწერა, მხატვრულ-ისტორიული შეფასება, დაზიანებათა აღწერა, სხვადასხვა პერიოდის სამშენებლო ფენების განშრევება, აღდგენა-გადაკეთებების ისტორია...). დაგეგმილია აღნიშნული მასალების საფუძველზე სპეციალური ბუკლეტის გამოცემა.

ექსპედიციამ პარალელურად იმუშავა ხეობის სხვა პუნქტებშიც. საინვენტარიზაციო სამუშაოებმა მოიცვა არა მარტო კარგად ცნობილი, დიდი მხატვრულ-ისტორიული ღირებულების ძეგლები (ფავნისის წმ. გიორგის, ერთაწმინდის წმ. ესტატეს, მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესიები, „მარშლიანი სასახლე"...), არამედ ისეთი ნაგებობებიც, რომლებსაც ამგვარი ღირებულება არ გააჩნიათ, მაგრამ ყურადღებას იმსახურებენ როგორც გარკვეული ეპოქის, ყოფის, გემოვნების, სამშენებლო კულტურის, სხვადასხვა ისტორიული თუ სოციალ-ეკონომიკური რეალიების ამსახველი მატერიალური ნიმუშები.

განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა მუშაობა ხეობის მთავარ დასახლებულ პუნქტში — სოფელ (ისტორიულ ქალაქ) ახალქალაქში და მასზე მიბმულ სოფელ გარიყულაში. აქ შემორჩა XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის საერო არქიტექტურის მეტად საინტერესო ნიმუშები — თარხნიშვილთა საგვარეულოს წარმომადგენელთა სასახლეები და ვაჭარ-ხელოსანთა სახლები. აღნიშნულ ძეგლთა უდიდესი ნაწილი სრულიად უცნობი იყო სამეცნიერო ლიტერატურაში. საკმარისია ითქვას, რომ „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობაში" (ტ. 5) ამ კატეგორიის სულ სამი შენობაა შეტანილი. ექსპედიციის მუშაობის შედეგად გაკეთდა

ახალქალაქ-გარიყულას 26 სასახლისა და საცხოვრებელი სახლის სააღრიცხვო ბარათი. გარდა იმისა, რომ დაგროვდა მეტად მნიშვნელოვანი მასალა ქართული ხუროთმოძღვრების შესასწავლად, უფრო ფართოდ წარმოდგა ახალქალაქის XIX-XX საუკუნეების ისტორიაც – კულტურული და ეკონომიკური ცხოვრება, სოციალური და დემოგრაფიული პროცესები, პოლიტიკური პერიპეტიები.

სხვადასხვა ეტაპზე ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ნინო ბაგრატიონი, მარიამ დიდებულიძე, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, შალვა მელიქიძე, ქეთევან მიქელაძე, თამარ ნემსაძე, დავით ხოშტარია.

ქართლის ახალქალაქი. ბოლოვარსკების სახლი. 1890-იანი წლები.

საინვენტარიზაციო ექსპედიცია შატილში

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა

შატილის შუა საუკუნეების არქიტექტურული კომპლექსი მდებარეობს დუშეთის რაიონში, პირიქითა ხევსურეთში, კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზე, ჩეჩნეთის საზღვართან, ზღვის დონიდან 1400 მ სიმაღლეზე, არღუნის თვალწარმტაც ვიწრო ხეობაში. ივი წარმოადგენს კლდოვან რელიეფზე აგებულ, ხეობის ჩამკეტ, ციხე-ქალაქის ტიპის არქიტექტურულ ანსამბლს, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დანიშნულების (საცხოვრებელ, საბრძოლო, საკულტო) სამოცამდე ნაგებობას. მათი უმრავლესობა 3-4 სართულიანია, შიდა კიბითა და აივნებით. შენობათა დიდი ნაწილი ერთმანეთს უკავშირდება საჰაერო ხიდებითა და ტერასებით. კომპლექსი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. გარდა იმისა, რომ შატილი ქართული ყოფითი კულტურის უიშვიათეს ძეგლს წარმოადგენს, ივი უნიკალურია იმითაც, რომ თითქმის ბოლომდე შეინარჩუნა შუა საუკუნეების დროინდელი ადათ-წესები და დემოგრაფიული მდგომარეობა. თუმცა, ჩვენი საუკუნის 40-იან წლებში, მთელი მოსახლეობა იძულებით გადაასახლეს და 30-40 წლის განმავლობაში უპატრონოდ მიტოვებულმა ძეგლმა დიდი ზიანი განიცადა. 70-იან წლებში მოსახლეობის ნაწილი უკან დაბრუნდა. იმავე ხანებში დაიწყო შატილის სარესტავრაციო სამუშაოები, რომელიც 80-იან წლებში შეჩერდა.

1997 წელს შატილი კულტურული მემკვიდრეობის ინიციატივის საკვლევ ობიექტთა რიცხვში შეეიდა, რამაც გამოიწვია



შატილი. საერთო ხედი სამხრეთიდან.



შატილი. საერთო ხედი აღმოსავლეთიდან.



მაგილი. წინა პლანზე – კომეები №1ᲐᲐ და 1Ბ.

მაგილი. კოშკი № 42.

1997 წლის 20-30 იელისს სოფ. მაგილში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები (გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო მაგილის ყველა ოჯახმა):

რა ფუნქცია უნდა ჰქონდეს შატილს?



ქართველ და უცხოელ ინვესტორთა დაინტერესება შატილის პრობლემატიკით. პროგრამის საწყის ეტაპზე შატილში რამდენიმე ეტაპად მოეწყო საინვენტარიზაციო ექსპედიციები. მასში მონაწილეობდნენ მსოფლიო ბანკის კოორდინატორები, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული პროგრამის ხელმძღვანელები, სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლები და ძირითადი სამუშაო ჯგუფი ვაჟა ჭინჭარაულის, გიორგი ბაგრატიონის, დავით ხოშტარიას და იოსებ ბანძელაძის შემადგენლობით. თავდაპირველად ყურადღება გამახვილდა ძეგლის ზოგადი მდგომარეობის შეფასებასა და სოციოლოგიურ გამოკვლევაზე. ამის შემდეგ დაიწყო ძეგლის სრული ინვენტარიზაცია-პასპორტიზაცია. ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

1. არქიტექტურული კომპლექსისა და მიმდებარე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია-პასპორტიზაცია (შატილის გენერალური გეგმის შედგენა-დაზუსტება, ცალკეული ობიექტების დეტალური ფოტოფიქსაცია და წერილობითი აღწერილობა); 2. სოციოლოგიური კვლევა; 3. საკანონმდებლო-იურიდიული ბაზის შესწავლა-დამუშავება და საკუთრების საკითხის გარკვევა.

გენერალურ გეგმაზე აღინიშნა რესტავრაციის შემდგომ დაზიანებული თუ დანგრეული ობიექტები, ახალი შენობები, ახლად გაყვანილი სატრანსპორტო კომუნიკაციები, ელექტროქსელები, წყალგაყვანილობის ხაზები, კანალიზაციის სისტემა, ჰესი, სკოლა, სამხედრო ნაწილი, არქეოლოგიური ზონა.

პარალელურად ჩატარდა ობიექტის დეტალური აღწერა, მისი ფიქსირება. გამოვლინდა და დაფიქსირდა დაზიანების, ნგრევისა თუ დეფორმაციის მრავალი ფაქტი. მომზადდა 60-მდე საალრიცხვო ბარათი ტექსტობრივი მასალით, ძეგლის არქიტექტურის მხატვრულ-ისტორიული კვლევით, რესტავრაციის ხარისხის შეფასებით, ცალკეული ობიექტის ხასიათის, ფუნქციური დატვირთვის, დაზიანებებისა და სამშენებლო მასალის აღნიშვნით, აღდგენა-გადაკეთებების ისტორიის თანდართვით. მომზადდა სათანადო ვიზუალური ფოტომასალაც. მუშაობის შედეგად აღმოჩნდა:

1. არქიტექტურულ კომპლექსში რესტავრაციის შედეგად მოწყობილი გადახურვების 80 % მწყობრიდან არის გამოსული; არ ფუნქციონირებს კარნიზების ძირითადი ნაწილი, რის გამოც დახსნილი და დეფორმირებულია კედლების დაახლოებით 30-40 %; დანგრეულია 4 კოშკი; გარდუვალი ნგრევის წინაშე დგას კიდევ 3 კოშკი; დეფორმაციასა და ლპობას განიცდის სართულშუა გადახურვის ხის კონსტრუქციები.

2. გასაკეთებელია წყალგადამყვანი ლარები; გასამართია გადახურვები და მათი ჰიდროიზოლაცია; მოსაწყობია სადრენაჟო სისტემა.

3. ყურადღების მიქცევა ესაჭიროება ძველ წისქვილებს, ხატებს, სასაფლაოსა და ახლად გამოვლენილ არქეოლოგიურ ზონას.

შატილი. ისტორიული სოფლის საერთო ხედი.

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲫᲕᲔᲚ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის არქიტექტორ-ხელოვნებათმცოდნეთა ჯგუფმა 1997 წლის აპრილიდან 1998 წლის სექტემბრის ჩათვლით ჩააჭარა ძველი თბილისის ერთ-ერთი უბნის — ზემო ყალის სრული აღწერა. გაკეთდა ყველა ნაგებობის საალრიცხვო ბარათი (სულ 365), ჩატარდა ნაგებობათა ფოტოფიქსაცია. ექსპერტებმა შეადგინეს ნუსხა მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულების მქონე შენობებისა, რომელთაც აქამდე არ ჰქონდათ მიღებული ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლის სტატუსი; შეადგინეს 23 თემატური რუკა; გააანალიზეს ძველი თბილისის ამ უბნის დღევანდელი მდგომარეობა. ანალიზის შედეგად კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამოიკვეთა ფართო სპექტრი იმ პრობლემებისა და მოსალოდნელი საშიშროებებისა, რაც ამ უბანს ემუქრება. დაზუსტდა რისკის ძირითადი ფაქტორები.

ჩატარებული კვლევისა და ანალიზის შედეგები საფუძვლად დაედება საკონსერვაციო გეგმის მომზადებას, რომელიც ითვალისწინებს საბოქმედო სტრატეგიის შემუშავებას ძველი თბილისის შენარჩუნების მიზნით.

სამუშაოებში მონაწილეობდნენ: მაია ბუხაიძე, გიორგი გოგოლაშვილი, ლეილა თუმანიშვილი და მაია მანია.

ძველი თბილისი. ავლევის № 19.



ძველი თბილისი.
შარდენის ქუჩა და ბამბის რიგი.

საინვენტარიზაციო ექსპედიცია სიღნაღში

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა

სიღნაღი

სიღნაღი. ქეთევან წამებულის № 1.

სიღნაღი. დადიანის ქუჩა.

საინვენტარიზაციო სამუშაოები ქ. სიღნაღში მიმდინარეობდა 1997 წლის 15 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე. ექსპედიციის მიზანს წარმოადგენდა სიღნაღში შენარჩუნებული ყველა მხატვრულად თუ ისტორიულად მნიშვნელოვანი ნაგებობის საალრიცხვო ბარათის გაკეთება. ბუნებრივია, პირველ რიგში ყურადღება გამახვილდა ქალაქის ძველ უბნებზე.

სიღნაღი საქართველოს იმ იშვიათ ქალაქთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთაც მრავლად შემოგვინახეს XIX საუკუნის საცხოვრებელი ხუროთმოძღვრების ნიმუშები, ამასთან, არა დაფანტული, არამედ ერთიანი ქალაქთმშენებლობითი სტრუქტურის სახით. სიღნაღის ისტორიული ნაწილი, მასში ჩართული უზარმაზარი გალავნის ფრაგმენტებით, კოშკებით, ვიწრო ქუჩებით, ერთ-ორ სართულიანი კოლორიტული სახლებით და რთული რელიეფით დიდწილად განსაზღვრავს მთელი ქალაქის არქიტექტურული იერის განუმეორებლობას. სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარების შემთხვევაში ყოველივე ეს შეიძლება ტურისტების მოზიდვის არსებით ფაქტორად იქცეს. ამ პერსპექტივის რეალობამ განაპირობა განსაკუთრებული ინტერესი სიღნაღისადმი და მისი პრიორიტეტული ადგილი კულტურული მემკვიდრეობის ინიციატივის პროგრამაში.

საინვენტარიზაციო სამუშაოების დროს დაფიქსირდა ქალაქის პრაქტიკულად ყველა ძველი (XVIII-XIX საუკუნეებისა და XX საუკუნის დასაწყისის) ნაგებობა. შედეგები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ინვენტარიზაცია-აღრიცხვის თვალსაზრისით, არამედ იმითაც, რომ დაგროვდა მეტად ძვირფასი მასალა ქალაქმშენებლობითი სტრუქტურის საკვლევად. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მომავალში აღდგენითი, საკონსერვაციო თუ საადაპტაციო სამუშაოების სწორად წარმართვას. გაკეთდა აგრეთვე საბჭოთა პერიოდში აგებული მთავარი ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი შენობების საალრიცხვო ბარათები.

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: გიორგი და ნინო ბაგრატიონები, მარიამ დიდებულიძე, დავით ხოშტარია.

სარესტავრაციო სამუშაოები (1995-1997)

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ერთი რუბრიკა ისე მწირად არ არის წარმოდგენილი ჟურნალში, როგორც რესტავრაციისა. ეს ალბათ იმითაც არის გამოწვეული, რომ დღეს სარესტავრაციო სამუშაოები ნაკლებად ტარდება (რესტავრაციას გაცილებით მეტი თანხა სჭირდება, ვიდრე ექსპედიციას). გარდა ამისა, ძალზე გაგვიჭირდა სრულფასოვანი ინფორმაციის მოპოვება: ხანდახან ანოტაციას ამკარად ეტყობოდა, რომ ჯგუფმა გარკვეული სამუშაოები კი ჩაატარა (დაზვერვა, პასპორტიზაცია, მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა...), მაგრამ მათ რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ამიტომ რესტავრაციის რუბრიკაში ამგვარი ინფორმაცია არ შეგვიტანია. ასე რომ, 9 ანოტაციის წარმოდგენა არ ნიშნავს, რომ 1995-1997 წლებში მხოლოდ ეს სამუშაოები ჩატარდა, უბრალოდ, მხოლოდ ამ ინფორმაციის მოპოვება შევძელით. იგივე ითქმის ილუსტრაციებზე. ზოგიერთი ინფორმაციის მოპოვებას ასე თუ ისე გავართვით თავი, მაგრამ ჩატარებული სამუშაოების ამსახველი ილუსტრაციის მოპოვება შეუძლებელი აღმოჩნდა. ასეთ შემთხვევებში ანოტაციებს ან პირობითი ფოტოები დავურთეთ, ან ივი ილუსტრაციის გარეშე დაეტოვეთ.

ფონდ „ღია საზოგადობა – საქართველოს" მიერ 1997 წელს დაფინანსებული სამუშაოების ანოტაციები მომზადებულია ფონდის ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პროგრამის საანგარიშო კრებულის (შემდგენელი – ნიკოლოზ ეაჩეიშვილი) მიხედვით.

სარესტავრაციო სამუშაოები ხეოთის კომპლექსზე

ხელმძღვანელი თამარ ნემსაძე

ახალციხის რაიონის სოფ. ხეოთის მახლობლად, ჭალაში, დგას XV-XVI საუკუნეების სამრეკლო, რომელიც დანგრეული ეკლესიის სამხრეთ კედელს ებჯინება. ძეგლის აღდგენა ითავა ვანო ვახტანგიშვილმა. მანვე დააფინანსა სარესტავრაციო სამუშაოები.

1995 წელს სპეციალისტებმა აზომეს სამრეკლო, გაწმინდეს ეკლესიის ნაშთები.

1996 წელს მთლიანად მოწესრიგდა სამრეკლო: აღდგა გუმბათი, გაითალა ახალი კარნიზები, შეკეთდა დაზიანებული უბნები, აღდგა და მოეწყო სამრეკლოს იატაკი, გაკეთდა რკინის კარი, სახურავზე აღიმართა ჯვარი.

მთლიანად გაიწმინდა ეკლესია. გამოვლინდა დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მინაშენები. დაფიქსირდა ორი საამშენებლო ფენა – VIII და X საუკუნეები. გაწმენდის დროს აღმოჩნდა თაბაშირის კანკელის ჩუქურთმებიანი ფილა (X-XI სს.), წარწერიანი ქვები (X ს.), აგრეთვე კამარისა და თაღის ქვები. როგორც ჩანს, ძეგლი მიწისძვრამ დაანგრია.

სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოებს უძღვებოდნენ: რუსუდან გურამიშვილი, თამარ ნემსაძე, ნანა შელიავა.



ხეოთის ეკლესია. აღმოსავლეთ ფასადის ცენტრალური სარკმელი.



ხეოთის სამრეკლო გამაგრებამდე



ეკლესიის კარნიზის დეტალი

ეკლესიის აფსიდის [illegible] ფაბამირის კარკელის ფილა

ქსნის წმ. გიორგის ეკლესიის აღდგენა

ხელმძღვანელები: აკაკი მავერდაშვილი, ომარ ჭანტურიძე

ქსნის წმ. გიორგის ეკლესია VIII საუკუნის ძეგლია. იგი მთლიანად იყო დანგრეული. არქიტექტორმა აკაკი მავერდაშვილმა და ინჟინერმა ომარ ჭანტურიძემ უსასყიდლოდ გააკეთეს პროექტი და 6 თვის განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ მშენებლობას.

1996 წლის 23 ნოემბერს, წმ. გიორგის დღესასწაულზე, ეკლესია აკურთხეს, რაც დიდი სიხარულით აღნიშნა ქსნის ხეობის მოსახლეობამ.

მხატვარ-რესტავრატორთა მიერ ჩატარებული სამუშაოები

ხელმძღვანელი მერაბ ბუჩუკური
ძველი ქართული მხატვრობის კვლევის, ფიქსაციისა და რესტავრაციის ცენტრი

ძველი ქართული მხატვრობის კვლევის, ფიქსაციისა და რესტავრაციის ცენტრი შეიქმნა 1992 წელს და მას შემდეგ ყოველწლიურად ატარებს სარესტავრაციო სამუშაოებს.

1996 წელს, მაისიდან სექტემბრამდე, ცენტრის დირექტორის — მერაბ ბუჩუკურის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა მუშაობა გრემის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიაში, სადაც დასრულდა გუმბათისა და საკურთხევლის კონქის მხატვრობის რესტავრაცია. სამუშაოებში მონაწილეობდნენ: კარლო ბაკურაძე, ვლადიმერ გიორგაძე, ვლადიმერ გურგენიძე, სასულიერო და სამხატვრო აკადემიების სტუდენტები.

იმავე ჯგუფმა სექტემბერ-დეკემბერში იმუშავა გარეჯის კომპლექსში შემავალ საბერეების ქვაბოვან მონასტერში, სადაც დაფიქსირდა VIII-IX საუკუნეების ფრესკები, გაკეთდა მხატვრობის კონსერვაცია. გარეჯის ექსპედიცია დააფინანსეს ფონდმა „ლია საზოგადოება – საქართველო" და ძეგლთა დაცვის მთავარმა სამმართველომ.

1996 წელს იმუშავა კიდევ ერთმა ექსპედიციამ. ბუჩაანთკარში (დუშეთის რაიონი), მზეწვერის წმ. გიორგის ეკლესიაში მოხდა ფრესკების ფიქსაცია. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა გურამ ჭეიშვილი, მონაწილეობდნენ: სერგო გოცირიძე, მურმან ჩიჩგაძე, დავით ჭეიშვილი.

1997 წლის ივნისიდან ოქტომბრის ბოლომდე იმუშავა კარლო ბაკურაძის, მერაბ ბუჩუკურისა და ვლადიმერ გურგენიძის ჯგუფმა, რომელმაც მესტიის რაიონში აღადგინა ორი ძეგლი: წმ. კვირიკესა და წმ. ივლიტას ეკლესია (კალას თემი) და თფარის მთავარანგელოზის ეკლესია. სამუშაოები დააფინანსა ჰოლანდიურმა ფირმა „ჰორიზონტმა", გერმანელი მეგობრების – პროფ. როლფ შრადესა და იორგ ჰეინლეს შუამდგომლობით. მასში მონაწილეობდნენ: ზვიად ბერიძე, დავით გაგოშიძე, არჩილ გელოვანი, გიორგი დათუაშვილი, ზაზა სუმბაძე, ზაქრო შიოშვილი და სხვები.

ვრეში. მთავარანგელოზთა ეკლესია.

საკონსერვაციო სამუშაოები ზემო კრიხში

ხელმძღვანელი შალვა მელიქიძე

1991 წლის მიწისძვრებმა საგრძნობლად დააზიანა შიდა ქართლის, ზემო იმერეთისა და რაჭის ხუროთმოძღვრული ძეგლები. დაინგრა ზემო კრიხის (ამბროლაურის რაიონი) X საუკუნის მთავარანგელოზთა ეკლესიაც, ჩამოცვივდა XI საუკუნის ბრწყინვალე ფრესკები.

1996 წლის აგვისტო-ნოემბერში სპეციალისტთა ჯგუფმა (გია იაშვილი, იური კოჩეტოვი, შალვა მელიქიძე, მერაბ მირცხულავა, ლევან სულაძე, გოგი ტატიშვილი, ვანო ტატიშვილი, გოჩა ჩიტაძე, მამუკა ჩხაიძე) ზემო კრიხში საკონსერვაციო სამუ-

ზემო კრიხი. მთავარანგელოზთა ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. 1992.

ზემო ქრიხა. ქტიტორის ფრესკული გამოსახულება.

შაოები ჩაატარა. დროებით გადაიხურა ტაძრის გადარჩენილი ნაწილი, ხელახლა აშენდა ჩუქურთმიანი და ფრესკიანი ქვების შესანახი ხის ფარდულები. ეგვუფის მუშაობა დააფინანსა ფონდმა „ალია საზოგადოება – საქართველო“

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზემო ქრიხა. ხედი სამხრეთიდან. 1992



ზემო ქრიხის ეკლესია ძველი დროებითი გადახურვისაგან გასთავისუფლების შემდეგ. 1996.

ზემო ქრიხის ეკლესია ახალი დროებითი გადახურვით. 1996.

ცხავატის ეკლესიის გამაგრება

ხელმძღვანელი გშრაბ გაბეჩილაძე
ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო



ცხავატის ეკლესია გამაგრების შემდეგ. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

სარესტავრაციო სამუშაოების მიზანი იყო დალუპვას გადაერჩინა ქართლის მთიანი მხარის (ახალგორის რაიონი) ერთი საგულისხმო ხუროთმოძღვრული ძეგლი – ცხავატის მონასტრის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია (IX ს.). ნაგებობამ ჩვენამდე სანახევროდ დანგრეული სახით მოაღწია: მიწაში ჩამჯდარი ეკლესია ჩამონაქცევით დიდ სიმაღლეზე იყო

ამოვსებული; კედლების დაბზარვა სრულ განადგურებას უქადდა ტაძარსაც და მასში აქა-იქ შემორჩენილი მხატვრობის მოზრდილ ფრაგმენტებსაც. შენობის დალუპვით კი დაიკარგებოდა თავისი დროის შემოქმედებითი ძიებებითა და „ხალხური" თავისებურებით აღბეჭდილი, განუმეორებელი ინდივიდუალობის მქონე ნაწარმოები. მდგომარეობა მით უფრო საგანგაშო იყო, რომ რამდენიმე წლის წინ მოწყობილი გადახურვა არათუ იფარავდა ეკლესიას, პირიქით, ამძიმებდა დაზიანებულ შენობას. გამაგრების გარეშე ნაგებობა ზამთარს ვერარ გაუძლებდა.

1997 წელს მუშაობა ეკლესიის განმეორებით დაიწყო (პროექტის ავტორი — ნესტან თათარაშვილი). გამოვლინდა თავდაპირველი იატაკი, ტრაპეზი, კანკელის ნაშთები... ამის შემდეგ მოხდა სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლების გამაგრება. ზოგიერთი მონაკვეთი დაიშალა და ხელახლა აშენდა კარნიზის დონემდე (გარე საპირე წყობის გარეშე). ხსნარის შეყვანით ამოივსო დაბზარული ადგილები. გაიმართა ხის ნიენიებზე დაგებული ალუმინის ახალი სახურავი, ადრინდელი თუნუქით კი ეკლესიის სამხრეთის ფრთა გადაიხურა. ამას გარდა, ირგვლივ მოიჭრა ზედმეტი მცენარეულობა.

იმავდროულად მოხდა მოხატულობის დაზიანებული ფრაგმენტების გამაგრება-გასუფთავება. ნაკლული ადგილები შეივსო კირის ხსნარით, კიდეები გამაგრდა, ზედაპირი გაიწმინდა და დამუშავდა სპეციალური ხსნარით.

განხორციელებულმა სამუშაოებმა უზრუნველყო ძეგლის არსებობის გახანგრძლივება. იგი დაცული იქნება მანამ, ვიდრე შესაძლებელი გახდება მისი სრული აღდგენა. უნდა აღინიშნოს, რომ გეოლოგიური დასკვნების შესაბამისად, ტაძრის ნგრევის მიზეზი არის მიწისძვრა და არა ნიადაგის დაცურება ან მიწისქვეშა წყლები.

სარესტავრაციო სამუშაოები დააფინანსეს ფონდმა „ღია საზოგადოება — საქართველო" და ძეგლთა დაცვის მთავარმა სამმართველომ. მასში მონაწილეობდნენ: დავით და ზურაბ ამყოლაძეები, ზურაბ გაჩეჩილაძე, იოანე ჟვანია, იური რუხაია, ზვიად ქაშაკაშვილი, თემურ ჯაფარიძე.

ახალგორის რაიონი. სოფ. ცხავაგის ეკლესია გამაგრებამდე. ხედი ჩრდილოეთიდან.

ცხავატი. ინტერიერი. ფრესკის ფრაგმენტი.

ცხავატი. ფრესკის ფრაგმენტი.

გონის კანკელის გალარჩენის სამუშაოები

ხელმძღვანელი იოსებ ბანძელაძე
ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო



გონის ეკლესიის კანკელი. ფრაგმენტი. XI ს.

გონის ეკლესიის კანკელი. ფრაგმენტი. XI ს.



გონის ეკლესია (X ს.) დროებითი გადახურვის მოწყობის შემდეგ. 1997.

ისტორიული ლეჩხუმის ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში – სოფ. გონის ეკლესია 1991 წლის მეწისქვრის შედეგად კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. დაღუპვის საფრთხე დაემუქრა როგორც საკუთრივ ეკლესიას, ისე შუა საუკუნეების მქანდაკებლობის უიშვიათეს ნიმუშს – ჩუქურთმებითა და რელიეფებით შემკულ კანკელს. აუცილებელი იყო ეკლესიის სასწრაფოდ გამაგრება და კანკელის ფიქსაცია.

1997 წელს ჩატარებული სამუშაოების შედეგად, „დაკიდული კონსტრუქციის" გამოყენებით, გამაგრდა დაზიანებული კედლები, ეკლესია გაიწმინდა ნანგრევებისაგან, მოეწყო გადახურვა ძალოვან კონსტრუქციაზე ტოლის საფენით; შესრულდა კანკელის ქიმიური ანალიზი; გაკეთდა მოზრდილი ნაწილების ზუსტი ასლები; ჩატარებულმა ღონისძიებებმა განადგურებისაგან იხსნა შუა საუკუნეების მნიშვნელოვანი ძეგლი.

სამუშაოები დააფინანსეს ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველო" და ძეგლთა დაცვის მთავარმა სამმართველომ. მასში მონაწილეობდნენ: არჩილ ალადაშვილი, იოსებ ბანძელაძე, მამუკა კიკნაძე, ალექსანდრე შერმაზანაშვილი.

სხალთის ფრესკების გაწმენდა-კონსერვაცია

ხელმძღვანელი გურამ ჭეიშვილი
ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო

სხალთა. ღასაელეთ კარის თაღი. ეკლესია. ფრაგმენტი. იოანე ნათლისმცემელი.

სხალთის ღვთისმშობლის ეკლესია მდებარეობს მთიან აჭარაში, ხულოს რაიონში, მდ. ხიხანის მარჯვენა ნაპირზე, ბათუმიდან თითქმის 100 კმ მანძილზე. იგი XIII საუკუნის შუა წლებშია აგებული, ხოლო მხატვრობა XIV საუკუნეს განეკუთვნება. უდიდესი ისტორიული და მხატვრული ღირებულების (იგი აჭარაში შემორჩენილი ერთადერთი ფრესკული ნიმუშია!) ეს ძეგლი ძალზე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა: ფერადოვანი ფენა აცილებული იყო კედელს, კიდეები ცვიოდა, ზედაპირი ისე იყო გაჭვარტლული და გაჭუჭყიანებული, რომ გამოსახულებები თითქმის არ ჩანდა. სწორედ ამიტომ სრულფასოვანი ფიქსაცია დღემდე არ ყოფილა ჩატარებული. პროექტის მიზანი სხალთის მაღალმხატვრული მოხატულობის განადგურების შეჩერება, გამაგრება და შენარჩუნება, მის შესახებ რაც შეიძლება სრული დოკუმენტაციის შედგენა იყო. მუშაობის დაწყებისთანავე, მას შემდეგ, რაც ხარაჩო აღიმართა და ფრესკები დაწვრილებით დათვალიერდა, აღმოჩნდა, რომ, საბედნიეროდ, დღემდე მოღწეული ფრესკების ნავარაუდევი ფართობი 55-60 მ²-ის ნაცვლად დაახლოებით


სულიწმინდის მოფენა
ამაღლება
ზარება
ნათლისღება
ლიბანელის ადგილობრივ
ეკლესია
ნაოსი
ბეკრეს ეკლესია
ეკლესიის ბანაკი
ეკლესიის ბანაკი
ეკლესიის ბანაკი

სხალთა. დასავლეთ კედელი. „წმინდანთა სამოთხეს შესვლა“ და „საყდარი განმზადებული“. ფრაგმენტები. გაბრიელ მთავარანგელოზი და ადამი.

300 m^2 ყოფილა (ე. ი. მთლიანი ფართობის ერთი მესამედი), რაც კიდევ უფრო ზრდის სხალთის ფერწერული ანსამბლის ფასეულობას. გაირკვა აგრეთვე, რომ სიჭირო ყოფილა გაცილებით რთული და ფართომასშტაბიანი საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარება, ვიდრე ეს წინდაწინ ჩანდა.

„დაკარგული“ ადგილების დამუშავებისას გამოვლინდა არა მხოლოდ მნიშვნელოვანი დეტალები და ფრაგმენტები, არამედ მთელი სცენებიც (ხარება, ღვთისმშობლის მიძინება, ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა, სულიწმინდის მოფენა, ჰეროდეს მიერ ყრმათა მოსრეა, აგრეთვე განკითხვის დღის ფრაგმენტები...). მხატვრობა გაიწმინდა დანაშრევებისაგან (გამომარილება, ობი, ჭვარტლი), ზედაპირი გასუფთავდა სპეციალური ხსნარით, გამაგრდა დაზიანებული ადგილები. პირველად დამზადდა მხატვრობის სქემები (1:10 მასშტაბით), მათზე დაზიანების, ლაკუნებისა და განხორციელებული საკონსერვაციო სამუშაოების ჩვენებით. წმენდისა და კონსერვაციის პროცესი აღიბეჭდა ფერადსა და შავ-თეთრ ფოტოფირებზე. გაირკვა ძველი ოსტატების მუშაობის ტექნოლოგია. განისაზღვრა სამომავლო სამუშაოთა სავარაუდო ხანგრძლივობა.

სამუშაოები დააფინანსა ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველო“. პროექტში მონაწილეობდა ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოც. პროექტის განხორციელების წყალობით სხალთის მხატვრობა გადარჩა განადგურებას. მისმა გასუფთავებამ, შეიძლება



სხალთა. დასავლეთ კედელი. „წმინდანთა სამოთხეს შესვლა“, „საყდარი განმზადებული“ და „ცეცხლოვანი მდინარე“. სქემა.

ითქვას, სრულებით ახალი, დღემდე უცნობი ნაწარმოები შემატა შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებას. შესრულდა საკონსერვაციო სამუშაოების საკმაო ნაწილი, მაგრამ გასაგრძელი და გასაწმენდი დარჩა ურთულესი, ჯერელი მონაკვეთები კამარებსა და საკურთხეველის აფსიდში. ინტერიერში დადგმული ხარაჩოები აფერხებს მღვდელმსახურებას. სამუშაოების დასამთავრებლად აუცილებელია დამატებითი სახსრების გამოძებნა.

საკონსერვაციო სამუშაოებში მონაწილეობდნენ: ზურაბ არევაძე, თემურ აფციაური, გურამ ჭეიშვილი.

ხბალიძა. საქრელი კედელი „საიდუმლო სერობა", „გარდამოხსნა" და „დატირება". სქემა.

სარესტავრაციო სამუშაოები ხალხური ხელოვნებისა და ყოფის მუზეუმში

ხელმძღვანელი ზაზა ჯინჭარაძე
ხალხური ხელოვნებისა და ყოფის მუზეუმი

აკად. გ. ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხელოვნებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატების უმრავლესობას ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან გადმოტანილი საცხოვრებლები და სამეურნეო ნაგებობები წარმოადგენს. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს დასავლეთ საქართველოს (სამეგრელო, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი,



თბილისი. ხალხური ხელოვნებისა და ყოფის მუზეუმი. საერთო ხედი.

აფხაზეთი...) ყავრით გადახურულ საერო არქიტექტურის ნიმუშებს.

სახურავების დაძველება და დაზიანება განადგურების საფრთხეს უქმნიდა როგორც შენობებს (რომელნიც თავად არიან პირველხარისხოვანი ექსპონატები), ისე მათში განთავსებულ სამუზეუმო ნივთებსაც. სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოსა" და საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებით. პროექტი ითვალისწინებდა ყავრის გამოცვლას და ამით ნაგებობების დაცვას ორი ათეული წლით მაინც. რაჭაში დამზადებული მაღალი ხარისხის ყავრით თბილისში ხელახლა გადაიხურა ექსპონატ-ნაგებობები.

პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდნენ: ნოდარ ბახტაძე, რომან გარდიაშვილი, ზაზა ჯინჭარაძე და სხვები.

სვეტიცხოვლის სარესტავრაციო სამუშაოები

ხელმძღვანელი ნიკო ზაზუნაშვილი
ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრი



სვეტიცხოველი სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებამდე

1997 წელს დაიწყო სვეტიცხოვლის სარესტავრაციო სამუშაოები. ტაძრის ტერიტორიაზე მოიჭრა წლების განმავლობაში დაგროვილი მიწის ფენა, რის შედეგადაც ეზომ საშუალოდ 1-2 მეტრით დაიწია. ტაძარს თავდაპირველი იერი დაუბრუნდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მიწის დონის დაწევამ ახალი ნაგებობები გამოავლინა. ჩრდილოეთ მხარეს აღმოჩნდა აგურის თაღოვანი ნაგებობის ნაშთები, ხოლო სამხრეთით — მელქისედეკ კათალიკოსის სასახლის ქვედა ნაწილები. სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობდა მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის 6 თანამშრომელი ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით.

სამომავლოდ დაგეგმილია ახლადგამოვლენილი ნაგებობების კონსერვაცია.

1994-1997 წლებში დაცული დისერტაციები

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, ხელოვნების ისტორია)

„არგანუჯს" განსწრახული აქვს ტრადიციად აქციოს საისტორიო დარგში დაცული დისერტაციების ანოტირება. 1993 წლის მასალები უკვე გამოქვეყნდა ჟურნალის პირველ ნომრებში: № 1 (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია), № 2-3 (ხელოვნებათმცოდნეობა). ამჯერად გთავაზობთ 1994-1997 წლებში დაცული დისერტაციების ანოტაციებს.

ვიდრე აღნიშნულ რუბრიკასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს შეეხებოდეთ, გვსურს ერთ ზოგად პრობლემაზე გავამახვილოთ ყურადღება, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ვერც სწავლულ ექსპერტთა საბჭო (სადისერტაციო საბჭოების მაკოორდინირებელი ორგანო) და ხშირ შემთხვევაში ვერც საკუთრივ სადისერტაციო საბჭო (სადაც უშუალოდ ხდება დისერტაციის დაცვა) ვერ გვაწვდიან სრულ ინფორმაციას დისერტაციების შესახებ, არა აქვთ დისერტანტთა სრული ნუსხა. ზოგჯერ მათი მონაცემები განსხვავებულია. ხანდახან იმის გარკვევაც კი ჭირს, დაიცვა თუ არა ავტორმა საკუთარი ნაშრომი. ავტორეფერატი (აბსტრაქტული ტერმინოლოგიით — სადისერტაციო მაცნე) ხომ დაცვის პროცესამდე იბეჭდება, ასეთმა მითი მეშვეობით შეუძლებელია შედეგის დადგენა. სამწუხაროდ, ყველა დაცული დისერტაციის სადისერტაციო მაცნე როდი მოიპოვება ეროვნულ ბიბლიოთეკაში. სამაგიეროდ, დაუცველი დისერტაციის ავტორეფერატი ხშირად შეგხვდებათ. ისინი კი არაფრით განსხვავდება დაცულ დისერტაციათა ავტორეფერატებისაგან. აღარაფერს ეამბობთ იმაზე, რომ ხშირად ჭირს ისეთი დეტალების დადგენა, როგორიცაა დაცვის თარიღი, დაცვის ადგილი და ა. შ. აქედან გამომდინარე, ვერ ვიქნებით დაზღვეულნი შეცდომებისაგან, რისთვისაც წინასწარ ვიხდით ბოდიშს. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ინფორმაცია სადისერტაციო საბჭოებისა და სწავლულ ექსპერტთა საბჭოს (სეს) მონაცემებზე უფრო ზუსტი ნამდვილად იქნება.

მკითხველი შეამჩნევს, რომ 1996 წელს დაცულ დისერტაციათა რაოდენობა უჩვეულოდ მცირეა (სულ 3), 1997 წელს კი პირიქით, საკმაოზე მეტია — 48 (წინა წლების სურათი ამგვარია: 1994 — 32, 1995 — 31). ეს იმით არის გამოწვეული, რომ 1996 წელს, ახალი დებულების შემოღებასთან დაკავშირებით, დროებით შეწყდა სადისერტაციო საბჭოების ფუნქციონირება (აღდგა მხოლოდ დეკემბერში). ამან გამოიწვია დაცვების მომრავლება 1997 წელს.

მოგეხსენებათ, ხელოვნებათმცოდნეობა ფართო ცნებაა. ამ დარგის ყველა დისერტაციის (მაგალითად, თეატრის, კინოს, მუსიკის... სპეციალობებით დაცული) ანოტირება, ცხადია, სცდება საისტორიო ჟურნალის სპეციფიკის ფარგლებს. ქვემოთ მოცემულია მხოლოდ ქართული ხელოვნების ისტორიისა (შიფრი 1997 წლამდე — 170001) და ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (შიფრი — 170009) სპეციალობით დაცული დისერტაციები.

ყველა წარმოდგენილი დისერტაციის დაცვა შედგა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, არქეოლოგიური კვლევის ცენტრსა და ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში. ნუსხაში ერთადერთი გამონაკლისია — აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული ალ-თადმორის დისერტაცია. როგორც აგვიხსნეს, 1997 წლიდან უკვე აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტშიც ფუნქციონირებს მსოფლიო ისტორიის სადისერტაციო საბჭო. აღსანიშნავია, რომ 1997 წელს არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სადისერტაციო საბჭოები გაერთიანდა. სწორედ ამიტომ ეთნოგრაფები ნაშრომს არქეოლოგიური კვლევის ცენტრში იცავენ (ნაცვლად ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა).

ანოტირებისას მკაცრადაა დაცული პრინციპი — დისერტაციათა სათაურები უცვლელად არის წარმოდგენილი, ისევე როგორც უცვლელადაა მოცემული დისერტანტთა სახელებისა თუ მამის სახელების არაგრადიციული ფორმები; გარდაცვალების აღმნიშვნელი ნიშანი (†) დისერტანტის ხელმძღვანელთან დასმულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაცვის დროისათვის იყო გარდაცვლილი. ცხადია, იგივე ნიშანი არ არის გამოყენებული ისეთ პირებთან, რომელნიც დაცვის შემდგომ გარდაიცვალნენ; ვახტანგ ნიკოლაიშვილის საკანდიდატო დისერტაციის (1997 წ.) ავტორეფერატზე არ იყო აღნიშნული ხელმძღვანელის გვარი, მას მხოლოდ კონსულტანტი ეწერა. როგორც აგვიხსნეს, ეს არ არის დებულების დარღვევა (?!). ინფორმაციული თვალსაზრისით წარმოდგენილ ანოტაციებს ერთადერთი უაქტი აკლია: არსად, სადაც ამის ცოდნა

ევალებოდათ, არ იცოდნენ (სადისერტაციო მაცნეზეც არ იყო აღნიშნული) ანბორ ალდაევის (1995 წ.) დისერტაციის დაცვის თარიღი.

მომდევნო წლების დისერტანტებს ვთხოვთ ინფორმაცია თავად მოგვაწოდონ რედაქციაში, რათა თავიდან ავიცილოთ რაიმე ხარვეზი.

* * *

„არტანუჯმა" გადაწყვიტა გამოსცადა სამეცნიერო საზოგადოებისათვის ფრიად აქტუალურ თემას – „სამეცნიერო ხარისხის მინიჭების წესის დებულებას", რომლის უარყოფითი დეტალებისაგან გამოწვეულ შედეგებს რედაქცია არაერთხელ წაწყდა. სულთა შორის, 1999 წლის სექტემბრიდან შესაძლოა შეიცვალოს დებულება და მუდმივმოქმედი სადისერტაციო საბჭოების ნაცვლად ერთჯერადი საბჭოები დაწესდეს. ეს თითქოს დადებითი მოვლენაა, რადგან ამიერიდან დისერტაციას ეიწრო სპეციალისტთა ჯგუფი განიხილავს და არა მუდმივმოქმედი საბჭოს სპეციალისტთა სპექტრი (რომელთა უმეტესობა ხშირად შორს დგას დისერტაციის თემისაგან), მაგრამ საბოლოო ჯამში ალბათ კიდევ უფრო გაიზრდება ბიუროკრატიული ბარიერი, დისერტაციის დაცვა კიდევ 2-3 თვით გახანგრძლივდება (ერთჯერადი სადისერტაციო საბჭოს წევრთა შერჩევა, მოწვევა, აპრობაცია...). იქნებ უპრიანი ყოფილიყო მუდმივმოქმედი საბჭოების შენარჩუნება, მხოლოდ უფრო დიფერენცირებული, სპეციალიზებული სახით.

„დებულება და ინსტრუქცია საქართველოში სამეცნიერო ხარისხების მინიჭების წესის შესახებ" ძირითადად ძველი „ВАК"-ის („Высшая Аттестационная Комиссия") პრინციპებზეა აგებული. ყველაზე დიდ პრობლემას დისერტანტს უქმნის ის ჩარჩოები, რომელსაც დისერტაციის დაბეჭდვის დღიდან მის დაცვამდე სთავაზობენ. ვინც კი ამ ექვსთვიან მარათონს გაიელის, დარწმუნდება, რომ სარისხის მიღება ხშირად ნაკლებნიჭიერი და ენერგიული ადამიანისათვის უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე შედარებით ღირსეული მაძიებლისათვის.

დებულების თანახმად, საკანდიდატო დისერტაცია უნდა იყოს დასრულებული სამეცნიერო გამოკვლევა, რომელშიც გადაჭრილია მნიშვნელოვანი საკითხი, მიღებული დასკვნები კი შესაბამისი დარგისთვის გამოყენებითი ხასიათისაა. მაგრამ სეს ყოველივე ამისთვის განსაზღვრავს მხოლოდ 150 გვერდს. რა თქმა უნდა, დისერტაცია შეიძლება იყოს ძალიან მცირე მოცულობისაც (ულიღესი სამეცნიერო აღმოჩენა ხანდახან 10-15 გვერდშიც კი ჩაეტევა), მაგრამ თუკი დისერტანტს ესაჭიროება 200, 250, 300 გვერდი მის ხელთ არსებული მასალებისა და დასკვნების სრულყოფილად გადმოსაცემად?.. იგივე ითქმის სადოქტორო დისერტაციის შემთხვევაც, მხოლოდ აქ მოცულობა 300 გვერდით არის შემოსაზღვრული. ჩვენი აზრით, არ შეიძლება სამეცნიერო ნაშრომის გაზომვა გვერდების მინიმალური და მაქსიმალური ოდენობით.

დებულება უკრძალავს ავტორს სადოქტორო დისერტაციაში გამოიყენოს საკუთარი საკანდიდატო დისერტაციის ძირითადი დასკვნები და შედეგები. ხომ არ ნიშნავს ეს მეცნიერის იძულებას, შეცვალოს საკვლევი თემა და აღარ ჩაუღრმავდეს, აღარ განავრცოს თავდაპირველი სამეცნიერო ინტერესის საგანი? არადა ხანდახან ეგი გაგრძელებას საჭიროებს.

ძველი „ВАК"-ის გადმონაშთს – ე. წ. III ორგანიზაციას ვერც სეს ელევა და მხოლოდ შეცვლილი სახელით („წამყვანი ორგანიზაცია") ტოვებს, მაგრამ მისი ფუნქცია აბსოლუტურად გაუგებარი და ფორმალურია. კიდევ ერთი ზედმეტი ბარიერი სადისერტაციო მარათონში.

დებულების თანახმად, ოპონენტი არ შეიძლება იყოს იმავე კათედრის წევრი, რომელსაც წარმოადგენს დისერტანტი. ამასთან, ყველა ოპონენტი სხვადასხვა ორგანიზაციიდან უნდა იყოს. სამწუხაროდ, ჩვენს პირობებში, როდესაც სამეცნიერო კადრები მნიშვნელოვანწილად უნიფიცირებულია, ამგვარი ფუფუნების საშუალება ნაკლებად არის. ამიტომ ხშირად ისეც ხდება, რომ დისერტაციას შუა საუკუნეების ისტორიიდან ოპონენტობას უწევს უახლესი ისტორიის სპეციალისტი.

უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რაც სადისერტაციო მარათონს თან ახლავს და რაც ჟურნალმა „არტანუჯმა" (და ვფიქრობთ, სხვა სამეცნიერო ჟურნალებმაც) თავის თავზე იწვნია, არის გამოქვეყნებული შრომების განსაზღვრული რაოდენობა: საკანდიდატო დისერტაციისათვის – 3 პუბლიკაცია, რომელთაგან 1 აუცილებლად რეცენზირებად სამეცნიერო გამოცემაში უნდა იყოს გამოქვეყნებული; სადოქტორო დისერტაციის შემთხვევაში – 10 სტატია, რომელთაგან 5 უნდა იყოს რეცენზირებული. ეს პუნქტიც ისევე, როგორც დებულების ძირითადი პუნქტები, ადრინდელი „ВАК"-ის დებულების გადმონაშთია. საბჭოთა პერიოდში პუბლიკაციების მოთხოვნა განპირობებული იყო მეცნიერის კონტროლის აუცილებლობით – მაკანს ამით საშუალება ჰქონდა თვალი ედევნებინა მეცნიერის მუშაობისათვის. დღესდღეობით ამ პუნქტის უცვლელად დაგოვება აშკარად გაუმართლებელია. სამეცნიერო კრებულებსა და ჟურნალებში გახშირდა დისერტაციიდან უცვლელად ამოღებული საწილების გამოქვეყნების შემთხვევები. როდესაც ეს ვერ ესწრება (გამოცემათა არამყარი პერიოდულობის გამო), დისერტანტი ბროშურების სახით გამოსცემს დისერტაციის თავებს. შეუწყნარებელია ისიც, რომ 1-გვერდიანი სტატია და 300-გვერდიანი მონოგრაფია ერთ სიბრტყეზე განიხილება, ორივე თითო ნაშრომად ითვლება.

„არტანუჯის" რედაქცია იმედს გამოთქვამს, რომ დისერტაციის დაცვის ახალ დებულებაში ბევრი რამ ახლებურად იქნება წარმოდგენილი.

1994

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბასოვი არიფ აკიმ-ოღლი _____ სადოქტორო

ცხოვრების წესი აზერბაიჯანის ახალ ქალაქებში 1970-1980-იანი წლების დასაწყისში (ეთნო-სოციოლოგიური გამოკვლევა)

დისერტაციაში შესწავლილია ქალაქები: დაშქესანი, მინგეჩაური, ალი-ბაირამლი და სუმგაითი. ნაშრომის მეცნიერული სიახლეა ქალაქური ცხოვრების წესის ეთნიკური თავისებურებების კვლევა, ქალაქური ცხოვრების წესის სტრუქტურაში თანამედროვისა და ტრადიციულის, საერთოსა და ნაციონალურ-სპეციფიკურის ურთიერთობის ახალი კონცეფციის დამუშავება. დისერტაციის ემპირიულ ბაზას წარმოადგენს ავტორის მონაწილეობით თუ მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული ლოკალური ეთნოსოციოლოგიური გამოკითხვის მასალები.

070005 ეთნოგრაფია
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 28 დეკემბერი.

ავალიშვილი გიორგი ბიძინას ძე _____ სადოქტორო

საქართველოს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა და სატომთაშორისო ურთიერთობანი ძველი ლითონების ხანაში

ნაშრომის მიზანია არსებული არქეოლოგიური მასალისა და ავტორის საველე კვლევა-ძიების შედეგების შესწავლა-გაანალიზება, პალეომეტალების ხანაში მომხდარი სოციალური განვითარების სურათის აღდგენა-რეკონსტრუქცია, ტომთაშორისი ურთიერთობების წარმოჩენა ამიერკავკასიაში. შესწავლილია ქართველური ტომების კავშირი როგორც ერთმანეთთან, ისე წინა აზიის, ეგეოსური სამყაროს, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის მოსახლეობასთან ქ. წ. III-II ათასწლეულებსა და I ათასწლეულის დასაწყისში. დისერტაციაში ახალ არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით გააზრებულია ამიერკავკასიის ტომთა კულტურული და მიგრაციული ხასიათის კავშირურთიერთობანი ძველი აღმოსავლეთისა და ევროპის უძველეს მოსახლეობასთან.

070006 არქეოლოგია
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. 16 სექტემბერი.

ანთელავა ლიანა შალვას ას. _____ საკანდიდატო

ქართველ მხატვართა ილუსტრაციები შექსპირის საისტორიო ქრონიკებისათვის

დისერტანტის კვლევის საგანია შექსპირის საისტორიო ქრონიკებისათვის შესრულებული ილუსტრაციები. გათვალისწინებულია გრაფიკის სპეციფიკისა და ასახვის სისტემების ცვალებადობის პროცესი. ნაშრომის მიზანია ოლესია თავაძის, ზურაბ ნიჟარაძის, ალექსანდრე სლოვინსკის, ოლეგ ჭოკაძის, იური ჩიკვაიძისა და ლორეტა შენგელია-აბაშიძის ილუსტრაციების მხატვრული ანალიზის საფუძველზე მათი დამახასიათებელი ნიშნების შესწავლა. წარმოჩენილია მწერლის ნააზრევის, მისი შესატყვისი მხატვრული გამოსახვისა და წიგნის გრაფიკის სპეციფიკის ურთიერთმიმართებანი.

170001 ქართული ხელოვნების ისტორია
ხელმძღვანელი ბაბანე ალიბეგაშვილი
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი. 10 ივნისი.

ბურჭულაძე ნანა გიორგის ას. _____ საკანდიდატო

ბაბლაკ ლასხისშვილის ხატები და მათი კავშირი უბისის ტაძრის მოხატულობასთან

ნაშრომში მონოგრაფიულად არის შესწავლილი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის კოლექციაში დაცული ხატების ჯგუფი, რომელიც, ქტიტორული წარწერების თანახმად, ეკუთვნის ბაბლაკ ლასხისშვილს უბისის ტაძრისათვის შეუწირავს. ტექნიკურ-ტექნოლოგიური ხერხების კვლევა ცხადყოფს, რომ ხატები ადგილობრივ სამხატვრო სახელოსნოშია შესრულებული რამდენიმე მხატვრის მიერ. ხატები ექვემდებარება ერთიან თეოლოგიურ პროგრამას, რომლის იდეური ღერძი ღვთისმშობლის თემაა. ლასხისშვილის ხატებისა და უბისის ტაძრის მოხატულობის (XIV ს.) შედარებითი ანალიზით დადგენილია მათ შორის მჭიდრო კავშირის არსებობა. ნაშრომის დამატებით ნაწილში დაზუსტებულია უბისის ტაძრის დაარსების თარიღი (დაახლ. 826 წ.) და დადგენილია ტაძრის ისტორიის ძირითადი ეტაპები.

170001 ქართული ხელოვნების ისტორია
ხელმძღვანელი ლეილა ხუსიტაშვილი
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი. 2 დეკემბერი.

გაბუნია მანანა კალისტრატეს ას. _____ სადოქტორო

სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის ძველი ქვის ხანა

სადისერტაციო ნაშრომში გამოკვლეულია სამხრეთ საქართველოს ვულკანური ზეგნის ძველი ქვის ხანა, რომელიც აქ მოიცავს პერიოდს მილიონი წლის წინა ხანიდან ქ. წ. IX-VIII ათასწლეულებამდე. შესწავლილია რეგიონის არქეოლოგიური ძეგლები. განსაზღვრულია ცალკეული კომპლექსების ტექნიკური და ტიპოლოგიური თავისებურებანი, მათი ქრონოლოგია და კულტურული თვითმყოფადობის ნიშნები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ ფაქტორებს, რომლებმაც განაპირობა სამხრეთ საქართველოს ვულკანურ ზეგანზე მეზოლითური კულტურის ფორმირება. შესწავლილია განვითარებული მეურნეობის დარგები პალეოლით-მეზოლითის ხანაში. ავტორი საგანგებოდ ეხება შრომის იარაღების დამზადების ტექნიკას. გამოვლენილია სამხრეთ საქართველოს ვულკანური ზეგნის ზედა პალეოლითისა და მეზოლითის ხანის ეკონომიკის ძირითადი მახასიათებლები.

070006 არქეოლოგია
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. 21 ოქტომბერი.

გიგაური ლია ვლადიმერის ას. _____ საკანდიდატო

სიმეონ ერევანცის ცნობები საქართველოს შესახებ

სადისერტაციო ნაშრომის ღირსებას წარმოადგენს ქართული ისტორიოგრაფიის ასალი მასალით გამდიდრება – ითარგმნა ეჯმიაწინის კათალიკოსის სიმეონ ერევანცის (1763-1780) „მემუარები". დისერტანტმა თარგმანს გამოკვლევა დაურთო და ახალი წყაროს მეშვეობით საქართველოს ისტორიის მცირე მონაკვეთის (1763-1767 წწ.) მრავალ პრობლემას მოჰფინა ნათელი. კერძოდ, განიხილა კათალიკოსის ურთიერთობა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სთან, ერევნის ხან ალი ჰუსეინთან, წარმოაჩინა აგრეთვე მათი ურთიერთდამოკიდებულება. ავტორმა შეისწავლა კათოლიკეთა მისიონერული საქმიანობა და ამ ფონზე ერეკლე II-ის, სომეხთა კათალიკოსის სიმეონისა და ქართლის კათალიკოსის ანტონ I-ის ურთიერთობის საკითხები.

070002 საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია
ხელმძღვანელი ზაზა ალექსიძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 31 ოქტომბერი.

გოლიძე მანანა ვახტანგის ას. _____ საკანდიდატო

ქრისტიანი მისიონერების მოღვაწეობის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ინდოეთში XVI – XIX სს. I ნახევარში

დისერტაცია წარმოადგენს ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველ გამოკვლევას ინდოეთში ქრისტიანობის ისტორიის შესახებ. ნაშრომში გამოყენებული მასალები დისერტანტმა უშუალოდ ინდოეთში მოიძია. დისერტაციაში მოცემულია ქრისტიანული მისიების ისტორიის პერიოდიზაცია, განსაზღვრულია ქრისტიანი მისიონერების როლი და ადგილი ევროპის ქვეყნების ოსტ-ინდოეთის კომპანიების კოლონიური მართვის სისტემაში. აღსანიშნავია, რომ კომპანიის მოსამსახურეებისაგან განსხვავებით, სამეფო ხელისუფლება საკმაოდ სწყალობდა მისიონერებს ფინანსურად და მორალურად. ახსნილია იეზუიტთა ორდენის გაუქმების ნამდვილი მიზეზები, რაც გამოწვეული იყო არა მისიონერული საქმიანობის პრინციპების დარღვევით (ქადაგებისას ქრისტიანობის „ინდიანიზაცია"), არამედ ორდენის მეტისმეტი სიძლიერით. იეზუიტთა გაძლიერება იწვევდა სხვა ორდენებისა და პაპის ხელისუფლების შიშს. ავტორი ცდილობს ახლებურად მიუდგეს კოლონიალიზმის ისტორიას, ქრისტიან მისიონერთა მიზნებსა და მათი ოსტ-ინდოეთის კომპანიასთან ურთიერთობის საკითხებს.

070003 მსოფლიო ისტორია
ხელმძღვანელი ალბერტ მენთეშაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 26 იანვარი.

გოგოლიშვილი ოთარ გერონტის ძე _____ საკანდიდატო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება აჭარაში 1902-1910 წლებში

ნაშრომში გაშუქებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1902-1910 წლებში. საარქივო მასალებზე დაყრდნობით ახლებურად არის წარმოჩენილი პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების მოღვაწეობა, რუსეთის კოლონიური პოლიტიკა აჭარაში, ცარიზმის მიერ წარმოებული კამპანია ქართველი მუსლიმების წინააღმდეგ (ე. წ. „აბაშიძეთა საქმე"). ობიექტურად არის შესწავლილი დიდი მამულიშვილების – ლუკა ასათიანის, ივანე ანდრონიკაშვილისა და სხვათა მოღვაწეობა.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი შმანმა სიდამონიძე
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 25 ოქტომბერი.

გომართელი ნინო ნიკოლოზის ას. _____ საკანდიდატო

ტომას მორი, როგორც თავისი ეპოქის ისტორიკოსი

სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველ გამოკვლევას ტომას მორის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ავტორი მის თხზულებებზე („ლათინური ეპიგრამები", „რიჩარდ III-ის ისტორია", „უტოპია") დაყრდნობით ტომას მორს წარმოაჩენს როგორც XVI საუკუნის ინგლისის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საუკეთესო მცოდნესა და პირუთვნელ ისტორიკოსს. ტომას მორისადმი მიძღვნილი ლათინურენოვანი თხზულებები დისერტანტის მიერ თარგმნილია ქართულად და შემოტანილია სამეცნიერო ბრუნვაში.

070003 მსოფლიო ისტორია
ხელმძღვანელი მზია ჟორდანია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 22 ივნისი.

თადუმაძე მაია აკაკის ას. _____ საკანდიდატო

საეკლესიო გლეხების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში (XIX საუკუნის პირველი ნახევარი)

ნაშრომში წარმოდგენილია საეკლესიო გლეხების ცხოვრება XIX საუკუნის I ნახევარში, დადგენილია საეკლესიო კომლთა რაოდენობა და განსახლება სოფლების მიხედვით (როგორც

აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში). დადგენილია, რომ XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან საეკლესიო გლეხთა მეურნეობაში ფულად რენტას წამყვანი ადგილი ეჭირა. დისერტაციაში ნაჩვენებია საეკლესიო გლეხთა შრომითი ბეგარის თავისებურება, წარმოდგენილია მონაცემები მიწათსარგებლობის ისეთ ახალ ფორმებზე, როგორიცაა ნასყიდი და საიჯარო. საეკლესიო გლეხებს შესწავლილია სოციალური თვალსაზრისითაც. გლეხებს შორის საკმაოდ იყვნენ ვაჭრები, ხელოსნები, დღიური მუშები, რაც ფულად-სასაქონლო ურთიერთობების განვითარებაზე მიუთითებს.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი [illegible] ORCHONIKIDZE
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 18 იანვარი.

თევდორაშვილი ირინა ნუგზარის ას. _____ საკანდიდატო

აპარტეიდი და ეთნოკონფესიონალური ურთიერთობები სამხრეთ აფრიკაში XIX ს. – 1948 წელი

დისერტაცია წარმოადგენს ჩვენს ისტორიოგრაფიაში პირველ მონოგრაფიულ გამოკვლევას, რომელშიც კომპლექსურად არის შესწავლილი აპარტეიდის სისტემის აღმოცენებისა და დამკვიდრების ისტორიული წანამძღვრები. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეთნოკონფესიურ ურთიერთობათა ევოლუცია ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ფონზე. სადისერტაციო ნაშრომის დასკვნების გამოყენება შეიძლება სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე პროცესების გასაშუქებლად, ეთნიკური ვითარებისა და ერთაშორისი ურთიერთობის საკითხების შესასწავლად.

070003 მსოფლიო ისტორია
ხელმძღვანელი ალბერტ მენთეშაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 9 მარტი.

თუშაბრამიშვილი ნიკოლოზ დავითის ძე _____ საკანდიდატო

დასავლეთ საქართველოს შუა პალეოლითი და მისი ზედა პალეოლითზე გადასვლის ეტაპები (ორთვალა კლდის მასალების მიხედვით)

ნაშრომს საფუძვლად უდევს ორთვალა კლდეში თითქმის 20 წლის განმავლობაში ჩატარებული საველე სამუშაოებისას მოპოვებული არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური და პალეონტოლოგიური მასალები, პალინოლოგიური კვლევის შედეგები, აგრეთვე რიონ-ყვირილის აუზის სტრატიფიცირებულ ძეგლებსა და სხვა სადგომებში მიკვლეული ქვის ინვენტარი. პირველად დადგინდა სპეციფიკური შუა პალეოლითური ინდუსტრია, რომელიც ატარებს საქართველოს სხვადასხვა ლოკალურ-კულტურული ჯგუფისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. ძეგლის ინდუსტრიის ჰიბრიდული სახე დაკავშირებულია როგორც დიფუზიურ მოვლენებთან, ისე სხვადასხვა კონტაქტებთან და მცირე მიგრაციებთან. ორთვალა კლდეშიც შუადან ზედა პალეოლითზე გადასვლა ხდებოდა მუსტიეს ტექნოლოგიის საფუძველზე, ტექნოლოგიის თანდათანობითი შეცვლით. არსებული მონაცემების საფუძველზე მოცემულია მცდელობა ორთვალა კლდის ადრე ზედა პალეოლითის დათარიღებისა – ეს პერიოდი შესაძლებელია თავსდებოდეს 31.650±240 – 28.500±940 ჩარჩოებში.

070006 არქეოლოგია
ხელმძღვანელი [illegible] ХАШАРИДЗЕ
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. 10 ივნისი.

კლდიაშვილი ანა გივის ას. _____ საკანდიდატო

ვარძიის ანანაურის ეკლესიის მოხატულობანი

სადისერტაციო ნაშრომში მოცემულია ვარძიის კლდეში ნაკვეთ მონასტერში მდებარე ე. წ. ანანაურის ეკლესიისა და მისი დასავლეთ ეგვტერის მოხატულობის დეტალური ანალიზი. ეგვტერის მხატვრობა XIII საუკუნის I ნახევარშია შესრულებული, თვით ანანაურის ეკლესიისა კი – XV საუკუნის II ნახევარში. განსაზღვრულია მოხატულობათა იკონოგრაფიული და სტილისტური თავისებურებანი, მათი დამოკიდებულება თანადროულ (როგორც ქართულ, ისე ბიზანტიურ)

მონატულობებთან. პირველადაა განხილული დასავლეთ ეგვიპტერსა და ეკლესიაში შემორჩენილი ქტიტორული პორტრეტები, მათი იკონოგრაფიული თავისებურებანი, მოცემულია ამ ისტორიულ პირთა საკარაულო იდენტიფიკაცია.

170001 ქართული ხელოვნების ისტორია
ხელმძღვანელი ნათელა ალადაშვილი
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი — ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაძღარაშვილი ლალი ბიძინას ას. _____ საკანდიდატო

სულიერი კულტურის საკითხები XIX საუკუნის ქართულ პრესაში („ივერიისა“ და „დროების“ მიხედვით)

სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ პრესაში („ივერია“, „დროება“) გაბნეული სულიერი კულტურის საკითხებთან დაკავშირებული მონაცემების თავმოყრის, თემატური სისტემატიზაციისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ჭრილში განხილვის ცდას. ნაშრომში შეძლებისდაგვარად წარმოჩენილია კორესპონდენციების ავტორთა სახელები (ალექსანდრე გარსევანიშვილი, იოსებ დავითაშვილი, ალექსანდრე ხახასაშვილი, მოსე ჯანაშვილი...). დისერტაციაში წარმოდგენილია საკითხი „შელოცვების“ შესახებ.

070005 ეთნოგრაფია
ხელმძღვანელი სიმონ ყანტარიშვილი
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, 9 ნოემბერი.

ეშვილდაძე მარიკა გოდერძის ას. _____ საკანდიდატო

რომაული ხანის ბიჭვინთის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი)

დისერტაცია წარმოადგენს ბიჭვინთის ნაქალაქარზე აღმოჩენილი გლიპტიკური მასალის შესწავლის პირველ ცდას. იგი ალადგენს პიტიუნტის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპს (II-IV სს.). ნაშრომში პირველად მოხდა აღნიშნული მასალის ატრიბუცია და ინტერპრეტაცია სტილისტურ-ქრონოლოგიური და ტექნოლოგიურ-ფუნქციური პრინციპით. დადგინდა გლიპტიკური ძეგლების ადგილი და როლი ბიჭვინთის საქალაქო ცხოვრებაში. ჭრილა ქვებზე დატანილი გამოსახულებების მიხედვით გამოვლინდა მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენათა თავისებურებანი, დადასტურდა ბერძნულ-რომაული წარმართული პანთეონის არსებობა პიტიუნტში.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი ბერამ ლორთქიფანიძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 29 ივნისი.

ჭელიძე გიორგი ლეონიდეს ძე _____ სადოქტორო

ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები (1892-1921 წწ.)

სადისერტაციო ნაშრომში პირველად არის მონოგრაფიულად შესწავლილი აღნიშნული პერიოდის ქუთაისის ისტორია. დიდძალი საარქივო და პერიოდული მასალის მიხედვით გამოვლენილია დღემდე უცნობი მრავალი ფაქტი. წარმოდგენილია ქუთაისის საქალაქო მეურნეობა, მოსახლეობის ცხოვრების დონე, ეკონომიკა, მუნიციპალიტეტის საქმიანობა, განათლებისა და კულტურის სფეროები... ნაჩვენებია ქუთაისის როლი იმ პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

070001 საქართველოს ისტორია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 20 ივნისი.

ნიორაძე მედეა გიორგის ას. _____ სადოქტორო

ძველი ქვის ხანის მღვიმე-ნამოსახლარები წყალწითელას ხეობაში

ნაშრომში კომპლექსურად არის შესწავლილი წყალწითელას ხეობის შუა პალეოლითური ხანის მღვიმე-ნამოსახლარები. გამოკვლეულია ხეობაში ადამიანის თავდაპირველი დასახლების საკითხი. განხილულია მღვიმეებში წარმოდგენილი ინდუსტრიის ტექნიკურ-ტიპოლოგიური, ფერსახე, მოცემულია მათი შედარებითი ქრონოლოგია, გარკვეულია კულტურული კუთვნილების საკითხი. ძეგლების ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე იკვეთება მუსტიეს ეპოქის ინდუსტრიული კომპლექსები. ძეგლთა ინდუსტრიების ტექნიკურ-ტიპოლოგიური მახასიათებლების ურთიერთშედარების გზით წყალწითელას ხეობის მღვიმეები შეპირისპირებულია დასავლეთ საქართველოს, კავკასიის, ახლო აღმოსავლეთისა და წინა აზიის ტერიტორიებზე არსებულ შუა პალეოლითურ ძეგლებთან.

070006 არქეოლოგია
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. II ოთხვარი.

ონიკაძე დოდო დავითის ას. _____ საკანდიდატო

სოციალისტ ფედერალისტთა პარტიის ეროვნული პროგრამა და ბრძოლა მისი განხორციელებისათვის

სადისერტაციო ნაშრომში საარქივო მასალების, პერიოდული პრესისა და არსებული გამოკვლევების მიხედვით შესწავლილია საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ისტორია მისი არსებობის მანძილზე (1901-1923 წწ.). წარმოჩენილია პარტიის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის დეტალები, ეროვნული პროგრამის, პარტიული სტრატეგიისა და ტაქტიკის ევოლუციის ეტაპები. განხილულია პარტიის მუშაობა ქართველი ერის კონსოლიდაციისა და პოლიტიკურ პარტიათა ეროვნულ ნიადაგზე გაერთიანებისათვის ბრძოლაში. დისერტაციაში ნაჩვენებია პარტიის როლი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების მუშაობაში.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი ლეილა ბოჭორიშვილი
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 28 აგვისტო.

სარალიძე ლიანა შაქროს ას. _____ საკანდიდატო

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიები დასავლეთ ევროპაში 1918-1921 წწ.

ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიების როლის შესწავლას საქართველოს „დე ფაქტო" და „დე იურე" ცნობის საქმეში, ასევე საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მოღვაწეობის შესწავლას დასავლეთ ევროპის ცალკეულ სახელმწიფოებში (საფრანგეთი, იტალია, ინგლისი, გერმანია, შვეიცარია, პოლონეთი).

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი ციცა ბაბაღეა
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 6 დეკემბერი.

სიმონიშვილი ნინო მიხეილის ას. _____ საკანდიდატო

ყინწვისის ღვთისმშობლის ეკლესიის მოხატულობა

დისერტაცია წარმოადგენს შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური მხატვრობის ნიმუშის – ყინწვისის ღვთისმშობლის ეკლესიის მოხატულობის მონოგრაფიული შესწავლის ცდას. ნაშრომის მიზანია ძეგლის თარიღის დაზუსტება, მხატვრობის იკონოგრაფიულ-სტილისტურ თავისებურებათა გამოვლენა, მისი მნიშვნელობის დადგენა შუა საუკუნეების ქართული და აღმოსავლურ-ქრისტიანული ხელოვნების ისტორიისათვის. მხატვრობა დათარიღებულია XIII საუკუნის დასასრულით, რითაც

დაზუსტებულია თინათინ ვირსალაძის მოსაზრება. ნაშრომში ახლებურად არის წარმოდგენილი აღმოსავლურ-ქრისტიანული იკონოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემის — „მოციქულთა ზიარების" იკონოგრაფიული სქემის ჩამოყალიბებისა და განვითარების საერთო პროცესი. დადგენილია ის მიზეზები, რომელთაც განსაზღვრეს XIII საუკუნის II ნახევრის ორ ქართულ ძეგლში — ჯობაირისა და ყინწვისის მცირე ეკლესიის აფსიდებში წარმოდგენილი „მოციქულთა ზიარების" უნიკალური რედაქციების წარმოქმნა. ამ მხრივ წარმოდგენილი გამოკვლევა საყურადღებო მასალას სთავაზობს ამ პერიოდის ქართულ-ბიზანტიურ ურთიერთობათა მკვლევარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

170001 ქართული ხელოვნების ისტორია
ხელმძღვანელები: ანელი ჯოლოკავა, ზურაბ ეუფელი
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი. 28 ივნისი.

სოლოღაშვილი ნანა ვალიკოს ას. _____ საკანდიდატო

კახეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა XVIII საუკუნის პირველ მესამედში

ნაშრომში მონოგრაფიულად არის შესწავლილი XVIII საუკუნის I მესამედის კახეთის სამეფოს ისტორიის რიგი საკვანძო საკითხები: ურთიერთობები ქართლის სამეფოსთან, „ლეკიანობა" და „ოსმალობა", მეფეების — დავითისა და კონსტანტინეს პოლიტიკური ჰაბიტუსი. დისერტაცია შესაძლებლობას იძლევა გასწორდეს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ზოგიერთი უზუსტობა.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი ნოდარ ასათიანი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 14 მარტი

სტეფნაძე მაია ჯემალის ას. _____ საკანდიდატო

ნარკვევები ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორიიდან

დისერტაციაში განხილულია რუსი მემატიანის — წინამძღვარ დანიელის თხზულება „მიმოსვლა წმინდა მიწაზე" (1105-1107 წწ.). შეფასებულია მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისათვის. ზეულფის „მოგზაურობასთან" (1102-1103 წწ.) პარალელით გარკვეულია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ იერუსალიმის მეფის ბალდუინ I-ის მხარდაჭერით 1103-1105/07 წლებში აღადგინა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი. დადგენილია, რომ ქრისტეს საფლავის ეკლესიაში, აღდგომის წირვაზე, ქართველთა საბაწმიდის ლავრას ცალკე ადგილი ჰქონდა დათმობილი. დისერტანტის აზრით, ოსარის მეორე ისტორიკოსისა და მიქელ პანარეტოსის მიერ აღწერილი ქართველთა ლაშქრობა ტრაპიზონში სხვადასხვა დროს განეკუთვნება, ამასთან, მეორე ოპერაცია (1204 წელს ალექსი კომნენოსის გამეფება) იძულებითი ნაბიჯი იყო.

070003 მსოფლიო ისტორია
ხელმძღვანელი ბუბა ჯორდანია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 30 ივნისი.

სურგულაძე ირაკლი კონსტანტინეს ძე _____ სადოქტორო

ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა

სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია ქართული ხალხური ორნამენტის ნიმუშები (რქანი, ჯვარი, სვასტიკა, ბორჯღალი, ასტრალური ფიგურები), მოცემულია მათი სიმბოლური გააზრების მცდელობა. გაკეთებულია რიგი დასკვნები: 1. ორნამენტისტი ხალხში ავტორიტეტით სარგებლობდა; 2. შეიმჩნევა კავშირი ტოტემურ წარმოდგენებთან; 3. ჯვრის სიმბოლიკა მიანიშნებს მზისა და მზიური ძალების მიმართებაზე ქვეყნიერების ოთხ მხარესთან (იგი შემდეგ ახალი შინაარსით დატვირთა ქრისტიანობამ); 4. კოსმოსური წარმოდგენების განვითარებამ წარმოშვა სვასტიკის სიმბოლო; 5. ბორჯღალი წარმოადგენს მრავალფრთიან სვასტიკას და მიანიშნებს ხალხურ წარმოდგენაზე მცხუნვარე მზის მარადიული მოძრაობის შესახებ; 6. პლანეტა ვენერას გამოსახულება დაკავშირებულია ბუნების აღორძინების ძალებთან, ქართველთა წარმოდგენებში მას შეესაბამება ღვთაება დალი;

7. დედაბოძის დეკორის ცენტრის გამოსახულება გამოხატავს მზე-მთვარის მორიგეობას ცარგვალზე; 8. ასტრალური ორნამენტაციის შესწავლის საფუძველზე დასმულია საკითხი ქართულ წარმართულ პანთეონში მთვარის ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ არსებული საეჭვო კონცეფციის გადასინჯვის თაობაზე; 9. საცხოვრებლის ინტერიერი საკრალური მნიშვნელობის მატარებელია, ხოლო დედაბოძი ცხოვრების ხის მითოსური იდეის ყველაზე სტაციონარული, მოხუმტური სახეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა ეთნოგრაფია ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 15 ივნისი.

ფარსადანიშვილი ანგი არჩილის ძე _____ სადოქტორო

უცხოური კაპიტალი საქართველოში XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს

დისერტაციაში შესწავლილია უცხოური კაპიტალის როლი და ხვედრითი წილი საქართველოს სამრეწველო ცხოვრებაში XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე. პერიოდული პრესისა და მდიდარი საარქივო მასალის გამოყენებით დისერტანტი ამტკიცებს, რომ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში საქართველოს ეკონომიკის გასაძლიერებლად სხვა ალტერნატივა თითქმის არ არსებობდა.

070001 საქართველოს ისტორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 7 ივნისი.

ფხაკაძე გურანდა გრიგოლის ას. _____ სადოქტორო

დასავლეთი ამიერკავკასია ძვ. წ. III ათასწლეულში

ნაშრომი წარმოადგენს ადრებრინჯაოს ხანის (ქ. წ. III ათასწლეული) დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის მოლიანობაში შესწავლისა და განზოგადების პირველ მონოგრაფიულ ცდას. კვლევის კომპლექსური მეთოდის გამოყენებით შესწავლილია ავტორის ხელმძღვანელობით უკანასკნელ პერიოდში გათხრილი ძეგლები. ახლებურად არის გააზრებული და დათარიღებული ადრე გამოვლენილი ძეგლები, აგრეთვე დასავლეთ ამიერკავკასიის სხვადასხვა მუზეუმში დაცული მასალები. ქ. წ. III ათასწლეულში დასავლეთ ამიერკავკასიაში დისერტანტი გამოყოფს ორ სინქრონულ კულტურას: მტკვარ-არაქსისა (რიონ-ყვირილის აუზში) და კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის კულტურას (კოლხეთის დაბლობზე და მიმდებარე ბორცვიან ზოლში). უკანასკნელი ტერმინი ავტორს შემოაქვს მის მიერ გამოყოფილი კულტურის აღსანიშნავად. დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურის გვიან საფეხურზე დისერტანტი განსაზღვრავს ორ ლოკალურ რეგიონს (რიონ-ყვირილის აუზი და ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთი).

070006 არქეოლოგია არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. 25 იანვარი.

ქურციკიძე შორენა ანრის ას. _____ საკანდიდატო

ზოროასტრიზმის გადმონაშთები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ტრადიციულ ყოფასა და კულტურაში

სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა რელიგიურ ტრადიციებში შემორჩენილი ზოროასტრული ელემენტების შესწავლას გადმონაშთების თეორიის მიღწევათა საფუძველზე. ნაშრომში სათანადოდ არის დახასიათებული მაზდეანური დაკრძალვის წესები, განწმენდასთან დაკავშირებული რიტუალები. ახლებურადაა წარმოდგენილი საქართველოში ზოროასტრიზმის გავრცელების დროისა და პირობების საკითხი. კრიტიკულად არის გაანალიზებული ქართულ ტრადიციულ ყოფასა და კულტურაში ზოროასტრიზმის ელემენტების „ოსური" გზით დამკვიდრების ვერსია, აგრეთვე საქართველოში ზოროასტრული რელიგიის გვიანდელ ხანაში – V-VII საუკუნეებში გავრცელების თვალსაზრისი.

070005 ეთნოგრაფია ხელმძღვანელები: პ. ალექსანდრე რუბაქიძე, ზახარია ბიჭიკვანი ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 10 იანვარი.

შუბლაძე თენგიზ შალვას ძე _____ საკანდიდატო

ქართველ მეთაურთა სამჭედლო
(ქართული სამხედრო სკოლების ისტორია და ეროვნული სამეთაურო კადრების მომზადების პრობლემები)

ნაშრომში განხილულია ქართველ მეფე-მხედართმთავართა მოღვაწეობის ასპექტები. წარმოჩენილია ქართული ჯარის სტრუქტურების სრულყოფის ხანგრძლივი გზა. დადგენილია თანმიმდევრობა მუდმივ და ფეოდალურ ლაშქარს შორის. განხილულია XIX საუკუნეში რუსეთის რეგულარულ არმიასთან ერთად მებრძოლი ქართული სახალხო ლაშქრის წყობა, საბრძოლო გამოცდილება. შესწავლილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიისა და არმიის, აგრეთვე შემდგომი პერიოდის ქართული წითელი დივიზიების ისტორია. დისერტაციაში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი საბჭოთა საქართველოში არსებულ სამხედრო სასწავლებელთა ისტორიას.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი ელგუჯა მამუკელაშვილი
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 24 მაისი.

ჩანტლაძე ნათია თამაზის ას. _____ საკანდიდატო

მხითარ გოშის ტრაქტატი „ქართველთათვის"

სადისერტაციო ნაშრომში პირველად არის წარმოდგენილი მხითარ გოშის ტრაქტატის – „ქართველთათვის" გამოკვლევა და ტექსტის ქართული თარგმანი. ეს თხზულება, როგორც საისტორიო წყარო, მრავალმხრივ არის საყურადღებო. იგი იძლევა საინტერესო ცნობებს XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე სომხეთ-საქართველოს ურთიერთობების, აგრეთვე სომხური, ქართული, ბერძნული, რომაული და სირიული ეკლესიების შესახებ.

070002 საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია
ხელმძღვანელი ზაზა ალექსიძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 19 დეკემბერი.

ჭიჭიშვილი გიორგი გურამის ძე _____ საკანდიდატო

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (მესხეთის) ისტორიული გეოგრაფიის საკითხები ანტიკურ ხანაში

ნაშრომში შესწავლილია მესხეთის (მოსხიკეს) ტერიტორიული სტრუქტურა და მისი ევოლუცია. წარმოჩენილია ისტორიული პროვინციის პოლიტიკურ-ეთნიკური გეოგრაფიის პრობლემები. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დანაწილების საკითხს, სტრაბონისეულ პარიადრესა და მოსხურ მთებს, პარიადრეს კალთებს, ხორზენეს... ავტორი კრიტიკულად უდგება III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნის დასაწყისში დიდ არმენიაში ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის – „მესხეთის საპიტიახშოს" არსებობის საკითხს.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი დავით მესხელიშვილი
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 28 აგვისტი.

ჯუბაბრია რუსუდან გიორგის ას. _____ საკანდიდატო

სომხური წყაროები აღა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წლის 11 სექტემბერს თბილისის აოხრებასთან დაკავშირებით

დისერტაციაში თარგმნილი და გაანალიზებულია ორი ახალი სომხური წყარო – სერობეს „აღა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წლის 11 სექტემბერს დედაქალაქ ფაიტაკარანის გადაწვის მოკლე ისტორია" და ანონიმი ავტორის თხზულება. აღნიშნულ წყაროთა, აგრეთვე ისტორიოგრაფიაში არსებულ სხვა

მონაცემთა (იაკობ ბებუთოვის, არტემ არარატელის, შამხი-მელქის თხზულებანი) კრიტიკული ანალიზით შეფასებულია სომეხთა გარკვეული ჯგუფების როლი თბილისის დაცემის საქმეში.

070002 საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია
ხელმძღვანელი ბატა ალიხანიძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 30 ივნისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანჯალია მზია ბერისის ას. _____ საკანდიდატო

წმ. ნინოს ცხოვრების ციკლი ბოდბის ტაძრის მოხატულობაში

ნაშრომში წარმოჩენილია XIX საუკუნის დასაწყისის ქართული მხატვრობის თავისებურებანი. გამოკვლეულია წმ. ნინოს განსასვენებლის – ბოდბის წმ. გიორგის ტაძრის მოხატულობა. შესწავლილია რიგი ხელოვნებათმცოდნეობითი საკითხები.

170001 ქართული ხელოვნების ისტორია
ხელმძღვანელი ანელი ჟვანია
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი.

ჯაფარიძე ბერჩა ირაკლის ძე _____ სადოქტორო

საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის მუსლიმური სამყარო XII საუკუნესა და XIII საუკუნის პირველ მესამედში

სადისერტაციო ნაშრომში ახლად გამოვლენილი ფაქტების ფონზე გაანალიზებულია საქართველოს ურთიერთობის მთელი რიგი ასპექტები მახლობელ მუსლიმურ სამყაროსთან. განხილულია ის საგარეო პოლიტიკური ფაქტორები, რამაც დავით აღმაშენებელს 1099 წელს შეაძლებინა ხელჩუკებისათვის ხარკის გადახდის შეწყვეტა. პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში განხილულია მეზობელი თურქული პოლიტიკური ერთეულების (ორთუკიდები, ახლაბიდები, შაჰ-არმენები, ყარსის, სურმარისა და არზრუმის საამიროები) ისტორია და მათი სამხედრო კონფრონტაცია საქართველოსთან ჩრდილოეთ სომხეთის პოლიტიკურ ფრონტზე. გამოკვლეულია ქართველ მეფეთა ურთიერთობა ათაბიდთა სასულთნოსა და მის ჩრდილოეთ ფორპოსტთან – ხლათის სამფლობელოსთან. გარკვეულია ბასიანის ბრძოლის (1202 წ.) მიზეზები, დაზუსტებულია ადგილი. ნაჩვენებია ქართული დიპლომატიის ძალისხმევა 1220/21 და 1231/32 წლებში მუსლიმურ სახელმწიფოებთან ერთად ანტიმონღოლური კოალიციის შექმნისათვის, აგრეთვე ხვარაზმელთა ლაშქრობისას საქართველოს პოლიტიკური იზოლაცია მახლობელი აღმოსავლეთისაგან. წარმოჩენილია ქართული ქრისტიანობის ისლამთან იდეოლოგიური ბრძოლის მეთოდები და ფორმები, ტოლერანტობა, როგორც სახელმწიფო პოლიტიკა.

070001 საქართველოს ისტორია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 27 ივნისი

1995

ავბერეშვილი მზია გურამის ას. _____ ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე გომართელის ცხოვრება, ესთეტიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები

ნაშრომში შესწავლილია ივანე გელეონის ძე გომართელის ცხოვრება და შემოქმედება. ახლებურად არის გაანალიზებული მისი ნაწერები, გაანალიზებულია მისი მსოფლმხედველობის არსი. ყურადღება გამახვილებულია იმ ნაშრომებზე, რომლებშიც წარმოჩენილია ისტორიული, ფილოსოფიური და სოციოლოგიური საკითხები.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელები: † ბრიგოლ მარშანია, ლეონა ბიძინაშვილი
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 28 მარტი.

აიდაევი ანზორ ოუშას ძე _____ საკანდიდატო

კულტურული აღმშენებლობა და სახალხო განათლება ჩეჩნეთ-ინგუშეთში XX საუკუნის 20-30-იან წლებში

სადისერტაციო ნაშრომში სოციალურ-ეკონომიკური წანამძღვრების ფონზე შესწავლილია საგანმანათლებლო მოძრაობა და მისი თავისებურებანი ჩეჩნეთსა და ინგუშეთში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში. გაშუქებულია ის კულტურულ-ისტორიული ფაქტორები, რამაც განაპირობა განმანათლებლობის ჩასახვა და განვითარება ჩეჩნეთ-ინგუშეთში, მისი კავშირი ეროვნების საერთო სოციალურ-კულტურული განვითარების პროცესთან. მოცემულია საგანმანათლებლო მოძრაობის პერიოდიზაცია. სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად არის შემოტანილი რიგი საარქივო მასალები.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი ამრან მამსელოვი
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

არახამია გრიგოლი მიხეილის ძე _____ სადოქტორო

„ქართლის ცხოვრების" პირველი მატიანის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული შესწავლის საკითხები

ნაშრომი „ქართლის ცხოვრების" პირველ მატიანესთან – „მეფეთა ცხოვრებასთან" დაკავშირებულ წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიულ საკითხთა მონოგრაფიული შესწავლის პირველი ცდაა. განხილულია მატიანის მოცულობის დადგენის მეთოდიკა. მოცემულია აღნიშნული საკითხის კვლევაში ტექსტის შინაარსობრივი ანალიზის უპირველესი მნიშვნელობის დასაბუთება. შერჩეული და დაზუსტებულია ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც უნდა გაიმიჯნოს პირველი მატიანის ტექსტი მოდევნო თხზულებათაგან. ჩატარებული შინაარსობრივი ანალიზი ახალ არგუმენტებს მატებს ისტორიოგრაფიაში უკვე გამოთქმულ თვალსაზრისს, რომლის თანახმად, „მეფეთა ცხოვრების" ტექსტი მოიცავს მონაკვეთს უძველესი დროიდან აშოტ ბაგრატიონის „გამეფებამდე" (VIII-IX საუკუნეთა მიჯნა). დისერტანტს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ „მეფეთა ცხოვრება" ერთჯერადი შემოქმედებითი აქტის შედეგია, წინააღმდეგ თვალსაზრისისა, რომელიც თხზულების ცალკეული ნაწილების დაწერას სხვადასხვა დროს მიაკუთვნებს. მოცემულია აგრეთვე თხზულებაში სხვადასხვა ეპოქის ინფორმაციული ნაკადების თანაარსებობისა და ტექსტის სტრუქტურული სიფრცელის ახსნის ცდა. დაზუსტებულია „მეფეთა ცხოვრების" ეკრისტაკის საკითხები. აღდგენილი და გამართულია ტექსტის დამახინჯებული და ბუნდოვანი ადგილები.

070002 საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 14 ნოემბერი.

ბახტაძე მიხეილ ალექსანდრეს ძე _____ საკანდიდატო

საერისთავო „ქუეყნები" და ერისთავობის ინსტიტუტი XI-XV საუკუნეების საქართველოში

ნაშრომში დადგენილია XI-XV საუკუნეებში საქართველოში არსებული საერისთავოების სია (ქართლის, კლდეკარის, ქსნის, არაგვის, კახეთის, ჰერეთის, აფხაზთა, ცხუმხევსურეთის, ოდიშის, არგვეთის, ჯრუჭის, არტანუჯის, კალმახის, ყველის, შავშეთის, ახალქალაქის (ლავანეთის), სამცხის, ტაოს); ერისთავთა ქრონოლოგიური ნუსხები (თითოეული საერისთავოსათვის ცალ-ცალკე). განხილულია ერისთავობის ინსტიტუტთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები: ერისთავისა და ერისთავ-ერისთავის, ერისთავისა და მონაპირეს ურთიერთმიმართება; ერისთავობის საკითხი დავით აღმაშენებლის ცენტრალისტურ პოლიტიკაში; ერისთავად კურთხევის წესი; ერისთავის ფუნქციები; საერისთავოს სტრუქტურა; საერისთავოს ადგილი ფეოდალური მიწათმფლობელობის სისტემაში; ერისთავობის როგორც ადგილობრივი მმართველობის სისტემის მოშლა.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი ნოდარ შოშიაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 4 დეკემბერი

გამცემლიძე დავით ავთანდილის ძე _____ საკანდიდატო

კონსტანტინე მამაცაშვილი: ცხოვრება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა

სადისერტაციო ნაშრომში მონოგრაფიულად არის გამოკვლეული რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტის, მწერლის, საზოგადო მოღვაწის – კონსტანტინე მამაცაშვილის ცხოვრება და შემოქმედება. გაშუქებულია კ. მამაცაშვილის გვარის წარმოშობასთან, მის ოჯახთან დაკავშირებული საკითხები. აღწერილია სამხედრო მოღვაწეობა, მისი აქტიური მონაწილეობა კავკასიის ომებში, სამხედრო კარიერა. წარმოჩენილია კ. მამაცაშვილის წვლილი საგლეხო რეფორმის გატარების საქმეში.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი ჯუმბერ ოდიშელი
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 10 თებერვალი.

დუნდუა თეიმურაზის ძე _____ სადოქტორო

ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (ძვ. წ. VI ს. – 1453 წ.)

საშრომი წარმოადგენს ქართველური სამყაროს სოციალურ-ეკონომიკური ევოლუციის ზოგადი საკითხების შესწავლის ცდას. გაანალიზებულია დასავლეთისა და აღმოსავლეთის დიალექტიკური მიმართებანი კონკრეტული ნუმიზმატიკური მასალის საფუძველზე. დადგენილია ეთნოკულტურული დიფერენტები ქართველური სამყაროს სოციალ-ეკონომიკური რეგიონებისათვის. შემოტანილია ციკლური განვითარების თეორია და მისი მეშვეობით დადგენილია ეკონომიკური პრიმატის მონაცვლეობის სქემა.

070006 არქეოლოგია
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 7 აპრილი

ვაშბიძაშვილი რამაზ გურამის ძე _____ საკანდიდატო

კახეთის რკინიგზის მშენებლობის ისტორიისათვის

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ყველა ის საკითხი, რომელიც უკავშირდება კახეთსა და პარალელურად, ჩრდილოეთ კავკასიაში მშენებარე რკინიგზებს. შესწავლილია კახეთის რკინიგზის მშენებლობის ცალკეული ეტაპები. გამოვლენილია რუსეთის იმპერიის მესვეურთა მიზნები და

მსწრაფებები. გაშუქებულია ის ეკონომიკური შედეგები, რაც გამოიწვია კახეთში რკინიგზის გაყვანამ. ნაშრომში წარმოდგენილია საარქივო მასალები, კახეთის რკინიგზის საზოგადოების წესდებები.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელები: ↑ ალალმ ხიმრშვილიძე, ავთანდილ ბენდელიანი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 30 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოდუა თემურ ტარიელის ძე _____ დოქტორო

რომაული სამყარო და საქართველოს შავიზღვისპირეთი

ნაშრომში მონოგრაფიულად არის შესწავლილი რომის იმპერიის პონტო-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის ხასიათი და დანიშნულება, ზღვისპირა ცენტრების სტატუსი. დადგენილია ცენტრების ტიპოლოგიურ-ფუნქციური ხასიათი, მათი განვითარების ეტაპები. წარმოჩენილია რომაული სამყაროს სხვადასხვა რეგიონიდან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იმპორტირებულ პროდუქციასთან დაკავშირებული საკითხები (წარმოების ცენტრები, პროდუქციის ქრონოლოგია-პერიოდიზაცია). გამოკვლეულია ამ ნაწარმის ტრანსპორტირების გზები და შემოტანის მექანიზმები. რომაული კულტურის ფონზე განხილულია შავიზღვისპირა ცენტრების მატერიალური კულტურის ელემენტები, შესწავლილია რელიგიური რწმენა-წარმოდგენები. აზლებურადაა გაშუქებული აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრების სხვადასხვა ასპექტი. გარკვეულია ზღვისპირა ციხე-ქალაქებისა და მათი გარემომცველი სამყაროს ურთიერთმიმართების საკითხები. გაშუქებულია „რომანიზაციის პროცესები". დადგენილია რომაული კოლონიზაციის ხასიათი, ფორმები და მასშტაბები აღნიშნულ რეგიონში. განხილულია ე. წ. „წებელდური კულტურის" genezisi.

070003 მსოფლიო ისტორია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 22 ნოემბერი.

კაშია რუსუდან სოსლანის ას. _____ საკანდიდატო

ვაჭრობა და ვაჭართა ფენა დასავლეთ საქართველოში (XVII – XIX ს. I მესამედი)

სადისერტაციო ნაშრომში ქართული ისტორიული დოკუმენტების შესწავლისა და შეჯერების საფუძველზე განხილულია ვაჭართა ფენის მდგომარეობა გვიანი შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოში. ამ მხრივ აღნიშნული რეგიონი შედარებულია აღმოსავლეთ საქართველოსთან. შესწავლილია სავაჭრო ამხანაგობები. ნაჩვენებია XVIII საუკუნის II ნახევარში თავადაზნაურობიდან ვაჭართა გამოსვლის პროცესის დაწყება.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი ედიშერ ხომბარია
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 26 სექტემბერი.

კვიციანი ზვიად გახვას ძე _____ საკანდიდატო

რომის იმპერიისა და დასავლეთ საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ისტორიისათვის ახ. წ. I-IV სს.

წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის საფუძველზე ნაშრომში შესწავლილია დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის მოსახლეობის კულტურა ქ. შ. I-IV საუკუნეებში. რომაულ სამყაროსთან ურთიერთობის ფონზე წარმოჩენილია რომის იმპერიის კულტურული რადიაციისა და ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების დონე, ტრადიციები და ინოვაციები საქალაქო ცხოვრებაში. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილია ახალი ნარატიული, ეპიგრაფიკული და არქეოლოგიური მონაცემები. შესწავლილია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძვლისა და ბრინჯაოს სტელსები, ეპიგრაფიკული წარწერები, გრაფიტოები და დიპინტიები, დადგენილია მათი ადგილი და როლი ეგრისის (ლაზიკის) მოსახლეობის ცხოვრებაში. ეგრისის სამეფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ისტორიის ფონზე განხილულია მისი კულტურა.

070003 მსოფლიო ისტორია
ხელმძღვანელი შერამ ლორთქიფანიძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 24 მაისი.

პიკნაძე გიორგი ბიძინას ძე _____ საკანდიდატო

აღმოსავლური ელემენტი რომის პოლიტიკურ ყოფასა და სოციალურ ურთიერთობებში

სადისერტაციო ნაშრომი ეხება ანტიკური ისტორიის მნიშვნელოვან და პრობლემატურ საკითხს. ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ ზეგავლენის გარკვევა, რომელიც რომაულ საზოგადოებაზე მოახდინა აღმოსავლეთიდან გავრცელებულმა იდეოლოგიამ და მაღალგანვითარებულმა ელინისტურმა ცივილიზაციამ. ნაჩვენებია აგრეთვე თუ რა როლი ითამაშა მან რომაული სახელმწიფოებრიობის შემდგომ განვითარების გზაზე. ნაშრომში წამოჭრილი საკითხები განხილულია რელიგიასთან კავშირში. ნაჩვენებია, რომ ელინისტურ სამყაროსთან რომაული საზოგადოების სულიერი დაახლოება და მასთან თანდათანობითი შეზრდა მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, რაც რომაული რელიგია შეერწყა ჯერ ბერძნულ, ხოლო მოგვიანებით კი ელინისტურ კულტებს.

070003 მსოფლიო ისტორია
ხელმძღვანელი ლევან სანამძე
იმერეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 29 ნოემბერი

ლანჩავა ომარ იოანეს ძე _____ სადოქტორო

ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში (IV-X სს.)

ავტორის მოსაწილეობით ქუთაისში განხორციელებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალის საფუძველზე ნაშრომში განხილულია ქალაქის წარმოქმნა-განვითარების, პერიოდიზაციის, განაშენიანების, თავდაცვითი სისტემის, ისტორიული ტოპოგრაფიის, პრესტიჟული და საკულტო არქიტექტურის, წყალმომარაგების, სანიტარულ-კომუნალური მდგომარეობისა და ხელოსნური წარმოების საკითხები. სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა, აგრეთვე ბიზანტიისა და ირანის გეოპოლიტიკურ ინტერესთა კონტექსტში წარმოდგენილია პოლიტიკური ისტორიის საკითხები.

070006 არქეოლოგია
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. 24 ოქტომბერი

მასარაძე ზურაბ ედუარდის ძე _____ საკანდიდატო

ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი

ნაშრომი წარმოადგენს მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალური ეტაპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლის – ციხიაგორის მონოგრაფიული შესწავლის ცდას. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილია ავტორის მიერ გათხრილი მასალები. შემუშავებულია შიდა ქართლში მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ოთხეტაპიანი ქრონოლოგიური სქემა. მტკიცდება, რომ ამ რეგიონში მტკვარ-არაქსის კულტურა არსებობს ქ. წ. III ათასწლეულის ბოლომდე. გაანალიზებულია აღნიშნული ქრონოლოგიური სქემის ცალკეული ეტაპები.

070006 არქეოლოგია
ხელმძღვანელი ომარ ლაშარიძე
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. 21 აპრილი

მესხია მრამილე ალიოშას ძე _____ საკანდიდატო

პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1917-1921 წლებში

(სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი)

დისერტაციაში შესწავლილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მაკოორდინირებელი ბირთვის – „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" ისტორია. ახლებურადაა გაშუქებული 1918-1921 წლების პოლიტიკური მოვლენები ამ რეგიონში. დაზუსტებულია განმათავისუფლებელი კომიტეტის ისტორიის

პერიოდიზაცია. დადგენილია ის დაწესებულებები და ოჯახები, სადაც კომიტეტი სხდომებს მართავდა, განსაზღვრულია აგრეთვე განმათავისუფლებელი კომიტეტის პერიფერიული ორგანიზაციების ადგილსამყოფელი და გეოგრაფიული არეალი. გაშუქებულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ბოქმდი ანტიქართული ორგანიზაციების შექმნის ისტორია.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი: ლევან ...
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 30 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიქაია ნელი ლევანის ას. _____ საკანდიდატო

საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (სამეგრელოს ისტორიულ-კულტურული ურთიერთობა საფრანგეთთან XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან 1921 წლამდე)

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის მოკლე ისტორია XIX საუკუნის 60-იან წლებამდე, ვიდრე უშუალო კონტაქტი დამყარდებოდა სამეგრელოს სამთავროსა და საფრანგეთს შორის (მთავრის ასულის – სალომეს გათხოვება პრინცი აშილ მიურატზე). ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცული გამოუქვეყნებელი ფრანგულენოვანი დოკუმენტების, აგრეთვე რიგი გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე შესწავლილია საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან 1921 წლამდე. სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანილია ახალი საარქივო მასალები, დაზუსტებულია ფაქტები, თარიღები, გამოთქმულია ვარაუდები.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი: ...
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 26 დეკემბერი.

მიზიტაშვილი მანანა შალვას ას. _____ საკანდიდატო

ივანე გვარამაძის საისტორიო და საზოგადოებრივი შეხედულებანი

გამოკვლევა წარმოადგენს ივანე გვარამაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლის პირველ ცდას. ავტორს გამოყენებული აქვს ივანე გვარამაძის უმდიდრესი მემკვიდრეობა – ისტორიული ნაშრომები, ისტორიულ-ეთნოგრაფიული თუ პუბლიცისტური წერილები, გამოუქვეყნებელი ხელნაწერები.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი: მიზიულ გაშრიფლამელი
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 28 დეკემბერი.

მჭედლიშვილი ზურაბ დურმიშხანის ძე _____ საკანდიდატო

ირან-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიიდან (XVII ს-ის I ნახევარი)

სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებულია ირან-საქართველოს ურთიერთობანი XVII საუკუნის I ნახევარში. ამ პერიოდში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა განსაკუთრებულ ხასიათს იღებს, ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლა მაჰმადიანური ირანის აგრესიის წინააღმდეგ თავის აპოგეას აღწევს. ნაშრომში განხილულია ამ ბრძოლის ასპექტები, მრავალრიცხოვან (ქართულ, აღმოსავლურ, ევროპულ) წყაროებზე დაყრდნობით დაზუსტებულია ზოგიერთი ისტორიული ფაქტი. წარმოჩენილნი ირან როგორც ერის თავისუფლებისათვის მებრძოლნი, ისე ირანის სახელმწიფო სამსახურში მყოფი წარმოშობით ქართველი, გამაჰმადიანებული პირები. ყურადღება გამახვილებულია ქართლ-კახეთის საგარეო-დიპლომატიურ ურთიერთობებზე აღნიშნულ პერიოდში.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი: რევაზ მეტრეველი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 30 ოქტომბერი.

პავლიაშვილი ქეთევან დავითის ას. _____ სადოქტორო

საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში

ნაშრომი წარმოადგენს 1900-1917 წლებში საქართველოს საეგზარქოსოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის ცდას. განსაზღვრულია საქართველოს საეგზარქოსოს ადგილი რუსეთის საეკლესიო და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. წარმოჩენილია საეგზარქოსოს პოზიცია საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების მიმართ. ახლებურადაა დანახული ქართველი სამღვდელოების ადგილი და როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და მასთან დაკავშირებული ქართული ეკლესიის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ახალი კუთხით არის წარმოდგენილი საქართველოს საეგზარქოსოს წვლილი რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკაში, მისი საეკლესიო, პოლიტიკური და ეკონომიკური ფუნქციები რუსეთის თვითმპყრობელურ სისტემაში.

070001 საქართველოს ისტორია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 18 დეკემბერი.

პაქსაშვილი მადონა ვალიკოს ას. _____ საკანდიდატო

ქურთთა ემიგრანტული საზოგადოებები და გამათავისუფლებელი მოძრაობა ახლო აღმოსავლეთში XX საუკუნეში

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია ემიგრანტ ქურთთა კულტურული საზოგადოებებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების მოღვაწეობის შესწავლა, აგრეთვე მათი ადგილისა და როლის გამოვლენა ქურთთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში (1900-1992 წწ.). ნაშრომში განხილულია ის მიზეზები, რამაც განაპირობა ქურთების ემიგრაცია ევროპაში.

070003 მსოფლიო ისტორია
ხელმძღვანელი მარა მელიქიშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 26 აპრილი.

სინაურიძე მანანა ივანეს ას. _____ სადოქტორო

ქვემო ქართლი
(ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა)

ნაშრომში არქეოლოგიური მასალის შესწავლის საფუძველზე გამოვლენილია ქვემო ქართლის ისტორიისა და კულტურის თავისებურებანი. შესწავლილია მეურნეობის ხასიათი, დასახლების ტიპები, მათი გეგმარება, სამაროვნებისა და სამარხ ნაგებობათა ტიპები, დაკრძალვის წესი (ბრინჯაოს ხანიდან გვიან შუა საუკუნეებამდე). კლასიფიცირებული და დათარიღებულია არქეოლოგიური მასალა, გამოყოფილია ტიპოლოგიური ჯგუფები. მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანილია ახალი არქეოლოგიური მასალა – დღემდე უცნობი ძეგლების კომპლექსები, სხვადასხვა ხასიათის ნასახლარები სამაროვნებით, ეკლესიებით, ციხე-დარბაზებით, ხიდებით, წყალმომარაგების სისტემებით, სარწყავი არხებით. დადგენილია ციხე-ქალაქების ტოპოგრაფია, სავაჭრო გზები... ლოკალიზებულია ქალაქები და დაბები, გამოკვლეულია რიგი ტოპონიმები.

070001 საქართველოს ისტორია
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 19 დეკემბერი.

ტაბატაძე ანა კარლოს ას. _____ საკანდიდატო

ახლო აღმოსავლეთში ჩრდილოეთ კავკასიელთა მიგრაციის ზოგიერთი საკითხი (1830-1910 წწ.)

სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია XIX საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე ეთნორელიგიური პროცესები, შეფასებულია ის ფაქტორები, რამაც გამოიწვია მუჰაჯირული მოძრაობა, განხილულია მისი ისტორიული წანამძღვრები. შესწავლილია კავკასიელ მთიელთა დამოუკიდებლობისათვის

ბრძოლის ცალკეული ეტაპები, მიზნები, მსვლელობა და შედეგები. გამოვლენილია ინგლისის როლი ამ პროცესში. გაშუქებულია მთიელთა გადასახლების გამომწვევი მიზეზები და თურქეთის მთავრობის დამოკიდებულება ამ პროცესისადმი.

070003 მსოფლიო ისტორია
ხელმძღვანელი ალბერტ მენდელეევი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 22 ფებერვალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტუხაშვილი ლოვარდ ვასილის ძე _____ სადოქტორო

ქართული დიპლომატიის განვითარება და საგარეო პოლიტიკის აქტუალური პრობლემები (X-XIV სს.)

ნაშრომში შესწავლილია ქართული დიპლომატია X-XIV საუკუნეებში, საგარეო ურთიერთობების შინაარსი და წარმომადგენლობის ფორმები. წარმოჩენილია წინასწარგანზრახული, გეგმაზომიერი, ე. წ. აქტიური დიპლომატიური ღონისძიებანი. ახლებურად არის ასახული ქართული დიპლომატიის ძირითადი პრობლემები. გამიჯნულია საგარეო პოლიტიკა, საგარეო დაზვერვა და სხვა დიპლომატიური მიმართულებანი. დადგენილია საგარეო პოლიტიკის მარეგულირებელი აპარატი ცენტრალური მმართველობის სტრუქტურაში, გარკვეულია ქართული დიპლომატიის აქტიური მოქმედების არეალი, საერთაშორისო ურთიერთობის ენა, დიპლომატიური კორპუსი და დიპლომატიური აგენტურა, ქართული წარმომადგენლობა უცხოეთში... ახლებურადაა გააზრებული საქართველოს ისტორიის ისეთი კარდინალური პრობლემები, როგორიცაა მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის სახელოს შეერთება, ათაბაგობის დაარსება, სომხეთის შემოერთება, შამქორისა და ბასიანის ომები, ტრაპიზონის საკეისროს დაარსება... გამოყოფილია ქართული სახელმწიფოს ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, საშხედრო-პოლიტიკური ექსპანსიის ფორმები და მეთოდები.

070001 საქართველოს ისტორია
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 19 მაისი.

შამათავა თორნიკე ოურის ძე _____ საკანდიდატო

ჯონ პონეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი

სადისერტაციო ნაშრომი ჯონ პონეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების მონოგრაფიული შესწავლის პირველი ცდაა. მოცემულია პონეტის იდეების დეტალური ანალიზი სამართლებრივი საზოგადოების მოწყობაზე, ხალხის სუვერენულ უფლებებზე, საკუთრების ხელშეუხებლობაზე, სინდისის, რწმენისა და აზროვნების თავისუფლებაზე.

070003 მსოფლიო ისტორია
ხელმძღვანელები: ჟარლი მემველიანი, ბურამ ქეტალია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1 მარტი.

შანიძე ნატო ანატოლის ას. _____ საკანდიდატო

ტრადიციულისა და თანამედროვეობის ელემენტები ტროპიკული აფრიკის ქვეყნების სოციალურ-კულტურულ განვითარებაში XX საუკუნის 60-80-იან წლებში

ნაშრომში შესწავლილია ტროპიკული აფრიკის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული და თანამედროვე ელემენტები. განხილულია მათი გავლენა ამ ქვეყნების სოციალურ-კულტურულ განვითარებაზე XX საუკუნის 60-80-იან წლებში.

070003 მსოფლიო ისტორია
ხელმძღვანელი ალბერტ მენდელეევი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 28 ივნისი.

ცუხიშვილი რამაზ კუკურის ძე _____ საკანდიდატო

ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ.

ნაშრომი წარმოადგენს 1918-1921 წლებში ინგლის-საქართველოს ურთიერთობების საგანგებოდ შესწავლის პირველ ცდას. რიგი წყაროებისა ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად არის გამოყენებული (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საარქივო დოკუმენტები, 1919-1920 წლებში თბილისში გამოქვეყნებული ინგლისური გაზეთები).

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი ილია ტაბაღუა
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 27 იუნისი.

ჭირაქაძე მანანა გრიგოლის ას. _____ საკანდიდატო

არქეოლოგიური ძეგლის ფორმობლივი აღწერის პრინციპები

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეთა ნუსხას შემდეგი სახე აქვს: 1. აიგო ფორმობლივი აღწერის ერთიანი თეორიული მოდელი არქეოლოგიური ძეგლის ყველა სახეობისათვის; 2. განისაზღვრა არქეოლოგიური ძეგლის სრული ცნებებრივი მოცულობა და ადგილი არქეოლოგიის ძირითად ცნებათა სისტემაში; 3. განისაზღვრა „კულტურული შრის" ცნებებრივი არსი, მოცულობა და ღირებულება არქეოლოგიის ძირითად ცნებათა სისტემაში; 4. აიგო კულტურული შრის, როგორც არქეფაქტის, განზოგადებული თეორიული აღწერითი მოდელი; 5. ფორმობლივი აღწერის საფუძველზე შემუშავდა სამარხთა კლასიფიკაციის ერთიანი მოდელი და მომზადდა ლექსიკური ბაზა არქეოლოგიური ინფორმაციის მანქანური დამუშავებისათვის; 6. აიგო ტერმინთა ერთიანი სისტემა თემა „არქეოლოგიური ძეგლის" ცალკეული ქვეთემების მიხედვით და შემუშავდა ერთიანი არქეოლოგიური მეტაენის მოდელი.

070006 არქეოლოგია
ხელმძღვანელები: თამთაგრან მიქელაძე, გიგა ძვარაცხელია
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. 16 მაისი.

ხეცურიანი მარადი ალექსანდრეს ას. _____ სადოქტორო

საქართველოს აგრარული ჭარბმოსახლეობა და მისი დასაქმების სფეროები 1864-1917 წწ.

ნაშრომში გაშუქებულია აგრარული ჭარბმოსახლეობის გაჩენისა და მისი დასაქმების საკითხები. შესწავლილია დინამიკა, საშოვარზე გასვლის მასშტაბი, სფერო, შრომის ორგანიზაცია, აგრარული ჭარბმოსახლეობის ადგილი საქართველოს სოციალურ სტრუქტურაში, კულტურული დონე, მისი როლი განმათავისუფლებელ მოძრაობაში. წარმოჩენილია ისეთი საკითხები, როგორიცაა საგლეხო რეფორმა, ბატონყმობის ნაშთები, საეკონომო მიწათმოქმედების განვითარება და დამხმარე სარეწების როლი სოფლის მოსახლეობის ეკონომიკურ ყოფაში, აგრარულ ურთიერთობათა ბურჟუაზიული ევოლუცია, გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია.

070001 საქართველოს ისტორია
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 25 აპრილი.

ხუსკივაძე იუზა დომენტის ძე _____ სადოქტორო

გვიანი შუა საუკუნეების ქართულ ტაძართა „ხალხური" მოხატულობანი

ნაშრომი ეხება ქართულ ტაძართა ე. წ. „ხალხურ" მოხატულობას გვიან შუა საუკუნეებში. მონოგრაფიულადაა შესწავლილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული ძეგლები. ამ რიგის მხატვრობა დროდადრო ადრეულ საუკუნეებშიც გვხვდება, მაგრამ ის მაინც ერთიან ნაკადად წარმოგვიდგება, რომლის ქრონოლოგიური საზღვრები XV საუკუნის ბოლო მეოთხედიდან მოყოლებული

XVII საუკუნის დასაწყისს ლიდად არ სცილდება. სისადავე და მიამიტობა, თავისებური სიწრფელე, როგორც ხალხური ხელოვნებას მახასიათებლები, ამართლებენ ამ გამორჩეული მოვლენის „ხალხურად" სახელდებას.

170001 ქართული ხელოვნების ისტორია
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი. 9 ივნისი.

ერეკვნული
ბიბლიოთეკა

ხუციშვილი რევაზ თენგიზის ძე _____ სადოქტორო

უნგრულ-კავკასიური პრობლემა
(უნგრული ტომები ჩრდილოეთ კავკასიაში V-IX საუკუნეებში)

სადისერტაციო ნაშრომში ავტორი შეეცადა მოებდინა უნგრელთა წინაპრების ჩრდილოეთ კავკასიაში განსახლების ობიექტური რეკონსტრუქცია. შესწავლილია მათი ეთნიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ისტორია V-IX საუკუნეებში. ნაშრომში წამოჭრილია ონოგურ და უნგრულ ტომთა ურთიერთმიმართების საკითხი. შეძლებისდაგვარად მოცემულია ჩრდილოეთ კავკასიაში უნგრულ ტომთა საცხოვრებელი ადგილის ისტორიულ-გეოგრაფიული ლოკალიზაცია. წარმოდგენილია დასკვნა, რომ უნგრული ტომების აღმოსავლეთიდან გადმოსახლება ჩრდილოეთ კავკასიაში მოხდა V საუკუნის II ნახევარში ბულგარულ-თურქულ ტომებთან (ონოგურები, ოგურები, სარაგურები) ერთად, კონკრეტულად კი ეს პროცესი ონოგურებთან კავშირში მიმდინარეობდა და ერთხანს ისინი ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში ონოგურ-ბულგარელთა კონფედერაციაში ცხოვრობდნენ. გამოვლენილია მრავალი ახალი ფაქტი უნგრელების და ქართველების ნათესაობისა. პირველად არის თარგმნილი უნგრულიდან ქართულად გასული საუკუნის უნგრელი მეცნიერის — გრაფ ევგენი ზიჩის ერთ-ერთ წიგნში აღწერილი XIX საუკუნის ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, ხასიათი...

070001 საქართველოს ისტორია
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 7 სექტემბერი.

ჯაბუა ნათელა ანტონის ას. _____ საკანდიდატო

სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი საქართველოში

ნაშრომის მიზანია სამნავიანი ბაზილიკის ტიპოლოგიური თავისებურებების, საქართველოში მისი გავრცელებისა და განვითარების ეტაპობრივი სქემის დადგენა, ქრისტიანული ბაზილიკის არქიტექტურულ მოდელთან და საქართველოში არსებულ ზეროთმოძღვრულ ტიპებთან მისი მიმართების საკითხის ძიება.

170001 ქართული ხელოვნების ისტორია
ხელმძღვანელი პროფ. ზ.ალბერიძე
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი. 8 დეკემბერი.

ჯინჭარაძე მარინე ჭოლას ას. _____ საკანდიდატო

საზოგადოებრივი აზროვნება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დამდეგს

სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლების, ეროვნული გათვითცნობიერებისა და საქართველოსთან გაერთიანებისათვის მებრძოლი მოღვაწეების — შერიფ ხიმშიაშვილის, ემრულა მალქაძის, ზუსეინ ბეჟანიძის, გულო კაიკაციშვილის, მემედ ჭყონიას, მემედ აბაშიძის, ჰაიდარ აბაშიძის, ხასან თხილაიშვილის, ქემალ ნოღაიდელის საზოგადოებრივი შეხედულებები. განზოგადებულია წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში გადმოცემული ფაქტები, შექმნილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მოღვაწე ქართველ მოაზროვნეთა მეტნაკლებად ვრცელი შეფასებითი-ფორმალური პორტრეტები და ამის საფუძველზე რეგიონის საზოგადოებრივი აზროვნების მთლიანი სურათი. ნაშრომში გამოყენებულია არაერთი დღემდე უცნობი მასალა.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი მიხეილ ბაშრიხლაშვილი
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 26 დეკემბერი.

1996

ბოდენრეიშვილი ეკა ნოდარის ას. _____ საკანდიდატო

ქრისტიანული კონფესიები და მისიონერების მოღვაწეობა ოსმალეთის იმპერიაში 1814-1914 წლებში

ნაშრომის კვლევის საგანია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (თურქეთი, სირია, ერაყი) მრავალრიცხოვანი კონფესიების ერთმანეთთან დამოკიდებულებისა და მმართველ წრეებთან მათი ურთიერთობის ასპექტები. გადმოცემულია აღმოსავლეთში ქრისტიანული კონფესიების ჩამოყალიბება-განვითარებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპები. ნაჩვენებია ქრისტიანული მისიების ისტორია და მოღვაწეობა ოსმალეთის იმპერიაში, მათი დამოკიდებულება აღმოსავლეთის ეკლესიების სხვადასხვა განშტოებებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან. გამოვლენილია მისიონერთა რეალური ზრახვები, მათი როლი არაბების ევროპულ კულტურასთან და ცივილიზაციასთან ზიარების საქმეში.

070003 მსოფლიო ისტორია
ხელმძღვანელი მამა მენანდრე ბაქრაძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 4 დეკემბერი

იტრიაშვილი მარინე იუზას ას. _____ საკანდიდატო

მარონიტების ადგილი და როლი ლიბანის კონფესიურ ევოლუციაში (XII-XX სს.)

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია ლიბანის ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავლენიანი კონფესიური თემის – მარონიტების ეთნოკულტურული და პოლიტიკური ევოლუციის კვლევა. შესწავლილია მარონიტული თემის წარმოშობისა და კონსოლიდაციის ისტორიული წანამძღვრები, განსახლებისა და ტრადიციული საქმიანობის საკითხები, კულტურის, ყოფისა და ადათ-წესების თავისებურებანი. წარმოჩენილია მარონიტების ეკლესიის ფორმირების პროცესი. ნაჩვენებია მარონიტების კონფესიური სტრუქტურა, მათი ეთნოკულტურული და პოლიტიკური განვითარების სურათი ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში. განხილულია მარონიტების სოციალ-ეკონომიკური ძდგომარეობა თურქთა ბატონობის ხანაში. გაანალიზებულია მათი ურთიერთობა რომის ეკლესიასთან და ევროპის ქვეყნებთან. შეფასებულია აგრეთვე მარონიტული თემის ადგილი და როლი თანამედროვე ლიბანის ეთნოკულტურულ და პოლიტიკურ სისტემაში.

070003 მსოფლიო ისტორია
ხელმძღვანელი მამა მენანდრე ბაქრაძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 4 დეკემბერი

ხუბაშვილი ლეილა ბაგრატის ას. _____ საკანდიდატო

ისტორიული პირები ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონის“ მიხედვით

ნაშრომის მიზანია XIV საუკუნის ერთ-ერთი ბრწყინვალე ლიტერატურული ძეგლის – ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონის“ მიხედვით ისტორიულ პირთა და თვით ბოკაჩოს, როგორც ისტორიკოსის, შეფასება. დადგენილია თუ რამდენად ობიექტურია ბოკაჩო ისტორიულ მოღვაწეთა და მოვლენათა შეფასებისას; რამდენად რეალური და მნიშვნელოვანია ცნობები 1348 წელს ფლორენციაში არსებული „შავი სიკვდილის“ შესახებ, რომელიც მთელ იტალიაში მძვინვარებდა; რამდენად სარწმუნოა ის წყაროები, რომელთაც იყენებდა ავტორი.

070004 მსოფლიო ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია
ხელმძღვანელი მამა მარდარი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 18 დეკემბერი

1997

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბაკელია ნინო კონსტანტინეს ას. _____ სადოქტორო

სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში

დისერტაციის მიზანია ქართული კულტურის შესწავლა სიმბოლოებისა და რიტუალების დადგენის, აღწერისა და ახსნა-განმარტების გზით. გამოვლენილია ორი ტიპის აზროვნების – ტრადიციულისა (არქაულის) და თანამედროვეს (ქრისტიანულის) გადაკვეთა, დაპირისპირება. ნაჩვენებია თუ როგორ ვლინდება და ფუნქციონირებს ერთი და ივივე სიმბოლო. აღდგენილი და აღწერილია ის რიტუალური ქმედებანი, რომლებიც ამ სიმბოლოებთანაა დაკავშირებული. რეკონსტრუირებულია დესაკრალიზებული და პროფანიზებული ტრადიციის საწყისები.

070005 ეთნოგრაფია
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 27 ივნისი

აბაშიძე ზაალ დავითის ძე _____ საკანდიდატო

სერგი გორგაძე – საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი

ნაშრომში შესწავლილია მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის – სერგი გორგაძის (1876-1929) ნაშრევი IV-VIII საუკუნეების საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებზე, მათ შორის, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე. ნაჩვენებია, რომ ს. გორგაძის მთელი რიგი დებულებები დღესდღეობით გაზიარებულია ქართულ საისტორიო მეცნიერებაში. დისერტაციაში პირველადაა წარმოდგენილი ს. გორგაძის შესახებ არსებული დოკუმენტური მასალა, რომელიც ავტორს მოძიებული აქვს თათარსტანის სახელმწიფო არქივში (ქ. ყაზანი). წარმოდგენილი მასალიდან საგულისხმოა ს. გორგაძის სადისერტაციო ნაშრომი, მისი პირადი ღღიური, აგრეთვე ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომელიც მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს საქართველოში 1910-20-იანი წლების მოვლენების შესახებ.

070002 საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია
ხელმძღვანელი მარია ლორთქიფანიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 29 ოქტომბერი

ალ-თალმორი აჰმედ ზალალი _____ საკანდიდატო

სპარსეთის ყურის არაბული საამიროების უახლესი ისტორიის საკითხები დოკუმენტური წყაროების მიხედვით (სამი კუნძულის პრობლემა)

სადისერტაციო ნაშრომი ეხება სპარსეთის (არაბეთის) ყურის მისადგომებთან, ჰორმუზის სრუტეში არსებული სამი კუნძულის (აბუ მუსა, დიდი ტუნბი და პატარა ტუნბი) პრობლემას. კუნძულთა მფლობელობის საკითხი არაბეთის ყურის რეგიონალურ პრობლემათა წრეს განეკუთვნება. კონფლიქტში მონაწილე მხარეებს წარმოადგენენ ირანის ისლამური რესპუბლიკა და არაბთა გაერთიანებული საამიროები. ნაშრომი მიზნად ისახავს საკითხის სიღრმისეულ შესწავლას მსოფლიოში არსებული საკანონმდებლო ნორმებისა და ისტორიული წყაროების მონაცემთა გათვალისწინებით. განხილულია კონფლიქტის განვითარების ეტაპები, დაშუშავებულია რეგიონული უსაფრთხოების საკითხები, წარმოდგენილია სტაბილურობის განმსაზღვრელი რეკომენდაციები.

070004 მსოფლიო ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია
ხელმძღვანელები: მუხა ჯაშარიძე, მაია ბიქიანი
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. 16 სექტემბერი

ასათიანი ნინო ვლადიმერის ას. _____ საკანდიდატო

იორ-ალაზნის ველის ადრეული ყორღანების კულტურა

სადისერტაციო ნაშრომში ნაჩვენებია, რომ კახეთის სხვა რეგიონების მსგავსად, იორ-ალაზნის ორმდინარეთშიც გავრცელებული ყოფილა მტკვარ-არაქსის, ადრეული ყორღანებისა და თრიალეთის კულტურები. ყურადღება გამახვილებულია დედოფლისწყაროს ადრეულ ყორღანებზე, წარმოდგენილია მათი დათარიღება. განხილულია ეკონომიკისა და სოციალური სტრუქტურის საკითხები ყორღანული კულტურის ხანაში. შესწავლილია საქართველოს ადრეყორღანული [illegible] მატარებელ ტომთა ურთიერთობა გარე სამყაროსთან.

070006 არქეოლოგია
ხელმძღვანელი [illegible] ჯაფარიძე
არქეოლოგიური კვლევების ცენტრი. 29 დეკემბერი.

ახალკაცი ნიკოლოზ ვახტანგის ძე _____ საკანდიდატო

სასაზღვრო დაცვის ორგანიზაცია ხეთების სამეფოში

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ხეთების პოლიტიკური ისტორია „ძველი" და „ახალი" სამეფოების პერიოდში. წარმოჩენილია ის ფაქტორები, რამაც სამხედრო ძალას უდიდესი მნიშვნელობა შესძინა ხეთების სამეფოში. ხეთურ წყაროებზე დაყრდნობით განხილულია საზღვრების დაცვის ორგანიზაციის საკითხი. გარკვეულია სასაზღვრო ოლქში დანიშნული მმართველის ძირითადი ფუნქცია-მოვალეობანი. სასაზღვრო დაცვის პრობლემას ავტორი იხილავს სასაზღვრო ოლქების მმართველობის საკითხთან ერთად. ამის მიზეზია ის, რომ სასაზღვრო დაცვა სასაზღვრო ოლქის მმართველობის საერთო სისტემაში შედიოდა.

070003 მსოფლიო ისტორია
ხელმძღვანელი [illegible] ბერიძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 19 ნოემბერი.

გაჩეჩილაძე მარიამ მიხეილის ას. _____ საკანდიდატო

ქართული ექსლიბრისის ხელოვნება

ექსლიბრისი წიგნის მფლობელის საკუთრების აღმნიშვნელი, გრაფიკული ხერხით შესრულებული ნიშანია. სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია ქართული ექსლიბრისის ჩასახვისა და განვითარების ისტორია (XVIII ს. – XX ს. 80-იანი წწ.). ექსლიბრისი განხილულია გრაფიკული ხელოვნების ფონზე. გამოკვლეულია ექსლიბრისის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, წარმოჩენილია მხატვართა ინდივიდუალობა. ნაჩვენებია ექსლიბრისის განვითარების პროცესი, მისი ისტორიის ძირითადი ეტაპები. ხაზგასმულია ექსლიბრისის კავშირი გრაფიკის სხვა დარგებთან. ნაშრომი წარმოადგენს პირველ გამოკვლევას, რომელშიც ექსლიბრისი განიხილება როგორც ქართული გრაფიკის დამოუკიდებელი სახეობა.

170009 ხელოვნების ისტორია და თეორია
ხელმძღვანელი [illegible] [illegible]
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი. 28 ნოემბერი.

გეგუჩაძე მარინე ნოდარის ას. _____ საკანდიდატო

საქართველო-სომხეთის ურთიერთობა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და რუსეთი

ნაშრომში შესწავლილია XVIII საუკუნის II ნახევრის ქართველ-სომეხთა ურთიერთობის ძირითადი მომენტები. შეფასებულია რუსეთის იმპერიის პოლიტიკა ქართლ-კახეთის სამეფოს მიმართ. პირველადაა წარმოდგენილი მოსკოვში დაცული საარქივო მასალა XVIII საუკუნის II ნახევრის ქართველ-სომეხთა ურთიერთობების შესახებ. საბუთების გარკვეული ნაწილი ეხება იოსებ არღუთინელის და ივანე ლაზარევის საქმიანობას რუსეთში და მათ კავშირს ქართულ სამეფო კართან. ახლებურადა

დანახული ქართველ-სომეხთა ურთიერთობის პერსპექტივა 1783 წლიდან, აგრეთვე ეკატერინე II-ის პოლიტიკა ქართლ-კახეთისა და საერთოდ, ამიერკავკასიის მიმართ 80-90-იან წლებში.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი ეალერიან მაჭარაძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 30 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიმრაძე არსენ მიხეილის ძე _____ საკანდიდატო

ამიერკავკასიის რესპუბლიკების კულტურული კავშირურთიერთობები 1970-1980 წლებში

ნაშრომის მიზანია კულტურული კავშირების შესწავლა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის XX საუკუნის 70-იან წლებში. ხაზგასმულია საკავშირო ხელისუფლების დამოკიდებულება ამიერკავკასიის ხალხთა ენებისა და ტრადიციებისადმი. გაანალიზებულია ამიერკავკასიის რესპუბლიკების შემოქმედებითი კავშირებისა და ხელისუფლების ქმედებანი ეროვნული კულტურის გადარჩენა-განვითარებისათვის.

070003 მსოფლიო ისტორია
ხელმძღვანელი ალმასდილ მენთეშაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 25 ივნისი.

გოგია რევაზ გურამის ძე _____ საკანდიდატო

პონტოელი ბერძნები საქართველოში

ნაშრომში წარმოჩენილია XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის რეგიონიდან, პონტოდან, ბერძნების საქართველოში გადმოსახლების ისტორია. მიმოხილულია ქართულ-ბერძნული ურთიერთობების ზოგადი ისტორია, გაშუქებულია ამ ორ ქვეყანას შორის არსებული კონტაქტები.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი ალბერ ოდიშელი
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 2 დეკემბერი.

გოგობერიშვილი მაღონა შოთას ას. _____ საკანდიდატო

„ისლამური რევოლუცია“ და კულტურული გარდაქმნები ირანში

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია ირანის „ისლამური რევოლუციის“ (1978-1979 წწ.) ისტორიული წანამძღვრების, იდეოლოგიური საფუძვლის მომზადებისა და მისი შედეგების შესწავლა; 80-იან წლებში მიმდინარე „კულტურის ტოტალური ისლამიზაციის“ პროცესის, მისი თეორიული საფუძვლისა და პრაქტიკული განხორციელების საკითხის გარკვევა. განსაზღვრულია ირანის საერთაშორისო სტატუსი. შესწავლილია ისლამური რელიგიის ოფიციალურ სახელმწიფო პოლიტიკად გამოცხადებისა და თეოკრატიული დიქტატურის დამკვიდრების პროცესი.

070003 მსოფლიო ისტორია
ხელმძღვანელი ანზორ მენთეშაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 25 ივნისი.

გულუა ნუნუ მაკარის ას. _____ საკანდიდატო

აფხაზეთი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდულ გამოცემებში
(საქართველოს პრესის მასალების მიხედვით)

ნაშრომში გაშუქებულია XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები. ავტორი ძირითადად ეხება აფხაზეთის სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ისტორიას, განხილულია აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო და სარწმუნოებრივი საკითხები.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი ომარ ჯორდანია
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 9 დეკემბერი.

გურამიშვილი მაია გურამის ას. _____ საკანდიდატო

რუსეთ-საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე და საქართველო

სადისერტაციო ნაშრომში გაშუქებულია საქართველოს საკითხი რუსეთ-საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობაში XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე. გამოკვლეულია მდიდარია ახალი, გამოუქვეყნებელი საარქივო მასალებით. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილია საქართველოს ისტორიული არქივში დაცული მოზდოკის კომენდანტის ფონდისა და მთავარმართებლის ფონდის მასალები.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელები: ალექსანდრეს ანდრაძე, ვალერიან მაჭარაძე
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 9 დეკემბერი.

გურგენიძე ნოდარ ანტონის ძე _____ საკანდიდატო

საბიბლიოთეკო საქმე XIX საუკუნის საქართველოში

გამოკვლევის მიზანია წარმოაჩინოს XIX საუკუნის საქართველოში არსებული ვითარება, საბიბლიოთეკო საქმის როლი, აღნიშნული ხანის პერიოდიკის მნიშვნელობა საკითხის მეცნიერული კვლევისათვის. განსაზღვრულია ძიძარეულებები, რომელთა შესწავლაც შესაძლებელია ქართული პრესის შეშველობით. სისტემატიზებულია საბიბლიოთეკო საქმის შესახებ არსებული ქართული პერიოდული მასალები.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი ნანული ბაბალა
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 2 დეკემბერი.

გურული ვახტანგ შალვას ძე _____ სადოქტორო

ქართული სოციალ-დემოკრატია 1892-1904 წლებში

ნაშრომში ახლებურადაა გააზრებული „მესამე დასის" შექმნა, მისი პროგრამა, ორგანიზაციის როლი და ადგილი ქართული სოციალ-დემოკრატიისა და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში. გაშუქებულია ქართული სოციალ-დემოკრატიის იდეური ევოლუციის პრობლემა, რუსეთიდან საქართველოში ჩამოსული სოციალ-დემოკრატების როლი და ადგილი ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში. გამოკვლეულია დღემდე უცნობი საარქივო მასალები თბილისისა და ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შესახებ. ახლებურადაა წარმოდგენილი ქართული და რუსული სოციალ-დემოკრატიის ურთიერთობის მრავალი მნიშვნელოვანი მომენტი. შეფასებულია ქართველ სოციალ-დემოკრატთა გამოსვლები რსდმპ II ყრილობაზე. წინა პლანზეა წამოწეული ყრილობის შემდგომ პერიოდთან (1903-1904 წწ.) დაკავშირებული ახალი მასალები.

070001 საქართველოს ისტორია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 20 იანვარი.

დანელია ფელიქს დომენტის ძე _____ საკანდიდატო

ივანე ჯავახიშვილი და არქივთმცოდნეობა

ნაშრომი შექმნილია აკად. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომების, სამეცნიერო ლიტერატურისა და საარქივო მასალის საფუძველზე. დისერტაციის მიზანს წარმოადგენს ივ. ჯავახიშვილის ღვაწლის წარმოჩენა საქართველოს საარქივო საქმის ისტორიის შესწავლაში, არქივთმცოდნეობის მეცნიერული საფუძვლების შექმნაში, საარქივო ტერმინოლოგიის შემუშავებასა და ეროვნული არქივისათვის სპეციალისტთა აღზრდა-მომზადებაში. რიგი საარქივო დოკუმენტები პირველადაა გამოქვეყნებული.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი მიხეილ მაშრიფლიანი
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი 18 ნოემბერი.

დარსანია ნოდარ ელიზბარის ძე _____ საკანდიდატო

საქართველოს მრეწველობაში დასაქმებულთა სტრუქტურა XX ს. 20-იანი წლების პირველ ნახევარში

სადისერტაციო ნაშრომი ეხება საქართველოს მრეწველობაში დასაქმებისა და დასაქმებულთა სტრუქტურის საკითხებს. სტრუქტურაში წამყვანი ადგილი ეკავა მუშათა [illegible] სმიტომაც გამოკვლევაში სწორედ მუშათა დასაქმებასა და მასთან დაკავშირებულ [illegible] ქცევადღება გამახვილებული. საკვლევი პერიოდია XX საუკუნის 20-იანი წლების I ნახევარი.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი მაკვალა ნამოელაძე
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 17 ივნისი.

დაუშვილი რუსუდან აკაკის ას. _____ საკანდიდატო

ევროპული საისტორიო თხზულებები XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში

ნაშრომში განხილულია თუ რომელ ევროპელ ავტორთა თხზულებები ითარგმნა საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში, გარკვეულია მთარგმნელთა დამოკიდებულება ავტორებისადმი. მნიშვნელოვანია ცნობები სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების პროცესის, ნათარგმნი ლექსიკონების, სასწავლო წიგნების, სახელმძღვანელოების შესახებ, რომლებიც ფართოდაა განხილული ნაშრომში. გაანალიზებულია თუ რა როლი შეასრულეს ევროპულმა საისტორიო თხზულებებმა ქართული ეროვნული უნივერსიტეტისათვის ნიადაგის მოამზადებასა და საუნივერსიტეტო განათლების ფორმირების საქმეში.

070003 მსოფლიო ისტორია
ხელმძღვანელი კონსტანტინე ანთაძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 26 დეკემბერი.

დღვილავა მამია მამიას ძე _____ საკანდიდატო

საქართველო-გერმანიის ურთიერთობა 1918-1921 წლებში

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია 1918 წლის საქართველოს რთული სამხედრო-სტრატეგიული ვითარება. გაშუქებულია საქართველო-გერმანიის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ურთიერთობების განმაპირობებელი ფაქტორები. ხაზგასმულია აგრეთვე ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიდა გერმანია-საქართველოს ურთიერთობათა განვითარებას.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელები: ილია ტაბაღუა, იოსებ ჩიქობავა
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 10 ივნისი.

ვაჩეიშვილი ნიკოლოზ გივის ძე _____ საკანდიდატო

ტონთიოს ეკლესია
(ჯავახეთის დარბაზული ეკლესიების მხატვრულ-ისტორიული პრობლემები)

ნაშრომი ეძღვნება ჯავახეთის ზეგანზე, სოფ. ყაურმაში (ისტორიული ტონთიო) აღმართულ ეკლესიას. ტაძრის საალმშენებლო წარწერაში მოხსენიებულნი არიან მეფე გიორგი I, მელქისედეკ და ოქროპირ ქართლის კათალიკოსები. მიუხედავად ამისა, ეკლესიის აგების ზუსტი თარიღი დღემდე არ იყო გარკვეული. დისერტაციაში მოცემულია ეკლესიის აღწერა, მისი ისტორიულ-მხატვრული ანალიზი. გამოკვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ჯავახეთის X-XI საუკუნეების ხუროთმოძღვრებას. წარმოჩენილია ტონთიოს ადგილი ჯავახეთისა და ზოგადად, საქართველოს ხელოვნების ისტორიაში. მოცემულია ჯავახეთთან უშუალოდ დაკავშირებული რეგიონების ხუროთმოძღვრული ანალიზი.

170009 ხელოვნების ისტორია და თეორია
ხელმძღვანელი ჯასტანგ ბერიძე
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი. 14 ნოემბერი.

ინანიშვილი გივი ვახტანგის ძე _____ სადოქტორო

რკინის წარმოება ცენტრალურ და დასავლეთ ამიერკავკასიაში ძვ. წ. XII-I საუკუნეებში

ნაშრომში მონოგრაფიულად არის შესწავლილი ცენტრალურ და დასავლეთ ამიერკავკასიაში ქ. წ. XII-I საუკუნეების მატერიალური კულტურის ძეგლებზე აღმოჩენილი რკინის ინვენტარი და რკინის მეტალურგიის წარმოების ნაშთები. განსაზღვრულია რკინა-ფოლადის ჭედვისა და თერმული დამუშავების ექსპერიმენტული სქემის ეფექტი, მისი მნიშვნელობა ლითონდამუშავების სახელოსნოთა საწარმოო სპეციალიზაციის ფორმირებისათვის. შემუშავებულია მეტალურგიული წარმოების ობიექტებისა და რკინის არქეოლოგიური მასალის ისტორიულ-ტექნოლოგიური კვლევის კომპლექსური მეთოდი. აღდგენილია რკინის მეტალურგიისა და ლითონდამუშავების თანაარსებობის ერთიანი ისტორიული სურათი. მოცემულია რკინის მეტალურგიული წარმოების შახტური ტიპის ღუმელების ტექნოლოგიურ-კონსტრუქციული კლასიფიკაციის სქემა. დადგენილია ცენტრალური და დასავლეთ ამიერკავკასიის რკინის მეტალურგიული წარმოების ფუნქციონირების ოთხი ქრონოლოგიური პერიოდი. შესწავლილია აგრეთვე ქ. წ. XII-I საუკუნეების ცენტრალური და დასავლეთ ამიერკავკასიის შავი ლითონის ნაწარმი.

070006 არქეოლოგია
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. 26 დეკემბერი

იობაშვილი გულივერ ვარლამის ძე _____ სადოქტორო

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემები და ანტიფეოდალური იდეები XVIII საუკუნის II ნახევრისა – XIX ს. I მესამედის ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში

ნაშრომში განხილულია XVIII საუკუნის II ნახევრისა და XIX საუკუნის I მესამედის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება. შესწავლილია ქართული ინტელექტუალურ-არისტოკრატიული ელიტის ნაფიქრ-ნააზრევი, მათი მისწრაფებები საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული სახელმწიფოს შესაქმნელად. ახლებურადაა გააზრებული სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ანტონ კათალიკოსის, ალექსანდრე ამილახვრის, ვახტანგ ბატონიშვილის, გაიოზ რექტორის, იაგორ ჭილაშვილის, დავით და იოანე ბაგრატიონების, ალექსანდრე ბატონიშვილის, ფილადელფოს კიკნაძის, სოლომონ დოდაშვილის შემოქმედების ცალკეული მხარეები. ახლებურადაა წარმოდგენილი ქართული სოციალური და პოლიტიკური მენტალიტეტის იდეური ევოლუციის პრობლემა ევროპულ აზროვნებასთან მიმართებაში. ნაშრომში უხვად არის გამოყენებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ არსებული ახალი საარქივო მასალები.

070001 საქართველოს ისტორია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 3 ნოემბერი

კანდელაკი მარინა ბიძინას ას. _____ სადოქტორო

სოციალური სიმბოლიკა ქართველ მთიელთა ტრადიციულ ყოფაში

ქართველ მთიელთა სოციალური ურთიერთობები ნიშან-სიმბოლოთა თვალსაზრისით დღემდე არ გამხდარა სპეციალური კვლევის საგანი. სადისერტაციო ნაშრომში გამოკვლეულია ქართველ მთიელთა სოციალურ-რელიგიური კავშირ-კომუნიკაციების ნიშნობრივ საშუალებათა ეთნიკური სპეციფიკა. ახლებურადაა წარმოდგენილი მთიელთა თემის შინაგანი ბუნება. ნაშრომის ძირითად წყაროს წარმოადგენს საველე ეთნოგრაფიული მონაცემები.

070005 ეთნოგრაფია
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. 6 იანვარი

კობახიძე ზვიად ქიშვარდის ძე _____ საკანდიდატო

ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის ამერიკული კონცესია (1925-1928 წწ.)

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია შეისწავლოს საკონცესიო პოლიტიკის პრინციპები საბჭოურ პირობებში და მანგანუმის მრეწველობის საკონცესიოდ გადაცემის გარემოებებთან დაკავშირებული

საკითხები. გაშუქებულია ამერიკული კონცესიის პირველი ნაბიჯები, წარმოქმნილი სიძნელეები. შესწავლილია მანგანუმის მრეწველობაში დასაქმებულთა შემადგენლობის დინამიკა, მათი შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობები. განხილულია ურთიერთობები კონცესიონერსა და ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციას შორის. ავტორი ეხება აგრეთვე საკონცესიო ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ მთელ რიგ პრობლემებს. ნაშრომში ყურადღებას იპყრობს საკითხი, რომელიც ეხება მანგანუმის ფასწარმოქმნას მსოფლიო ბაზარზე და მის გავლენას ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის განვითარებაზე.

070004 ბათუმი, ბულვარი ეროვნული ისტორია
ხელმძღვანელი ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲜᲐᲛᲩᲘᲜᲐᲫᲔ
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 28 ოქტომბერი.

ᲙᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔ ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲫᲔ _____ სადოქტორო

ქალაქ ბათუმის განათლებისა და კულტურის ისტორიის საკითხები (1878-1995 წწ.)

ნაშრომში წარმოდგენილი და შეფასებულია იმ ერისკაცთა ღვაწლი, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რათა ისტორიული ქარტეხილების შემდეგ აჭარაში კვლავაც აეღორძინებინათ განათლებისა და კულტურის დონე.

070001 საქართველოს ისტორია
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 10 ივნისი.

ᲙᲣᲢᲐᲚᲐᲫᲔ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲫᲔ _____ საკანდიდატო

არჩილ ჯორჯაძის ეროვნული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი

სადისერტაციო ნაშრომში ნაჩვენებია XIX-XX საუკუნეების (1802-1924 წწ.) ქართული ეროვნული მოძრაობის ეტაპობრივი გრადაცია. მოცემულია ერისა და ეროვნული „ცხოვრება-კულტურის" სოციალური ანალიზი. წარმოჩენილია არჩილ ჯორჯაძის როლი და ადგილი ეროვნულ მოძრაობაში, მისი ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი და პოლიტიკურ-იდეოლოგიური შეხედულებები. ნაშრომში მოცემულია ქართული ეროვნული მოძრაობის პერიოდიზაციის ახლებური სქემა.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი ᲒᲘᲚᲘᲐᲜ ᲨᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 30 ივნისი.

ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲫᲔ _____ სადოქტორო

ცენტრალური ამიერკავკასია ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში. ლითონის ნაწარმი

ნაშრომში შესწავლილია ქ. წ. II ათასწლეულის II ნახევრის ცენტრალური ამიერკავკასიის უძველესი ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხები. გამოყოფილია ცენტრალურ-ამიერკავკასიური ტიპის ბრინჯაოს ცულები, სატევრები, შუბისპირები, ბრინჯაოს სამკაული. შემუშავებულია ცენტრალურ-ამიერკავკასიური ტიპის ბრინჯაოს ცულების კლასიფიკაცია. გამოთქმულია ვარაუდი ბრინჯაოს ზოგიერთი ნივთის პროტოტიპის შესახებ. ლითონის ინვენტარის შესწავლით დადგენილია თუ რომელი ლითონის ნივთია დამახასიათებელი ცენტრალურ-ამიერკავკასიური კულტურისათვის, დადგენილია აგრეთვე აღნიშნული კულტურის ლოკალური ვარიანტები. სადისერტაციო ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ასევე ცენტრალურ-ამიერკავკასიური სპილენძ-ბრინჯაოს წარმოების საკითხის შესწავლას.

070006 არქეოლოგია
კონსულტანტი ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲨᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. 10 აპრილი.

მაჩიტიძე ელისაბედ ვლადიმერის ას. _____ საკანდიდატო

თურქეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარება და არმია 70-80-იანი წლების დასაწყისში

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია თურქეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების საკითხები 1970-80-იან წლებში, წარმოჩენილია არმიის როლი თურქეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მოცემულია თურქეთის სოციალ-ეკონომიკური დახასიათება განსახილველ პერიოდში. გაშუქებულია მრავალპარტიული სისტემის ფუნქციონირების ინვენტარებანი. გაანალიზებულია არმიის პოლიტიკური აქტიურობის ფაქტორები და მისი პოლიტიკაში ჩარევის შედეგები. შესწავლილია 1980 წლის 12 სექტემბრის სახელმწიფო გადატრიალების ხასიათი. დახასიათებულია ხელისუფალთა მიერ გამოყენებული ე. წ. „ისლამური ფაქტორი".

070003 მსოფლიო ისტორია
ხელმძღვანელი ალბერტ მენთეშაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 26 თებერვალი

მენთეშაშვილი ივანე ფოთას ძე _____ სადოქტორო

დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციათა ურთიერთშეხება ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის საქმიანობის პერიოდში

დისერტაციის მიზანია აღმოსავლეთში დასავლეთის კოლონიური ექსპანსიის გაშუქება ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის საქმიანობის ფონზე. განხილული საკითხები მოიცავს პერიოდს XVI საუკუნიდან XIX საუკუნის შუა ხანებამდე. ნაშრომში უარყოფილია საბჭოურ ისტორიოგრაფიაში არსებული მოსაზრება, რომ დასავლეთის ექსპანსიამ ხელი შეუშალა აღმოსავლეთში კაპიტალიზმის ავტონომიურ განვითარებას. დასავლურ და აღმოსავლურ სამყაროთა დაპირისპირება გააზრებულია როგორც მსოფლიო ისტორიის განვითარების ერთ-ერთი კანონზომიერი და შეუქცევადი ფორმა.

070003 მსოფლიო ისტორია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 24 დეკემბერი

მერკვილაძე დავით დემურის ძე _____ საკანდიდატო

სირიელი სასულიერო მოღვაწენი ქართლში („ასურელი მამები")

სადისერტაციო ნაშრომში გამოკვლეულია სირიელ სასულიერო მოღვაწეებთან დაკავშირებული საკითხები: ქართლში მოსვლის დრო, აღმსარებლობა, ეროვნება (სადაურობა), რაოდენობა. დაზუსტებულია მათი სახელები. ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილების ფონზე წარმოჩენილია ქართლის ოფიციალური ეკლესიის დოგმატური ორიენტირები.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი ეთერ ნამორაძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 30 ივნისი.

მეტრეველი ნინო რევინის ას. _____ საკანდიდატო

თანამედროვე ქართული წიგნის გრაფიკის მხატვრული პრობლემები (იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების" ილუსტრირებისა და მხატვრული გაფორმების მაგალითზე)

დისერტაციაში შესწავლილია იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების" გამოცემათა მხატვრული გაფორმება და მისთვის შესრულებული ილუსტრაციათა ციკლები (ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები 1976-1986 წლებს მოიცავს). განსაზღვრულია თანამედროვე ქართული წიგნის გრაფიკის დონე, ცალკეულ მხატვართა შემოქმედებითი ინდივიდუალობა, აღნიშნული დროის ქართული წიგნის გრაფიკის წინაშე მდგარი მხატვრული პრობლემები და მისი განვითარების ტენდენციები. ავტორს მნიშვნელოვან მხატვრულ პრობლემად ესახება თანამედროვე ქართული წიგნის გრაფიკის დამოკიდებულება ქართული ხელოვნების ტენდენციებისადმი. განხილულია საკითხები: წიგნის მხატვრულ-დეკორაციული პრობლემა; ილუსტრაციის მხატვრული სახის სტრუქტურა; ქართული წიგნის ილუსტრირების მხატვრული

ტენდენციები... „შუშანიკის წამების“ ილუსტრირებისა და მხატვრული გაფორმების შესწავლა დაგვეხმარება ქართული წიგნის გრაფიკის განვითარების სრული სურათის წარმოდგენაში.

170009 ხელოვნების ისტორია და თეორია
ხელმძღვანელი [illegible] [illegible]
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი [illegible] სექტემბერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანობაშვილი ბიძინა ილიას ძე _____ საკანდიდატო

საოჯახო მეურნეობა კახეთში
XIX საუკუნის რეფორმის შემდგომ და XX საუკუნის I მეოთხედში
(ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა)

ნაშრომში წარმოჩენილია მიგრაციული და ეთნოსოციალური პროცესები. შესწავლილია ტოპონიმები, საფლავის ქვები. განხილულია ოჯახის ფორმა – „ერთობის სახლი“, რომელიც დიდი ოჯახის მნიშვნელობითაა ფიქსირებული. შესწავლილია მისი ბუნება, ეკონომიკური საფუძვლები, შრომის ორგანიზაციის ფორმები, საკუთრების ფორმები, ოჯახის გაყრის წესი და პრინციპები. სამეცნიერო მიმოქცევაში პირველადაა შემოტანილი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული, საარქივო-დოკუმენტური და ხელნაწერთა სახით ოჯახებში დაცული მასალა.

070005 ეთნოგრაფია
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. 28 ნოემბერი.

ნიკოლაიშვილი ვახტანგ (ვლადიმერ) პეტრეს ძე _____ საკანდიდატო

კარსნისხევის მეთუნე-ხელოსანთა დასახლება

გამოკვლევის მიზანია კარსნისხევის კომპლექსის მაგალითზე გაირკვეს გვიანანტიკური ხანის ქართლის ქალაქისა და მისი შემოგარენის ურთიერთდამოკიდებულება. აქ აღმოჩენილი მეთუნე-ხელოსანთა დასახლება, გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების გამოქვეყნება, მნიშვნელოვნად შეავსებს დიდი მცხეთის უბანთა ისტორიას, უშუალო მწარმოებელთა ცხოვრების სურათს.

070006 არქეოლოგია
კონსულტანტი ანლრეა აშუიძე
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. 15 სექტემბერი.

ოქროპირიძე ასმათ ალექსის ას. _____ საკანდიდატო

ბოჭორმის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ბოჭორმის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა, გამოვლენილია მისი მხატვრულ-სტილისტური თავისებურებანი. იდენტიფიცირებულია ქტიტორის ფიგურისათვის დაზიანებული გამოსახულება. დისერტანტის აზრით, ეს არის დავით აღმაშენებლის ფრესკა. ბოჭორმის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობას ავტორი XII საუკუნის I მეოთხედით ათარიღებს.

170009 ხელოვნების ისტორია და თეორია
ხელმძღვანელი [illegible] ალიბეგაშვილი
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი. 28 ნოემბერი.

ჭველია ნონა ვარლენის ას. _____ საკანდიდატო

ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ისტორიის საკითხები
(შიგაქართული და საგარეო ურთიერთობანი)

ნაშრომში შესწავლილია ოდიშის სამთავროს ურთიერთობები როგორც ქართულ სამეფო-სამთავროებთან, ისე უცხო ქვეყნებთან. გაშუქებულია ქართულ დიპლომატიასთან დაკავშირებული ნთელი რიგი საკითხები.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელები: [illegible] ჭველი, [illegible] [illegible]
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 15 აპრილი

ჟუჟუნაშვილი გიორგი დემურის ძე _____ საკანდიდატო

XVI-XVIII (1721 წლამდე) საუკუნეების რუსეთის საარქივო მასალები – საქართველოს ისტორიის წყარო

ნაშრომის მიზანია დამატებითი ინფორმაციის შემოტანა რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ. გაანალიზებულია კონკრეტული საარქივო მასალა – დიპლომატიური ურთიერთობის ძირითადი დოკუმენტები („ფიცის წიგნები", „ოქრობეჭედილ [illegible] ოფიციალურ პირთა მიმოწერა). განხილულია რუსეთის დიპლომატიური კანცელარიის [illegible] არსებული რამდენიმე სახის დოკუმენტი („Наказы", „Статейные списки"). ნაშრომი იმითაც არის საყურადღებო, რომ მასში წარმოდგენილია მოსკოვის ძველ აქტთა ცენტრალური არქივის (ЦГАДА) ქართული ფონდისა და საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის (სცსსა) მიხეილ პოლიევქტოვის პირადი ფონდის მასალები.

070002 საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია
ხელმძღვანელი პაატრიარქ მაჭარაძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 10 მარტი

რუხაძე თამარ სერგოს ას. _____ საკანდიდატო

ჯონ კენედის ადმინისტრაციის ეკონომიკურ-სოციალური პოლიტიკა

ნაშრომში გაშუქებულია 1961-1963 წლებში კენედის ადმინისტრაციის მიერ გატარებული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები. შესწავლილია ის ძირითადი ნიშნები, რითაც განსხვავდებოდა კენედის საშინაო პოლიტიკა წინა პრეზიდენტების კურსისაგან. მოცემულია 1950-60-იანი წლების მიჯნაზე აშშ-ის შიდა პოლიტიკური მდგომარეობის დახასიათება. განხილულია ჯონ კენედისა და მისი ადმინისტრაციის წევრების ეკონომიკური შეხედულებები, მათი დამოკიდებულება სოციალური საკითხებისადმი. წარმოჩენილია კონგრესთან კენედის ურთიერთობის ძირითადი მომენტები, 1961-1963 წლებში კენედის ადმინისტრაციის ეკონომიკური და სოციალური ბილების ირგვლივ კონგრესში გამართული დებატები. ნაჩვენებია ჯონ კენედის ადმინისტრაციის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი შედეგები XX საუკუნის II ნახევრის აშშ-ისათვის.

070003 მსოფლიო ისტორია
ხელმძღვანელი პასტორ ქაჭარაძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 21 მაისი

სანიკიძე თამაზ ევგენის ძე _____ სადოქტორო

უფლისციხის არქიტექტურა

ნაშრომში შესწავლილია ქართული კულტურის თვალსაჩინო ძეგლის, კლდეში ნაკვეთი ქალაქის – უფლისციხის არქიტექტურა. ძეგლის ისტორიული, სტრუქტურული, სტილისტური და მხატვრული ანალიზის საფუძველზე აღწერილია ხუროთმოძღვრული თავისებურებები. ნაჩვენებია ის განსაკუთრებული ღირსებები, როლი და მნიშვნელობა, რომელიც უფლისციხეს აქვს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში. ნაშრომში უფლისციხის არქიტექტურა გააზრებულია როგორც უწყვეტი პროცესი და სტრუქტურული მთლიანობა. ავტორის აზრით, უფლისციხე ადრეელინისტური ხანიდან წარმოადგენდა სატაძრო ქალაქს.

170009 ხელოვნების თეორია და ისტორია
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი. 17 იანვარი

ურთაძელიძე ალექსანდრე ოთარის ძე _____ საკანდიდატო

საფრანგეთისა და ინგლისის ახალი ისტორიის საკითხები და გაზეთი „კვალი"

ნაშრომში გარკვეულია, რომ გაზეთ „კვალის" პუბლიცისტები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ საფრანგეთისა და ინგლისის ახალი ისტორიისადმი. ისინი საკუთარი მსოფლმხედველობის მიხედვით გადმოსცემდნენ პოლიტიკურ მოვლენებს, ცდილობდნენ სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში ქართველი მკითხველის გათვითცნობიერებას. ნაჩვენებია, რომ „მესამე დასელები" ილაშქრებდნენ კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, გმობდნენ ყოველგვარ ძალადობას, ამხელდნენ

დრომოჭმულ დესპოტურ რეჟიმებს. სადისერტაციო ნაშრომის ქრონოლოგია მოიცავს 1893-1904 წლებს — გაზეთ „კვალის“ გამოცემის პერიოდს.

070004 მსოფლიო ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია
ხელმძღვანელი ქ. მარწყევ ლუნაძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 12 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქორთუა ზაალ შუხუზის ძე _____ საკანდიდატო

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XVII საუკუნის პირველ ნახევარში

(ურთიერთობა თურქეთთან, სპარსეთთან და ევროპასთან)

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს ოსმალეთთან და სპარსეთთან დასავლეთ საქართველოს ურთიერთობის ფორმები და შედეგები, ვატიკანის აღმოსავლური პოლიტიკის ნამდვილი არსი. დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულების ურთიერთობა ოსმალეთთან XVII საუკუნის I ნახევარში შეფასებულია როგორც ფორმალური ვასალიტეტი. ახსნილია ვატიკანის დაინტერესების მიზეზები კათოლიკე მისიონერთა საქართველოში მოვლინებისას. აღნიშნულია მისიონერთა დადებითი როლი ევროპასთან საქართველოს ურთიერთობის განვითარების საქმეში. მოტანილია ახალი დოკუმენტები, მისიონერთა რელაციების ახალი თარგმანები. დაზუსტებულია ფაქტები, თარიღები...

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი ილია ჩაბაღაშვილი
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 10 ივნისი.

ჭანჩელი ეკატერინე ირაკლის ას. _____ საკანდიდატო

ეროვნული ინტეგრაციის ეთნოკონფესიური ფაქტორები დამოუკიდებელ ინდოეთში

ნაშრომის კვლევის საგანია ეროვნული საკითხი დამოუკიდებელ ინდოეთში და მისი ეთნოკონფესიური ფაქტორები. შესწავლილია დამოუკიდებელ ინდოეთში მიმდინარე ეროვნულ-ეთნიკური, ეთნოსოციალური, ეთნოკონფესიური და ეთნოპოლიტიკური პროცესები, რომელთა შედეგები მკვეთრადაა გამოხატული როგორც ინდუს-მუსლიმთა, ისე სხვა სარწმუნოების მიმდევარ ხალხთა კომუნალისტურ და სეპარატისტულ მოძრაობაში. გამოკვლეულია ინდოეთში ეროვნული საკითხის ჩასახვა-განვითარების ისტორიული წანამძღვრები, ინდოეთის პოლიტიკური განვითარების ძირითადი ეტაპები და მოსახლეობის ეთნოკონფესიური შემადგენლობა. დახასიათებულია ეროვნული პოლიტიკა და ეთნოკონფესიური ვითარება ინგლისის კოლონიური ბატონობის ხანაში. წარმოჩენილია დამოუკიდებელი ინდოეთის მთავრობის ეროვნული და კონფესიური პოლიტიკა. გამოვლენილია ქვეყანაში მიმდინარე არალეგალური ეთნიკური ემიგრაციის გამომწვევი მიზეზები და შედეგები. განხილულია ინდუს-მუსლიმთა ძირითადი ეთნოკონფესიური წინააღმდეგობები და ისლამური სეპარატიზმი, პოლიტიკური ვითარება თანამედროვე ეტაპზე. ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები მოიცავს 1950-1995 წლებს.

070003 მსოფლიო ისტორია
ხელმძღვანელი ალბერტ მენსიევაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 16 აპრილი.

ყენია მარინე რევაზის ას. _____ საკანდიდატო

ლაღამის ქვედა ეკლესიის მოხატულობანი

დისერტანტი მესტიაში მდებარე ლაღამის მაცხოვრის ეკლესიის ადრეულ მოხატულობათა მაგალითზე იხილავს მხატვრობის საერთო ანსამბლის ჩამოყალიბებისა და შემდგომი ევოლუციის პროცესს სვანური ფერწერული სკოლის განვითარების ორ მნიშვნელოვან ეტაპზე — IX-X და XII საუკუნეებში. ავტორი არკვევს თუ როგორ ხდება სვანური ფერწერული სკოლისათვის ნიშანდობლივი მხატვრული ტრადიციებისა და მიდგომების შემუშავება, როგორ იჩენს ისინი თავს XII საუკუნეში. ლაღამის მოხატულობების ანალიზის საფუძველზე დაზუსტებულია თითოეული პერიოდის მხატვრობის შესრულების დრო. განსაზღვრულია მათი იკონოგრაფიულ-სტილისტური თავისებურებანი, მიმართება თანადროულ მოხატულობებთან და ბიზანტიური წრის მხატვრობასთან.

170009 ხელოვნების ისტორია და თეორია
ხელმძღვანელი ნათელა ალადაშვილი
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი. 14 ნოემბერი.

ჩელებაძე ნაილი მურადის ას. _____ საკანდიდატო

ქალის საოჯახო მდგომარეობა აჭარაში
(XIX ს. II ნახევრისა და XX ს. დასაწყისის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით)

ნაშრომში ახლებურადაა გაანალიზებული ოჯახში ქალის მდგომარეობის განმსაზღვრელი მთელი რიგი კრიტერიუმები: მზითვის ინსტიტუტი, განრიდების მექანიზმი, გამოვლენილია ქალის/მეუღლეობითი ფუნქცია, განრიდების მექანიზმის საწყის-სასრულობის მჭიდრო კავშირი [illegible] ცოლქმრულ ურთიერთობასთან. ახლებურადაა გაშუქებული ნათესაური, სოციალური [illegible] ტერმინოლოგია. დაკონკრეტებულია რიგ ტერმინთა მნიშვნელობა. დისერტაციაში გამოყენებულია ახალი ეთნოგრაფიული მასალა.

070005 ეთნოგრაფია
ხელმძღვანელი პატარა მეგელაძე
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 20 იანვარი

ჩხარტიშვილი მარიამ სანდროს ას. _____ სადოქტორო

ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ანალიზი
(IV-VII სს. ისტორიის ამსახველი ძეგლები)

ნაშრომში განხილულია ის ორიგინალური, არანაირგვნი ძეგლები, რომლებშიც ასახულია ქართველი ერის ისტორია IV საუკუნის I ნახევრიდან VII საუკუნის I ნახევრამდე: „წმ. ნინოს ცხოვრება", „წმ. რაჟდენის წამება", „წმ. შუშანიკის წამება", „წმ. იოანე ზედაზნელისა და მის მოწაფეთა ცხოვრება", „წმ. ევსტათი მცხეთელის წამება", „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება". ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები განსაზღვრულია ქართველთა ქრისტიანიზაციის ეპოქით. არსებითი ხასიათის კორექტივებია შეტანილი თითოეული განხილული ძეგლის დათარიღებისა და ატრიბუციის პრობლემების გადაწყვეტაში. ახლებურადაა წარმოდგენილი ქართული ჰაგიოგრაფიის ჟანრობრივი თავისებურებების, ზოგადქრისტიანულ ისტორიოგრაფიულ კონცეფციასთან მისი მიმართების, შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის სხვადასხვა საკითხი. წამოყენებულია ორიგინალური კონცეფციები.

070002 საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია
კონსულტანტი შიელი ალასანია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 24 თებერვალი

ცერცვაძე კახა ჯუმბერის ძე _____ საკანდიდატო

ჩრდილო კავკასიის ხალხები XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ პრესაში

გამოკვლევაში XIX საუკუნის II ნახევრის ქართული პრესის მასალების ანალიზის საფუძველზე შესწავლილია საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ეკონომიკური კავშირურთიერთობანი, ჩრდილოკავკასიელი ხალხების სამეურნეო ყოფა, კავკასიელ ხალხთა კულტურული ურთიერთობები, მიგრაციული პროცესების ხელშემწყობი ფაქტორები. ნაჩვენებია თუ როგორი ინტენსივობით შეეძლებოდა ჩრდილო კავკასიის ეკონომიკური ვითარება XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ პრესაში. გამოკვლეულია რუსული კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად გამოწვეული იძულებითი მიგრაციული პროცესები. გაშუქებულია ჩრდილო კავკასიის ხალხთა კულტურა XIX საუკუნის II ნახევრის ქართული გამოცემების მიხედვით.

070002 საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია
ხელმძღვანელები: † თეიმურაზ გოგუაძე, აკადემიკოს ალეკსანდრ ალფაიძეს
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 27 ოქტომბერი

ცხოვრებაძე გოგი ვარლამის ძე _____ საკანდიდატო

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ბრძოლა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის 1921-1925 წლებში. შესწავლილია მათი საქმიანობა როგორც ევროპაში, ისე საქართველოში. გამოკვლეულია შემდეგი თემები: საქართველოს საკითხი ევროპის

მთავრობებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებში, დიპლომატიური მისიები და წარმომადგენლობები ევროპაში, საერთაშორისო კონფერენციები და ერთა ლიგა საქართველოს შესახებ, პოლიტიკური პარტიები ინტერპარტიულ კავშირში... ნაშრომი მდიდარია მნიშვნელოვანი, აქამდე უცნობი საარქივო მასალით.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელი ბრიბიულ გახსახურდია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 25 ნოემბერი.

ბიბლიოთეკა

ჭელიძე გურანდა თამაზის ას. _____ საკანდიდატო

ფინეთი XIX საუკუნეში და საქართველო

ნაშრომში ერთმანეთთან არის დაკავშირებული XIX საუკუნის საქართველოსა და ფინეთის ისტორია. შესწავლილია პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც წინ უსწრებდა რუსეთის მიერ საქართველოსა და ფინეთის ანექსიას. განხილულია ის დოკუმენტები, რომლებშიც ასახულია ორი ქვეყნის გაერთიანება რუსეთის იმპერატორის გვირგვინის ქვეშ. გაანალიზებულია მიზეზები, რის გამოც რუსეთმა უარი თქვა საქართველოსთვის 1783 წლის ტრაქტატით ბოძებულ უფლებებზე, ხოლო ფინეთის დიდ სამთავროს შეუნარჩუნა 1809 წლის ბორგოს მანიფესტით მინიჭებული უფლებები. შედარებულია ორი ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობა და მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა. შესწავლილია აღნიშნული პერიოდის ქართული საზოგადოებრივი აზრი ფინეთსა და საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

070003 მსოფლიო ისტორია
ხელმძღვანელი ძუნსტანტინე ანანიძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 18 ივნისი.

ჯავახიშვილი გაიოზ რევაზის ძე _____ საკანდიდატო

სამხატვრო განათლება საქართველოში XIX ს. II ნახევარსა და XX ს. I ნახევარში
(თბილისის სამხატვრო აკადემია)

ნაშრომი ეხება ახალი და უახლესი პერიოდის საქართველოს სამხატვრო განათლების ისტორიას. იგი მოიცავს პერიოდს 1849 წლიდან (თბილისში სამხატვრო სკოლის გახსნის პირველი მცდელობა) 1941 წლამდე. აღნიშნულ პერიოდში საქართველოში ყალიბდებოდა ახალი, ევროპული სტილის მხატვრობის შესწავლის მეთოდოლოგია და ამ დარგში განათლების სტრუქტურა. ნაშრომში შესწავლილია სამხატვრო განათლების ისტორია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, გაშუქებულია საბჭოთა სამხატვრო ინტელიგენციის ფორმირების საკითხები.

070001 საქართველოს ისტორია
ხელმძღვანელები: პარმენ ზაქარაია, ბერამ ჩხაიძე
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 25 ნოემბერი.

ჯავახიშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე _____ საკანდიდატო

ქართული ფალერისტიკა
(ჯილდოთმცოდნეობა)

დისერტაცია წარმოადგენს ქართული ჯილდოთმცოდნეობის საკითხების მონოგრაფიულად შესწავლის პირველ ცდას. შესწავლილია ქართული ფალერისტიკული ძეგლები, ეროვნულ ჯილდოთა განუხორციელებელი პროექტები, საქართველოსთან დაკავშირებით შექმნილი უცხოური ფალერისტიკული ნაშუშები. ნაჩვენებია საზღვარგარეთულ ჯილდოთა ქართველი კავალრების დამსახურება. წარმოდგენილია ხსენებული მასალის ატრიბუცია, კლასიფიკაცია და ინტერპრეტაცია სტილისტურ-ქრონოლოგიური თუ ტექნოლოგიურ-ფუნქციური პრინციპით.

070002 საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია
ხელმძღვანელი რევაზ მეტრეველი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2 ივნისი.

ახალი გამოცემები
(1995-1997)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი გამოცემების შესახებ ინფორმაციას „არგანუჯში" თითქმის ყოველთვის ჰქონდა დათმობილი ადგილი, მაგრამ საისტორიო გამოცემების ერთიანი ნუსხა პირველად მე-4 ნომერში გამოქვეყნდა. მოცემული იყო 1994 წელს გამოსული ლიტერატურის სია.

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ ინფორმაციას 1995-1997 წლების საისტორიო გამოცემების შესახებ. ნუსხაში წარმოდგენილია სამეცნიერო ჟურნალები და კრებულები, წყაროს პუბლიკაციები, გამოკვლევები, სახელმძღვანელოს ტიპის გამოცემები, ისტორიულ-პუბლიცისტური საშრომები, ცნობილ მეცნიერთა თხზულებები.

ნუსხაში არ არის შესული სასკოლო სახელმძღვანელოები, პოპულარული სახის საისტორიო ლიტერატურა, არ არის შეტანილი 48 გვერდზე ნაკლები მოცულობის ბროშურები. ამგვარი გამოცემების აღნუსხვა შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ისინი გაუკვლმარიებული სადისერტაციო დებულების წყალობით ბოლო სანს საკმაოდ მომრავლდა. დისერტაციის დასაცავად ფიქსირებული რაოდენობის პუბლიკაციაა საჭირო, ამიტომ თითქმის ყველა დისერტანტი იძულებულია საკუთარი დისერტაცია (ან უკვე გამოცემული წიგნი) დაანაწევრის და მცირე ბროშურებად, სიმბოლური ტირაჟით გამოსცეს. ოანაც, ამგვარი ბროშურები ხშირად მხოლოდ სადისერტაციო საბჭოს წევრებისათვის ხდება ხელმისაწვდომი. ნუსხაში გამონაკლისის სახით შევიტანეთ 48 გვერდზე ნაკლები მოცულობის „საისტორიო მაცნესა" და „ძეგლის მეგობარის" ნომრები (როგორც პერიოდული ორგანოს გამოცემები), აგრეთვე „წესი და განგება მეფეთ კურთხევისა" რუსულ ენაზე (როგორც საისტორიო წყაროს პუბლიკაცია).

ნუსხაში ძირითადად წარმოდგენილია საქართველოში გამოცემული პროდუქცია, თუმცა შეტანილია საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ არსებული უცხოური ლიტერატურაც.

გამოცემის სათაური, როგორც წესი, მოცემულია უცვლელად. იგი ერთეულ გამონაკლის შემთხვევებში კუთხოვან ფრჩხილებში მოქცეული სიტყვებით დავაკონკრეტეთ, რათა მკითხველს უკეთ აღექვა გამოცემასთან დაკავშირებული დეტალები.

მოგეხსენებათ, უკანასკნელ წლებში ხშირად გამოდის წიგნები გამომცემლობის გრიფის გარეშე (თუმცა ეს სულაც არ მეტყველებს გამოცემის დაბალ სამეცნიერო დონეზე). სწორედ ამიტომ ვერ არის საერთო პრინციპი დაცული ჩვენს ნუსხაში (ზოგიერთ წიგნს მითითებული აქვს გამომცემლობა, ზოგს – არა). ხანდახან წიგნზე ორი გამომცემლობის გრიფია დატანილი. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ორივეს ვუთითებთ.

დღესდღეობით გამოცემათა დიდი ნაწილი საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც ვერ ხვდება; მოშლილია წიგნის გავრცელების ერთიანი სისტემა; საქართველოს სხვადასხვა ქალაქში (და საზღვარგარეთ) გამოცემული ლიტერატურის შესახებ ინფორმაციის მოპოვების არანაირი მექანიზმი არ არსებობს (გარდა ცალკეული პირადი კავშირებისა), არის შემთხვევები, როდესაც გამოცემაზე 1997 წელია აღნიშნული, რეალურად კი 1999 წელს არის დასტამბული. ასე რომ, ჩვენი ნუსხა ვერ იქნება აბსოლუტურად სრულყოფილი. თუმცა, გვერწმუნეთ, ძალა არ დაგვიშურებია, რათა მაქსიმალური ინფორმაცია მიგვეწოდებინა მკითხველისათვის.

მადლობას მოვახსენებთ ბათუმის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეს აბელ სურგულაძესა და ქუთაისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტს იგორ კეკელიას ბათუმსა და ქუთაისში გამოცემული ლიტერატურის მოწოდებისათვის.

თხოვნით მოგმართავთ ყველას – ავტორებს, რედაქტორებს, კათედრებს, საისტორიო დაწესებულებებს, გამომცემლობებს, ნუსხაში დაცული პრინციპების მიხედვით მოგვაწოდოთ ინფორმაცია მომდევნო წლების გამოცემათა შესახებ. წინასწარ გიძღვნით მადლობას.

> სხვადასხვა ავტორთა თუ რედაქციის წევრთა მიერ წლების მანძილზე შემოწირულ გამოცემათა ბაზაზე შეიქმნა „არგანუჯის" ბიბლიოთეკა. რედაქცია თხოვნით მიმართავს ჰუმანიტარული დარგის ავტორებს, ჟურნალ „არგანუჯის" მეგობრებსა და კეთილისმსურველებს, შეძლებისდაგვარად შემოსწირონ ბიბლიოთეკას თავისი გამოცემები.

1995

ჟურნალი

- **„არტანუჯი“.** ახალგაზრდა ისტორიკოსთა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი. I. თბ. რედაქტორ-გამომცემელი ბუბა კუდავა. თბ. 96 გვ.
- **„GEORGICA“.** Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens. 18. Verantwortlich Heinz Fähnrich. Konstanz. 152 s.

კრებული

- **„დავით ხახუტაიშვილი – 70“** (საიუბილეო სესიის მოხსენებები და მასალები). გამოსაცემად მოამზადა ზ. თანდილავამ. ბათ. „აჭარა“. 80 გვ.
- **„ეთნოგრაფიული ქუთაისი“.** I. XIX ს. II ნახევარი. ქუთაისის მუზეუმის მასალები. კრებული VII. ქუთ. „მეცნიერება“. 184 გვ.
- **„ინსტიტუტის შრომათა კრებული“.** I. გორის პედაგოგიური ინსტიტუტი. ჰუმანიტარული მეცნიერებები. რედაქტორები: მერმან პაპაშვილი, თედო უთურგაიძე. თბ. „სამთავისი“. 228 გვ.
- **„ნარკვევები“** [ხელოვნების მუზეუმის კრებული]. I. სამეცნიერო რედაქტორები: ნოდარ ლომოური, გურამ ყოფიანი. თბ. „ნეკერი“. 164 გვ.
- **„საისტორიო მაცნე“.** I. რედაქტორი აბელ სურგულაძე. ბათ. „აჭარა“. 48 გვ.
- **„საისტორიო მაცნე“.** II. რედაქტორი აბელ სურგულაძე. ბათ. „აჭარა“. 32 გვ.
- **„საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან“.** II. რედაქტორი ილია ტაბალუა. თბ. „მეცნიერება“. 376 გვ.
- **„ქართული დიპლომატია“.** წელიწდეული. 2. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. თსუ გამომცემლობა. 436 გვ.
- **„შრომები“** [ბათუმის უნივერსიტეტის კრებული]. I (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია). რედაქტორი აზიზ ახვლედიანი. ბათ. „აჭარა“. 208 გვ.

წყარო

- **გიორგი ყაზბეგი.** სამი თვე თურქეთის საქართველოში. ნაშრომი [რუსულიდან] თარგმნეს, შესავალი წერილები, კომენტარები და სახელებლები დაურთეს და გამოსცეს რამაზ სურმანიძემ და ანია ხარაზმა. ბათ. „აჭარა“. 188 გვ.

გამოკვლევა

- სოსო **ბიჭიკაშვილი, დავით ნინიძე, ანა მხეიძე.** ბაგრატიონები [ნარკვევი ილუსტრაციებითა და გენეალოგიური ტაბულებით]. თბ. „მერიდიანი“. 64 გვ.
- სალომე **გაბუნია.** ბასკურ-ქართული ეთნოგრაფიული პარალელები. თბ. „მეცნიერება“. 132 გვ.
- კონსტანტინე ზ. **გამსახურდია.** ალრექრისტიანული ქართლის კულტურული მოზაიკა. თბ. „პითაგორა“. 120 გვ.
- მარინე **გეგუჩაძე.** საქართველო-სომხეთის ურთიერთობა XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში და რუსეთი. თბ. თსუ გამომცემლობა. 48 გვ.
- ნანა **გელაშვილი.** ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI ს.). თბ. „მეცნიერება“. 248 გვ.
- დერმიშა **გოგოლაძე.** „აფხაზთა“ საერისთავოს, დღევანდელი აფხაზეთის ძველ ეთნოსთა კინაობისა და ეთნოსის მკვიდრობის საკითხი. თბ. 48 გვ.

- **რევაზ გრძელიძე.** საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი (1914-1918 წწ.). თბ. თსუ გამომცემლობა. 60 გვ.
- **თედო დუნდუა.** საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით [ნაწილი I]. თბ. თსუ გამომცემლობა, „მერიდიანი". 124 გვ.
- **თედო დუნდუა.** საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით [ნაწილი II]. თბ. თსუ გამომცემლობა, „მერიდიანი". 64 გვ.
- **გივი ელიავა.** ძიებანი – 2. ქუთ. 84 გვ.
- **შალვა ვარშანიძე.** აჭარა ანტიკური ხანიდან საქართველოს ერთიანობისაკენ შექცევამდე. ბათ. „აჭარა". 188 გვ.
- **ნუგზარ ზოსიძე.** პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში. ბათ. „აჭარა". 140 გვ.
- **მიხეილ თამარაშვილი.** ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა. ქართული ეკლესიის ისტორია. მასალები და გამოკვლევები. 3. თბ. „კანდელი". 800 გვ.
- **ანზორ თოთაძე.** აფხაზეთის მოსახლეობა: ისტორია და თანამედროვეობა. თბ. „საქჭობლო". 112 გვ.
- **თინა იველაშვილი.** ქართული სუფრის ეტიკეტი. თბ. „მეცნიერება". 64 გვ.
- **ვახტანგ ითონიშვილი.** ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ისტორიიდან. თბ. „ლეგია". 112 გვ.
- **მანანა კაკაშვილი.** ზედაშე, როგორც სულიერი კულტურის ფენომენი (ქიზიყის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). თბ. თსუ გამომცემლობა. 56 გვ.
- **რევაზ კიკნაძე.** საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. თბ. „მეცნიერება". 164 გვ.
- **ოთარ ლორთქიფანიძე.** ვანი „ოქრომრავალი" კოლხეთის უძველესი რელიგიური ცენტრი [ქართულ და გერმანულ ენებზე]. მაინცი. 130 გვ.
- **ელდარ მამისთვალიშვილი.** ქართველ ებრაელთა ისტორია (ანტიკური და ფეოდალიზმის ხანა). თბ. „მეცნიერება". 332 გვ.
- **ნელი მიქაია.** დადიანებისა და მიურატების ურთიერთობის ისტორიიდან (ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით). ზუგდ. 56 გვ.
- **დავით ნინიძე.** „პროვინციის მეფეები" XIV-XV საუკუნეების საქართველოში (ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიიდან). თბ. თსუ გამომცემლობა. 216 გვ.
- **ქეთევან პავლიაშვილი.** საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში. თბ. 256 გვ.
- **მურმან პაპაშვილი.** საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს. თბ. „ალმაშენებული". 368 გვ.
- **ზურაბ რატიანი.** წყაროთა ღალადი ანუ პირიქითა საქართველო. თბ. „მეცნიერება". 80 გვ.
- **ავთანდილ სონღულაშვილი.** გერმანელები საქართველოში. თბ. 52 გვ.
- **აბელ სურგულაძე.** ქართველები ევროპის ხალხთა ანტიფაშისტურ წინააღმდეგობის მოძრაობაში (1939-1945). ბათ. „ალიონი". 268 გვ.
- **მზია სურგულაძე.** ბაგრატიონთა სამეფო სახლი. გენეალოგიური ტაბულები შეადგინეს: მზია სურგულაძემ და მიხეილ ქავთარიამ. თბ. „კანდელი". 64 გვ.
- **გრიგოლ ფერაძე.** უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გოჩა ჯაფარიძემ. ქართული ეკლესიის ისტორია. მასალები და გამოკვლევები. 4. თბ. „კანდელი". 168 გვ.
- **თამაზ ფუტკარაძე.** თანამედროვე მიგრაციული პროცესები აჭარის მთიანეთში. ბათ. „თამარიანი". 72 გვ.
- **ზაალ ქორთუა.** დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა ევროპასთან XVII საუკუნის პირველ ნახევარში. ზუგდ. „ზუგდიდის უნივერსიტეტი". 60 გვ.
- **პაატა ყიფიანი.** ეთნოლოგიის პრობლემები. თბ. 72 გვ.
- **გურამ ყორანაშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები. II. თბ. „მერწყული". 384 გვ.
- **გურამ შარაძე.** მეძედ აბაშიძე. თბ.-ბათ. 184 გვ.
- **რამაზ ცუხიშვილი.** ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ. თბ. „მერიდიანი". 134 გვ.

- **დავით ხახუტაიშვილი.** ქობულეთის „ქვეყანა". ნეოლითიდან ადრეკლასობრივი ქალაქების წარმოქმნამდე. I. ბათ. „აჭარა". 152 გვ.
- **ნიკო ჯავახიშვილი.** ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა). თბ. 96 გვ.
- **გოჩა ჯაფარიძე.** საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში. თბ. „მეცნიერება". 350 გვ.
- Роин **Метревели.** Некоторые вопросы внешней политики Грузии времени Тамары-Бека (XII век). Тб. Изд. ТГУ. 100 стр.
- Avtandil **Menteshashvili.** Trouble in the Caucasus. New York. 106 p.
- Daniel **Thurre.** L'aiguière „de Charle magne" au trèsor de Saint-Maurice: de l'art a l'idèe de pouvoir. Sion. 150 s.

სხვადასხვა

- **გრიგოლ ლორთქიფანიძე.** ფიქრები საქართველოზე. რედაქტორ-შემდგენელი ბ. სურგულაძე. თბ. თსუ გამომცემლობა. 372 გვ.
- **ვალერიან მეტრეველი.** რომის სამართალი (საფუძვლები). თბ. „მერიდიანი". 124 გვ.
- **ლალი ფირცხალავა.** ისტორიის მეცნიერების შესავალი. თბ. „მერიდიანი". 272 გვ.
- **ირაკლი ციციშვილი.** ქართული ხელოვნების ისტორია. თბ. 160 გვ.

1996

ჟურნალი

- **„არტანუჯი".** ახალგაზრდა ისტორიკოსთა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი. № 5. რედაქტორ-გამომცემელი ბუბა კუდავა. თბ. 96 გვ.
- **„ძეგლის მეგობარი".** სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი. № 1 (92). მთავარი რედაქტორი ირაკლი ციციშვილი. თბ. 52 გვ.
- **„ძეგლის მეგობარი".** სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი. № 2 (93). მთავარი რედაქტორი ირაკლი ციციშვილი. თბ. 66 გვ.
- **„ძეგლის მეგობარი".** სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი. № 3 (94). მთავარი რედაქტორი ირაკლი ციციშვილი. თბ. 52 გვ.
- **„ძეგლის მეგობარი".** სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი. № 4 (95). მთავარი რედაქტორი ირაკლი ციციშვილი. თბ. 52 გვ.
- **„GEORGICA".** Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens. 19. Verantwortlich Heinz Fähnrich. Konstanz. 168 s.
- **„PRO GEORGIA".** Prace i materialy do dziejów stosunków Gruzinsko-Polskich. V. Redaktor Wojciech Materski. Warszawa. 100 p.

კრებული

- **„აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი – 100".** დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სესიაზე წაკითხულ მოხსენებათა კრებული. რედაქტორები – გ. მელიქიშვილი, გ. ლორთქიფანიძე. თბ. „მეცნიერება". 188 გვ.
- **„ბურია".** მხარის კვლევა-ძიების შედეგები. I. რედაქტორი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ანდრია ალფაიძე. თბ. „მეცნიერება". 304 გვ.

- **„თბილისის უნივერსიტეტის შრომები“.** 321. ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბ. თსუ გამომცემლობა. 232 გვ.
- **„ინსტიტუტის შრომათა კრებული“.** II. გორის პედაგოგიური ინსტიტუტი. ჰუმანიტარული მეცნიერებები. რედაქტორი დ. კაპანაძე. გორი. 240 გვ.
- **„კულტურის ისტორიის საკითხები“.** II. რედაქტორები: ტ. ლორთქიფანიძე, ქ. პავლიაშვილი. თბ. „ირმისა“. 108 გვ.
- **„კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში“.** I. რედაქტორი ნუგზარ მგელაძე. ბათ. „აჭარა“. 284 გვ.
- **„მცხეთა“.** არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. XI. რედ. აკად. ანდრია აფაქიძე. თბ. 116 გვ.
- **„ოსთა საკითხი“.** შემდგენლები და რედაქტორები: აკაკი ბაქრაძე და ომარ ჩუბინიძე. გორი-თბ. „პითაგორა“. 384 გვ.
- **„საისტორიო მაცნე“.** № 3. რედაქტორი აბელ სურგულაძე. ბათ. „აჭარა“. 52 გვ.
- **„საისტორიო მაცნე“.** № 4. რედაქტორი აბელ სურგულაძე. ბათ. „აჭარა“. 56 გვ.
- **„ქართველური მემკვიდრეობა“** (ქუთაისის სიმპოზიუმის მასალები). I. ქუთ. ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 322 გვ.
- **„ქართული დიპლომატია“.** წელიწდეული. 3. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. თსუ გამომცემლობა. 436 გვ.

წყარო

- მიტროფანე **კუჭავა.** სიმართლე ბერიას საქმეზე. ლავრენტი ბერიას და მის თანამზრახველთა სასამართლო პროცესი. სასამართლოს წევრის დღიურიდან. თბ. „ინტელექტი“. 64 გვ.
- **ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა.** შემდგენელი — ნათელა ჯავახიშვილი, რედაქტორი — დალი ჯავახიშვილი. თბ. „ნეკერი“. 48 გვ.
- **ქართლის ცხოვრება** („ძველი ქართლის ცხოვრება“). გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს აკადემიკოსებმა ილია ანთელავამ და ნოდარ შოშიაშვილმა. თბ. „ნიკე“. 560 გვ.
- **Чин и порядок венчания на царство** (წესი და განგება მეფეთ კურთხევისა). Перевод, вступление и примечания Д. Л. Пурцеладзе. Английский перевод Д. В. Надирадзе. Тб. „Мецниереба“. 32 стр.
- **The Georgian Chronicle Matiane Kartlisa.** Introduction and notes by Roin Metreveli. Translation and indexes by Arrian Chanturia. Tbilisi. 96 p.

გამოკვლევა

- გიორგი **ახვლედიანი.** ქართული ფოლკლორის პრობლემები ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებში. თბ. „მეცნიერება“. 136 გვ.
- ლალი **გაბისონია.** სამეგრელოს სამთავროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა და სამართალი. თბ. 208 გვ.
- ნუნუ **გულუა.** აფხაზეთი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდულ გამოცემებში. ბათ. „აჭარა“. 104 გვ.
- თეიმურ **დუნდუა,** ნინო **სილაგაძე.** ციკლური დიალექტიკა და პორტრეტული ექსპრესიონიზმი [ქართულ, ინგლისურ, რუსულ და გერმანულ ენებზე]. თბ. „მერიდიანი“. 64 გვ.
- თეიმურ **დუნდუა,** ნინო **სილაგაძე.** ციკლური დიალექტიკა, სახვითი ხელოვნება და თემის კატეგორია [ქართულ, ინგლისურ, რუსულ და გერმანულ ენებზე]. თბ. „მერიდიანი“. 48 გვ.
- ჯანსულ **კეკელია.** საქართველოს ტერიტორია და საზღვრები. თბ. 128 გვ.
- ზურაბ **კიკნაძე.** ქართული მითოლოგია. I. ჯვარი და საფმო. ქუთ. „ნეკერი“. 288 გვ.
- ნესტან **კირთაძე.** პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა. ოკუპაციის პირველი წლები. თბ. „საქართველო“. 58 გვ.
- ნესტან (ელისაბედ) **კირთაძე.** 1924 წლის აჯანყება საქართველოში. ქუთ. 464 გვ.

- თეიმურაზ **კომახიძე.** ერთი გვარის ისტორია [კომახიძეთა გვარის მოკლე ისტორია]. ბათ. „აჭარა". 92 გვ.
- ჯუმბერ **კოპალიანი.** დმანისის ციხე (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა). თბ. „საქართველო". 200 გვ.
- ელდარ **მამისთვალიშვილი.** ამილახვრები. გორი. „ქართლი". 48 გვ.
- **როინ მეტრეველი.** ივანე ჯავახიშვილი და თბილისის უნივერსიტეტი [ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე]. თბ. თსუ გამომცემლობა. 120 გვ.
- ამირან **მექვაბიშვილი.** ქართული საჯარისო ფორმირებების ისტორიიდან. თბ. 88 გვ.
- ნოდარ **მუშკუდიანი.** ქრისტიან-დემოკრატები და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა. 1945-1949. ქუთ. „მოწამეთა". 232 გვ.
- გიორგი **მჭედლიძე.** ბაგრატ მესამის საქართველო (ფეოდალური საქართველოს გაერთიანების ეპოქის ისტორიული გეოგრაფიის, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურის ისტორიის მიმოხილვა). ქუთ. 616 გვ.
- ელდარ **ნადირაძე.** საქართველოს ზოომორფული ძეგლები [ქართულ და რუსულ ენებზე]. თბ. თსუ გამომცემლობა. 112 გვ.
- თეიმურაზ **პაპასძირი.** სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი ჰიტლერის წინააღმდეგ. 1941-1945. დიპლომატიური ქრონიკა და საომარი მოქმედებები. თბ. „ალმაშენებელი". 160 გვ.
- ბორის **სოხვაძე.** რუსეთი XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნეში. თბ. თსუ გამომცემლობა. 308 გვ.
- ილია **ტაბალუა.** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში და საქართველო საფრანგეთის არქივებსა და წიგნსაცავებში. I. თბ. 496 გვ.
- ევგენი **ტარლე.** ნაპოლეონი. თბ. „ბედია". 372 გვ.
- შოთა **ქისტაური.** ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ეკონომიკური ისტორიის მკვლევარი. თბ. „სამთავისი". 84 გვ.
- ალექსანდრე **შუშანაშვილი.** ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. თბ. „მერანი". 272 გვ.
- შოთა **ჩართოლანი.** ძველი სვანეთი. თბ. „კერა – XXI". 364 გვ.
- ვაჟა **ჩოჩია.** ბისმარკი და გერმანიის საგარეო პოლიტიკა (1871-1882). თბ. 224 გვ.
- კახა **ცერცვაძე.** ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორია XIX საუკუნის ქართულ პრესაში (ეკონომიკა, მიგრაცია-ემიგრაცია, კულტურა). თბ. „მეცნიერება". 136 გვ.
- რამაზ **ცუხიშვილი.** ტერიტორიული საკითხები ინგლის-საქართველოს ურთიერთობებში (1918-1921 წწ.). კრებული. ნაკვეთი პირველი. თბ. „მერიდიანი". 84 გვ.
- გოგი **ცხოვრებაძე.** ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში. თბ. „მერიდიანი". 140 გვ.
- ბეჟან **ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბ. „კერა – XXI". 184 გვ.
- ედიშერ **ხოშტარია-ბროსე.** ლეონტი მროველი და „ქართლის ცხოვრება". თბ. „მეცნიერება". 108 გვ.
- ივანე **ჯავახიშვილი.** საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. გამოცემა მოამზადა, რედაქცია გაუკეთა და ბოლოსიტყვა დაურთო დურმიშხან ცინცაძემ. თბ. 48 გვ.
- ნიკო **ჯავახიშვილი.** ქართული ბონისტიკა (ქალალდის საფასთმცოდნეობა). თბ. 192 გვ.
- ვახტანგ **ჯაოშვილი.** საქართველოს მოსახლეობა. ისტორიულ-დემოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა. თბ. „მეცნიერება". 432 გვ.
- მთავარეპისკოპოსი ანანია **ჯაფარიძე.** საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ოთხ ტომად. ტომი პირველი. თბ. „მერანი". 448 გვ.
- შოთა **ჯაფარიძე.** მუსტაფა ქემალ ათათურქი – პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. ბათ.-თბ. „ირმისა". 112 გვ.
- შოთა **ჯაფარიძე.** ნიკო მარის მოგზაურობა შავშეთსა და კლარჯეთში. თბ. „ეკისიაი". 212 გვ.
- ნიკოლოზ **ჯოფიდავა.** კოლხური (მეგრული) გვარსახელები. I. თბ. „ატლანტიდა". 224 გვ.
- Николоз И. **Квезерели-Копадзе.** Очерки из истории Военно-Грузинской дороги (Тбилиси-Владикавказ). Тб. Изд. ТГУ. 404 стр.

- Othar **Lordkipanidze.** Das alte Georgien (Kolchis und Iberien) in Strabons Geographie. Neue Scholien. Deutsch von Nino Begiaschwili. Amsterdam. 368 s.
- Ilia M. **Tabagua.** I rapporti tra la Georgia cristiana e la Santa Sede. I. Tbilisi. 344 გვ.

სხვადასხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

- **ამერიკის ისტორიის ესკიზები.** რედაქტორი: ჰოვარდ ჯინზა. ქართული გამოცემის რედაქტორი: არჩილ კობალაძე. ვენა. შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო. 408 გვ.
- **ალექსანდრე გუგუნავა.** მოგზაურობა ისტორიულ სამხრეთ საქართველოში (ნაწილი პირველი). თბ. 74 გვ.
- **გურამ თევზაძე.** შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია. თბ. თსუ გამომცემლობა. 424 გვ.
- **ედდარ ნადირაძე.** მსოფლიოს რელიგიები. თბ. თსუ გამომცემლობა. 248 გვ.
- **ნუგზარ პაპუაშვილი.** რელიგიის კარიბჭე. რელიგიის ისტორიის შესავალი. თბ. „რუბიკონი". 368 გვ.
- **ივანე ჯავახიშვილი.** თხზულებანი თორმეტ ტომად. IV. მთავარი რედაქტორი მ. ლორთქიფანიძე. ტომი გამოსაცემად მოამზადეს პ. გუგუშვილმა და ვ. ჩანტლაძემ. თბ. თსუ გამომცემლობა. 512 გვ.
- **ივანე ჯავახიშვილი.** თხზულებანი თორმეტ ტომად. IX. მთავარი რედაქტორი მ. ლორთქიფანიძე. ტომის რედაქტორი ელენე მეტრეველი. თბ. „მეცნიერება". 768 გვ.
- **Дворянские роды Российской империи.** 1721-1917. Том 3. Князья. Под редакции С. В. Думина. „Ликоминвест". М. 278 стр.
- Нодар **Джанберидзе,** Иракли **Цицишвили.** Архитектурные памятники Грузии. М. „Стройиздат". 376 стр.
- Nodar **Janberidze,** Irakli **Tsitsishvili.** Architectural Monuments of Georgia. Moscow. „Stroiizdat". 376 p.

1997

ჟურნალი

- **„არტანუჯი".** ახალგაზრდა ისტორიკოსთა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი. № 6. რედაქტორ-გამომცემელი ბუბა კუდავა. თბ. 96 გვ.
- **„ძეგლის მეგობარი".** სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი. № 1 (96). მთავარი რედაქტორი ირაკლი ციციშვილი. თბ. 64 გვ.
- **„ძეგლის მეგობარი".** სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი. № 2 (97). მთავარი რედაქტორი ირაკლი ციციშვილი. თბ. 52 გვ.
- **„ძეგლის მეგობარი".** სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი. № 3 (98). მთავარი რედაქტორი ირაკლი ციციშვილი. თბ. 44 გვ.
- **„ძეგლის მეგობარი".** სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი. № 4 (99). მთავარი რედაქტორი ირაკლი ციციშვილი. თბ. 68 გვ.
- **„GEORGICA".** Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens. 20. Verantwortlich Heinz Fähnrich. Konstanz. 180 s.
- **„PRO GEORGIA".** Prace i materialy do dziejów stosunków Gruzinsko-Polskich. VI. Redaktor Wojciech Materski. Warszawa. 120 p.

კრებული

- **„ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პროგრამა“.** ფონდი „ლია საზოგადოება – საქართველო“. საანგარიშო კრებული [ქართულ და ინგლისურ ენებზე]. შემდგენელი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი. თბ. „დიოგენე“. 180 გვ.
- **„კავკასიის არქეოლოგია: უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები“.** საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები [ქართულ, ინგლ. რუსულ ენებზე]. თბ. 114 გვ.
- **„კლიო“** (საისტორიო ალმანახი). № 1. რედაქტორი ა. დაუშვილი. თბ. „მეცნიერება“. 72 გვ.
- **„კულტურის ისტორიის საკითხები“.** III. რედაქტორები: პროფ. გურამ ლორთქიფანიძე, პროფ. ქეთევან პავლიაშვილი. თბ. „ირმისა“. 200 გვ.
- **„მესხეთი“.** საისტორიო კრებული. 1. რედაქტორი ვალერი სილოგავა. თბ.-ახალციხე. თსუ გამომცემლობა. 112 გვ.
- **„საისტორიო მაცნე“.** № 6. რედაქტორი აბელ სურგულაძე. ბათ. „აჭარა“. 60 გვ.
- **„ქართული დიპლომატია“.** წელიწდეული. 4. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. თსუ გამომცემლობა. 376 გვ.
- **„ქრისტიანობა და ქართული კულტურა“.** საქართველოს საპატრიარქო. საქართველოს ახალგაზრდული ცენტრი „ძღვცა“. II ახალგაზრდული კონფერენცია. გამარჯვებული თემები. თბ. 224 გვ.
- **„Archaeology of Caucasus: New Discoveries and Perspectives“.** International Scientific Session: Abstracts of Papers. Tbilisi. 96 p.

წყარო

- იოანე **ბაგრატიონი.** შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. მასალა ისტორიისათვის. თბ. „დიალი“. 178 გვ.
- ალექსანდრე **ორბელიანი.** თელავი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და ბოლოსიტყვაობა დაურთო გიორგი ჯავახიშვილმა. თბ. „ლომისი“. 64 გვ.

გამოკვლევა

- ნინო **აბაკელია.** სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბ. 240 გვ.
- ზურაბ **ბრაგვაძე.** ჩხარის სამაროვანი. თბ. 84 გვ.
- თეიმურაზ **გვანცელაძე.** აფხაზეთთან დაკავშირებული ჩანართები ჯუანშერის მატიანის ტექსტში. თბ. „მეცნიერება“. 48 გვ.
- ჯონდო **გვასალია.** შიდა ქართლი და ოსური საკითხი. თბ. „მერიდიანი“. 84 გვ.
- ლია **გიგაური.** საქართველო სიმეონ ერევანცის „მემუარებში“. თბ. თსუ გამომცემლობა. 204 გვ.
- რომან **გოგოლაური.** რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომი და ერეკლე II-ის ბრძოლა სამცხე-ჯავახეთის განთავისუფლებისათვის. თბ. თსუ გამომცემლობა. 56 გვ.
- ნანი **გუგუნავა.** მემედ აბაშიძე განმანათლებელი. ბათ. „აჭარა“. 384 გვ.
- მაია **გურამიშვილი.** რუსეთ-საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე და საქართველო (1783-1813). თბ. „მერიდიანი“. 132 გვ.
- კორნელი **დანელია,** ზურაბ **სარჯველაძე.** ქართული პალეოგრაფია. თბ. „ნეკერი“. 442 გვ.
- ალექსანდრე **დაუშვილი.** თბილისი 1937 (მასობრივი რეპრესიები თბილისის სამრეწველო შრომით კოლექტივებში). თბ. 192 გვ.
- თედო **დუნდუა.** ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმაზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. „მერიდიანი“. 336 გვ.
- ზაქარია **ედილი.** საინგილო. შეადგინა, რედაქცია გაუკეთა, შენიშვნები, ბიბლიოგრაფია და საძიებელი დაურთო ასრათ ომარაშვილმა. თბ. თსუ გამომცემლობა. 208 გვ.

- **როლანდ თოფჩიშვილი.** როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები. თბ. 128 გვ.
- **როლანდ თოფჩიშვილი.** საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები. თბ. „ლომისა". 232 გვ.
- **გულივერ იობაშვილი.** ალექსანდრე ამილახვარი. გვიანფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი. თბ. თსუ გამომცემლობა. 176 გვ.
- **გულივერ იობაშვილი.** ჟამი ცოდვისა უმძიმესისა (ტყვის სყიდვა და ბრძოლა მის წინააღმდეგ). ბათ. „მეცნიერება". 128 გვ.
- **სარგის კაკაბაძე.** ქართველი ხალხის ისტორია. 1783-1921. თბ. „ნაკადული". 274 გვ.
- **ნესტან კირთაძე.** რა მოხდა?! [მასალები 1924 წლის აჯანყების შესახებ]. თბ. „საქართველო". 64 გვ.
- **ნესტან (ელისაბედ) კირთაძე.** ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1923 წწ.). თბ. 272 გვ.
- **ნესტან (ელისაბედ) კირთაძე.** საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართულ-ევროპული ურთიერთობები. თბ. „საქართველო". 112 გვ.
- **ედუარდ კოდუა.** ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი. თბ. თსუ გამომცემლობა. 180 გვ.
- **ბონდო კუპატაძე.** საქართველო და რუსეთის IV სახელმწიფო სათათბირო (1912). თბ. ჟურნალ „არტანუჯის" ბიბლიოთეკა № 2. 112 გვ.
- **შოთა ლომსაძე.** მესხები (ახალციხური ქრონიკები). II. თბ. „მოლოდინი". 496 გვ.
- **თეიმურაზ მიბჩუანი.** აფხაზეთის მეფეები და მთავრები. თბ. 68 გვ.
- **დავით ნინიძე.** მუხრანბატონები. თბ. „მერიდიანი". 80 გვ.
- **ვიკი როგავა.** ქრისტიანული რელიგია და ეკლესია საქართველოში (1801-1917 წწ.). თბ. 240 გვ.
- **გელა საითიძე.** სწამდა სამშობლოს აღორძინება (გენერალი კოტე აფხაზი). თბ. 112 გვ.
- **შმანგ სახლთხუციშვილი.** ადგილის დედა ანუ რას მოგვითხრობენ ტოპონიმები. I. თბ. „ლომისა". 180 გვ.
- **ავთანდილ სონღულაშვილი.** საქართველოს ქალაქების საგარეუბნო ზონათა ისტორია. თბ. „მეცნიერება". 244 გვ.
- **რევაზ უზუნაძე.** ბათუმის ისტორიიდან (XIX-ის დამდეგი – 70-იანი წლები). ბათ. „აჭარა". 76 გვ.
- **ზურაბ ქუქჩიშვილი.** სოფელი ხიზაბავრა (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა). თბ. თსუ გამომცემლობა. 48 გვ.
- **გურამ ყორანაშვილი.** ეროვნული საკითხი (ზოგადთეორიული და კონკრეტულ-ისტორიული ასპექტები). თბ. „ნიკე". 268 გვ.
- **დავითი ჯოჯუა.** საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1919-1921 წლებში. თბ. 272 გვ.
- Нодар **Ломоури.** Абхазия в античную и раннесредневековую эпохи. Тб. 56 стр.
- **Metreveli R. V.** Foreign policy of Georgia in the middle Ages (12 th century). Tbilisi. University Press. 112 p.

სხვადასხვა

- **„არქეოლოგიური კვლევის ცენტრი".** ბიბლიოგრაფია. 1977-1996. რედაქტორი დარეჯან კაჭარავა. შემდგენლები: ნინო ბერძნიშვილი, თამარ გოგიძე, რუსუდან ლეჟავა, ნინო ლორთქიფანიძე, მანანა ღამბაშიძე. თბ. 224 გვ.
- **ეთნოლოგიის ენციკლოპედია.** შემდგენელი პროფ. სოსო ფანტურიშვილი. თბ. თსუ გამომცემლობა. 600 გვ.
- **ზურაბ კუპრეიშვილი.** საქართველოს ისტორია. პირველი ნაწილი. თბ. 752 გვ.
- **ქართული დიპლომატიური ლექსიკონი.** 1. რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. თსუ გამომცემლობა. 344 გვ.
- **გიორგი ჩიტაია.** შრომები ზეთ ტომად. 1. ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა. შემდგენელი რედაქტორი თამილა ცაგარეიშვილი. თბ. „მეცნიერება". 432 გვ.

1995-1997 წლების ქრონიკა

ქრონიკის გვერდი „არგანუჯში" იმთავითვე იყო წარმოდგენილი. შეღარებით ჩამოყალიბებული სახე მან მე-4 ნომერში მიიღო. მოცემული ინფორმაცია 1990-1994 წლებს ასახავდა. წარმოდგენილი მწირი ქრონიკა მიანიშნებდა, რომ ძალიან არ გვქონდა მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ინფორმაციის სრულად თავმოყრა, დაბეჭდილი იყო მხოლოდ რედაქციისათვის ხელმისაწვდომი ცალკეული მასალები.

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ 1995-1997 წლების საისტორიო ქრონიკას. ეს არ არის საკუთრივ საისტორიო დარგის სამეცნიერო ქრონიკა, აქ თავმოყრილია ინფორმაცია თავისი მასშტაბით და მნიშვნელობით გამორჩეული ისტორიული მოვლენების შესახებ (საისტორიო ორგანიზაციების დაარსება და საქმიანობა, ისტორიული პირების ძეგლთა დადგმა, საეკლესიო ქრონიკა, გამოფენები...), ანუ ის, რაც მნიშვნელოვანია უახლესი ისტორიისათვის. ამასთან, წარმოდგენილი ინფორმაცია შერჩეულია კულტურულ-ისტორიული კუთხით, გარკვეული პრინციპის მიხედვით. ქრონიკაში არ არის შეტანილი უახლესი ისტორიისათვის საყურადღებო პოლიტიკური თუ სოციალ-ეკონომიკური მოვლენები.

ინფორმაცია დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ვამჯობინეთ, რომ ეს არ ყოფილიყო მოვლენათა მშრალი აღნუსხვა, ამიტომ ზოგიერთ ინფორმაციას ახლავს ისტორიული წიაღსვლები, ზოგან წარმოჩენილია რედაქციის პოზიციაც. მართალია, არ არის მოცემული 1998 წლის მოვლენები, მაგრამ რიგ შემთხვევებში ინფორმაციას ერთვის მცირე ცნობა 1998 წლის მდგომარეობის შესახებ. სამწუხაროდ, ძალზე ჭირს ინფორმაციის მოპოვება საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან (ეს განსაკუთრებით ახალ ეკლესიებზე ითქმის, რომლებიც ბოლო დროს მრავლად ეკურთხა სხვადასხვა კუთხეში). აქედან გამომდინარე, ქრონიკაში ჭარბობს ინფორმაცია თბილისური მოვლენების შესახებ. რუბრიკას ბოლოში ერთვის 1995-1998 წლებში გარდაცვლილ ისტორიკოსთა ნუსხა, რომელიც, ცხადია, ვერ იქნება სრული, რისთვისაც წინასწარ ვეხდით ბოდიშს.

ქართული გენეალოგიური საზოგადოება

1995 წლის 9 თებერვალი

ქართული გენეალოგიური საზოგადოების ემბლემა

1995 წლის 9 თებერვალს დაარსდა ქართული გენეალოგიური საზოგადოება. მისი თავმჯდომარეა ცნობილი გენეალოგი იური ჩიქოვანი.

საზოგადოება მიზნად ისახავს გენეალოგიის, როგორც საისტორიო დარგის, კვლევასა და პოპულარიზაციას; ქართული გენეალოგიის მეცნიერულ შესწავლას; გენეალოგიური ცოდნის დაგროვებას; ოჯახებისა და გვარების ისტორიის კვლევას; მასალების მოძიებას საქართველოსთან გენეტიკურად დაკავშირებული საზღვარგარეთული ოჯახებისა და გვარების შესახებ.

საზოგადოება ნაყოფიერად თანამშრომლობს „ბაგრატოვანთა სახლთან", საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა (თავადაზნაურთა წარმომადგენლებისა და მათ თანამდგომთა) საკრებულოსთან, რუსულ გენეალოგიურ საზოგადოებასთან, მოსკოვის ისტორიულ-საგვარეულო საზოგადოებასთან... ქართული გენეალოგიური საზოგადოების აქტიური მონაწილეობით მოსკოვში გამოიცა სერიის — „Дворянские Роды Российской Империи" III და IV ტომები. III ტომის დიდი ნაწილი ეხება ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოსა და მის განშტოებათა ისტორია-გენეალოგიას, ხოლო IV ტომში მთლიანად ქართული თავადური გვარებია წარმოდგენილი. მზადდება V ტომიც, რომელიც ავრეთვე ქართულ გვარებს დაეთმობა.

საზოგადოება გამოსაცემად ამზადებს მონოგრაფიებს აბაშიძეთა, მიქელაძეთა, მხეიძეთა და რაჭის ერისთავთა ისტორია-გენეალოგიის შესახებ. სამომავლოდ დაგეგმილია ჟურნალ „მოამბის" გამოცემა, რომელიც გააშუქებს გენეალოგიასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ქართული გენეალოგიური საზოგადოების მისამართია: თბილისი, ანაგის ქუჩა № 14; ტელ.: 98-50-09, 37-49-19.

ახალი ეპარქიების დაარსება

1995 წლის 5 აპრილი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიათა რაოდენობა მუდმივად ცვალებადი იყო. ვახტანგ გორგასლის საეკლესიო პოლიტიკის შედეგად რამდენიმე ახალი საეპისკოპოსო დაარსდა. როგორც ვარაუდობენ, მის დროს ქართლში დაახლოებით 20 კათედრა იყო: არტაანი, აწყური, ახიზა, ბოდბე, ბოლნისი, თბილისი, მანგლისი, მცხეთა, ნინოწმინდა, ნიქოზი, რუისი, რუსთავი, სამთავისი, ჩელეთი, ცურტავი, წილკანი, წუნდა, ჭერემი, ხორნაბუჯი, ხუნანი. 506 წლის დვინის საეკლესიო კრებას 24 ქართველი ეპისკოპოსი დასწრებია. VII საუკუნის დასაწყისისათვის, ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილების ჟამს, წყაროში ქართლის 35 ეპისკოპოსი იხსენიება. XI საუკუნეში, საქართველოს გაერთიანების შემდეგ, ეპარქიათა რაოდენობა 50-მდე იზრდება. საეპისკოპოსოთა რიცხვი გამუდმებით იცვლება მომდევნო საუკუნეებშიც, იქმნება ახალი და უქმდება ძველი ეპარქიები. ოსმალთა მოძალების გამო თანდათანობით იშლება კათედრები სამხრეთ საქართველოში. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიისა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდგომ საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ რამდენიმე ეპარქიაღა რჩება: ქართლის, კახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა (შემდეგ – გურია-სამეგრელოს) და აფხაზეთის. 1917 წელს ავტოკეფალიის აღდგენას 12 ეპარქიის განახლება მოჰყვა. კომუნისტების მმართველობის ხანაში მხოლოდ 5-6 ეპარქია ფუნქციონირებდა. 70-80-იანი წლებიდან დაიწყო ეპარქიების თანდათანობით აღდგენა.

1995 წლის 5 აპრილს (ძვ. სტ. 23 მარტს) თბილისში, საპატრიარქო რეზიდენციაში, გაიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება 12 ახალი ეპარქიის დაარსების შესახებ. საეპისკოპოსოთა საერთო რიცხვი 27-მდე გაიზარდა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ამჟამინდელი ეპარქიები (ნუსხა იხ. შემდეგ გვერდზე)

გელათის მეცნიერებათა აკადემია

1995 წლის 25 მაისი

1995 წლის 25 მაისს ქუთაისში დაარსდა გელათის მეცნიერებათა აკადემია. მასში გაერთიანდა 21 სწავლული:

1. პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი (ბიბლიოლოგია, ღვთისმეტყველება)
2. ზაზა ალექსიძე (არმენოლოგია, ეკლესიის ისტორია)
3. აკაკი ბაქრაძე (ისტორია, ლიტერატურათმცოდნეობა)
4. იულონ გაგოშიძე (არქეოლოგია)
5. კორნელი დანელია (ენათმეცნიერება, ტექსტოლოგია)

ეპარქია	ტერიტორია	კათედრა	რეზიდენცია	მღვდელმთავრის ღირება
1. მცხეთა-თბილისის	ქ. თბილისი თავისი რ-ნებით, ქ. მცხეთა, მცხეთისა და გარდაბნის რ-ნები (სოფ. წილკნის, მუხრანისა და საგურამოს გამოკლებით)	სვეტიცხოველი, სიონი	მცხეთა, თბილისი	
2. ალავერდის	ქ. თელავი, თელავისა და ახმეტის რ-ნები	ალავერდი	თელავი	ეპისკოპოსი ამბა ალავერდელი
3. ახალციხის	ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის რ-ნები	ახალციხე, საფარა	ახალციხე, საფარა	ეპისკოპოსი ახალციხელი
4. ბათუმისა და სხალთის	ქ. ბათუმი, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს რ-ნები	ბათუმი, სხალთა	ბათუმი, ქობულეთი	ეპისკოპოსი ბათუმისა და სხალთისა
5. ბოდბის	სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რ-ნები	ბოდბე	ბოდბე, სიღნაღი	ეპისკოპოსი ბოდბელი
6. **ბოლნისისა და დმანისის**	ბოლნისისა და დმანისის რ-ნები	ბოლნისი, დმანისი	ბოლნისი, დმანისი	ეპისკოპოსი ბოლნისისა და დმანისისა
7. **ბორჯომისა და ახალქალაქის**	ბორჯომის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რ-ნები	ბორჯომი	ბორჯომი, ახალქალაქი, ნინოწმინდა	ეპისკოპოსი ბორჯომისა და ახალქალაქისა
8. **ვანისა და ბაღდათის**	ვანისა და ბაღდათის რ-ნები	ბაღდათი	ვანი, ბაღდათი	ეპისკოპოსი ვანისა და ბაღდათისა
9. **ზუგდიდისა და ცაიშის**	ზუგდიდისა და წალენჯიხის რ-ნები	ზუგდიდი, ცაიში	ზუგდიდი, წალენჯიხა	ეპისკოპოსი ზუგდიდისა და ცაიშისა
10 მანგლისისა და წალკის	თეთრი წყაროსა და წალკის რ-ნები	მანგლისი, წალკა	მანგლისი, წალკა	ეპისკოპოსი მანგლისისა და წალკისა
11. მარგვეთის	ზესტაფონის, ოერჯოლისა და ხარაგაულის რ-ნები	ზესტაფონი	ზესტაფონი, ოერჯოლა, ხარაგაული	ეპისკოპოსი მარგველი
12. **ნეკრესის**	ყვარლისა და ლაგოდეხის რ-ნები (აგრეთვე საინგილოს ეკლესიები)	ნეკრესი, ყვარელი	ყვარელი, ლაგოდეხი	ეპისკოპოსი ნეკრესელი
13. ნიკორწმინდის	ამბროლაურისა და ონის რ-ნები	ნიკორწმინდა	ამბროლაური, ონი	ეპისკოპოსი ნიკორწმინდელი
14. **ნიქოზისა და ცხინვალის**	ცხინვალის, ახალგორის, ჯავისა და ყორნისის რ-ნები	ნიქოზი, ცხინვალი	ნიქოზი, ცხინვალი	ეპისკოპოსი ნიქოზისა და ცხინვალისა
15. **რუსთავის**	ქ. რუსთავი, მარნეულის რ-ნი	რუსთავი	რუსთავი, მარნეული	ეპისკოპოსი რუსთავისა
16. სამთავისისა და გორის	გორისა და კასპის რ-ნები	სამთავისი, გორი	სამთავისი, გორი	ეპისკოპოსი სამთავისისა და გორისა
17. **საგარეჯოსა და გურჯაანის**	საგარეჯოსა და გურჯაანის რ-ნები	საგარეჯო, გურჯაანი	გურჯაანი, ნინოწმინდა	ეპისკოპოსი საგარეჯოსი და გურჯაანისა
18. ურბნისისა და რუისის	ხაშურისა და ქარელის რ-ნები	ურბნისი, რუისი, ხაშური	ხაშური	ეპისკოპოსი ურბნისისა და რუისისა
19. **ფოთის**	ქ. ფოთი, ხობისა და სენაკის რ-ნები	ფოთი	ფოთი, ხობი, სენაკი	ეპისკოპოსი ფოთისა
20. ქუთაის-გაენათის	ქ. ქუთაისი, წყალტუბოსა და ტყიბულის რ-ნები	ქუთაისი, გელათი	ქუთაისი, გელათი	ეპისკოპოსი ქუთათელ-გაენათელი
21. **შემოქმედის**	ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რ-ნები	შემოქმედი, ოზურგეთი	ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური	ეპისკოპოსი შემოქმედელი
22. ცაგერისა და სვანეთის	ცაგერის, მესტიისა და ლენტეხის რ-ნები	ცაგერი, მესტია	ცაგერი, მესტია, ლენტეხი	ეპისკოპოსი ცაგერისა და სვანეთისა
23. ცხუმ-აფხაზეთის	სოხუმის, გულრიფშის, გალის, ოჩამჩირის, გაგრისა და გუდაუთის რ-ნები	სოხუმი, ახალი ათონი	სოხუმი, გუდაუთა, გაგრა	ეპისკოპოსი ცხუმ-აფხაზეთისა
24. წილკნის	სოფ. წილკანი, მუხრანი და საგურამო, დუშეთის, ყაზბეგისა და თიანეთის რ-ნები	წილკანი	წილკანი, დუშეთი, თიანეთი	ეპისკოპოსი წილკნელი
25. **ჭიათურის**	ჭიათურისა და საჩხერის რ-ნები	ჭიათურა	ჭიათურა, საჩხერე	ეპისკოპოსი ჭიათურისა
26. ჭყონდიდის	მარტვილის, აბაშისა და ჩხოროწყუს რ-ნები	მარტვილი	მარტვილი, აბაშა, ჩხოროწყუ	ეპისკოპოსი ჭყონდიდელი
27. **ხონის**	ხონისა და სამტრედიის რ-ნები	ხონი	ხონი, სამტრედია	ეპისკოპოსი ხონელი

შენიშვნა: შედგენილია საქართველოს ეკლესიის წმ. სინოდის განჩინების ტექსტის მიხედვით (გაზ. „მადლი", 18 აპრილი, 1995); ბოქი შრიფტით აღნიშნულია ახალი ეპარქიები.

6. მაგალი თოდუა (ირანისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა)
7. ვიტალი კაკაბაძე (ფილოსოფია, ფსიქოლოგია)
8. გურამ კაციტაძე (ბიოლოგია, მედიცინა, კრეაციული მოძღვრება)
9. ზურაბ კიკნაძე (ბიბლიოლოგია, სემიტოლოგია, ფოლკლორისტიკა)
10. არჩილ კოსტავა (საინჟინრო საქმე, მანქანათმშენებლობა, კრეაციული მოძღვრება)
11. ბაბილინა ლომინაძე (ქართული ეკლესიის ისტორია)
12. დამანა მელიქიშვილი (ენათმეცნიერება, ფილოსოფიის ისტორია)
13. ავთანდილ ნიკოლეიშვილი (ქართული ლიტერატურის ისტორია)
14. თედო უთურგაიძე (ენათმეცნიერება)
15. მიხეილ ქურდიანი (ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა)
16. მზექალა შანიძე (სემიტოლოგია, ტექსტოლოგია)
17. ტარიელ ჭანტურია (ლიტერატურა)
18. ედიშერ ჭელიძე (ბიბლიოლოგია)
19. ალექსი ჭინჭარაული (ენათმეცნიერება, ფოლკლორისტიკა)
20. ზურაბ ჭუმბურიძე (ენათმეცნიერება, ტექსტოლოგია)
21. ზურაბ ჯაფარიძე (ლინგვისტიკა, ექსპერიმენტული ფონეტიკა)



გელათის აკადემიის ემბლემა

აკადემიის პრეზიდენტად აირჩიეს მაგალი თოდუა, აკადემიკოს-მდივნად — მიხეილ ქურდიანი.

1996 წლის 21-22 და 26-27 სექტემბერს, ქუთაისში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის რეზიდენციაში (მალხაზ დვალიშვილის № 17), გაიმართა აკადემიის პირველი სამეცნიერო სესია, რომელზეც აკადემიკოსებმა წარმოადგინეს ერთი წლის სამეცნიერო კვლევის შედეგები. მოხსენებათა რეფერატები (ქართულ ენაზე) და თეზისები (ინგლისურ ენაზე) გამოქვეყნდა „გელათის მეცნიერებათა აკადემიის უწყებანში" (№ 2).

1998 წლის 28 აპრილს, აკადემიის წევრობის ვაკანტურ ადგილებზე, ბოლო პერიოდში გარდაცვლილი აკადემიკოსების (ბაბილინა ლომინაძე, კორნელი დანელია, ვიტალი კაკაბაძე) სანაცვლოდ, მოეწყო არჩევნები. ცხრა კანდიდატიდან ფარული კენჭისყრით გელათის აკადემიის წევრებად აირჩიეს: თამაზ ბუაჩიძე (ფილოსოფია), როლანდ თოფჩიშვილი (ეთნოგრაფია, ისტორია), გიორგი მჭედლიძე (ისტორია) და თამაზ წივწივაძე (ლიტერატურა).

დავით სარაჯიშვილის ნეშტის გადასვენება

1995 წლის 25 ივნისი

დავით სარაჯიშვილი (1848-1911) — დიდი ქართველი მეწარმე, საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი, კაცი, რომლის უშუალო მონაწილეობის გარეშე საქართველოში თითქმის არც ერთი ეროვნული საქმე არ წამოწყებულა და დაგვირგვინებულა XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე.

დავით სარაჯიშვილმა სპირტიანი და ალკოჰოლური სასმელების წარმოების ტექნოლოგია გერმანიასა და საფრანგეთში შეისწავლა. მან 1888 წელს, ტფილისში, რუსეთის იმპერიაში კონიაკის პირველი სპეციალიზებული ქარხანა გახსნა. ცოტა ხანში სარაჯიშვილის ფირმამ რუსეთის სხვადასხვა კუთხეში დააარსა ქარხნები და საწყობები. სარაჯიშვილის სიცოცხლეშივე ფირმის სასმელები საერთაშორისო ბაზრობებსა და გამოფენებზე მრავალი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა. 1913 წელს ფირმას ოფიციალურად მიეკუთვნა „საიმპერატორო კარის მომმარაგებლის" ტიტული.



თბილისი. ქაშუეთის ტაძრის ეზო. დავით სარაჯიშვილისა და ეკატერინე ფორაქიშვილის საფლავის ქვა.

დავით სარაჯიშვილი (1848-1911)

1911 წელს დავით სარაჯიშვილი გარდაიცვალა, დაკრძალეს დიდუბის პანთეონში. სიკვდილის წინ დიდმა მეცენატმა მთელი თავისი ქონება ქართველ ხალხს უანდერძა. ისტორიულმა ბედუკულმართობამ მძიმე ხვედრი არგუნა დავით სარაჯიშვილისა და მისი მეუღლის – ეკატერინე ფორაქიშვილის ძვლებს. 1939 წელს ნემტის შებილწვის მუქარით კომუნისტებმა ჭირისუფლები აიძულეს ცხედრები დიდუბის პანთეონიდან ვაკის სასაფლაოზე გადაესვენებინათ (ნიშანდობლივია, რომ ხელახალი დაკრძალვა მოხდა ბრილიანტის ბეჭდის ფასად, რომელიც განსვენებულ დავით სარაჯიშვილს საფლავში ჰქონდა ჩატანებული – ფორაქიშვილებს ფული არ გააჩნდათ).

1995 წლის 24 ივნისს, ქართული კონიაკის მწარმოებელი შპს „ბემის" (თავმჯდომარე – ელგუჯა ბუბუტეიშვილი) მეოხებით, დავით სარაჯიშვილისა და ეკატერინე ფორაქიშვილის ცხედრები ქაშუეთის ტაძარში დაასვენეს (გავიხსენოთ, რომ ქაშუეთის აგებისათვის სარაჯიშვილმა დიდძალი შესაწირი გაიღო). 25 ივნისს გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ პარაკლისი გადაიხადა განსვენებულთა სულის მოსახსენებლად. ცხედრები იქვე, ქაშუეთის ტაძრის ეზოში დაკრძალეს.

წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში

1995 წლის 5 სექტემბერი

უკანასკნელ ხანს ეროვნულ და სარწმუნოებრივ ფასეულობათა აღორძინებამ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ეკლესიის აგების იდეაც წარმოშვა. 1994 წლის ზაფხულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის – როინ მეტრეველის ინიციატივით და ხელმძღვანელობით, უნივერსიტეტის I კორპუსის ეზოში დაიწყო წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრის მშენებლობა. პროექტს საფუძვლად დაედო VII საუკუნის ქართული

ᲛᲪᲔ წმ. დავით აღმაშენებლის ეკლესია (არქიტექტორები – გიორგი მარსაგიშვილი, ვიქტორ კვიტატიანი). 1995 წ.



სამწევრისი (ქარელის რაიონი). წმ. გიორგის ეკლესია. VII ს.

ხუროთმოძღვრების ძეგლის – სამწევრისის არქიტექტურა. ერთ წელიწადში მშენებლობა დასრულდა. აღსანიშნავია, რომ ტაძარი მხოლოდ შემოწირულობებით აიგო. ამ მხრივ გამორჩეულია რუსთაველის მეტალურგიული კომბინატის (ხელმძღვანელი – გურამ ქაშაკაშვილი) წვლილი, რომელმაც დიდძალი თანხა შესწირა ტაძრის შენებას. თანხის ნაწილი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმაც გაიღეს.

1995 წლის 5 სექტემბერს ტაძარი აკურთხა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა ილია II-მ. საგულისხმოა, რომ ეს არის პირველი ტაძარი, რომელიც ქართველთა წმინდა მეფის – დავით აღმაშენებლის სახელზე აშენდა. გარდა ამისა, დღესდღეობით ეს არის ერთადერთი ეკლესია ვაკის ტერიტორიაზე.

ტაძრის არქიტექტორები არიან გიორგი მარსაგიშვილი და ვიქტორ კვიტატიანი, ინჟინერ-კონსტრუქტორია ოთარ ქვრივიშვილი. 1997 წლის აპრილში დაიწყო ტაძრის მოხატვა (ხატმწერი – ამირან გოგლიძე). 1998 წლის ბოლოსათვის უკვე მოიხატა საკურთხეველი, კანკელი და გუმბათის ყელი.

საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის გაფართოებული კრება

1995 წლის 18-19 სექტემბერი

1995 წლის 18-19 სექტემბერს მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში მიმდინარეობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული კრება. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს ყველა ეპარქიის ეპისკოპოსები, ეპარქიებიდან დელეგატებად მოვლინებული სასულიერო და საერო პირნი. კრებას უძღვებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, რომელმაც შესავალი მოხსენება გააკეთა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობის შესახებ.



წმ. მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე)

წმ. მოწამენი – მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა) და კრებული მის თანა წამებულთა

წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე)

კრების წინაშე მოხსენებებით წარდგნენ: აკადემიკოსი, პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი – „სასულიერო განათლების მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების გზები"; ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი დანიელი (დათუაშვილი) – „საქართველოს საპატრიარქოს მისიონერული მოღვაწეობა"; საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარე, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი, ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი აბრაამი (გარმელია) – „საქართველოს ეკლესიის საგარეო ურთიერთობები"; საპატრიარქოს საფინანსო-ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარე, მღვდელი ზაქარია ძინძიბაძე – „საქართველოს ეკლესიის სოციალური პროგრამა"; საპატრიარქოს ჰუმანიტარული ცენტრის – „ლაზარეს" ხელმძღვანელი მათე ბოლქვაძე. ამის შემდგომ ეპისკოპოსებმა გააკეთეს მოხსენებები ეპარქიებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

19 სექტემბერს კრების მონაწილეებმა განიხილეს და დაამტკიცეს საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგებლობის დებულება. ახალი წმინდანების კანონიზებასთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა დანიელმა. კრების გადაწყვეტილებით, საქართველოს ეკლესიის წმინდანთა დასს შეემატნენ:

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი (ხელაია), სახელწოდებით „წმინდა აღმსარებელი ამბროსი".

ქუთაისელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა) და კრებული მის თანა წამებულთა: მღვდელი გერმანე ჯავანიძე, მღვდელი იეროთეოზ ნიკოლაძე, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, დიაკონი ბესარიონ კუჭიანიძე, სახელწოდებით „წმინდა მოწამენი".

იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) – „წმინდა მღვდელმთავარი".

ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) – „წმინდა მღვდელმთავარი".

არქიმანდრიტი გრიგოლი (ფერაძე) – „წმინდა მღვდელმოწამე".

იღუმენი ალექსი (შუშანია) – „ღირსი მამა".

მღვდელი თევდორე – „წმინდა მღვდელმოწამე".

ქუთაისი. დავით აღმაშენებლის ძეგლი (მოქანდაკე – ელგუჯა ამაშუკელი). 1995 წ.

თბილისი. იოანე პეტრიწის ძეგლი (მოქანდაკე – ჯუნა მიქაგაძე). 1995 წ.

დავით აღმაშენებლის ძეგლი ქუთაისში

1995 წლის 21 სექტემბერი

1995 წლის 21-27 სექტემბერს ქუთაისში ტარდებოდა „ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და გაერთიანებული საქართველოს სატახტო ქალაქად ქუთაისის აღზევების 1000 წლისთავის“ საიუბილეო დღეები. ღონისძიების დასაწყისში, 21 სექტემბერს, გაიხსნა საქართველოს უპირველესი მეფის – დავით აღმაშენებლის ძეგლი მისივე სახელობის მოედანზე (მოქანდაკე – ელგუჯა ამაშუკელი, არქიტექტორი – ვახტანგ დავითაია).

იოანე პეტრიწის ძეგლი თბილისში

1995 წლის 28 ოქტომბერი

1995 წლის 28 ოქტომბერს, თბილისობის დღესასწაულზე, ქალაქის ძველ გალავანთან, ბარათაშვილის ქუჩაზე, გაიხსნა XI-XII საუკუნეების დიდი ქართველი ფილოსოფოსისა და თეოლოგის – იოანე პეტრიწის ძეგლი (მოქანდაკე – ჯუნა მიქატაძე).

საზოგადოება „ბაგრატოვანთა სახლი“

1995 წლის 30 ნოემბერი

1995 წლის 30 ნოემბერს ჩამოყალიბდა საზოგადოება „ბაგრატოვანთა სახლი“. წესდებით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები სამ ძირითად ჯგუფად შეიძლება წარმოვიდგინოთ – ყოფითი, სამეცნიერო და სამეურნეო. ეს უკანასკნელი პირველი ორი დანიშნულების ამოცანების რეალიზაციისათვის საჭირო ფინანსური სახსრების მოპოვებას გულისხმობს.

ყოფით მიზნებში იგულისხმება: საზოგადოების მარტოხელა და ინვალიდ წევრებზე ზრუნვა; ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების ხელშეწყობა; საზოგადოების სამეცნიერო ექსპედიციებისა და მივლინებების, აგრეთვე სხვა ღონისძიებების შესლებისდაგვარად დაფინანსება; სტიპენდიების დაწესება; ერთჯერადი დახმარებების აღმოჩენა...



„ბაგრატოვანთა სახლის" გერბი (მხატვარი – ემირ ბურჯანაძე)

სამეცნიერო მიზნებიდან ძირითადია გენეალოგიური და ჰერალდიკური კვლევების ჩატარება, ისტორიულ ძეგლთა რესტავრაცია, საგვარეულო არქივების მოძიება-მოკრება... განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „ბაგრატოვანთა სახლის" როლს უცხოეთში მცხოვრებ თანამოგვარეთა შეგზურობისა და საქართველოში მათი ადაპტაციის საქმეში.

საზოგადოების საქმიანობას წარმართავს სათათბირო, რომლის მუშაობას ხელმძღვანელობს საზოგადოების წინამძღოლი – ბაგრატიონთა იმერეთის შტოს წარმომადგენელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ნინო ბაგრატიონი. მას ეხმარება სამი მონაცვლე – ნუგზარ, ჯანსუღ და ნოდარ ბაგრატიონები. საზოგადოება აერთიანებს როგორც ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენლებს, ისე მათი ოჯახების სხვა წევრებს.

წმინდა სამების საკათედრო ტაძარი

1996 წლის 3 მარტი

ჩვენი საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაიბადა იდეა, რომ მაცხოვრის შობის 2000 და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის 1500 წლისთავთან დაკავშირებით თბილისში აგებულიყო წმინდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარი. ამით აღიმართებოდა ის სულიერი ტაძარიც, რომელიც ასე უმოწყალოდ ინგრეოდა ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში.

1989 წლის ზაფხულში საქართველოს საპატრიარქომ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოსა და საქართველოს არქიტექტორთა კავშირთან ერთად გამოაცხადა კონკურსი საკათედრო ტაძრის პროექტზე. 1990 წლის 8 თებერვალს, წმ. დავით ალმაშენებლის ხსენების დღეს, თბილისის მხატვრის სახლში გაიხსნა და ორი თვის განმავლობაში გრძელდებოდა გამოფენა-კონკურსი, რომელმაც გამარჯვებული ვერ გამოავლინა. დაინიშნა მეორე ტური (კონკურსის ორივე ტურში ასამდე პროექტი მონაწილეობდა).

საბოლოოდ გაიმარჯვა პროექტმა, რომლის ავტორია არქიტექტორი არჩილ მინდიაშვილი. პროექტის მიხედვით განსაზღვრულია მთელი საკათედრო კომპლექსის მშენებლობა. ცენტრში აღიმართება წმ. სამების საკათედრო ტაძარი, რომელშიც ერთი მხრივ მეღავნდება ქართული ხუროთმოძღვრების მახასიათებელი ნიშნები, მეორე მხრივ კი არქიტექტურული ამოცანების ახლებურად გააზრების ცდა. ფასადები უხვად იქნება შემკული ორნამენტებითა და რელიეფებით. ინტერიერის მოხატვაზე იმუშავებს ფერმწერთა ხუთი ჯგუფი, რომელთა ნალვაწს ჰარმონიულად გაამთლიანებს მთავარი მხატვარი. პროექტის მიხედვით, კომპლექსი მოიცავს აგრეთვე წმ. ილია წინასწარმეტყველის ხის ეკლესიას, სამრეკლოებს, კარიბჭეებს, საპატრიარქო რეზიდენციას, მამათა მონასტერს, სასულიერო სასწავლებელს, სასტუმროს, დამხმარე ნაგებობებს, გამომცემლობას, სახელოსნოებს, ავტოსადგომს, სამეურნეო ზონას, პანთეონს, გამწვანების ზოლს...



თბილისის წმ. სამების საკათედრო ტაძრის მაკეტი (ავტორი – არჩილ მიხდიაშვილი). ხედი დასავლეთიდან.



წმ. სამების საკათედრო ტაძარი. ვეგმა.

კონკურსის პარალელურად მიმდინარეობდა ტაძრის ასაგები ადგილის შერჩევის პროცესიც. თავდაპირველად მშენებლობისთვის განსაზღვრული იყო პლატო ბარათაშვილის აღმართის თავზე, რომელიც 1993 წლის მაისში ვაკის სტუდქალაქის მიმდებარე ტერიტორიით შეიცვალა. ბოლოს კი გადაწყდა, რომ საკათედრო ტაძარი წმ. ილია წინასწარმეტყველის მთაზე („ელიას მთაზე") აშენდებოდა.

სახელმწიფო მეთაურის 1993 წლის 25 მაისის ბრძანებულების თანახმად, საკათედრო ტაძრის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა ივალდებულა სახელმწიფომ. 1994 წლის 14 ოქტომბერს კი, მცხეთაში, სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აკურთხა თბილისის წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდი. მისი თავმჯდომარე იყო ზურაბ წერეთელი, მაგრამ იგი ძოგვიანებით ირაკლი ანდრიაძემ შეცვალა. თავმჯდომარის მოადგილეა საპატრიარქოს მთავარი არქიტექტორი, საკათედრო ტაძრის პროექტის ავტორი არჩილ მიხდიაშვილი. საუკუნის მშენებლობისათვის თითქმის ყველაფერი მზად იყო და პროცესიც თითქოს დაიწყო.

ელიას მთაზე 1995 წლის ნოემბერში დაიწყო და 1996 წლის თებერვლისთვის დასრულდა ქვაბულის თხრა, რომელშიც სამომავლოდ ტაძრის საძირკველი ჩაიდგმება. 1996 წლის 3 მარტს, მართლმადიდებლობის ზეიმზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ აკურთხა წმინდა სამების საკათედრო ტაძრის საფუძველი. ეს დღე ერთგვარ ზეიმად გადაიქცა. უზარმაზარი ქვაბულის ფსკერზე ალმართული რკინის დიდ ჯვართან დაიწყო საძირკვლის ჩასხმა, რომელშიც ათასობით მოქალაქემ ქვის ფირფიტებზე ამოკაწრული თავისი სახელი მოათავსა. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წაიკითხა სია იმ სიწმინდეთა, რომლებიც იქ მყოფმა სასულიერო პირებმა დააბრძანეს ეკლესიის საძირკველში:

1. ქვა სინას მთიდან, სადაც უფალმა მოსე წინასწარმეტყველს გადასცა ათი მცნება.
2. ქვა მდინარე იორდანედან, სადაც ნათელ იღო უფალმა იესო ქრისტემ.
3. ქვა ნაზარეთიდან, სადაც ეხარა ღვთისმშობელს მაცხოვრის შობა.
4. ქვა იერუსალიმის სიონიდან, სადაც დაკრძალული იყო ღვთისმშობელი.
5. იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის მიწა.
6. ქვა აჭარიდან, გონიოდან, საიდანაც შემოვიდა საქართველოში წმ. მოციქული ანდრია პირველწოდებული და სადაც განისვენებს წმ. მოციქული მატათა.
7. ქვა ფარავნის ტბიდან, საიდანაც შემოვიდა საქართველოში წმ. მოციქულთასწორი ნინო.
8. ქვა სვეტიცხოვლიდან, სადაც დაბრძანებულია კვართი უფლისა.

9. ქვა მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრიდან, სადაც მოღვაწეობდა წმ. ნინო.
10. ქვა მოწამეთადან, სადაც დაკრძალულნი არიან დიდმოწამენი დავით და კონსტანტინე.
11. ქვა აფხაზეთიდან, კამანის წმ. ვასილისკოს წყაროდან.
12. ქვა ღირსი მამა შიო მღვიმელის საფლავიდან.
13. ქვა წმ. საბა განწმედილის გამოქვაბულიდან.
14. ქვა კაპადოკიიდან, სადაც დაიბადნენ წმ. ნინო, წმ. გიორგი, წმ. ბასილი დიდი.
15. ქვა სნოდან, შიოლა ღუდუშაურის ციხიდან.
16. ქვა აფხაზეთიდან, წმ. მოციქულის — სვიმონ კანანელის საფლავიდან.
17. წმ. დიდმოწამე გიორგის საფლავის მიწა.
18. ქვა იერუსალიმის ელეონის მთიდან, საიდანაც უფალი ამაღლდა ზეცად.
19. ქვა ცაგერიდან, წმ. მაქსიმე აღმსარებლის საფლავიდან.
20. გოლგოთის ქვა.
21. ქვა თაბორის მთიდან, სადაც ფერი იცვალა უფალმა იესო ქრისტემ.
22. მამრეს მუხის ნაწილი, სადაც პატრიარქ აბრაამს გამოეცხადა ყოვლადწმინდა სამება.
23. ქვა გუდამაყრის ხეობიდან, ჯვრის ბუნებრივი გამოსახულებით.
24. ქვა სიონის საპატრიარქო ტაძრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყო ტაძრის მშენებლობა, მაგრამ...

სამწუხაროდ, მშენებლობის ტემპები და უსახსრობის გამო შეჩერებული სამუშაოები ცხადყოფს, რომ საკათედრო ტაძარი 2000 წლისთვის ნამდვილად ვერ აშენდება...



საკათედრო კომპლექსი. გეგმა. 1. წმ. სამების საკათედრო ტაძარი, 2. სამრეკლოები, 3. წმ. ილია წინასწარმეტყველის ხის ეკლესია, 4. კარიბჭეები, 5. საპატრიარქო რეზიდენცია, 6. მამათა მონასტერი, 7. სასტუმრო, 8. სასულიერო სასწავლებელი, 9. გამოშვებლობა, 10. სახელოსნოები, 11. პანთეონი, 12. სამეურნეო ზონა, 13. ავტოსადგომი, 14. გამწვანება.



მცხეთის ჯვრის ტაძარი. კვარცხლბეკზე აღმართული ახალი ჯვარი. 1996 წ.

თბილისი. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია, აგებული 1840-იან წლებში, აღდგენილი 1990-იან წლებში.

ჯვრის აღმართვა მცხეთის ჯვრის ტაძარში

1996 წლის 21 აპრილი

1995 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის — ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა დაიწყო ჯვრის დამზადება. ამისათვის მათ საგანგებოდ მოჭრეს კვიპაროზის ხე. საბოლოოდ გამზადდა 4 მ სიმაღლისა და 400 კგ წონის ჯვარი, რომელზეც სახარების 13 სცენა გამოისახა. ჯვარი შეიმკო ვერცხლის ფირფიტებითა და ბუნებრივი ქვებით, გაუკეთდა საგანგებო სათავსი, სადაც ჩასვენეს ბეთლემში მღვდელ-მონაზონ ანტონის მიერ დამზადებული მცირე ზომის ჯვარი. ამ უკანასკნელში, მაცხოვრის ფეხებთან ამოკვეთილ პატარა ღიობში, მამა ანტონს ჩაუსვამს იმ ცხოველმყოფელი ჯვრის მცირე ნაწილი, რომელზეც ევნო იესო ქრისტე. მღვდელ-მონაზონმა ნამუშევარი საქართველოს უბოძა.

1996 წლის 20 აპრილს, კათოლიკოს-პატრიარქის — ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ჯვარი თბილისის სიონის საკათედრო ტაძრიდან მცხეთის ჯვრის მონასტერში გადააბრძანეს. მსვლელობა დილის 8 საათზე დაიწყო, გადაკვეთა მთელი ქალაქი (რუსთაველის გამზირი — გაგარინის მოედანი — მტკვრის სანაპირო) და მცხეთის გზას დაადგა. ჯვარს ეზიდებოდა როგორც მრევლი, ისე სამხედრო აკადემიისა და პოლიციის აკადემიის კურსანტთა ჯგუფი. პროცესიას მიუძღოდა ცაგერისა და სვანეთის ეპისკოპოსი ნიკოლოზი.

21 აპრილს ჯვარი მცხეთის ჯვრის ტაძარში სწორედ იმ კვარცხლბეკზე აღმართეს, რომელზეც შუა საუკუნეებამდე მეფე მირიანის დროინდელი ჯვარი იყო შემორჩენილი. იქვე კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საზეიმო წირვა აღავლინა.

თბილისის მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია

1996 წლის 19 სექტემბერი

თბილისში, უზნაძის ქუჩაზე, „მიხაილოვის საავადმყოფოს" მიმდებარე ტერიტორიაზე, აღდგა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია.

ტაძარი ლაზარეთთან ერთად 1840-იან წლებში აშენდა. ეკლესიაში განზრახული იყო მიცვალებულთათვის წესის აგება. აღსანიშნავია, რომ 1893 წელს სწორედ აქ აუგეს წესი ცნობილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს — ალექსანდრე ყაზბეგს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეკლესია გააუქმეს. ტაძარში დაიწყეს ლექციების კითხვა პათანატომიაზე. საკურთხეველის ქვეშ და უკან მორგი იყო განლაგებული. დროთა განმავლობაში, გაუფრთხილებლობის გამო, ტაძრის



თბილისი. საბურთალოს ახალი პანთეონი. წმ. გიორგის ეკლესია (არქიტექტორი – არჩილ მინდიაშვილი). 1996 წ. ხელი დასავლეთიდან.

ფოთი. ცოტნე დადიანის ძეგლი (მოქანდაკე – ელგუჯა ამაშუკელი). 1996 წ.

ჭერი ჩამოინგრა. ლექციების კითხვა შეწყდა, მაგრამ მორგი კვლავ თავის ადგილზე დარჩა (დღემდე შემორჩენილია ის მაცივარი, სადაც ცხედრებს ინახავდნენ).

ბოლო ხანს გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც ეკლესიის აღდგენა ითავეს. მათ არ ისურვეს ვინაობის გამხელა, ამიტომ მხოლოდ სახელების გადმოცემით შემოვიფარგლებით: ნიკოლოზი, გია, დავითი, ზურაბი, თამაზი, გურამი. ტაძარი 1996 წლის 19 სექტემბერს, მიქაელ მთავარანგელოზის დღეს აკურთხეს.

შეწირულობების წყალობით სამუშაოები ეკლესიაში კვლავაც გრძელდება. ტაძრის მოხატვას აწარმოებს ეკლესიის მოძღვარი მამა ალექსანდრე (გალდავა).

წმ. გიორგის ტაძარი საბურთალოს პანთეონში

1996 წლის 23 ნოემბერი

თბილისში, საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა ახალი პანთეონის ტერიტორიაზე, იქ, სადაც საზოგადო მოღვაწეებთან ერთად განისვენებენ აფხაზეთსა და შიდა ქართლში დაღუპული ქართველი მებრძოლები, 1994 წლის ოქტომბერში საფუძველი ჩაეყარა წმ. გიორგის ტაძრის მშენებლობას (ინიციატორები – ვეტერინარულ-საკარანტინო პოლიციის სამმართველოს უფროსი ვაჟა ტაბატაძე, ჟურნალისტი ედნარ გიორგობიანი და სხვები).

არქიტექტორ არჩილ მინდიაშვილის დაპროექტებული ტაძარი წელიწადნახევარში აიგო. ეკლესია შემოწირულობებით აშენდა. შემომწირველები პანთეონში დაკრძალულთა ფირისუფლები არიან. ტაძარი ბაზილიკური ტიპისაა, მოპირკეთებულია ბოლნისის ტუფით. 1996 წლის 22 ნოემბერს ეკლესიაში ლოცვა აღავლინა საგარეჯოსა და გურჯაანის ეპისკოპოსმა აბრაამმა. 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე, ტაძარი აკურთხა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

ცოტნე დადიანის ძეგლი ფოთში

1996 წლის 24 ნოემბერი

1996 წლის 22-24 ნოემბერს ფოთში ჩატარდა ფაზისობის დღესასწაული. 24-ში, ზეიმის ბოლო დღეს, ქალაქის ცენტრში გაიხსნა ქართველთა ეროვნული გმირის, XIII საუკუნეში მოღვაწე დიდებულის – ცოტნე დადიანის ძეგლი (მოქანდაკე – ელგუჯა ამაშუკელი, არქიტექტორი – ვახტანგ დავითაია).

წმ. ნინოს მშობლების კანონიზაცია

1996 წლის 23 დეკემბერი

1996 წლის 23 დეკემბერს, საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინებით, მოციქულთასწორის აღზრდისა და ღვთივსათნო ცხოვრებისათვის წმ. ნინოს მშობლები შეირაცხნენ წმინდანთა დასში, სახელწოდებით „ღირსი მამა ზაბულონი" და „ღირსი დედა სოსანა". ხსენების დღედ დაწესდა ძვ. სტ. 20 მაისი (ახ. სტ. 2 ივნისი), წმ. ნინოს ხსენების (საქართველოში შემოსვლის) მოძღვნო დღე.

„ნინოს ცხოვრების" ცნობით, წარმოშობით კაპადოკიელი ღირსი მამა ზაბულონი რომის სამხედრო სამსახურში დაწინაურდა. მან მონაწილეობა მიიღო ბრანჯთა (იგულისხმება საფრანგეთის ძველი მოსახლეობა — გალები) ავჯანყების ჩახშობაში, დატყვეულებულებს კი უშუამდგომლა კეისართან და გაათავისუფლა ისინი. ამის შემდეგ ზაბულონი გაემართა ბრანჯთა სამშობლოში და ათი საერისთავო გააქრისტიანა. მოგვიანებით მან მიატოვა სამხედრო კარიერა და იერუსალიმში გაემგზავრა, სადაც ცოლად შეირთო იერუსალიმის პატრიარქის — იუბენალის და სოსანა. მათ შეეძინათ ერთადერთი ქალიშვილი ნინო. როდესაც იგი ოორმეტი წლის შესრულდა, მშობლებმა მთელი მონაგები გლახაკებს დაურიგეს და თავი ღვთის მსახურებას შესწირეს. ზაბულონი ბერად შედგა და იორდანის უშინაგანეს უდაბნოში განმარტოდა, ხოლო სოსანა მთელი ცხოვრება გლახაკებსა და უძლურებს ემსახურებოდა.

წმ. ზაბულონისა და წმ. სოსანას სახით ქართველმა ერმა ახალი მეოხნი შეიძინა ღვთის წინაშე.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი

1996 წლის 27 დეკემბერი

საქართველოს მთავრობის, მსოფლიო ბანკისა და ევროსაბჭოს ძალისხმევით შეიქმნა ერთობლივი პროექტი — „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა" (დამტკიცდა 1996 წლის 27 დეკემბერს). პროექტი 430.000 $-ის გრანტით დააფინანსა მსოფლიო ბანკმა, 40.000 $-ით — საქართველოს მთავრობამ, ტექნიკური დახმარებით უზრუნველყო ევროსაბჭომ.

საწყის ეტაპზე პროგრამის მუშაობა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით წარიმართა: საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზის უზრუნველყოფა; ფონდების მოზიდვა; პასპორტიზაცია-ინვენტარიზაციის განახლებული მოდელისა და კომპიუტერული ბაზის შექმნა; ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლა; საზოგადოების ინფორმირება.

ტენდერის მეშვეობით შერჩეულ 7 რეგიონში ჩატარდა ისტორიულ-ხუროთმოძღვრულ ძეგლთა დეტალური პასპორტიზაცია ახალი სახის საალრიცხვო ბარათის მიხედვით: 1. ძველი თბილისი (კალას უბანი); 2. სიღნაღი; 3. შატილი; 4. თეძმის ხეობა; 5. ფარავნისა და სალამოს ტბის რეგიონი; 6. ნინოწმინდის რაიონი (კუმურდოს რეგიონი); 7. სამეგრელო (წალენჯიხა, ხობი). აღნიშნული სამუშაოს შედეგად შექმნილია კომპიუტერულ მონაცემთა ბაზა, გაკეთებულია 700-მდე საალრიცხვო ბარათი, გადაღებულია 4.000-მდე ფოტო.

1998 წლის იანვარ-თებერვალში, ვაშინგტონში, მსოფლიო ბანკში, ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოსა" და აშშ-ში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამამ მოაწყო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა.

იქვე, 18 თებერვალს, ხელი მოეწერა დოკუმენტს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის 4.500.000 $-ის კრედიტის გამოყოფის თაობაზე. საქართველოს ბიუჯეტიდან აღნიშნული პროექტისათვის დამატებით 480.000 $ გამოიყო. სესხის ნაწილი (2.750.000 $) მოხმარდება ოთხი ობიექტის (ძველი თბილისი, სიღნაღი, შატილი, უფლისციხე) რესტავრაცია-

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის ემბლემა

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის პლაკატი

კეთილმოწყობას, 1 მილიონი დოლარი კი გადაუდებელ სამუშაოებს (ეს თანხა გაიცემა გრანტების სახით, ითითოეული პროექტის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 75.000 $-ს).

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი (დირექტორი – დავით ნინიძე), რომელიც აღნიშნული კრედიტის საფუძველზე 3 წლის მანძილზე დააფინანსებს სარესტავრაციო სამუშაოებს. ფონდმა დამატებით მოიზიდა 50.000 $-ის გრანტი, რომელიც მოხმარდა 1998 წლის გაზაფხულზე ვარძიაში სტიქიისაგან ჩამონგრეული მონაკვეთის რეაბილიტაციას.

არმაზის წმ. ნინოს ეკლესია

1997 წლის 20 იანვარი

რამდენიმე წლის წინ თბილისელი გიორგობიანების ოჯახმა გარდაცვლილი შვილის – ავთანდილის სულის საოხად წმ. ნინოს სახელობის ეკლესიის აგება გადაწყვიტა. ტაძრის ასაგები ადგილი შეირჩა მცხეთის მახლობლად, არმაზის მიდამოებში, იქ, სადაც ტრადიციის თანახმად ჯავახეთიდან მცხეთას მიმავალმა წმ. ნინომ გაიარა.

1996 წლის 16 მაისს ნიკორწმინდელმა ეპისკოპოსმა ელისემ ეკლესიის ასაგებ ადგილზე ჯვარი აღმართა და ქართველთა განმანათლებლის სახელობის ტაძრის საფუძველი აკურთხა. დარბაზული ტიპის ეკლესიის პროექტი არქიტექტორმა არჩილ მინდიაშვილმა შეასრულა. ივნისში მშენებლობა დაიწყო და წლის ბოლოსთვის გასრულდა კიდეც. მასში შესაძლებისდაგვარად მონაწილეობდნენ არმაზის, ძეგვისა და სხვა მახლობელი სოფლების მცხოვრებნი. ტაძარს ამშვენებს გიორგი ხიზანიშვილის მიერ შესრულებული ორიგინალური კანკელი.

1997 წლის 20 იანვარს ტაძარი აკურთხა და პირველი წირვა-ლოცვა აღავლინა ნიკორწმინდელმა ეპისკოპოსმა ელისემ. ამ დღეს ეკლესიას ესტუმრნენ ძეგვის ობოლ ბავშვთა სახლის აღსაზრდელები, რომელთა აღზრდასა და ზნეობრივ სრულყოფას უთუოდ შეეწევა ახალი ტაძარი. სხვათა შორის, გია და ნელი გიორგობიანებმა ამ ობლებზე მზრუნველობაც თავს იდეს და ტაძრის ქტიტორობას კიდევ ერთი მადლიანი საქმე შემატეს.

დღეს არმაზის წმ. ნინოს ეკლესიაში წირვა-ლოცვა აღევლინება. ხშირად პატარებს ვერც კი იტევს ტაძრის კარმიდამო. ალბათ ამაზე უკეთეს საჩუქარს ვერ უძღვნიდნენ გიორგობიანები დაღუპულ შვილს.

XIII საუკუნეში აგებული წმ. ნიკოლოზის ეკლესია, აღდგენილი 1996-1997 წლებში (აღდგენის პროექტის ავტორი – გარიელ კიპაროიძე). ხედი სამხრეთიდან.

თბილისის დედაციხე. წმ. ნიკოლოზის ეკლესია. საერთო ხედი ჩრდილოეთიდან.

წმ. ნიკოლოზის ეკლესია თბილისის დედაციხეზე

1997 წლის 19-20 აპრილი

თბილისის დედაციხე წყაროებში პირველად IV საუკუნის მოვლენებთან დაკავშირებით იხსენიება კალას სახელწოდებით. სხვადასხვა დროს მას შურისციხეს, ქალაქის ციხეს, ტფილისის ციხესა და ნარიყალას უწოდებდნენ. თბილისის ციხე დამპყრობლებს ბევრგზის დაუნგრევიათ, ამიტომაც შემორჩა მას მრავალგზის აღდგენისა და გადაკეთების კვალი. დედაციხის ტერიტორიაზე განთავსებული ყოფილა სამეფო სასახლე, ეკლესია, აბანოები და სხვა სამეურნეო თუ საყოფაცხოვრებო ნაგებობანი.

ქართული წყაროების გარდა ციხის გალავანში ეკლესიის არსებობას უცხოელ მისიონერთა ჩანაწერები და ჩანახატებიც მოწმობს. XIX საუკუნის დასაწყისში დედაციხეზე სათვალთვალო პუნქტი მოაწყვეს, ხოლო ტაძარი დენთის საწყობად აქციეს. მძლავრმა აფეთქებამ ეკლესია ლამის საძირკვლამდე დაანგრია. აფეთქებას შეეწირა ციხის ტერიტორიაზე მდგარი თითქმის ყველა ნაგებობა. საუკუნეზე მეტხანს ინახავდა დედაციხის მიწა ტაძრის ნაშთებს. 1960-იან წლებში არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელები – გიორგი ლომთათიძე, ოთარ ტყეშელაშვილი) გათხარა და შეისწავლა XIII საუკუნის ეკლესია, აგრეთვე ციხის ტერიტორიაზე არსებული სხვა ნაგებობანი.

არქეოლოგიური, სარესტავრაციო-საკონსერვაციო და კეთილმოწყობის სამუშაოები დედაციხეზე შემდგომშიც გრძელდებოდა. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს ღვაწლი რომან გვენცაძის და მისი შვილების, მშენებელ-რესტავრატორებისა, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში უშუალოდ მონაწილეობდნენ სამუშაოებში. მათ განზრახვას, რომ ტაძარს პირვანდელი სახე დაბრუნებოდა, იმჟამად განხორციელება არ ეწერა. მშენებლები იძულებულნი გახდნენ ტაძრის კედლები დაეკონსერვებინათ. მაგრამ მალე, საბედნიეროდ, ტაძრის აღდგენის (ფაქტობრივად, ხელახლა აგების) საკითხი დადებითად გადაწყდა. თუ მისიონერთა ჩანახატების პრიმიტიულობამ მშენებლებს ვერ შეუქმნა ტაძრის არქიტექტურაზე წარმოდგენა, ამ მხრივ მეტყველი აღმოჩნდა ეკლესიის ნაშთები.

1996 წლის აპრილში, რომან გვენცაძის ხელმძღვანელობით, დედაციხეზე დაიწყო წმ. ნიკოლოზის ტაძრის მშენებლობა. ეკლესია ერთ წელიწადში გასრულდა. აღდგენილი ტაძარი (პროექტის ავტორი – ტარიელ კიპაროიძე) ჯვარგუმბათოვან ეკლესიათა ტიპს

განეკუთვნება. გუმბათი ეყრდნობა საკურთხევლის შვერილებსა და თავისუფლად მდგომ ორ ბურჯს. მასალად გამოყენებულია ე. წ. „მჭადაქვა". ამ მასალით რესტავრატორები მოამარაგა დავით ალმაშენებლის საზოგადოებამ (პრეზიდენტი — აწ განსვენებული გურამ ფანჯიკიძე). მშენებლობას მეცენატობდა თემურ კვარაცხელია.

1997 წლის 19 აპრილს, ლაზარეს შაბათს, ტაძარი აკურთხა ალავერდელმა მთავარეპისკოპოსმა დავითმა. 20 აპრილს, ბზობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, წირვა ჩაატარა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. ეკლესიის წინამძღვრად აკურთხეს მამა ირაკლი (კალანდაძე). აღსანიშნავია, რომ იგი თავდაპირველად როგორც ერისკაცი, შემდეგ კი ღვთისმსახური, აქტიურად მონაწილეობდა მშენებლობაში.

ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესია

1997 წლის 25 აპრილი

IX საუკუნეში, როდესაც ბიზანტიაში ხატმებრძოლეობა იყო გავრცელებული, ერთ-ერთ ოჯახში ღვთისმშობლის ხატის გასანადგურებლად მივიდნენ. როდესაც მხედართმთავარმა შუბი ამგერა ხატს, ღვთისმშობელს სისხლი წასკდა ლაწვიდან. შეშინებულმა ხატმებრძოლმა ქვეშევრდომებს უკან გაბრუნება უბრძანა. ოჯახის წევრებმა ხატი ლუსკუმაში მოათავსეს და ზღვაში ჩააბრძანეს. ზღვის მეშვეობით იგი ათონის ივერთა მონასტერში მოხვდა და იქ დიდო ბინა. მას შემდეგ ხატი ივერიისად იწოდება.

სწორედ ამ სასწაულთმოქმედი ხატის სახელობის ეკლესია დგას თბილისში, ნაძალადევის რაიონში. იგი XIX საუკუნის დასასრულს არის აგებული. 1917 წლისთვის ეკლესია უკვე დაკეტილი ჩანს. შემდეგ წლებში მას სხვადასხვა დანიშნულებით იყენებენ. აქ ჯერ კლუბი მოუწყვიათ და ორგანიზაცია „სპარტაკისთვის" გადაუციათ. 1925 წელს ტაძარში წულების შესაკერი საამქრო ყოფილა. 1927 წლიდან ეკლესიის აბანოდ გადაკეთების სამუშაოები წარმოებს, 1929 წელს კი აბანოს უკვე დაუწყია ფუნქციონირება.

1989 წელს, უწმინდესისა და უნეტარესის — ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მერაბ კოსტავას და გიორგი ჭანტურიას ინიციატივით, დაიწყო ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები. თავდაპირველად აშენდა მთავარანგელოზის ეკლესია და სამრეკლო (პროექტის ავტორი — არქიტექტორი სოსო ალავიძე). მშენებლობა ხუთ თვეში დასრულდა. ტაძარი აკურთხეს 1990 წლის 25 თებერვალს, ხოლო მთავარი ეკლესია, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობისა — 1997 წლის 25 აპრილს.



თბილისი. ნაძალადევი. ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესია, აგებული XIX საუკუნის მიწურულს, აღდგენილი 1989-1997 წლებში (აღდგენის პროექტის ავტორი — სოსო ალავიძე).

მამა ვახტანგი (ასათიანი) ჯერ კიდევ მაშინ აკურთხეს ტაძრის წინამძღვრად, როცა ეკლესიაში აბანო იყო გამართული, რათა სათავეში ჩადგომოდა ტაძრის აღდგენით სამუშაოებს. მის გვერდით შემოიკრიბნენ სულიერი შვილები (ლევან ფალავანდიშვილი, სოსო ბერენიკაშვილი, მამუკა კვანტალიანი, დათო ლოლობერიძე, რამაზ ღურჭუმელიძე, ნოდარ ჭანტურია, მირიან ბენდელიანი...). ისინი დღემდე მხარში უდგანან სულიერ მამას.

ეკლესიის აღდგენის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ზეიად გამსახურდიას. მშენებლობას ფინანსურად დაეხმარნენ „სამთო ქიმიის" გენერალური

დირექტორი ნიკა ცხაკაია, ქალაქის მერი ირაკლი ანდრიაძე, ყოფილი ლენინის რაიონის რაიკომის მდივანი კარლო გუჯაბიძე, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით ზუბიტაშვილი, ტრანსგაზის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, აწ გარდაცვლილი კარლო ნიკოლაიშვილი, მისი შემცვლელი ვანო ზაზაშვილი... პირველი ზარი ეკლესიას 26 კომისრის ქარხნის დირექტორმა ვაჟა ჭორქოსაშვილმა შესწირა.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ ნაძალადევის ტაძარი ეკლესიაა ლეონიდეს ხატის სახელზე აგებული ერთადერთი ეკლესიაა საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით აღმაშენებლის ძეგლი თბილისში

1997 წლის 26 მაისი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი თბილისში, რომელიც ბოლო წლებში გარკვეულწილად გააფერმკრთალა ამ დიდი ზეიმის „თბილისური გაზაფხულის" პროგრამაში ჩასმამ, მაინც დასამახსოვრებელი აღმოჩნდა, რადგან 875 წლის შემდგომ დედაქალაქს დაუბრუნდა მისი თურქთაგან განმათავისუფლებელი, უდიდესი ქართველი, მეფე მეფეთა... დაუბრუნდა როგორც სიმბოლო, ნიშანსვეტი მომავალი აღორძინებისა...

რესპუბლიკის მოედანზე 1997 წლის 26 მაისს გაიხსნა დავით აღმაშენებლის ძეგლი (მოქანდაკე — მერაბ ბერძენიშვილი, არქიტექტორი — ოთარ კალანდარიშვილი).

მოლოდინი იყო უდიდესი (თუნდაც ის, რომ ამდენი ხნის მანძილზე საქართველოს დედაქალაქში მისი უპირველესი მეფის ქანდაკება არ მოიპოვებოდა), მაგრამ, სამწუხაროდ, ძეგლმა ეს მოლოდინი ვერ გაამართლა, მეტიც, გულნაკლულობისა და უკმაყოფილების გრძნობა დაბადა არა მარტო ჩვენში, არამედ ქართული საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილშიც, განსაკუთრებით კი ისტორიკოსებში.

უდავოა, რომ დავით აღმაშენებლის ქანდაკი არათუ ფარდი, არამედ ზეადმატებული უნდა ყოფილიყო სხვა ისტორიულ პირთა ძეგლებზე (ვახტანგ გორგასალი, ცოტნე დადიანი, გიორგი სააკაძე, ერეკლე II...). სხვა თუ არაფერი, ქართველთა უპირველესი მეფის ქანდაკება თბილისელი აშულის — იეთიმ გურჯის ძეგლის თანასწორი მაინც უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, სრულიად სხვა სურათი გვაქვს. დავითის ტრადიციული (გელათის ფრესკისეული) იკონოგრაფია წაიშალა და დარჩა ჩვეულებრივი მხედრის ძეგლი, დაბალი კვარცხლბეკით; უცნაური ჩაცმულობით; ხელში გაურკვეველი დანიშნულების, ალბათ მხოლოდ დეკორაციული დატვირთვის მქონე ეტრატით; მოკლე ფეხებით; სახით მოქანდაკისადმი „საეჭვო" მსგავსებით; რაც მთავარია, გაუგებარი ჟესტიკულაციით და ამ ჟესტის კიდევ უფრო გაუგებარი „ახსნით" — მეფე დავითი საჩვენებელი თითით ზეცისკენ მიგვანიშნებსო (თუკი ხელოვანი თითით ქვევით მიმართულს გამოსახავდა დავითს, იგივე წარმატებით შეგვეძლო გვემტკიცებინა — აღმაშენებელი საშობლო მიწისკენ მიგვითითებსო...). დავითის სიდიადე მიმჭრალია უსივრცო გარემოსა და ფაქტიურად არარსებული მოედნის წყალობითაც (იდეალთან შელარებით მიახლოებულია ქუთაისში დადგმული დავითის ძეგლი). ცხადია, მოქანდაკეს სრული უფლება აქვს ჰქონდეს განსხვავებული შეხედულებები და პრინციპული კონცეფციები, მაგრამ, ვფიქრობთ, შაბლონად იქცა ყველა ისტორიული პერსონაჟის ცხენზე „შესკუპება".

თბილისი. რესპუბლიკის მოედანი. დავით აღმაშენებლის ძეგლი (მოქანდაკე — მერაბ ბერძენიშვილი).

თბილისი. რესპუბლიკის მოედანი. დავით აღმაშენებლის ძეგლი (მოქანდაკე – შერან ბერძენიშვილი).

გვახსენდება ერთი ქართველი ისტორიკოსის მისწრებული ნათქვამი: წინადადება შემომაქეს ძეგლს კვარცხლბეკზე მივაწეროთ „დავით IV აღმაშენებელი (1089-1125)", თორემ ვერავინ გამოიცნობს მხედრის ვინაობასო. მართლაც, არავის გაუკვირდება სრულიად იდენტურად რომ გამოგვესახა ცხენზე ამხედრებული, ვთქვათ, მეფე ფარნავაზი, აშოტ I კურაპალატი, დავით III კურაპალატი, ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV, დემეტრე I, გიორგი III, დავით VI ნარინი, დავით VII ულუ, ალექსანდრე I დიდი, სოლომონ I... ან კიდევ (ამჯერად გვირგვინის გარეშე) – იოანე მარუშისძე, გრიგოლ ბაკურიანისძე, ზაქარია მხარგრძელი, იოანე მხარგრძელი...

კიდევ ერთი: ალბათ უკვე დროა გაუქმდეს ჩვენში არსებული „მოქანდაკეთუხუცესის" „თანამდებობა". დროა მივიდეთ ელემენტარულ დასკვნამდე: მართალია, გამოცდილება უდიდესი საზომია, მაგრამ ხანდახან (ხანდახან!), შესაძლებელია, სამხატვრო აკადემიის სტუდენტის ნამუშევარი ღვაწლმოსილი ოსტატის ქმნილებას აღემატებოდეს! ასეთი რამ მეცნიერებაში ცოტა ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ არცთუ ისე ძნელი – ხელოვნებაში.

და მეორე: ხანდახან (ისევ ხანდახან!), როცა ქმნილება (მით უმეტეს, აღმაშენებლის ქანდაკება) ძალზე შორს დგას იდეალისა და შეფასებისაგან, სულის ვეცადოთ (რაცუნდ ძნელი იყოს) ავმაღლდეთ ისტორიაში დაძკვიდრების საოცრად მაცდურ, ტკბილ სურვილზე და მომავალ დროებას გადავულოცოთ საკეთებელი. როცა საქმე ეხება უპირველეს ქალაქში ქართველთა უპირველესი, სათაყვანებელი მეფე-წმინდანის ძეგლის დადგმას, პრინციპი – „ტკბილად ვდგომას ტყუილად შრომა სჯობიაო" (ანუ სულ „უძეგლობას" ასეთი ძეგლი მაინც გვედგასო) ნაბდვილად არ გამოგვადგება. ბოლოს, ის, რომ დღემდე არ არსებობს მხატვრული ან დოკუმენტური ფილმი ვახტანგ გორგასალზე, დავით აღმაშენებელზე, თამარ მეფესა თუ შოთა რუსთაველზე (ან უბრალოდ, მხატვრული ფილმი „ვეფხისტყაოსანი"), სულაც არ არის საგანგაშო. ტრაგიკული უფრო ის იქნებოდა, ეკრანიზაციისას მათი სახება ისევე ულმობლად გაგვიფერმკრთალებინა, როგორც არაერთი ისტორიული პიროვნებისა.

დასასრულს, ერთ არასასიამოვნო ფაქტზე გვსურს გავამახვილოთ მკითხველის ყურადღება, რათა მომავალში მაინც დავიზღვიოთ თავი ასეთი შეცდომებისგან. ანალოგიური საკითხების გადაწყვეტისას ქანდაკების ავტორებსა თუ კონკურსის ორგანიზატორებს არ უნდა ეუხერხულებოდეთ კომპეტენტური პირების (ისტორიკოსებისა და ხელოვნებათმცოდნეების) მოწვევა. საქმე ეხება თამარ მეფის ძეგლის თაობაზე გამართულ კონკურსს, რომელიც 1997 წლის ზაფხულში მოეწყო. წარმოდგენილი პროექტებიდან (დაახლოებით 20) ორიოდე თუ შეეფერებოდა თამარის ღირსებას, სხვა დანარჩენი ისევე იყო სინამდვილესთან ახლოს, როგორც თვით თამარი XX საუკუნესთან. ზოგი მათგანი პირდაპირი კარიკატურა იყო ინგლისელი ლედისა, ზოგან თამარი ასურულ საბრძოლო ეტლზე იყო შემდგარი. თვით მეფის პროფილი ხშირ შემთხვევაში მონგოლთა ულუსის ლეღოფალს უფრო მოგაგონებდათ უცხო ჩაცმულობით, წინ გაბოწეული ქვედა ყბით და ყვრიმალებით, ვიდრე ქართველთა სათაყვანო მეფე-წმინდანს. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, შეცდომა არ უნდა განმეორდეს და ამჯერად მაინც ჟიურიში მხატვრებისა და არქიტექტორების გვერდით კომპეტენტური ისტორიკოსებიც უნდა შევიდნენ. მით უმეტეს, რომ თამარის ძეგლის დადგმა განსაზღვრულია ახალციხეში – დიდწილად არაქართველებით დასახლებულ რეგიონში. უნდა ვეცადოთ დაუფიქრებლობით შეურაცხყოფა არ მივაყენოთ თამარის ხატებას და რაც მთავარია, არაქართველებს სწორედ რომ „კარიკატურული" წარმოდგენა არ შევუქმნათ ჩვენს დიდ მეფეზე.

ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲜᲘᲕᲗᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲕᲔᲜᲐ

1997 წლის 26 მაისი

„... ... ძირთაგან დავით წინასწარმეტყველისთა აღმოცენებულ ვართ, და მის გამო ღმრთისა მიერ ცხებით განვეცვების მეფობა ჩუენ ბაგრატოანთა და ტომნი ვართ, დავით მეფისა და წინასწარმეტყველისა...“ („ახალი ქართლის ცხოვრება“)

„იცნობის ... ბაგრატიონი მკსეობითა, სიბრძნე-ქველობითა და ქუეყნისათჳს თავდადებულობითა“ (ვახუშტი ბატონიშვილი)

1997 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღეს, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა შესანიშნავი გამოფენა, რომელიც ქართველ მეფეთა და დიდგვაროვანთა პირად ცხოვრებაზე მოგვითხრობს. ასეთი გამოფენა პირველად მოეწყო საქართველოში. მეფეთა და დიდგვაროვანთა ნივთები დიდი ხნის მანძილზე იყო დაცული ხელოვნების მუზეუმის საგანძურის განყოფილებაში. გაჩნდა მათი გამოშზეურების იდეა.

ხელოვნების მუზეუმის საგანძურში გამოფენას ორი მცირე დარბაზი დაეთმო. პირველ დარბაზში განთავსდა ბაგრატიონთა, ხოლო მეორეში — დიდებულთა ნივთები. გამოფენის ორგანიზატორი იყო საგანძურის განყოფილების გამგე გურამ აბრამიშვილი, ექსპოზიცია მოამზადეს საგანძურის ფონდის მცველმა ელენე კავლელაშვილმა და უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ნაირა ჯაფარიძემ. ხოლო ძხატვრულად გააფორმა თენგიზ ქართველიშვილმა. საგანძურის განყოფილების სურვილია, რომ გამოფენა მუდმივ ექსპოზიციად იქცეს. გამოფენაზე წარმოდგენილი ნივთები (განსაკუთრებით სამეფო) ძირითადად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციიდან არის და მათი მუზეუმში მოხვედრა ექვთიმე თაყაიშვილის სახელს უკავშირდება.

გთავაზობთ გამოფენის ძირითად ექსპონატთა ნუსხას:

I ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ (ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲗᲐ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲜᲘᲕᲗᲗᲔᲑᲘ)

1. ბაგრატ III-ის საწინამძღვრო ჯვარი (X ს.), რომელსაც შემდგომში დავით აღმაშენებელიც ატარებდა (თავის დროზე ჯვარი გელათში იყო დაცული).

2. დავით აღმაშენებლის ბრინჯაოს ჭურჭელი, ძირზე ოქროს ზარნიშით შესრულებული ქართული ასომთავრული წარწერით — ᲓᲐ (დავით). ჭურჭლის ყელზე სპარსული წარწერაა, რომელიც აღმოსავლეთმცოდნე ნაირა ჯაფარიძემ წაიკითხა: „მესიის მახვილი არის დავითი, ღმერთმა ინება მფლობელად ხმელეთისა.“

3. დავით აღმაშენებლის ნაქონი პინაკის ფრაგმენტი, შემკული სტილიზებული დეკორაციული მოტივით.

4. დავით აღმაშენებლის ცხენის უზანგი.

5. ხმალი მხედრული წარწერით „მეფე დავით“.

6. XIII საუკუნის ხმალი, რომელიც სავარაუდოდ დავით VII ულუს უნდა ეკუთვნოდეს.

7. მეფე ბაქარის სამკლავე და აბჯრის ნაწილები (XVIII ს.).

8. იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის სატევარი ასომთავრული წარწერით: „მეფე ბაგრატ კურაპალატი“. ხანჯლის პირს მეორე მხარეს იმერეთის მეფე სოლომონ I-ის წარწერა აქვს: „სოლომონ ჰქონდა ღვთით ძალი, და მე ერთგული ხანჯალი, ხრესილს, რუხს იქმნა რისხვაწყრალი და მტერს მან დასცა ზარი და ალი.“

9. კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის მეუღლის — თინათინის ფიალა.

10. ქ. წ. II ათასწლეულის მიწურულის ბრინჯაოს ფოთლისებრი სატევარი, რომელზეც დატანილია მეფე არჩილ II-ის გამოსახულება და წარწერა.

11. ვახტანგ VI-ის საზეიმო ფარი.



ლავთა ალმაშენებლის უბანი



ერეკლე II-ის პირადი ნივთები – სათვალე ბულთა, ზარლახშა, ბოქლომი...



ერეკლე II-ის სამელნე და საკალმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მერვამეძის თოფი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხმალი და ქამარ-ხანჯალი



დავით ალმაშენებლის ბრინჯაოს ჭურჭელი, ძირზე წარწერით – ᲓᲐ (დავით)

12. ვახტანგ VI-ის ორი სახტამბო კლიშე (ერთზე გამოსახულია სულიწმინდის მოფენა, მეორეზე – ვახტანგის პორტრეტი).

13. ვერცხლის ჭიქა ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის გამოსახულებით, რომელზეც დატანილია წარწერა: „სახსოვრათ მეფე ერეკლეს დარიასაგან“.

14. ვერცხლის ფეხიანი თასი მხედრული წარწერით: „ეს მეფე ერეკლესია“.

15. ერეკლე II-ის ნაქონი გერმანული სერვიზის ფრაგმენტი: 3 თეფში, საწვნე და ბადია წარწერით: „ხელმწიფეს ერეკლეს კეთილად მოსახმარისი“.

16. ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი.

17. თოფი და ხმალი მეფე ერეკლესი, შესაბამისი წარწერებით.

18. იმერეთის მეფე სოლომონის თოფი.

19. ერეკლე II-ის ვაჟის – ვახტანგ ბატონიშვილის თოფი.

20. ალექსანდრე ბატონიშვილის თოფი, ხმალი, წყვილი დამბაჩა და ბებუთი.



გიორგი საკაძის ხმალი

21. იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის ნაქონი ვერცხლის მაცივარი ჭურჭელი.
22. იმერეთის მეფე სოლომონის ვერცხლის ჭურჭელი.
23. ერეკლე II-ის სათვალე (თავისი ბუდით), კლიტე და ზარდახშა.
24. ერეკლე II-ის სამელნე და საკალმე.
25. გიორგი XII-ის ნაქონი ვერცხლის მაღალი თასი.
26. ბატონიშვილების — ვახტანგისა და ფარნაოზის ნაქონი ჭურჭელი.
27. მარიამ, ელენე და მაკრინე ბატონიშვილების ნივთები.
28. თეკლე ბატონიშვილის ფერუმარილის სალეხი.
29. ბროლის საბეჭდავი ბაგრატიონთა სამეფო გერბის გამოსახულებით.

II დარბაზი (ქართველ დიდებულთა პირადი ნივთები)

1. გიორგი საკაძის ხმალი სპარსული წარწერით: „ბატონი ტფილისისა გიორგი" (წარწერა წაიკითხა და მოხსენიებული პიროვნების იდენტიფიცირება მოახდინა ნაირა ჯაფარიძემ).

2. შაჰ-აბას I-ის ხმალი (აღნიშნული სიძველე ერთ-ერთ ქართველ დიდებულს შეუძენია).

3. დავით დადიანის ნაქონი ვერცხლის სხვადასხვა ჭურჭელი, საგვარეულო სიმბოლიკით დამშვენებული.

4. ლევან გურიელის ნაქონი დიდი ყანწები სათანადო წარწერებით.

5. გიორგი აფხაზის თოფი წარწერით: „თოფი ვარ ძველი, მარადის ძველი, თავადი გიორგის აფხაზისა".

6. ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ხმალი, ხანჯალი და ქამარი.

არჩევნები მეცნიერებათა აკადემიაში

1997 წლის 8 ივლისი

1997 წლის 8 ივლისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყოველწლიურ საერთო კრებაზე აირჩიეს აკადემიის ახალი წევრ-კორესპონდენტები, მათ შორის:

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში:

გიორგი (გივი) ზაქარიას ძე ინწკირველი (სამართალმცოდნეობა)
ედუარდ ივანეს ძე კოდუა (სოციოლოგია)
ითარ დავითის ძე ლორთქიფანიძე (არქეოლოგია)

ვლადიმერ გიორგის ძე პაპავა (ეკონომეტრიკა)

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ფიცხელაური (არქეოლოგია)

ლეო ლეონტის ძე ჩიქავა (მიკროეკონომიკა)

ენისა და ლიტერატურის განყოფილებაში:

ზაზა ნიკოლოზის ძე ალექსიძე (ქართულ-სომხური ფილოლოგია)

გურამ ვარლამის ძე თოფურია (კავკასიური ენები)

გურამ სევერიანეს ძე შარაძე (ქართული ლიტერატურა)

ელგუჯა გიორგის ძე ხინთიბიძე (ქართული ლიტერატურა)

ჟურნალ „არტანუჯის" რედაქცია ულოცავს მეცნიერებს ამ დიდ აღიარებას და უსურვებს შემდგომშიც ნაყოფიერად ელვაწოთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.



თბილისი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

დივერსია ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმში

1997 წლის 23 ივლისი

1997 წლის 23 ივლისს, შიდა ქართლში, სოფ. თამარაშენში, ოსმა დივერსანტებმა აფეთქეს ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის — ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი. დაზიანდა შენობის ფასადი, ჩამოიქცა სახურავი. აფეთქებამ მთლიანად მოსრა მეორე სართულზე განლაგებული ბიბლიოთეკის ინვენტარი და 11.000 წიგნი. განადგურდა აგრეთვე მაჩაბლების საოჯახო თეატრის დარბაზი და სცენა. ასაფეთქებელი მოწყობილობა, როგორც ვარაუდობენ, ჩადებული იყო მარნის ერთ-ერთ ცარიელ ქვევრში.



სოფ. თამარაშენი. ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი აფეთქებამდე.

ივანე მაჩაბელი (1854-1898)

გამოფენა „გრიგოლ რობაქიძე – ცხოვრების გზები“

1997 წლის 19 სექტემბერი

გამოფენის პლაკატი

1997 წლის აპრილში საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორად პროფ. ალექსანდრე კარტოზია დანიშნეს. სასიკეთო ცვლილებები და გამოცოცხლება საქართველოს უძველეს ბიბლიოთეკას მოკლე დროში დაეტყო. გახშირდა გამოფენები, სხვადასხვა ღონისძიებები. 1997 წლის 19 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე ბიბლიოთეკის III კორპუსის დარბაზში გაიმართა დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის – გრიგოლ რობაქიძის (1880-1962) ბიოგრაფიის უცნობი დეტალების ამსახველი ფოტოგამოფენა, რომლის ინიციატორებიც იყვნენ ლაშა ბაქრაძე და გოეთეს ინსტიტუტი საქართველოში. გამოფენამ სრულყოფილად და მიუკერძოებლად წარმოაჩინა გრიგოლ რობაქიძის განვლილი ცხოვრება: ყრმობისა და სტუდენტობის წლები, ტარტუ, ლაიფციგი და პარიზი; პირველი საჯარო ლექციები ქართული საზოგადოების წინაშე, რომლებმაც რობაქიძეს დამსახურებული პოპულარობა და ავტორიტეტი შესძინა, იმავდროულად კი ქართული პერიოდიკის კარიკატურათა გმირად აქცია.

გამოფენაზე თითქმის სრულად იყო წარმოდგენილი გრიგოლ რობაქიძის ნაწარმოებები ქართულ, გერმანულ და სხვა ევროპულ ენებზე; მისი ადრინდელი ნაწერები ქართულ თუ რუსულ პერიოდულ პრესაში, ფსევდონიმებით „გ. რ.“, „გივი გოლლენდ“ და სხვა; გრიგოლ რობაქიძე – წევრი ქართული ეროვნული კომიტეტისა; გრიგოლ რობაქიძე – „ცისფერყანწელთა“ სინდისი და გონი; რობაქიძე და გალაკტიონი, რობაქიძე და შტეფან ცვაიგი, რობაქიძე – ფიროსმანის აღმომჩენი... აქვეა მისი წერილები ეკატერინე გაბაშვილთან (რომელსაც მეორე დედად თვლიდა), სოსო გრიშაშვილთან (რომელთანაც უახლოესი მეგობრობა აკავშირებდა). არც პირადი ცხოვრების ნიუანსები გამორჩენიათ გამოფენის ავტორებს: სონა კვეზერელი-კოპაძე, ნინა დომენსკაია, ელენე ფიალკინა და ბოლოს, გიტა ფონ შტახვიცი – გრიგოლის უკანასკნელი, განსაცვიფრებელი სიყვარული.

და მაინც, მისი ნაწერები... ქართული სიტყვა მანამდე უცნობ, სულ სხვა სიმაღლიდან დანახული, რაზედაც მოსწრებულად იხუმრა ქართული სიტყვათყლობის დიდოსტატმა კიტა აბაშიძემ: „სად ისწავლა ამ შეჩვენებულმა ... ამისთანა ქართული?!“... რობაქიძის მხატვრული თუ პოლიტიკური ესსეები; პიესები („ლონდა“, „მალშტრეკ“, „ლამარა“, „გრაალის მცველნი“); „გველის პერანგი“ (მისი შემოქმედების ქართული ნაწილის მწვერვალი); იძულებითი ემიგრაცია 1931 წლიდან და მომეტებული შემოქმედებითი ნაყოფიერება, მიუხედავად სულიერი თუ მატერიალური შეჭირვებისა: „მეგი – ქართველი ასული“ (1932), „ჩაკლული სული“ (1933), „ქალღმერთის ძახილი“ (1934), „დემონი და მითოსი“ (1935), „კავკასიური ნოველები“ (1932)...

ისტორიკოსთათვის განსაკუთრებით საინტერესოა რობაქიძის პოლიტიკური პორტრეტები: „ულიანოვ-ლენინი“ და „სტალინი – სული აჰრიმანისა“; გერმანული პერიოდის „ადოლფ ჰიტლერი, უცხოელი პოეტის მიერ დანახული“ (1939) და „მუსოლინი – მზით დალდასმული“ (1941). ამ პორტრეტებს გასაოცარ მხატვრულ სიმაღლესთან ერთად დიდი შორსმჭვრეტელური ნიშანიც ახლავს. II მსოფლიო ომის შემდგომ სხვაგვარად შეაფასეს რობაქიძის ეს ნაწერები და მწერალს ჟენევაში მოუხდა ემიგრირება. შვეიცარიის პროკურატურისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებას თავისი სიმართლისა და სიმაღლის რწმენით აღსავსე გრიგოლ რობაქიძე შემდეგი ფრაზით ასრულებს: „ჩემთვის ცხადია, რომ თანამედროვეობა, რომელსაც ავრერიგად აწამებს დროსმიტმასნილი „ფსიქოლოგიზმი“, ჩემს ახსნა-განმარტებაში გატარებულ აზრს ასე ადვილად ვერ დაეთანხმება. სურთ დღეს ჩემი სიტყვის წაკითხვა ან მოსმენა – ძალიან კარგი. არ უნდათ – მე არაფერს ვკარგავ, რადგან საუკუნეებს ველაპარაკები...“

გამოფენაზე წარმოდგენილია გრიგოლ რობაქიძის უკანასკნელი ფოტო, გადალებული გარდაცვალებამდე რამდენიმე კვირით ადრე. 80-ს გადაცილებული მწერალი, დიდი კარდუს შვილი, ახალგაზრდული ენერგიით და შემართებით, თითქოს თავისი ცხოვრების დეკეზს უტოვებს შთამომავლობას. მინაწერი ფოტოზე: „სახსოვრად არმინ ზიგრისტს (გამომცემელი რობაქიძის წიგნებისა — რედ.) — შეიძლება ამ კაცს მოხუცი ეწოდოს?!"

მესტიის მუზეუმის გაძარცვა

1997 წლის 15-16 ოქტომბერი

1997 წლის 15 ან 16 ოქტომბერს, ღამით, გაიძარცვა მესტიის მუზეუმი. მძარცველები აყიდნენ ფონდსაცავის სახურავზე, გახსნეს რკინის ფირფიტებით დაგმანული სამერცხული და ჩავიდნენ ფონდსაცავის შესასვლელში. უშუალოდ საცავში, რომელიც გისოსებით იყო აღჭურვილი, მძარცველებმა ვერ შეაღწიეს. ამის გამო აბრუნდნენ სხვენზე, ააძრეს ფონდსაცავის თავზე დაჭედებული ფიცრები, გაჭრეს დიქტი და ფონდსაცავის საგამოფენო დარბაზში ჩავიდნენ.

გამოფენიდან წაღებულია ვერცხლის სხვადასხვა ნივთი; ქალის სამკაულები; ადგილობრივი წარმოების კებზარები (ქამრის დეკორაციული ელემენტი), ჩაფრასტები (გულმკერდზე დასაბნევი ქალის სამკაული), ქამრები, სამაჯურები; ვერცხლით მოჭედილი ზარნიშიანი თოფი; 3 ცალი ხვითო; ბრინჯაოსაგან დამზადებული ცხენის, ცხვრისა და ხარის გამოსახულებები (ქ. წ. III-II ათასწლეულები).

საცავი ადრევე გაკეთდა სამუზეუმო დაცვის უფროსის — აკთანდილ ჭაბუკიანის ხელშეწყობით და ის, რომ მძარცველებმა ვერ შეაღწიეს სეიფში, სადაც მთელი სიმდიდრე ინახება, მის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

მესტიის მუზეუმზე რამდენიმე წლის წინათაც მოხდა თავდასხმა. მძარცველებმა დარაჯები თავიანთ ოთახში ჩაკეტეს და მუზეუმის დირექტორის ოთახიდან ტელევიზორი და კაბინეტის მოწყობილობა გაიტანეს. განძთსაცავში შეღწევა ვერც მაშინ მოახერხეს.

სვანეთში უმდიდრესი საგანძურია შემონახული. აქ თავმოყრილია ასეულობით ხატი და ჯვარი, უძვირფასესი წიგნები, მუა საუკუნეების დოკუმენტები, არქეოლოგიური ნივთები, მატერიალური და ყოფითი კულტურის ძეგლები. დღეს ამ ყველაფერს, თუ არ გავუფრთხილდით, განადგურება ემუქრება.

მესტიის ახალი მუზეუმის მშენებლობა თითქმის 20 წელია დაიწყო. ცოტა ხნის წინ იგი ხელახლა გადაიხურა (მოიხსნა სვანეთის პირობებისთვის სრულიად ალოგიკური ბრტყელი გადახურვა, გაკეთდა დამრეცი სახურავი). ალბათ ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა დროულად გადავიდეს საგანძური ახალ მუზეუმში. აქ, ცხადია, უკეთესი საშუალება იქნება ექსპონატთა დაცვისა და მათი ღირსეულად წარმოჩენისა.



დაბა მესტია

თბილისი. ღღეანდელი მარჯანიშვილის მოედნის მიმდებარე გერიგორია. ევანგელიკურ-ლუთერანული ეკლესია („გერმანული ეკლესია"). XIX საუკუნის 90-იანი წლების ფოტო (ეკლესია დაანგრიეს II მსოფლიო ომის შემდეგ).

ევანგელიკურ-ლუთერანული ეკლესია თბილისში (შერიგების ეკლესია)

1997 წლის 26 ოქტომბერი

ევანგელიკურ-ლუთერანული ეკლესია საქართველოში 1818 წელს დაარსდა. მისი პირველი პასტორი იოჰანეს ბერნჰარდ სალტეტი იყო (1825-1830 წწ.). ეკლესია საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ემსახურებოდა გერმანელ კოლონისტებს, რომლებიც საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისში დასახლდნენ. უკანასკნელი პასტორი რიხარდ მაიერი იყო, რომელიც 1899-1931 წლებში ედგა ეკლესიას სათავეში. II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ეკლესიის შენობა, რომელიც თბილისში, თანამედროვე მარჯანიშვილის მოედნის მახლობლად მდებარეობდა, დაანგრიეს.

აღნიშნული მოვლენიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ საქართველოში არსებული ლუთერანული თემისათვის ახალი ეკლესია აშენდა. მისი აგების ინიციატორი გერმანელი თეოლოგი, პროფ. გერტ ჰუმელი იყო. მან ქ. საარბრიუკენში გაყიდა საკუთარი სახლი და თბილისში, სვანეთის უბანში, გერმანელების ყოფილ სასაფლაოზე, ეკლესიის აშენება გადაწყვიტა.

შერიგების ეკლესია, რომლის არქიტექტორები გივი მეტრეველი და იელი გრეფი იყვნენ, ორი წლის განმავლობაში შენდებოდა. მშენებლობის დროს ნაპოვნი ძვლები ერთად შეიკრიბა და გაკეთდა მემორიალი. ეკლესია 1997 წლის 26 ოქტომბერს ამოქმედდა.

დღეს ევანგელიკურ-ლუთერანული ეკლესიის მოძღვარია პროფ. გერტ ჰუმელი. მასთან ერთად ღვთისმსახურებას აღავლენს პასტორი გარი აზიკოვი. ძირითად მრევლს საქართველოში მცხოვრები გერმანელები შეადგენენ. ეკლესიას უვლიან გიორგი და ლუდმილა ლაფაჩები. ეკლესიასთან გახსნილია საკვირაო სკოლა, სადაც ბავშვები სწავლობენ გერმანულ ენას, ისმენენ ბიბლიურ ისტორიებს.

აღსანიშნავია, რომ არქიტექტორ გივი მეტრეველის პროექტი, როგორც 1998 წლის საუკეთესო ნაშრომი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის (თავმჯდომარე — ვ. დავითაია) დიპლომით დაჯილდოვდა. გარდა ამისა, 1998 წელს გივი მეტრეველის პროექტს — „გერმანელების სათემო სახლი და ლუთერანული ეკლესია" სპეციალური დიპლომი მიანიჭა არქიტექტორთა კავშირის საერთაშორისო ასოციაციამ (პრეზიდენტი — ი. ალიევი).

ბათუმი. მემედ აბაშიძის ძეგლი (მოქანდაკე – ელგუჯა ამაშუკელი). 1997 წ.

მემედ აბაშიძე (1873-1937)

მემედ აბაშიძის ძეგლი ბათუმში

1997 წლის 30 ოქტომბერი

1997 წლის 30 ოქტომბერს ბათუმის ცენტრალურ მოედანზე საზეიმოდ გაიხსნა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, მწერლის, პუბლიცისტის, ილია ჭავჭავაძის უმცროსი თანამებრძოლის, აჭარის ქართველობის ქომაგის – მემედ აბაშიძის (1873-1937) ძეგლი. მისი ავტორია მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი.

მემედ იბრაჰიმის ძე აბაშიძე 1873 წელს დაიბადა ბათუმში. იგი იყო უკანასკნელი სანჯაყ-ბეგის – იუსუფ აბაშიძის შვილიშვილი. დაწყებითი განათლება მემედ აბაშიძემ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის სკოლაში მიიღო. მამის ხელმძღვანელობით დაეუფლა არაბულ, სპარსულ და თურქულ ენებს. სამოღვაწეო ასპარეზზე 1899 წლიდან გამოვიდა.

1906 წლამდე მემედ აბაშიძე საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის აქტიური წევრი იყო. სისტემატურად ბეჭდავდა პუბლიცისტურ წერილებს ქართულ პრესაში. აქტიურად იბრძოდა მუსლიმან ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და საქართველოს ერთიანობისათვის. 1907 წლიდან იგი სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას დაუკავშირდა. გამოდიოდა მეფის მთავრობის დასამხობად მოწყობილ მიტინგებზე, რისთვისაც რამდენჯერმე დააპატიმრეს და გადაასახლეს.

1917 წელს მემედი დაბრუნდა ბათუმში და განაახლა საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა. ხელმძღვანელობდა ქართველ მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოებას. 1918 წელს იგი პროტესტით შეხვდა აჭარაში შემოსულ თურქებს, რისთვისაც დააპატიმრეს და ტრაპიზონის ციხეში ჩასვეს. ძალე საპატიმროდან გამოიქცა, თბილისს ჩამოვიდა და სათავეში ჩაუდგა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს“. 1919-1921 წლებში რედაქტორობდა გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“.

მემედი მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა. მას ეკუთვნის ომარ ხაიამის რუბაიების თარგმანი. დაიწყო, მაგრამ ველარ დაასრულა „ვეფხისტყაოსნის“ თურქულად თარგმნა...

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. 1937 წლის რეპრესიებს ბევრ ქართველ მამულიშვილთან ერთად ვერც მემედ აბაშიძე გადაურჩა.

ახალი ეკლესიები საჩხერის რაიონში

1997 წლის 23 ნოემბერი

უკანასკნელ წლებში საჩხერის რაიონის სოფელ დუნთაში გორიჯვრის ეკლესია შენდებოდა. X საუკუნეში აგებულმა წმ. გიორგის სახელობის ამ ეკლესიამ ჩვენამდე მცირე ნანგრევების სახით მოაღწია. როგორც ერთ-ერთი ფრანგი მოგზაურის ჩანაწერებიდან ირკვევა, გორიჯვრისა და დარკვეთის წმ. გიორგის ეკლესიები ერთმანეთს წააგავდა. სწორედ ამიტომ გორიჯვრის ახალი ტაძარი დარკვეთის ეკლესიის მსგავსად აშენდა.

ჯერ კიდევ 1983 წელს, სობოროს წმ. ნინოს ეკლესიის დეკანოზის — მამა დავით კაციტაძის ძალისხმევით, ეკლესიის ადგილამდე გზა გაიყვანეს. ტაძრის მშენებლობის საქმეში კი დიდი წვლილი შეიტანეს ქარხანა „აგრეგატის" დირექტორმა თ. მაჭავარიანმა, საჩხერის ბატალიონის უფროსმა ს. ქუთათელაძემ და მშენებელმა ი. სადუნიშვილმა.

1997 წელს ეკლესიის მშენებლობა დასრულდა. ტაძარი სპილენძით გადაიხურა. მცირე სამუშაოები დღესაც გრძელდება.

* * *

1997 წლის 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე, პირველად აღევლინა წირვა-ლოცვა საჩხერის რაიონის სოფ. კორბოულის ახლადაგებულ კვირაცხოვლის საჯვარის ეკლესიაში, რომელიც სოფლის მოსახლეობის ძალისხმევით აშენდა (ორგანიზატორი — ნ. კაპანაძე, მშენებელი — ა. ხომასურიძე). ტაძარი აკურთხა მღვიმევის მონასტრის მღვდელმა მამა გაბრიელ ვაშაძემ. ჩატარდა პირველი ნათლობაც.

ასე რომ, საქართველოს ეკლესიას ზემო იმერეთში აგებული კიდევ ორი ახალი ტაძარი შეემატა.

ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესია ქობულეთში

1997 წლის 23 ნოემბერი

ქობულეთი. ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესია (არქიტექტორი — არჩილ მინდიაშვილი). 1996-1997 წწ. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის — ილია II-ისა და ბათუმ-სხალთის ეპისკოპოსის — იობის ლოცვა-კურთხევით ბათუმის ფერისცვალების ეკლესიის წინამძღვარმა მამა ზაქარიამ ქობულეთში, მოსახლეობისაგან შემოწირული თანხებით, ეკლესიას ჩაუყარა საძირკველი. ტაძრის მშენებლობა დაიწყო 1996 წელს, თამაზ ნიკარაძისა და ჯემალ ინაიშვილის შემწეობით (პროექტის ავტორი — არქიტექტორი არჩილ მინდიაშვილი). 1997 წლის 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე, ეკურთხა ქობულეთში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი მართლმადიდებლური ტაძარი. ეკლესია ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობისაა, წინამძღვარია მამა ზაქარია.



აუქციონზე გაყიდული წიგნებისათვის საგანგებოდ დამზადებული ექსლიბრისები

აუქციონი ეროვნულ ბიბლიოთეკაში

1997 წლის 7 დეკემბერი

1997 წლის 7 დეკემბერს, სახელწოდებით „დამშვიდობება საბჭოთა ეპოქის იდეოლოგიურ ლიტერატურასთან", საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სხლომათა დარბაზში (III კორპუსში) გაიმართა ბიბლიოთეკის ფონდებში არსებული ჭარბი ეგზემპლარების გაყიდვა აუქციონის წესით (მანამდე, ერთი თვის მანძილზე, „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის" დღიდან — 7 ნოემბრიდან დაწყებული, ბიბლიოთეკაში მიმდინარეობდა აღნიშნული ლიტერატურის გამოფენა-გაყიდვა). აუქციონისთვის საგანგებოდ შეირჩა 100 წიგნი. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკური ნაშრომების გარდა მათ შორის იყო პარტიული და მხატვრული ლიტერატურაც (ყრილობების სტენოგრამა-მიმოხილვები, პარტიისა და მისი ბელადებისადმი მიძღვნილი ლექსები...)

ბიბლიოფილების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საგანგებოდ აუქციონისათვის დამზადებულმა 8 სახის ექსლიბრისმა (მარინა ივანიშვილის ლინოგრავიურა, მამუკა

ლეკიაშვილის 2 ოფორტი, გიორგი მორბედაძის 4 ლინოგრავიურა და 1 ოფორტი), რომელიც ყველა გაყიდულ ეგზემპლარს მყიდველის შერჩევით დაეკვრებოდა და ამით შენაძენს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად აქცევდა. სულ დამზადდა 100 ეგზემპლიარი.

აუქციონი ჭეშმარიტად ქართული აზარტით წარიმართა, რასაც წამყვანების – ბიბლიოთეკის დირექტორის ალექსანდრე კარტოზიას, ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების თანამშრომლის ლევან თაქთაქიშვილისა და მსახიობ [illegible] ბოლქვაძის ფანტაზია და ხალასი იუმორი ავსებდა. წიგნების ფასმა, საშუალოდ, საწყისი 3-4 ლარიდან საბოლოო 10-15 ლარამდე მიაღწია. გაიყიდა ასევე წიგნი. საერთო შემოსავალმა 1000 ლარს გადააჭარბა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბროშურა „სიმინდის ანბანი" (ხრუშჩოვის ეპოქის სააგიტაციო ანბანთქება), რომელიც საწყის ფასთან შედარებით (3,2 ლ) სარეკორდო ფასად (49 ლ) გაიყიდა. „არტანუჯის" რედაქციის წევრებმაც შეიტანეს თავისი წვლილი ეროვნული ბიბლიოთეკის აღორძინების საქმეში – 43,5 ლარად შეიძინეს 4 წიგნი, მათ შორის ერთი, „Грузинские страницы ленинианы", ყველაზე „მძიმეწონიანი" წიგნი იყო აუქციონზე.

გადაჭარბებისა და პათეტიკის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული აუქციონი უცილობლად მთელი ცხოვრების მანძილზე ეხსომებათ დამსწრეებსა და მონაწილეებს, ვითარცა ხალისით და იუმორით გაჯერებული, ჩვენს ერთფეროვან ყოფიერებაში აშკარად გამორჩეული, ძალზედ ორიგინალური აქცია...

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

«არტანუჯის» ქრონიკა

(1995-1998)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი რედაქციის ძირითადი საქმე, ცხადია, „არტანუჯის“ გამოცემაა, ძირითადი პრობლემა – კვლავ „არტანუჯის“ გამოცემა, ძირითადი მიზანი – „არტანუჯის“ სისტემატურად, სტაბილური პერიოდულობით გამოცემა. მაგრამ სარედაქციო საქმის პარალელურად „არტანუჯელთა“ ჯგუფი მონაწილეობს გარკვეულ ღონისძიებებში, ეხმაურება სხვადასხვა პრობლემას, გამოსცემს მაგიდის საისტორიო კალენდარს (იგულისხმება რედაქციის მუშაობა ერთიანი სახით და არა ჯგუფის წევრთა პიროვნული მონაწილეობა ამა თუ იმ წამოწყებაში)... ეს ყველაფერი, არამყარი პერიოდულობის გამო, ჯეროვნად ვერ აისახება ჟურნალის გვერდებზე. ამიტომ გადავწყვიტეთ მკითხველს წარვუდგინოთ „არტანუჯის“ ქრონიკა, სადაც თავმოყრილი იქნება ინფორმაცია ზემოაღნიშნული მოვლენების შესახებ.

კონფერენცია „გადავარჩინოთ ისტორიული ძეგლები“

1996 წლის 12 ნოემბერი

1996 წლის 12 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში სტუდენტ ისტორიკოსთა ლიგამ მოაწყო კონფერენცია თემაზე „გადავარჩინოთ ისტორიული ძეგლები“. მოხსენებებს ახლდა ვიზუალური (ფოტო და ვიდეო) მასალა. კონფერენციის მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდა ჟურნალი „არტანუჯიც“.

კონფერენცია გახსნა სტუდენტ ისტორიკოსთა ლიგის პრეზიდენტმა, თსუ ისტორიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტმა ბესო გაფრინდაშვილმა. მან დამსწრეთ გააცნო კონფერენციის ჩატარების მიზანი. „არტანუჯის“ სარედაქციო ჯგუფის წევრი, თსუ ისტორიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი გიორგი კალანდია მოკლედ შეეხო ქართული კულტურის ძეგლების საერთო მდგომარეობას.

„არტანუჯის“ სარედაქციო ჯგუფის წევრი, ფონდ „უდაბნოს“ თავმჯდომარე, ისტორიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილების ასპირანტი თემო ჯოჯუა შეეხო დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებულ პრობლემებს. მან წარმოადგინა გარეჯის სამხედრო პოლიგონის (სასწავლო ცენტრ „ალგეთის“) ეტაპობრივი აღდგენის სურათი. ხაზი გაუსვა, რომ პოლიგონის აღდგენა გამანადგურებელი საფრთხეა გარეჯისათვის. მომხსენებელი შეეხო საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დადგენის პროცესს. მან დამსწრეთ შეახსენა, რომ ჩიჩხიტურის, უდაბნოსა და ბერთუბნის მონასტრები დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობენ და თუ ქართული მხარე ვერ გამონახავს საზღვრის გადანაწილების აზერბაიჯანისთვის მისაღებ ვარიანტს, დელიმიტაციისა და დემარკაციის პროცესის შემდეგ აღნიშნული მონასტრების უბრალო დათვალიერებაც კი დიდ პრობლემებთან იქნება დაკავშირებული. დასასრულს თემო ჯოჯუამ წარმოადგინა 1995-1996 წლებში აღმოჩენილი, სამეცნიერო ლიტერატურაში მანამდე უცნობი გარეჯის ერთ-ერთი მონასტრის – მრავალწყაროს ამსახველი ვიდეოფილმი.

ჟურნალ „არტანუჯის“ რედაქტორ-გამომცემელი, თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის ასპირანტი ბუბა კუდავა მსმენელთა წინაშე წარდგა არმაზისხევის საველე მუზეუმში შექმნილი სიტუაციის ამსახველი ვიდეოფილმითა და მოხსენებით. მუზეუმის მდგომარეობა მართლაც რომ სავალალოა: ჩალეწილია თითქმის ყველა მინა; ერთმანეთზეა დაყრილი სხვადასხვა ეკლესია-მონასტრიდან გადმოტანილი ქვის ექსპონატები; ზოგიერთი მათგანი უკვე საბოლოოდ არის განადგურებული; ალაგ-ალაგ ჭერი ჩამოქცეულია; მუზეუმი ნაგვითა და ეკალბარდებით არის სავსე...

თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა კახა მელიქიძემ მიმოიხილა არმაზის ღვთისმშობლის ეკლესიის მდგომარეობა: ჩამოქცეულია სამხრეთ კედელი; ალარ არის ფრესკული მხატვრობა, თუ არ ჩავთვლით სარკმელებში ოდნავ შესამჩნევ წითელ და

ლურჯ ზოლებს; თითქმის მთლიანად არის მოშლილი ეკლესიის კარიბჭე, რომელიც 1960-იან წლებში ჯერ კიდევ არსებობდა; სავალალოა სამვალის მდგომარეობაც, რომელიც თანდათან ინგრევა...

ბესო გაფრინდაშვილი მოხსენებაში „ზემო იმერეთის ისტორიულ ძეგლთა მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა (მლვიმევის წმ. ბარბარეს ეკლესია)" შეეხო 1991 წლის აპრილში მიწისძვრის შედეგად დანგრეული ჯრუჭის სამონასტრო კომპლექსისა და მოდინახეს ციხის მდგომარეობას. საგანგებოდ შეჩერდა მლვიმევის წმ. ბარბარეს ეკლესიასთან (XIX ს.) დაკავშირებულ საკითხებზე. ეკლესიას ალარც გუმბათი, ალარც ...ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლები შერჩა. მისი ნგრევა დაახლოებით 30-იან წლებში დაიწყო, როცა ჭიათურის რაიონში ფართო მასშტაბით გაჩაღდა მანგანუმის მოპოვება. ამ საძუშაოებმა ეკლესიას საფუძველი გამოაცალა. ფრესკები დიდი ხნის წინ განადგურდა, ხოლო ეკლესიის შიდა ნაწილი ჯაგებითა და ეკალბარდებით გადაიფარა.

გიორგი კალანდიამ საზოგადოებას გააცნო ზუგდიდის დადიანების სასახლეთა გასაჭირი. ეს ევროპული ტიპის არქიტექტურული კომპლექსი გულსატკენ მდგომარეობაშია. ეკატერინესეულ სასახლეში ბუდიდან ამოვარდა ფანჯრის ჩარჩოები. დანგრევის პირასაა მისული ნიკოსეული სასახლე, მოშლილია გამაგრებათა და საყრდენ კედელთა სისტემა. აწვიმს აქ განთავსებულ უნიკალურ ფონდებსა და საცავებს...

თსუ ისტორიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტმა თეა ქართველიშვილმა დამსწრეთ გააცნო ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლის მდგომარეობა. მან აღნიშნა, რომ ჟინვალის წყალსაცავის უმაღლეს საპროექტო ნიშნულამდე აწევის შემთხვევაში დიდი საფრთხე ექმნება როგორც კომპლექსის ძირითად ნაწილს, ისე ქვედა გალავანში მოქცეულ ხუროთმოძღვრულ ნიმუშებსა (ბერების საცხოვრებელი სახლი, ეპისკოპოსის სასახლე) და მიმდებარე ძველ კოლორიტულ უბანს.

თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის ასპირანტმა ირინე გივიაშვილმა მიმოიხილა ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრულ ძეგლთა მდგომარეობა. წარმოდგენილ სლაიდებზე კარგად აისახა ქართული ეკლესია-მონასტრების გასაჭირი. მომხსენებელმა ტაო-კლარჯეთის ძეგლთა მდგომარეობაზე საუბრისას გამოყო ოთხი ძირითადი ჯგუფი: 1. ძეგლები, რომლებიც საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი, დღეს კი ფაქტიურად აღარ არსებობს; 2. ძლიერ დაზიანებული ძეგლები; 3. ასე თუ ისე კარგად შემორჩენილი ძეგლები; 4. ეკლესიები, რომლებშიც ამჟამად მეჩეთები და ჯამეებია გახსნილი. „კარგი იქნება, თუკი თურქეთის ქართული ძეგლების დაცვის საკითხი სახელმწიფო დონეზე გადაწყდება" — აღნიშნა დასასრულს მომხსენებელმა.

წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკად. ანდრია აფაქიძე, თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე აკად. მარიამ ლორთქიფანიძე, ისტორიის ფაკულტეტის დეკანი პროფ. კარლო მეშველიანი, საქართველოს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ინსპექციის მთავარი ინსპექტორი ბაადურ კუპრეიშვილი, ფონდ „უდაბნოს" აღმასრულებელი დირექტორი ლადო მირიანაშვილი და სხვები.

გარეჯი. 1995 წელს მიკვლეული მონასტერი „მრავალწყარი". მცირე ეკლესიის ფასადი. მარცხნივ — ხუნაკის ნაშთი, მარჯვნივ — ეკლესიის შესასვლელი და საკურთხეველში გაჭრილი სარკმელი. 1996.



გარეჯი. უდაბნოს მონასტერი. წმ. გიორგის ეკლესია. (საქართველო-აზერბაიჯანის ღღეევანდელი ადმინისტრაციული საზღვრის მიხედვით უდაბნოს მონასტერი აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა მოქცეული). 1996.

არმაზისხევის საველე მუზეუმი. ძნელია გაიგო, ჭერი არის გამოყენებული, რათა არ წაიქცეს ქვის ორნამენტიანი სვეტი, თუ პირიქით — სვეტი აკავებს ჩამოხეხვის პირას მისულ ჭერს. წინა პლანზე მოჩანს უსისტემოდ დაწყობილი ორნამენტიანი ქვები. I დეკემბერი, 1995 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

არმაზისხევის საველე მუზეუმი. მოჩანს გარღვეული ჭერი, საიდანაც აწვიმს ექსპონატებს. ამ ადგილას სახურავი საგრძნობლად არის ჩამოწეული. ნესტიანი ჭერიდან და კედლებიდან ცვივა ბათქაში, რომელიც ექსპონატებს ეყრება. I დეკემბერი, 1995 წ.



არმაზის ეკლესია. XII ს. დასავლეთის კარიბჭე. ნანგრევები. ეკლესიის ინტერიერი ბუჩქებით და ხეებით არის დაფარული. 28 იენისი, 1995 წ.



გარეჯი. ბერთუბნის მონასტერი. ღვთისმშობლის ეკლესია. ხედი საკურთხეველისაკენ (1948 წლიდან მოქმედმა სამხედრო პოლიგონმა გარეჯის მონასტრებს შორის ყველაზე მეტად ბერთუბანი დააზიანა). 1996.

კრებულები – „Осетинский вопрос" (1994) და „ოსთა საკითხი" (1996).

შეხვედრა „ოსთა საკითხის" ავტორებთან

1997 წლის 1 ივლისი

ჟურნალმა „არტანუჯმა" და ქართველ ეთნოგრაფთა ასოციაციამ 1997 წლის 1 ივლისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში მოაწყვეს შეხვედრა 1996 წელს გამოცემული კრებულის – „ოსთა საკითხის" ავტორებთან. აღნიშნული კრებული თავდაპირველად 1994 წელს გამოვიდა რუსულ ენაზე – „Осетинский вопрос". მასში წარმოდგენილ სამეცნიერო სტატიებში კომპლექსურად არის გაშუქებული საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა განსახლების ისტორიულ-კულტურული რეალიები. კრებულის შემდგენლები და რედაქტორები არიან აკაკი ბაქრაძე და ომარ ჩუბინიძე.

შეხვედრა გახსნა ქართველ ეთნოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტმა, კრებულის ერთ-ერთმა ავტორმა, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილების უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვახტანგ ითონიშვილმა. მან ხაზი გაუსვა შეხვედრის აუცილებლობას და ისაუბრა კრებულ „ოსთა საკითხის" მნიშვნელობაზე. შემდეგ დამსწრეთ მიმართა ჟურნალ „არტანუჯის" სარედაქციო ჯგუფის წევრმა გიორგი კალანდიამ. „აღნიშნული კრებულის გამოცემა დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა როგორც ქართული ისტორიოგრაფიისათვის, ისე საერთოდ, ქართული საზოგადოებისათვის. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სამეცნიერო, თუნდაც პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ქმნის სასიამოვნო პრეცენდენტს, პრეცენდენტს ამგვარი პოლემიკური კრებულის გამოცემისა. უკანასკნელ ხანს სადისკუსიო საკითხები ხშირად განიხილება. იწერება სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, გამოიცემა ცალკე ბროშურები, მაგრამ ეს უმთავრესად ჩვენში, უმთავრესად მცირე მოცულობით და მცირე ტირაჟებით. ამ ფონზე, შეიძლება ითქვას, რომ ფუნდამენტური კრებულის – „ოსთა საკითხის" ორ ენაზე გამოცემით ახალი ეტაპი დადგა ქართულ ისტორიოგრაფიაში" – აღნიშნა მან.

სიტყვით გამოვიდნენ კრებულის ავტორები: ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბაბვა გამყრელიძე (მან ისაუბრა საქართველოში ოსთა განსახლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე); საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ნოე აფხაზავა (მან ზოგადად მიმოიხილა შიდა ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა); დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ანზორ თოთაძე (იგი შეეხო ოს სეპარატისტთა ideologemebis მიერ ბოლო წლებში გამოცემულ ანტიქართულ ლიტერატურას).

საზოგადოების წინაშე წარდგნენ აგრეთვე ნიქოზისა და ცხინვალის ეპისკოპოსი ისაია (ჭანტურია), ისტორიკოსები — ლევან მატარაძე, ლევან სანიკიძე, ბუბერა ჯაჯაშვილი და სხვები.

დასასრულს ისაუბრა კრებულის ერთ-ერთმა შემდგენელმა და რედაქტორმა ომარ ჩუბინიძემ. მან გულისტკივილით აღნიშნა, რომ მცირე ტირაჟი არ იძლევა კრებულის ფართო საზოგადოებისათვის გაცნობის საშუალებას. საჭიროა მხარდაჭერა როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო პირთა მხრიდან.

არმაზისხევის საველე მუზეუმის მდგომარეობა

1997 წლის 2 ივლისი

„არტანუჯის" V ნომერში (1996 წ.), რუბრიკით „SOS", დაიბეჭდა მცხეთასთან მდებარე არმაზისხევის საველე მუზეუმის საკალალო მდგომარეობისადმი მიძღვნილი მასალა — ბუბა კუდავა, გიორგი კალანდია. „ვაება ვაებისა... (არმაზისხევის მუზეუმი დღეს)". მას შემდეგ საკმაო ხანი გავიდა. ფოველი ჩასვლისას „არტანუჯის" რედაქციის წევრებს უარესი მდგომარეობა გვხვდება „მუზეუმში" (ბრჭყალები შემთხვევით არ არის ნახმარი). ფაქტია, რომ ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, რომლის დაქვემდებარებაშიც არის არმაზისხევის საველე მუზეუმი, ოდნავადაც არ უვლის მას (მეტიც, თავისი უყურადღებობით ხელს უწყობს მის განადგურებას!).

რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, გამოსავლად გვესახება არმაზისხევი მცხეთის მუზეუმს გადაეცეს. ლოგიკურია, რომ ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ისტორიულ ძეგლზე ადგილობრივი კულტურული დაწესებულება ზრუნავდეს. მანამდე კი, ვიდრე საველე მუზეუმის კუთვნილების საკითხი გაირკვეოდეს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყველა ექსპონატი დროებით მაინც მცხეთის მუზეუმში დაბინავდეს.

1997 წლის 2 ივლისს, არმაზისხევის მორიგი მონახულების შემდეგ, რედაქციის წევრები შევხვდით მუზეუმის დირექტორს — გიორგი შიოლაშვილს და მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელის მოადგილეს — ვახტანგ ნიკოლაიშვილს. მათ

ექსპონატები — ოქლიეფები და ასლები. 2 ივლისი, 1997 წ.



არმაზისხევის საველე მუზეუმის ტერიტორიაზე ძროხები ბალახობენ... 2 ივლისი, 1997 წ.

დაშლილ-განადგურებული ექსპონატები. 2 ივლისი, 1997 წ.

არმაზის მიღებული. დამთავრებული ასლი. 2 ივლისი, 1997 წ.

აღნიშნეს, რომ მცხეთის მუზეუმი მზადაა ითავოს არმაზისხევის მოვლა-პატრონობა, ინსტიტუტი კი ძალას არ დაზოგავს ამ საქმეში თავისი წვლილის შესატანად.

როგორც ვხედავთ, არმაზისხევის გადასარჩენად ორი გზა არსებობს: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა ან თავად უნდა გაართვას თავი საველე მუზეუმის დაცვას, ან კიდევ მას გადასცეს, ვინც მუზეუმის მოვლა-პატრონობის პირობას იძლევა.

აღნიშნული პრობლემა, უფრო დაწვრილებით, პრესაშიც აისახა (იხ. თორნიკე ასათიანი, ბუბა კულავა. „ნადგურდება არმაზისხევის საველე მუზეუმი". გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა". 6 აგვისტო. 1997; იგივე ავტორები. „აწვიმს არმაზისხევის მუზეუმის ექსპონატებს". გაზ. „ლიტერატურული საქართველო". 1-8 აგვისტო. 1997).

„არტანუჯის" გამოხმაურება ჯონ ფოლის წიგნზე „ნიშანთა და სიმბოლოთა ენციკლოპედია"

1997 წლის 5 აგვისტო

1993 წელს გინესის გამომცემლობამ ინგლისურ ენაზე გამოსცა ჯონ ფოლის „ნიშანთა და სიმბოლოთა ენციკლოპედია". აღნიშნული წიგნი რუსულად ითარგმნა და გამოიცა 1996 წელს (გამოცემა სრულიად იდენტური სახით 1997 წელსაც განმეორდა).

„არტანუჯის" რედაქციის ყურადღება მიიპყრო ენციკლოპედიის ერთმა ადგილმა (რუსულ გამოცემაში – გვ. 67), სადაც საუბარია ქართულ ანბანზე (მთლიანად ოცი ეძღვნება მსოფლიო დამწერლობათა სისტემებს). სულ რაღაც 7 სტრიქონში საკმარისზე მეტი შეცდომაა: ნათქვამია, რომ ქართული ანბანი შექმნა სომეხმა მისიონერმა მესროპ მაშტოცმა; აღნიშნულია, რომ ქართული ანბანი 2 სახისაა (ავტორი საერთოდ არ იცნობს ასომთავრულს); დაბეჯითებითია ჯონ ფოლის მტკიცება ქართული ანბანის ფალაურიდან (საშუალო სპარსულიდან) წარმოშობის შესახებ; უხეშ შეცდომათა რიცხვს განეკუთვნება ავტორის ინფორმაცია, რომ ქართული ანბანი მარჯვნიდან მარცხნივ იწერება.

Грузинский был создан миссионером Месропом в 5 веке, этот алфавит используется в Грузии и основан частично на "пахлавик", раннем персидском алфавите. В алфавите 33 буквы, записываемых справо налево. Используемое в настоящее время "светское письмо", как переводится его название "кхедрули", сменило в 11 веке первоначально использовавшееся "церковное письмо" "кхутсури".

ცეცხლსა, წყალსა და ქიწასა, ჰაერთა

„ნიშანთა და სიმბოლოთა ენციკლოპედია". გვ. 67. ადგილი, სადაც ქართულ ანბანზეა საუბარი.

ჯონ ფოლის წიგნი „ნიშანთა და სიმბოლოთა ენციკლოპედია". გინესის გამომცემლობა. რუსული ვარიანტი. 1996.

„არტანუჯმა" მოამზადა საპასუხო წერილი, რომელიც 1997 წლის 5 აგვისტოს ფაქსით გაეგზავნა გინესის გამომცემლობას. ამ უკანასკნელმა წერილი ჯონ ფოლის მიაწოდა. პასუხი რედაქციამ 27 აგვისტოს მიიღო. ავტორმა ფაქტიურად არ გაიზიარა ჩვენი შენიშვნები (გარდა იმისა, რომ ქართული მარცხნიდან მარჯვნივ იწერება), თუმცა კი დაგვპირდა, რომ მომავალ გამოცემებში შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებდა მათ.

საყურადღებოა, რომ ჯ. ფოლმა წერილს დაურთო ნუსხა ენციკლოპედიური გამოცემებისა, რომელსაც ზემოაღნიშნული ინფორმაციის წერისას დაეყრდნო. ავტორი უთითებს ორ წიგნს, სადაც აღნიშნულია, რომ ქართული ანბანი ფალაურს ემყარება. „თითქმის ყველა ნაშრომი, რომელსაც მე დავეყრდენი ქართული ანბანის საკითხის შესწავლისას, ამტკიცებს, რომ ტრადიციულად მის შემქმნელად წმ. მესოფი (ან მესრობი) ითვლებოდა, ან ნათქვამია, რომ ქართული ანბანის წარმომავლობა ბუნდოვანია. შესაძლოა, მე უნდა დამეწერა სიტყვა „ტრადიციულად", რათა ხაზი გამესვა იმ ფაქტისათვის, რომ ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა" — წერს ჯონ ფოლი. რაც შეეხება ასომთავრულს, მასზე ავტორი შენიშნავს: „არც ერთ ნაშრომში, რომელსაც მე გავეცანი, ასომთავრული ნახსენები არ ყოფილა" (როგორც ჩანს, უცხოელი ავტორები ასომთავრულს განიხილავენ არა როგორც ქართული დამწერლობის ერთ-ერთ ტიპს, არამედ როგორც ხუცური ანბანის მთავრულ ასოებს).

ზემოაღნიშნულის გარდა, ფოლის „სიჯიუტე" ალბათ იმითაც იყო გამოწვეული, რომ ავტორი შეეცადა საკუთარი ავტორიტეტის დაცვას პრესტიჟული გამომცემლობის წინაშე (ჩვენს წერილს თავდაპირველად ხომ სწორედ გინესის გამომცემლობა გაეცნო).

რედაქციამ ავტორს გაუგზავნა ამონაბეჭდი რუსულენოვანი ენციკლოპედიიდან („Лингвистический Энциклопедический Словарь". М. 1990. стр. 121), რომელშიც, განსხვავებით ჯ. ფოლის მიერ დასახელებული ლიტერატურისა, ობიექტურად არის დაწერილი სტატია „Грузинское письмо" (აქვეა საილუსტრაციო მასალა — ქართული დამწერლობის ტიპები). გავუგზავნეთ აგრეთვე წმ. ნინოსა და ბოლნური ჯვრის გამოსახულებები (ვინაიდან წიგნი სიმბოლოებს ეძღვნება და მასში ჯვრის ტიპებიც არის წარმოდგენილი).

სრული ინფორმაცია ამ მოვლენასთან დაკავშირებით ასახულია ქართულ და რუსულენოვან პრესაში: ბონდო კუპატაძე. „ღია წერილი ბატონ ჯონ ფოლს". გაზ. „ლიტერატურული საქართველო". 26 სექტემბერი — 3 ოქტომბერი. 1997; Редакция журнала „Артануджи". „Открытое письмо". газ. „Свободная Грузия. Кавказ". 7 августа. 1997.

„არტანუჯის“ რედაქცია მადლობას მოახსენებს ნიკო ჯავახიშვილსა (ჯონ ფოლის ნაშრომის მოწოდებისათვის) და ლადო მირიანაშვილს (გინესის გამომცემლობასთან ურთიერთობის ტექნიკური პრობლემების მოგვარებისათვის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ინტელექტკლუბი“ და ჟურნალი „არტანუჯი“

1997 წლის შემოდგომა

ოგიუსტ როდენის ქანდაკება „მოაზროვნე“ – ინტელექტუალთა სიმბოლო

სტუდია „აუდიენციისა“ და კლუბის – „რა? სად? როდის?“ შემეცნებით-გასართობი გადაცემა „ინტელექტკლუბი“ პოპულარულია არა მხოლოდ ინტელექტუალებში, არამედ მოსახლეობის ფართო ფენებშიც, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში. გადაცემა ყოველ კვირა დღეს გადის ეთერში საქართველოს ტელევიზიის I არხზე. მისი წამყვანია გიორგი მოხიძე. თამაშის დროს დასმული შეკითხვების დიდი ნაწილი, ბუნებრივია, ისტორიასთან არის დაკავშირებული, თუმცა, სამწუხაროდ, ნაკლებად არის კითხვები საქართველოს ისტორიიდან. სწორედ ამ ფაქტმა ჩაუყარა საფუძველი ინტელექტკლუბისა და ჟურნალ „არტანუჯის“ თანამშრომლობას.

პირველი შეკითხვები ინტელექტკლუბისთვის „არტანუჯის“ რედაქციის წევრებმა IV ჩემპიონატზე, 1997 წლის შემოდგომის თამაშებისთვის მოამზადეს. მას შემდეგ „არტანუჯი“ მოაზროვნეთა წინააღმდეგ ყველა ჩემპიონატზე (წლის მანძილზე 3 ჩემპიონატი ტარდება), თითქმის ყველა თამაშზე გამოდის. ამასთან, მკაცრად არის დაცული პრინციპი – შეკითხვა მხოლოდ საქართველოს ისტორიასთან იყოს დაკავშირებული.

კითხვის შედგენაში რედაქციის თითქმის ყველა წევრი იღებს მონაწილეობას. თავდაპირველად „არტანუჯის“ კითხვები შედარებით მარტივი იყო და შესაბამისად, მოთამაშეები დაახლოებით ნახევარს სწორად პასუხობდნენ. მას შემდეგ, რაც უკეთ დავინახეთ საქართველოს ისტორიაში ინტელექტუალთა განსწავლის ღონე, უკეთ გავეცანით შეკითხვის დასმისა და მისი გამოცნობის სპეციფიკას, კითხვები შედარებით გავართულეთ. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ არ არის რაიმე პრინციპული ორთაბრძოლა და ჩვენი კითხვის გამოცნობას დამარცხებად ან პრესტიჟის შელახვად ნამდვილად არ ვთვლით (ისევე როგორც „გამარჯვებაც“ საკმაოდ პირობითია). მთავარი ის არის, რომ ორივე შემთხვევაში საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციას ვუწყობთ ხელს. ათასობით მაყურებელი ეცნობა ახალ, საინტერესო, სახალისო თუ კურიოზულ მომენტებს ჩვენი სამშობლოს ისტორიიდან. აქვე უნდა ვალიაროთ, რომ, სამწუხაროდ, როგორც გაირკვა, ინტელექტუალებმა მსოფლიო ისტორიის (განსაკუთრებით, ევროპისა და ამერიკის) დეტალებიც კი უკეთ იციან, ვიდრე საქართველოს ისტორიის ზოგადი საკითხები.

„არტანუჯის“ რედაქცია მომავალშიც აქტიურად თანამშრომლებს გადაცემა „ინტელექტკლუბთან“.

ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ გრანტი „არტანუჯის“ საგამომცემლო ბაზის შესაქმნელად

1997 წლის ნოემბერ-დეკემბერი

ფონდის ემბლემა

სამწუხაროდ, ჩვენს დროში ჟურნალ „არტანუჯის“ სტილის გამოცემები სერიოზულ დოტაციას საჭიროებს. რეალიზაციის შედეგად დაგროვილი თანხა რეალურად ხარჯის ნახევარსაც ვერ ანაზღაურებს. „არტანუჯი“ დღემდე რედაქციის წევრთა ხარჯებით და კერძო პირთა შემოწირულობებით არსებობს.

გარდა ამისა, 4 წლის მანძილზე „არტანუჯს“ საკუთარი კომპიუტერული ბაზა არ გააჩნდა. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებდა როგორც ჟურნალის პერიოდულობაზე, ისე საერთოდ, მის გამოცემაზე.

1997 წლის ოქტომბერში ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პროგრამამ გამოაცხადა კონკურსი. ფონდი ტექნიკურ დახმარებას უწევდა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებს. კონკურსში პროექტი ჩვენმა რედაქციამაც წარადგინა. ჟურნალი „არტანუჯი“ ფონდს კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვას თხოვდა. პროექტს რეკომენდაცია გაუწიეს ისტორიკოსებმა – მარიამ ლორთქიფანიძემ, დავით მუსხელიშვილმა, ლევან სანიკიძემ და ანდრია აფაქიძემ.

ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოსაგან“ მიღებული გრანტის საფუძველზე 1997 წლის ნოემბერ-დეკემბერში „არტანუჯმა“ შეიძინა კომპიუტერული ტექნიკა. ამით ფაქტობრივად შეიქმნა საგამომცემლო ბაზის ის მინიმუმი, რაც საჭიროა რედაქციის ნორმალურად ფუნქციონირებისათვის. საგრძნობლად გაძლიერდა საქართველოს ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციის კიდევ ერთი სტაბილური კერა.

ჟურნალი „არტანუჯი“ უღრმეს მადლობას მოახსენებს ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“, ფონდის კულტურული მემკვიდრეობის პროგრამას, ზემოჩამოთვლილ ისტორიკოსებს, ჩვენს მიმართ გამოჩენილი უდიდესი ნდობისათვის.

„არტანუჯის“ საისტორიო კალენდარი

1998 წლის დასაწყისი

1998 წელს „არტანუჯმა“ გამოსცა მაგიდის საისტორიო კალენდარი. ჩვენთვის უცხო არ არის სპეციალიზებული კალენდრები (მაგალითად, დიასახლისის, სპორტის მოყვარულის, მებაღის...), მაგრამ საისტორიო კალენდრის პრეცენდენტი პირველია და ამდენად, სასიამოვნო სიახლედ აღიქვა საზოგადოებამ.

გამოცემა გათვალისწინებულია ისტორიის (განსაკუთრებით, საქართველოს ისტორიის) ყველა მოყვარულისათვის. კალენდრის ფურცლებზე აღნიშნულია ცნობილი ისტორიული პირების დაბადებისა და გარდაცვალების დღეები, ბრძოლებისა და სხვა ისტორიული მოვლენების თარიღები, ძირითადი საეკლესიო დღესასწაულები, ქართველ წმინდანთა ხსენების დღეები. გვერდი არა აქვს ავლილი არც თანამედროვე ცნობილ ისტორიკოსთა დაბადების დღეებს. ყველა მოვლენა კალენდარში ზუსტად არის ფიქსირებული დღის მიხედვით. შემდგენლებმა შეგნებულად აარიდეს თავი ბუნდოვანი და დაახლოებითი ქრონოლოგიის მოვლენათა აღნუსხვას, მიუხედავად თვით მოვლენის მნიშვნელობისა და

„არტანუჯის“ გამოცემული მაგიდის საისტორიო კალენდრები

მასშტაბისა, რათა ამით არ დარღვეულიყო კალენდრის პრინციპი. შეძლებისდაგვარად ხაზგასმულია ყველა მრგვალი თარიღი, რაც მაგიდის კალენდარს საშუშაო დატვირთვას აძლევს. ამ მხრივ იგი დიდად წაადგება ტელევიზიის, რადიოსა და პრესის წარმომადგენლებს.

„ის ფაქტი, რომ აღნიშნული ტიპის კალენდარი პირველად მზადდება, ალბათ თავისთავად გამორიცხავს პრეტენზიას სრულყოფილებაზე. რედაქციას განზრახული აქვს წამოწყება ტრადიციად აქციოს და ყოველწლიურად გამოსცეს ახალ-ახალი ინფორმაციით გაჯერებული მაგიდის საისტორიო კალენდარი. ამ საქმეში შემწეობას და თანადგომას კი მათგან ველით, ვისთვისაც ეს კალენდარი მთელი წლის მანძილზე საქმიანობისა და ცხოვრების თანამდევი იქნება“ — აღნიშნულია კალენდრის მოკლე ანოტაციაში.

მაგიდის საისტორიო კალენდრის რედაქტორ-გამომცემელია ბუბა კუდავა, შედგენაში მონაწილეობდნენ: მაია გურაბანიძე, მარეხ კავთიაშვილი, გიორგი კალანდია, ბონდო კუპატაძე, თეა ქართველიშვილი.

P. S. ჟურნალის წყობა თითქმის დასრულებული იყო, როცა გამოვიდა 1999 წლის კალენდარიც.

„არტანუჯის“ გამოხმაურება თურქეთში გამოცემულ ბროშურაზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა“

1998 წლის 20-27 თებერვალი

„არტანუჯის“ რედაქციას ხელში ჩაუვარდა თურქეთის ქალაქ იზნიკის კულტურული ასოციაციის მიერ გამოცემული ბროშურა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა“. ბროშურა შედგენილი ყოფილა თურქულად, შემდეგ ქართულად უთარგმნიათ ბათუმში (რედაქციისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ თარგმანი შესრულდა და რამდენიმე ეგზემპლარად გამრავლდა აჭარის უზენაეს საბჭოში, მისი გაცნობის მიზნით).

ბროშურას აწერია „PUBLICATION NO I“, რითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ თურქი „მეგობრები“ იზნიკიდან (სტამბოლთან მდებარე პატარა ქალაქია) მომავალშიც აპირებენ მსგავსი ლიტერატურის გამოცემას.

ავტორისათვის აჭარა საქართველოს ძირძველი კუთხე კი არა, თურქეთის კანონიერი ნაწილია, რომელიც 1878 წელს რუსეთმა დაიპყრო უსამართლოდ და ახლა თურქეთს უნდა დაუბრუნდეს სამართლიანად. ამ სულისკვეთებით აღსავსე ავტორი [illegible] სავსე ინფორმაციას გადმოგვცემს აჭარის, როგორც დამოუკიდებელი [illegible] შესახებ. გთავაზობთ რამდენიმე ადგილს ტექსტიდან: „საბჭოთა რეჟიმი მრავალი წლის განმავლობაში ცდილობდა ტრანსკავკასიური ეთნიკური ჯგუფები – აჭარლები, აფხაზები, ოსები, სვანები, მეგრელები და ლაზები – გაეერთიანებინა ერთ ქართულ ეროვნულ ქვეჯგუფში“... „ცივი ომის პერიოდში თურქეთი და აჭარა გაყოფილი იყო საბჭოთა რეჟიმის რკინის ფარდით“... „აჭარას მოგვიანებით დაერქვა ეგრისი. III-VII საუკუნეებში აჭარასა და ახლანდელი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს ერქვა კლარჯეთი, რომელიც შედიოდა ბაგრატის სამეფოში“... ავტორის აზრით, ვახტანგ გორგასალი სასანიდი მეფე იყო, ჭანები ამუდარიის ნაპირებიდან წამოსული თურქები არიან, აჭარლები უკვე XIV საუკუნიდან (ე. ი. ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის შექმნამდე) იღებენ ისლამს და თავგამოდებითაც იბრძვიან რწმენის დასაცავად. აბსურდის ზენიტია ავტორისეული თეორია, თითქოს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ ერთმანეთი ირანის შემწეობით გაიცნო V საუკუნეში.

განსაკუთრებით ტენდენციურია „აჭარის უახლესი ისტორიის მიმოხილვა“, რაც ჟურნალისათვის მისაღებია (ბრესტ-ლიტოვსკის ზავი, ყარსის ისლამური კონგრესისა და სერვერ-ბეგის საქმიანობა), დადებითად არის შეფასებული და ლამაზ ფერებშია წარმოდგენილი, ხოლო რაც არ მოსწონს (მაგალითად, მუდროსის ზავი), მას უკიჟინებს.

აღნიშნულ ბროშურას „არტანუჯმა“ საფუძვლიანი პასუხი გასცა (იხ. ბონდო კუპატაძე. „ვის უნდა აჭარა?!“. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 20-27 თებერვალი. 1998). ჩვენთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ ბროშურას გამოეხმაურა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის კრებულიც (იხ. აზიზ ახვლედიანი, აბელ სურგულაძე. „გამიზნულად მრუდე სარკეში“. „საისტორიო მაცნე“. № 4. 1996).

თურქეთის ქალაქ იზნიკში გამოცემული ბროშურა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა“

1995-1998 წლებში გარდაცვლილი ისტორიკოსები

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

მალხაზ გრიგოლის ძე აბდუშელიშვილი (1926-1998)

გ. წუბანაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

გაიანე ვლადიმერის ას. ალიბეგაშვილი (1922-1998)

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ქართველი ხალხის ეთნოგენეზისა და ეთნიკური განვითარების საპრობლემო ჯგუფის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

არჩილ ალექსანდრეს ძე ბარამიძე (1926-1995)

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თეიმურაზ (ზანდი) ჯაიდირის ძე ბოცვაძე (1930-1996)

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რევაზ კონსტანტინეს ძე გრძელიძე (1929-1998)

პარლამენტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

ლევან მალხაზის ძე თოიძე (1929-1996)

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის ისტორიის კათედრის მეცნიერ-თანამშრომელი

მალხაზ პოლიკარპეს ძე კაკაბაძე (1934-1998)

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილების წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

ბაბილინა რაფაელის ას. ლომინაძე (1920-1997)

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ანტიკური ხანის არქეოლოგიის განყოფილების წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

მარგალიტა ნიკოლოზის ას. ლორთქიფანიძე (1921-1997)

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თეიმურაზ კონსტანტინეს ძე მიქელაძე (1925-1998)

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

მარინა ნიკოლოზის ას. მიწიშვილი (1928-1998)

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

ნოდარ გიორგის ძე ნონიკაშვილი (1933-1998)

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ქალაქებისა და სოფლების ისტორიის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჯუმბერ ემანუილის ძე ოდიშელი (1932-1998)

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის აღმოსავლეთ ევროპისა და ამიერკავკასიის ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

გიორგი (გიგა) გიორგის ძე პაიჭაძე (1928-1996)

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ეკატერინე ლეონიდეს ას. პრივალოვა (1930-1998)

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

გულქან (გულიკო) ამბერკის ას. ფორფოლიანი (1930-1997)

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო ინფორმაციისა და საქართველოს ისტორიის ძეგლთა ნუსხის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

უშანგი იოსების ძე სიდამონიძე (1929-1997)

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილების თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოლია ნიკოლოზის ას. სოსელია (1905-1995)

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსეთის ისტორიის კათედრის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ბორის კირილეს ძე სოხვაძე (1935-1998)

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის აღმოსავლეთ ევროპისა და ამიერკავკასიის ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის განყოფილების წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

თამარ გიორგის ას. ტივაძე (1934-1997)

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

გიორგი ვლადიმერის ძე ფუთურიძე (1923-1998)

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

რამაზ კუკურის ძე ცუხიშვილი (1965-1996)

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილების წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ზურაბ ვასილის ძე ცქიტიშვილი (1928-1995)

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მთავარი კონსულტანტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ალექსანდრე (ლალი) ივანეს ძე ჯავახიშვილი (1917-1997)

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გიორგი ვლადიმერის ძე ჯალაბაძე (1922-1998)

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

ნოდარ შალვას ძე ჯანბერიძე (1927-1997)

უფალო, მიანიჭე მათ სასუფეველი ცათა,
მკვიდრ აქენ იგინი საუკუნეთა კეთილთა შენთა და რჩეულთა შენთა თანა...

„არგანუჯის" რედაქცია სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილთა ოჯახებს.

სახალისო ჰერალდიკა

თორნიკე ასათიანი



დაგლასთა საგვარეულო გერბის ფარი

მეფის გული

ამას წინათ ეკრანებზე გამოვიდა შესანიშნავი კინოფილმი „Braveheart" („მამაცი გული"). ფილმის გმირთაგანი – რობერტ ბრიუსი საკმაოდ ორსახოვან პიროვნებად გვევლინება, არადა შოტლანდიის ეს დიდი ხელმწიფე უთუოდ უკეთესი სახელის ღირსია. ჰერალდიკამ ასახა ამ ღვაწლმოსილი მეუფის სიცოცხლის რაინდული რომანტიკით აღსავსე ერთ-ერთი შტრიხი:

1329 წელს საშობლოს განმათავისუფლებელმა მეფე რობერტ ბრიუსმა სიკვდილის წინ მამაც რაინდ დაგლას „შავს" მისი გულის პალესტინაში გადატანა დაუბარა. დაგლასი დაიღუპა ანდალუზიაში მავრებთან სასტიკ ბრძოლაში. ერთგულ რაინდს სიცოცხლის ბოლომდე ხელში ეჭირა ზარდახშა თავისი მეფის გულით. მას მერე დაგლასთა საგვარეულო გერბში გამოისახებოდა სისხლიანი გული თავზე სამეფო გვირგვინით და დევიზით: „შესრულება ან სიკვდილი".

„ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან"

ასევე გერბში, ოღონდ ამჯერად უკვე ქართულში, ალიბეჭდა ამილახვართა წინაპრის – იოთამ ზევდგინიძის მიერ მეფე გიორგი VIII-ის გადასარჩენად ჩადენილი გმირობა. ჩვენთვის XIX საუკუნიდან ცნობილ ამილახვართა გერბში უცნაური გამოსახულებაა: თალქვეშ მოთავსებულ სარეცელზე მწოლიარე კაცს მკერდში ხანჯალი აქვს ჩაცემული.

ფარის ცენტრში წარმოდგენილი ამ ჰერალდიკური კომპოზიციის ახსნა XV საუკუნის ამბებში უნდა მოვიძიოთ. იოთამ ზევდგინიძისთვის ცნობილი

გახდა ქართველ შეთქმულთა გეგმა, რომლის მიხედვითაც ერთიანი საქართველოს ხელმწიფის – გიორგი VIII-ის მოკვლა იყო განზრახული. როცა ერთგულმა ქვეშევრდომმა ვერასგზით ვერ დაარწმუნა მეფე თავისი ეჭვების საფუძვლიანობაში, შესთავაზა საძინებელი ოთახები მაინც გაეცვალათ. მართლაც, ღამით სამეფო ოთახში შესულმა შეთქმულებმა ხანჯლით მოკლეს (ან მწვავედ დაკოდეს, ზუსტად არ არის ცნობილი) გიორგი VIII-ის ადგილას მწოლიარე ოთამი.

მამაცი ქართველი დიდებულის სწორედ ეს გმირობა დაედო საფუძვლად ამილახვრების საგვარეულო გერბის ძირითად მოტივს.

ამილახვართა საგვარეულო გერბის ფარი

ჯენტლმენი მეფე

დიდი ბრიტანეთის გერბის ფარს გარს ერტყმის ლაჟვარდოვანი ქამარი ბალთით. ეს არის საკიდი, ნიშანი ძველი და საპატიო ინგლისური საერო ორდენისა. „წვივსაკრავის ორდენი“ დააწესა მეფე ედუარდ III-მ 1348 წელს, გიორგობა დღეს, რის გამოც წმ. გიორგი ორდენის მფარველად ითვლება. თავდაპირველად „წვივსაკრავის ორდენში“ შედიოდნენ თავად მონარქი და ოცდახუთი რაინდი.

ქამარზე დატანებულია ძველფრანგული დევიზი: „Honi soit qui mal y pense“ – „რცხვენოდეს მას, ვინც ამაზე უკადრისად იფიქრა“. ლეგენდის თანახმად, ინგლისელების მიერ ასწლიანი ომისას დაკავებულ ფრანგულ ქალაქ კალეში გამართულ მეჯლისზე ერთ-ერთ წარჩინებულ ქალბატონს დაუვარდა საკიდი. ედუარდ III-მ აიღო იგი, ფეხზე მიიბა და წარმოთქვა ზემოთ მოყვანილი სიტყვები, რათა ქალბატონის ღირსებისათვის ჩრდილი არ მიეყენებინა და ვინმეს არ ეფიქრა, რომ რაიმე სასიყვარულო მინიშნებას ჰქონდა ადგილი. ასე წარმოიშვა ქალის პატიოსნების დასაცავად დაარსებული ორდენის დევიზი.

დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო გერბი

„წვივსაკრავის ორდენი“

„ბირჟა“

ბელგიის ქალაქ ბრიუგეს ერთ-ერთ მოედანზე იმართებოდა საბირჟო კრებები. აქ იდგა სახლი, რომელიც ეკუთვნოდა ვან დერ ბურსეს გვარს. მათ საგვარეულო გერბზე გამოხატული იყო სამი ქისა (ter burse), ანუ „ბურსა“ (ლათინურად „ბურსა“ ტყავის ქისას ნიშნავს), რომელმაც შემდეგ სიტყვა „ბირჟას“ დაუდო სათავე.

ლაკონური ჰეტმანი

პოლონეთში, გვირგვინის დიდი კანცლერის – იან ველეპოლსკისა და სახელგანთქმული მეფე იან III სობესკის დის – ლუდვიკა მარიანა დ'არვიენის ქორწილში (1678 წ.), ვოევოდა იაბლონოვსკიმ წარმოთქვა გრძელი სიტყვა. იგი დახვეწილებით შეეხო პატარძლის გერბის სიმბოლიკას, რომელზეც გამოსახული იყო სამი ჩაქუჩი, სამი ირემი და სამი შროშანი. ამასთან, მან ხაზი გაუსვა, რომ პატარძალი საფრანგეთის სამეფო დინასტიის ბევრ წარმომადგენელს ენათესავება.

ნეფის სახელით ჰეტმანმა სენიავსკიმ სულ ერთი ფრაზით გასცა პასუხი: „გერბზე ბევრს არ ვილაპარაკებ, მარტო იმას მოგახსენებთ, რომ დიდად პატივცემული ნეფის გერბზე გამოსახული რაში ამ შროშანებზე იბალახებს."

ერთი გერბი – ორი გმირობა

იოანე ბატონიშვილის ცნობით, მდ. ცხენისწყალს მიმდგარი მურვან-ყრუს ლაშქარი წყალდიდობამ მოაშთო, რის შედეგად არაბთაგან ბევრი ტყვედ ჩავარდა, ზოგი კი თავისი ნებით დარჩა არჩილ მეფის კარზე. მათ შორის იყო „ყრმა ვინმე ბეგისა შთამომავლობისა აბაში" (ე. ი. ეთიოპიელი), რომელსაც მეფე არჩილი „უყოფდა პატივსა და ზრდიდა თვისთანა". გამოხდა ხანი და ერთხელაც, ნადირობის ჟამს, არჩილის ძე იოანეს მგელი დაესხა თავს დასაგლეჯად, მაგრამ დავაჟკაცებულმა აბაშმა იყოჩაღა – ხმალი იშიშვლა, მიეჭრა ნადირს, მოკლა იგი და უფლისწული გადარჩინა. ამ გმირობისთვის მადლიერმა ხელმწიფემ აბაშყოფილ მამაც ქვეშევრდომს თავადობა უბოძა.

აბაშიძეთა საგვარეულო გერბის ფარი

1285 წელს კი, როცა ერთ-ერთი ბრძოლისას საქართველოს სასიქადულო მეფე დემეტრე II თავდადებულს ცხენი დაუკარგავს, აბაშიძეთა წინაპარს ხელმწიფისთვის საკუთარი ბედაური მიუგებებია და განსაცდელისგან უხსნია.

როგორც ჩანს, ზემოაღწერილ სიქველეთა ერთ ფარში შერწყმით შეიქმნა აბაშიძეთა გერბი, რომელშიც აღმოსავლური ხმალი და გვირგვინი არჩილ მეფის ძისადმი თავგანწირვას უნდა ასახავდეს, ცხენი კი – დემეტრე II-სთვის გაწეულ სამსახურს.

ათასი მეომრის ქალაქი

მადაგასკარელმა მეფე ანდრიაძავამ 1610 წელს თავის სასახლეში ათასი მეომარი განალაგა, გარშემო

მიდამოს კი ანტანანარივუ (მალაგასიურად „ათასის ქალაქი“) უწოდა. იქვე მდებარე დასახლება მეფემ ეთნოჯგუფ მერინას დედაქალაქად გამოაცხადა. მომავალში მერინამ თავისი ძალაუფლება მთელ კუნძულზე განავრცო. სასახლის გარნიზონის სიძლიერე კი აისახა ანტანანარივუს, მადაგასკარის ამჟამინდელი დედაქალაქის, გერბის დევიზში — „ათასი მეომარი ერთ დღეში არ იღუპება“.

აცტეკების „ალთქმული მიწა“

ლეგენდის თანახმად, უხსოვარ დროს, დასავლეთ მექსიკაში, ტბაში მდებარე კუნძულ ასტლანზე ცხოვრობდნენ აცტეკები („ასტლანის ხალხი“). ერთხელ ტომის უზენაესმა ღმერთმა აცტეკებს უბრძანა მიეტოვებინათ საშობლო და გადასახლებულიყვნენ იქ, სადაც კლდეზე კაქტუსი იზრდებოდა, კაქტუსზე კი არწივი იჯდებოდა. ამგვარად, ქრისტეს აქეთ I ათასწლეულის დამლევს აცტეკები ბელად ტენოჩის მეთაურობით ალთქმული მიწისკენ გაემართნენ. საშსაუკუნოვანი მოგზაურობის შემდეგ ტომი მიადგა დიდ ტბა ტესკოკოს, შუაში კუნძულით. იქვე, კლდის წვერზე ამოზიდულ უზარმაზარ კაქტუსს ნისკარტით გველის მპყრობელი არწივი შემოჯდომოდა, რომელმაც მიუთითა კიდეც აცტეკებს სანუკვარ ალაგზე. 1325 წელს აცტეკებმა აქ დააარსეს 1521 წელს უდიდესი ესპანელი კონკისტადორის — კორტესის მიერ განადგურებული, სახელგანთქმული ქალაქი ტენოჩტიტლანი — „ტენოჩის ქალაქი“ (თანამედროვე მეხიკო), გველისმჭერელი არწივი კი სამუდამოდ დარჩა ჯერ აცტეკთა ეროვნულ სიმბოლოდ, ხოლო შემდეგ მექსიკელთა სახელმწიფო გერბად.

მექსიკის სახელმწიფო გერბი



მეხიკოს დაარსება. ლეგენდის. ილუსტრაცია.

„ღვთის ძაღლების“ ორდენი

დომინიკანელთა (ანუ წმ. დომინიკეს) ორდენის სახელწოდებაში სიტყვების თამაშია: Domini canes ლათინურად „ღვთის ძაღლებს“ ნიშნავს. ამ ორიგინალური კალამბურის გადმოსაცემად წმ. დომინიკეს ორდენის გერბზე გამოსახულია ძაღლი, რომელსაც პირში ანთებული ჩირაღდანი უჭირავს. ემბლემა გამოხატავს ორდენის დანიშნულებას — ერთგული ძაღლივით დაიცვას ეკლესია ერესისაგან და გაანათლოს მართლმორწმუნენი (ჩირაღდანი).

დანიის სახელმწიფო დროშა

დედოფლის ჯანმრთელობის მხსნელი ბავშვი

1768 წელს, რუსეთში, ყვავილით დაავადებული შვიდი წლის ბავშვის — ალექსანდრე მარკოვის სიცოცხლე საფრთხეში ჩავარდა. ექიმებმა ამ ავადმყოფობის საწინააღმდეგო ვაქცინის მისალებად ბავშვზე ჩაატარეს ცდა, რომელიც წარმატებით დასრულდა. ამის შემდეგ ყვავილზე აცრეს რუსეთის დედოფალი ეკატერინე II. მადლიერმა მონარქმა ბავშვს უბოძა შთამომავლობითი აზნაურობა, გვარი Оспенный („ყვავილაშვილი“) და სენატს დაავალა შესაფერისი გერბის შექმნა.

ზეციური „მებრძოლი“ ჯვრები

როგორც ცნობილია, სკანდინავიის ქვეყნების სახელმწიფო სიმბოლო ჯვარია. მათი წარმოშობა ზუსტად შეესატყვისება ამ მხარის ძველ ბინადართა მებრძოლ სულს.

დანიელების და ესტების ბრძოლა. ლეგენდის ილუსტრაცია.

შვეციის სახელმწიფო გერბი

დანიის გერბის დაყოფა ხაზების ნაცვლად ჯვრით ხდება. დანებროგი (ასე ეწოდება თვით ჯვარსაც და დანიის დროშასაც) ლეგენდით მეფე ვალდემარ II გამარჯვებულს უკავშირდება. 1219 წელს ესტებთან ბრძოლის კრიტიკულ მომენტში ხელმწიფის ჯარის წინ ციდან ჩამოვარდა წითელი ალამი თეთრი ჯვრით და დანიელებს გამარჯვება მოაპოვებინა.

შვეციის დიდი სახელმწიფო გერბიც ჯვრით იყოფა. გადმოცემის მიხედვით, მეფე ერიკ IX-მ ფინელ წარმართებზე ლაშქრობამდე ზეცაში ჯვრისებრი, ოქროსავით მბრწყინავი ნათება იხილა.

დელფინი – დოფინი

დოფინის გერბის ფარი

ვიენუას მფლობელებს უწოდებდნენ „დოფინეს კონტებს“ (კონტი იგივეა რაც გრაფი), ვინაიდან გერბში დელფინი (ფრ. dauphin) ეხატათ. აქედანვე მოდის საფრანგეთის პროვინცია დოფინეს სახელწოდებაც. დოფინეს მფლობელ უმბერტს არც შვილი ჰყავდა და არც ძმა, ამიტომ 1349 წელს თავისი მიწები გერბითურთ (ოქროზე ლაჟვარდის დელფინი) დაუთმო საფრანგეთის მეფე ფილიპ VI ბედნიერის უფროს შვილიშვილს – შარლს, იმ პირობით, რომ ეს მხარე ამიერიდან სამეფო დომენისგან მუდამ განცალკევებული, ყველა ტახტის მემკვიდრის საუფლო იქნებოდა. სწორედ ამ ისტორიული ფაქტის შედეგად ეწოდებოდა საფრანგეთის „სისხლის პრინცს“ ანუ უფროს ბატონიშვილს დოფინი.

ანტიკური მონეტიდან – საგმირბე ფარზე



შერვაშიძეთა საგვარეულო გერბის ფარი

ქართველ თავად შერვაშიძეთა გერბში გამოსახულია მითოლოგიური ტყუპი ძმების – დიოსკურების სიმბოლო. იგივე ემბლემაა დატანილი ანტიკური ქალაქის – დიოსკურიის I საუკუნის მონეტაზე. ცნობილია, რომ ქ. სოხუმს ადრე დიოსკურია ეწოდებოდა და იმხანად მის სიმბოლოდ ძმები დიოსკურების ნიშანი მიიჩნეოდა. ამიტომ იყო, რომ აფხაზეთსა და სოხუმზე მმართველობის აღსანიშნავად შერვაშიძეებმა თავის გერბში დიოსკურების ცნობილი სიმბოლო მოათავსეს.

მონაკოს სახელმწიფო გერბი

სანჩო VIII-ის გმირობა. ზედა კუთხეში – ნავარის გერბის ფარი.

მეთიუ II მონმორანსის გმირობა. ზედა კუთხეში – მონმორანსის გერბის ფარი.

მეიმარ ბერთა ქალაქი

XI საუკუნიდან ცნობილი ფარი, წითელი და თეთრი რომბებით, წარმოადგენს ევროპის ერთ-ერთი უძველესი საგვარეულოს – გრიმალდის გერბს და ამასთანავე, ამ დინასტიის სამფლობელოს – კაზინოებით და „ფორმულა 1"-ის გრან-პრით სახელგანთქმულ ქალაქ-სახელმწიფოს ემბლემას. ფარის-მჭერელი ბერები და დევიზი „ღვთის შემწეობით" მიუთითებს მონაკოს სამთავრო ტახტზე გრიმალდების ასვლის გარემოებაზე. ლეგენდა იუწყება, რომ 1297 წელს საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენელი – ფრანსუა გრიმალდი (მეტსახელად „ეშმაკი") და მისი თანამოაზრეები ბერებად გადაცმულნი შეიპარნენ მონაკოს ციხე-სიმაგრეში, ანაფორებიდან ხმლები იშიშვლეს და ხელთ იგდეს იგი. ასე გახდა ფრანსუა გრიმალდი მონაკოს დღემდე მმართველი დინასტიის ფუძემდებელი. სხვათა შორის, ახლახანს მთელმა მონაკომ დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა აღწერილი მოვლენის 700 წლისთავი.

სანჩო VIII ძლიერის აღყვეტილი ჯაჭვები

1212 წელს, ესპანეთის რეკონკისტას დროს, აფრიკელ მავრებთან ბრძოლაში ნავარის ხელმწიფემ – სანჩო VIII ძლიერმა ჯიქურ შეუტია მტრის ბანაკს, რომელიც სოლებზე შემოხვეული რკინის ჯაჭვებით იყო გარშემორტყმული და გამაგრებული. ხელმწიფემ ხმალდახმალ დაწყვიტა ჯაჭვები, რომელთა ნაწილი ტანზე შემოხვეული შერჩა. ეს ჯაჭვები შემდგომში მისი საუფლო მხარის – ნავარის გერბში სამუდამოდ დარჩა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ. მოგვიანებით, ნავარისა და კასტილიის გაერთიანების შემდგომ, ეს გამოსახულება ესპანეთის ერთიანი სამეფოს დღემდე არსებულ გერბშიც შევიდა.

მონმორანსის გმირობა

საფრანგეთის ერთ-ერთი უწარჩინებულესი გვარის – მონმორანსის გერბი თავდაპირველად ოქროს ფონზე წითელი ჯვრით, ფარის კუთხეებში კი თითო ლაჟვარდის არწივით გამოისახებოდა. 1214 წელს, ბოვინის ბრძოლაში, მეთიუ II მონმორანსიმ, რომელიც თავისი ხელმწიფის – ფილიპ II ოგიუსტის მხარ-

დამხარ იბრძოდა, იშვიათი სიქველე გამოიჩინა — ხელთ იგდო დამარცხებულთა დროშების მთელი გროვა. მეფის ბრძანებით, ქვეშევრდომის გმირობის აღსანიშნავად, მონმორანსის გერბში მას მერე ფარის კუთხეებში თითოს ნაცვლად ოთხ-ოთხი არწივი განლაგდა.

ლეოპოლდ II ბრძოლის შემდეგ ლეგენდის ილუსტრაცია.

სისხლით შელებილი ჰერცოგი

მეფეთა ლაშქრობად წოდებულ მესამე ჯვაროსნულ ლაშქრობაში (1189-1192 წწ.) ავსტრიის ჰერცოგი ლეოპოლდ II რიჩარდ ლომგულთან, ფილიპ II ოგიუსტთან და ფრიდრიხ ბარბაროსასთან ერთად მონაწილეობდა. მუსლიმებთან ერთ-ერთ ბრძოლაში ლეოპოლდ II-ს აბჯარზე გადაცმული თეთრი სამოსი საკუთარი და მოწინააღმდეგის სისხლით ერთიანად გაუწითლდა, გარდა იმ ადგილისა, რომელსაც ქამარი ფარავდა. როცა ჰერცოგმა სარტყელი შეიხსნა, უცნაური შესახედი შეიქნა: წითლად შელებილ ტანსაცმელს წელზე სქელი თეთრი ზოლი კვეთდა. სწორედ ამ ამბის ამსახველია ავსტრიის სახელმწიფო გერბი და დროშა.

ავსტრიის სახელმწიფო გერბის ფარი

სხვათა შორის, მსგავსი რამ დავით IV აღმაშენებელსაც შეემთხვა. ერწუხის ბრძოლის შემდეგ, როცა მეფემ ქამარი შეიხსნა, ერთბაშად სისხლი წასკდა. გარშემო მყოფნი შეშფოთდნენ — დავითი დაჭრილი ეგონათ. თურმე ფიცხელ ომში დაკოდილ მეტოქეთა სისხლი, ხმლის ღარს ჩამოყოლილი, ხელმწიფის მაჯაში ჩაედინებოდა და აბჯრის ქვეშ გროვდებოდა.

სიმბოლიკა „რეკორდებში“

უძველესი დროშა

უძველესი დროშა, რომელიც ჩვენთვის არის ცნობილი, მიეკუთვნება დაახლოებით ქ. წ. 3000 წელს. იგი აღმოჩნდა 1972 წელს ჰაბლისში, ირანში. 23×23 სმ ზომის დროშა რკინისგან არის დამზადებული. მასზე გამოსახულია არწივი, ლომები და ქალღმერთები.

ვარაუდობენ, რომ უძველესი ეროვნული დროშები აქვთ ავსტრიას, დანიას, იაპონიას, მალის, მალტასა და შრი-ლანკას.

უდიდესი დროშა

125 მ სიგრძისა და 64 მ სიგანის „ამერიკის დიდი დროშა“ გამოფენილი იყო ეკანსვილში, ინდიანას შტატში, 1980 წლის 22 მარტს. დროშა 7 ტონას იწონიდა. იგი თეთრ სახლს ერგო საჩუქრად. ფლაგშტოკზე აღმართული უდიდესი ალამი კი იყო ქ. ბრაზილიაში გამოფენილი 70×100 მ ზომის ბრაზილიის ნაციონალური დროშა.

უძველესი საგერბე

1335-1345 წლებში შექმნილი ციურიხის საგერბე (Züricher Wappenrolle) ითვლება გერბების უძველეს და შუა საუკუნეების ყველაზე მნიშვნელოვან კრებულად. იგი სადღეისოდ ციურიხის ცენტრალური ბიბლიოთეკის საკუთრებაა და ინახება შვეიცარიის ლანდესმუზეუმში. დაახლოებით 1700 წელს საგერბე ცნობილი მეცნიერის — იოჰან იაკობ შოიხცერის საკუთრება იყო. ... შემდეგ, 1733 წელს, გადავიდა ციურიხის საქალაქო ბიბლიოთეკაში. გერბების კრებული წარმოადგენს გრაგნილს, რომლის სიგრძე დაახლოებით 4 მეტრია, სიგანე კი — 12 სმ. გრაგნილი შედგება ერთმანეთზე გადაბმული 13 პერგამენტისაგან. იგი ორივე მხრიდან არის მოხატული გერბებით. თავდაპირველად ხვეული უფრო გრძელი იყო. 109 გერბის შემცველი დაკარგული ნაწილი მხოლოდ 1797 წელს აღმოჩნდა ასლის სახით. ციურიხის საგერბეში მოთავსებულია უმეტესად მფლობელთა ფეოდალური ხარისხის მიხედვით დალაგებული ფარები. აქ წარმოდგენილია გერმანულენოვანი შვეიცარიის, ელზასის, ბადენისა და ბოდენზეეს მიმდებარე ტერიტორიის საგვარეულო გერბები.

ყველაზე დანაწევრებული ფარი

XIX საუკუნის ჰერალდიკური ხელოვნების ეს ექსტრაორდინალური ნიმუში შეიქმნა შანდოს მარკიზის — რიჩარდ პლანტაგენეტისათვის, რომელიც იყო ბაქინჰემისა და შანდოს პირველი დიუკის მემკვიდრე. იგი აჭარებდა ბრიტანეთში ერთადერთ ხუთნაწილიან გვარს (თემფლ-ნაჯენთ-ბრიჯს-შანდო-გრენვილი). ფარი დაყოფილი იყო 719 ნაწილად.



ყველაზე დანაწევრებული ფარი. XIX ს.



უძველესი საგერბე. დეტალი. 1335-1345 წწ.

ჯრუსკოდი



ოთარაზულად

2.

6. ნადირობის ქალღმერთი ქართულ მითოსში.

7.

9.



10. უძველესი მოსახლე თანამედროვე ესპანეთის ტერიტორიაზე.

11. ვესტგუთები — ალარიხი
ვანდალები — გაიზერიხი
ჰუნები — ?
(რომის იმპერიის უდიდესი მტრები)

12. არჩევითი თანამდებობის პირი ძველ რომში, რომელსაც ევალებოდა ტაძრების მეთვალყურეობა, ქალაქში წესრიგის დაცვა, წყალსადენების, გზების მოვლა, ბაზრების ზედამხედველობა...

19.



(ქვეყანა)

20. კოშკი.

21.

22.

(აშშ-ის პრეზიდენტი)

27.

(აჯეთილი ქვა
რელიეფური
გამოსახულებით)

30. კახეთის სამეფოს დედაქალაქი XV-XVII საუკუნეებში.

31. შაჰ-აბას I-ის დროს მოჭრილი მონეტა. ფართოდ გავრცელდა საქართველოში.

32.

33. საფრანგეთის მეფეთა შორის გავრცელებული სახელი.

34.

(მახი აღმოჩენილი ქალაქი)

35.



(სახელმწიფო ქ. წ. IX-VI საუკუნეებში)

ᲛᲔᲤᲔᲣᲚᲘ

1.

(წმ. გიორგის სახელობის ეკლესია აფხაზეთში, XI ს.)

3.

(სამხედრო-
ოაყადაზნაურული
წოდება)

4. „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შირვანშა და შაპანშა“

5. რელიგიური თაყვანისცემა.

6. დასახლებული პუნქტის, სოფლის აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინი.

8.



(დასახლების ტიპი)

13.

14. ფატიმიანთა სახალიფოს დედაქალაქი.

15.

(კომპოზიციის სახელწოდება)

16. საფრანგეთის „მეღვინეობის დედაქალაქი“.

17. უკრიტიკოდ მიღებული სარწმუნოებრივი დებულება.

18. ხარაჯა და ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. სათავადაზნაურო ტიტული დასავლეთ ევროპაში.

24. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი
ათაბაგი
ამირსპასალარი
მანდატურთუხუცესი
მეჭურჭლეთუხუცესი
მსახურთუხუცესი

(ამ თანამდებობების მატარებელი პირი)

25. ხელისუფლებისადმი მიმართული წერილობითი ფორმა გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში.

26.

(აღნიშნული პოლიტიკური ერთეულის მმართველი VIII-XI საუკუნეებში)

28. საფრანგეთის რევოლუციის მოღვაწე, შემარცხენე იაკობინელთა ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი. მისგან მომდინარეობს ამ ჯგუფის სახელწოდება.

29. ბრომეთეს დედა (სხვა ვერსიით — ცოლი).

მე-6 ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. აბაშიძე 5. მუზარადი 6. მეზოლითი 9. რევერსი 10. ბატონი 11. დრანდა 14. გაიანე 16. ვორონცოვი 17. ლევილი 20. აპოლონი 21. ასურეთი 25. ამპასია 26. მირმირანი 27. გევეთი 30. ორდენი 33. ბასილი 34. მატიანე 35. ალავერდი 36. დაწერილი 37. ორლეანი.

ვერტიკალურად: 1. ანდორა 2. ეზეკია 3. ყაზანი 4. ალეური 5. მონარქია 7. ითრდანია 8. გერცენი 12. პოლინეზია 13. ავგუსტინე 14. გოლგოთა 15. ნეაპოლი 18. ექვთიმე 19. იალბუზი 22. სახარება 23. ნინევია 24. ყურულთაი 28. არქივი 29. თამარი 31. ამადეო 32. თელავი.



იმ პერიოდში, როცა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე იყო, ინსტიტუტში ერთი ლიტერატურათმცოდნე მუშაობდა. ამ კაცს ამოჩემებული ჰქონდა — შოთა რუსთაველი ფსევდონიმი არისო თამარის ეპოქის სახელმწიფო მოღვაწის ყუთლუ-არსლანისა. ერთხელ იგი დაავადდა. ინსტიტუტის თანამშრომლებმა სნეულ მეცნიერს დირექტორთან უშუამდგომლეს, იქნებ რაიმეთი დავეხმაროთო. კორნელი კეკელიძე დათანხმდა, განცხადება შემოიტანოს და რითაც შეგვეძლება ხელს გავუმართავთო. ამხანაგებმა დირექტორის ნათქვამი მეცნიერს გადასცეს. მანაც დაუყოვნებლივ დაწერა თხოვნა და კორნელი კეკელიძეს მიართვა. დირექტორმა დახედა განცხადებას და სიცილი აუტყდა — იგი ასე იწყებოდა: ყუთლუ-არსლანის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს...

☺

ალავერდი-ხან უნდილაძემ, ძრისხანე შაჰ-აბასის სახელგანთქმულმა სარდალმა, სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე მოხელეს, რომელსაც მისი აკლდამის გაკეთება ევალებოდა, ჰკითხა თუ რა მდგომარეობაში იყო საუკუნო განსასვენებლის მშენებლობა. მოხელემ გულუბრყვილოდ უპასუხა:

— აკლდამა დასრულდა და თქვენს მობრძანებას ელის.

— ისევ არ მუშაობს წყეული ლიფტი!



ვალტანგ კუდა

გაზ. „ეხო“, ტფილისი, 1908.

— დამისახელე რომელიმე ისტორიული ფაქტი.
— მე გაკვეთილი არ ვიცი.

— მე ხელოვნების თაყვანისმცემელი ვარ, აბირჩიეთ სურათი!
— რომელს მიბრძანებთ?
— ასე, ერთი არშინის სიგანე ჰქონდეს და არშინნახევარი სიგრძე.

1727 წელს ვოლტერი ჩავიდა ანტიფრანგულად განწყობილ ინგლისში. ერთხელ ლონდონის ქუჩებში სეირნობისას იგი ბრბოს ალყაში მოექცა, რომელიც შეძახილებით — „სიკვდილი ფრანგს, ჩამოვახრჩოთ!“ ანგარიშსწორებით ემუქრებოდა. ვოლტერმა მიმართა მათ: „ინგლისელებო, თქვენ ჩემი მოკვლა გინდათ, რადგან ფრანგი ვარ, მაგრამ ნუთუ არასაკმარისად ვარ დასჯილი იმით, რომ ინგლისელად არ დავიბადე?!“ ბრბო ალტაცების ყიჟინამ მოიცვა, ვოლტერმა კი მშვიდად განაგრძო გზა.

☺

ინგლისის მეფე ჰენრი VIII-მ თავის მინისტრს — სახელგანთქმული წიგნის, „უტოპიის“ ავტორს, ტომას მორს უბრძანა წასულიყო პარიზში და პირადად წარედგინა ნოტა.

— თქვენო უდიდებულესობავ, — უთხრა მორმა, — თქვენ ხომ იცით, როგორი სასტიკია საფრანგეთის მეფე, იგი მაშინვე თავს წამაცლის.

— ნუ გეშინია, თუ იგი ამას ჩაიდენს, მე დაუყოვნებლივ ვუბრძანებ თავები მოჰკვეთონ ინგლისში მცხოვრებ ყველა ფრანგს.

— ძალიან კეთილი ბრძანდებით თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ ვშიშობ, არც ერთი ფრანგის თავი არ მოერგება ჩემს მხრებს.

ნეპრაუტა (ჩეხეთი)

ნეპრაუტა

გამარჯვებული კრივში და გამარჯვებული მარათონში

ზბიგნევ ლენგრენი

იქ, სადაც მეფეებიც თავისი ფეხით დადიან...

ზბიგნევ ლენგრენი

— თქვენო უდიდებულესობავ, ფოსტა მოვიდა.

პლუტარქე ირწმუნება, რომ სპარტაში არ იცოდნენ რა არის მრუშობა. ერთმა უცხოელმა სპარტელს ჰკითხა, რითი სჯიან მრუშებს თქვენს ქვეყანაშიო.

— ჩვენში, ბატონო, მრუში არაა! — მიუგო მან.

— კი, მაგრამ, რომ აღმოჩნდეს! — დაიჟინა უცხოელმა.

— მაშინ საზღაურად გადაიხდის იმხელა ხარს, რომელიც ტაიგეტის მწვერვალიდან თავს გადმოჰყოფს და მდინარე ევროტში წყალს დალევს.

— მერე და სად ნახეთ ამხელა ხარი? — გაუკვირდა უცნობს.

— მაშ, ვის უნახავს სპარტაში მრუში? — მიუგო სპარტელმა.

☺

ვარსკვლავთმრიცხველმა იწინასწარმეტყველა ერთი ქალის შესახებ, რომელიც საფრანგეთის მეფე ლუი IX-ს ძალიან უყვარდა, რომ ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვლებაო. ეს ქალი მართლაც გარდაიცვალა. მეფემ ვარსკვლავთმრიცხველი იხმო და ქვეშევრდომნი წინასწარ გააფრთხილა — როცა განიშნებთ, მოკალითო. როდესაც ასტროლოგი სასახლეში გამოცხადდა, ლუიმ ჰკითხა:

— სხვათა ბედ-იღბლის ცოდნას რომ ქადულობ, შენს შესახებ რას იტყვი, როდის გიწერია სიკვდილი?

ნეარაკტა



ზბიგნევ ლენგრენი

— ვერ გავიგე, რატომ გაკვირვებს მოკლე კაბები, ძველ დროში ხომ აღარ ვცხოვრობთ!

ზბიგნევ ლენგრენი



— არ მინდა დავამწუხროთ, მაგრამ შეიძლება შერიგებამდე მივიდეს საქმე.

— მე, თქვენო უდიდებულესობავ, თქვენზე მხოლოდ სამი დღით ადრე დავლევ სულს.

მეფე პასუხის შემდეგ განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენდა ვარსკვლავთმრიცხველისადმი და ყოველგვარ გაჭირვებაში ეხმარებოდა.

☺

მას შემდეგ, რაც რომაელმა მხედართმთავარმა ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსმა სამხედრო საქმიანობას თავი დაანება, არანაკლებ გაითქვა სახელი ე. წ. „ლუკულუსის ქეიფებით". თითქმის ყოველდღიურად უამრავ სტუმარს იწვევდა და ბოჰემური დროსტარებით იქცევდა თავს.

ერთხელ ისე მოხდა, რომ მას ერთი კაცისთვის განკუთვნილი ვახშამი მიართვეს. ლუკულუსმა ლანძღვა დაუწყო მსახურებს, მათ კი თავი იმართლეს: რაკი მოწვეული არავინ გყავდათ, არ გვეგონა თუ ძვირფას ვახშამს ინებებდითო.

— რას ამბობთ, — შეჰყვირა განრისხებულმა სარდალმა — განა არ იცოდით, რომ დღეს ლუკულუსი ლუკულუსთან ვახშმობდა?

ზბიგნევ ლენგრენი



— გთხოვთ დამითმოთ ყუმბარა, მტერი უკვე ახლოსაა.

ისტორიკოსები მეგობრულ შარჟებში

მხატვარი ვახტანგ ჯუღია
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი სურგულაძე

მარიკე ჩხარტიშვილი

ალექსანდრე ბენდიანიშვილი

ვახტანგ შამილაძე

ანდრია აფაქიძე

დევი ბერძენიშვილი

კოტე ჩოლოყაშვილი

ალექსანდრე აბდალაძე

The historical journal

ARTANUJI

Georgia, Tbilisi, № 8-9, 1999

გარეკანის პირველ გვერდზე: იშხანი. გუმბათის მოხატულობა. ჯვრის ამაღლება. XI ს. ფრაგმენტი. სქემა ასმათ ოქროპირიძისა.

გარეკანის ბოლო გვერდზე: რკონი. ღვთისმშობლის ეკლესია. ჯვრის რელიეფური გამოსახულება სამხრეთიდან მიშენებული სამლოცველოს დასავლეთ ფასადზე. XIII-XIV სს. მხატვარი თამაზ შარიფაშვილი.

ჟურნალი „არტანუჯი“ უღრმეს მადლობას უხდის
გამომცემლობა „ინტელექტს“
თანადგომისა და ფინანსური მხარდაჭერისათვის

აიწყო და დაკაბადონდა ჟურნალ „არტანუჯის“ კომპიუტერულ ცენტრში

✉ თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 2, III სართული. ☎ 22-43-62.

Ср 309/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა